მერაბ ელიოზიშვილი

კურდღლის სიმღერა



„ნაკადული"
თბილისი — 1987

84 Гр 7—4
Э 567

კურდღლის წელიწადია თერმე წლევანდელი წელი ჩინური კალენდრის მიხედვით.

„ქილილა და დამანასავით“ მეც ცხოველები და მათ შორის კურდღელი წარმოვადგინე ამ მოთხრობებში, სანაშენე ბუღაგუდოკა, სადედოფლო დეკეული, ზღარბი-ბუძგა, მერცხლები, თაგვიონ-ვირთაგვიონი...

„გულითა გაუტეხელით და მოუღალავი მკლავითა“ უნდა შევხვდეთ ქართველები წლევანდელი უღვთო ზამთრის გულსაკლავ შედეგებს... ადამიანთა და შინაურ ცხოველთა მსხვერპლისა და ზარალის გარდა ჩვენს მშობელ-შემნახველ ბუნებასაც საშინელი ლახვარი ჩასცა სტიქიამ. ცასა სწვდებოდა ჩვენი მთისა და ჩვენი ტყის ბინადართა მოთქმა-გოდება, მაგრამ არ შეისმინა ცამ მათი ჩივილი, ზვავსა და ზათქში გააქრო მათი საჩივრის უკანასკნელი ამონაკვნესი.

თუნდაც ამიტომ და სხვაც ბევრი რამის გამო მაინც დიდი მშვიდობისა და დიდი შრომის წელი უნდა შეიქმნას წლევანდელი წელი თითოეული ჩვენგანისათვის!..

მხოლოდ ახალი აზროვნების მოწინავეთა რიგებშია ჩვენი ყოფნა აუცილებელი.

ПИРВЕЛИ-МЕОРЕ ГАМОЦЕМА

© „ნაკადული“, 1987

70303 — 172
Э ——————— ბრძ. № 160 —87
М 603 (08) — 87



ძროხის ჟურდი

შუა ქართლის სოფელ ქვაშავში დაბრუნდა ძროხის ქურდობაზე ორგზის ნასამართლევი, ორმოცი წლის კაცი, ვაჟა ხრიოკაშვილი, ამნისტიამ უწია და ვადაზე ორი წლით ადრე დაუბრუნდა იგი გატიალებულ სახლ-კარს, ქვრივ დედას, კრამიტის ქარხანაში მომუშავე ქმარგანაყარ დასა და თორმეტი წლის დისწულს, მეექვსეკლასელ გოგიას...

ბაქნის კიბესთან მიეყენებინა ავტობუსი ტყავკურტაკიან სიძეყოფილს და ხუმრობ-ხუმრობით ეპატიჟებოდა ბალგანაყიდს, შინდაბრუნებულ თანასოფლელებს. პატარა ავტობუსის გაღნიოშებულ კართან დამდგარიყო ვაჟას ყოფილი სიძე და მგზავრს არ ტოვებდა ულაპარაკოდ, გაუქილიკებლად. საკმაოდ თავხედური, უშიშარი იუმორით აჯილდოებდა ავტობუსში ამავალ თანასოფლელებს შოფერი:

— მებლეებო, ჭირიმე თქვენი!.. რა დრო იყო, ვანუა, ბალი ათი შაურიაო... თავის ქება კიტრადაო, კიტრი — არც კაპიკადაო! თქვენ რო არ დაბლიანობდეთ, თქვე სამდაათშაურიანებო, ქალაქის დეზერტირებში. რა უბლოობა ჩამოვარდებოდა თბილისქალაქში, თქვე იღბლიანებო, თქვენა. ბლიყიდვით ოჯახაშენებულებო, თქვენა!.. ალია-ბალია აბაზი მოვიგო თითო მებლეზე და ისიც

გშურთ... აბა, აბა, კალათები ზევით, საბარგულ-სახურავზე შეჰყარეთ! თრითინებივით რომ დამიღრღენით ტყავის სავარძლები!.. ზევით, ზემოდ შეაგდე-მეთქი, ალექსა, ჯანდაბამ გაგლექსა შენცა და შენი ბლიკალათიც, ბლისკინელო, გაუყიდავი რომ მოგაქ ბალი შინა, შე ბლიაშვილო, შენა!.. სააკაძე, ჩვენი დიდი მამულიშვლიც ეგრე გაუყიდავი ბლითა ბრუნდებოდა, აჩხორილი კალათებით, დედასა! ჩალმიანი თავებით სავსე გოდორკიდებული ქარავნებიით მობრძანდებოდა მამულიშვილი ნოსტეში, მამულის შემარცხვენლებო, წუწურაქებო! ამოდით, ამოდით დროით!

— სამი კალათი გავყიდე, სასვლეპი ბალი, აგე, კალათები, ზევით შევყარე. ეს კიდე სამეფო ბალია. ვეძებე და ვერავნახეს ჯიშისაა, სათავადო, თავადები საყდარში წაუყვანიათ, ჭია-ღუა ხალხი კი ამის მუშტარი ვერ გახდა... მურაბას გავაკეთებ სულაცა, შაქარი ამას არ უნდა და მაქარი, თაფლი სდის, თაფლი! კილოზე ხო კილო შაქარი უნდათ, უჯიშო ბლიმურაბა რო მოხარშონ, ეს კი უშაქროდაც მურაბაა და ოთხ მანეთზე შემომწყრნენ, დალოცვილიშვილები! არ უნდათ? — ნუ უნდათ!

მერე წაიხარა ალექსა, ყურთან ახლოს მიუტანა კუნწულასავით პაჭუა ცხვირი შოფერს და ციხემოვლილი მოყვრის ჩამობრძანება ახარა. თქმა და დანახვა ერთმანეთს დაემთხვა და შოფერი დაიბნა, აირია...

— მოყვარე ჩამოგვიდა, ბიჭო, ეგ სააკაძე და შენ — შადიმან ბარათაშვილი, ენდე!.. პატიმრობიდან დაგიბრუნდა ძროხისქურდი, გაიხარე!.. გეცა თუ არა პირკატაი, შე სულძაღლო, პროგრამაში რო გიზივარ სულ ერთთავადა!.. მიდი, რაღა, დაასწარი, გადაკოცნე, მერე ნახე შენი ოქროს ბოლოსქნევაი! მოგაკეტინე?! — მიაროშა გლეხმა მოურიდებლად და ავტობუსში მოკალათდა...

ზეზეულა მგზავრი ბევრი იყო ჭერეხივით გადატენილ ავტობუსში, მაგრამ ერთი ადგილი შოფრის გვერდით თავისუფალი დახვდა ვაჟას. ბერკეტი ვაჟამ მოსწია და კარი ჩაიკეტა. ავტობუსი ნელ-ნელა დაიძრა. აღარც სიძეყოფილს უანგლია სადგურიდან სოფლამდე და გლეხებმაც სიჩუმით ამოპირეს გატენილი ავტობუსი...

მეტეხური აგურით მოსირმულ, შუბლგანიერ, რკინა-ბეტონალაყაფიან, ხეივნებიან სახლებთან ჩერდებოდა ავტობუსი დროდადრო და თითო-ოროლა მგზავრი აკლდებოდა...

ვაჟას არყოფნის ექვსწლედში სოფელს ბარე ექვსჯერ ოცი ახალი სახლი მიმატებოდა, კრამიტის ქარხნის დიდი რეკონსტრუქციაც მომხდარიყო და ერთი ვეებერთელა თეთრი ფერმაც ალავერდივით წამოჭიმულიყო ვრცელ ველზე. სადგურიდან სოფლისკენ მიმავალ გზაქუჩაზე დღის სინათლეები დაეყენებინათ, მოეასფალტებინათ გზა და ავტობუსის რეისიც გამოეყო სადგურიდან სოფლის ბოლომდე, კრამიტის ქარხნამდე. თითქმის ყოველ სახლს თავისი გარაჟი ჰქონდა დატანებული. მსუბუქი მანქანებიც მრავლად დაჟივჟივებდნენ დაბადქცეული სოფლის ქუჩა-ქუჩებში...

ავტობუსი თანდათან შეთხელდა და ნამოყვრალი და სიძეყოფილიღა შემორჩნენ საბოლოოდ მანქანას. სინესტეაწოვილ, ქვითკირშელახულ სახლთან გაუჩერა ცარიელი ავტობუსი სიძეყოფილმა ნამოყვრალ-ნაპატიმრალს და მგზავრის ჩასვლის მოლოდინში გატვრინდა.

ავტობუსის ფანჯრიდან გასცქეროდა ვაჟა გასაცოდავებულ თავის ეზო-კარს, უფრინველოთა და უყეფრად რომ გამოღამებულიყო და გარინდულიყო. საღამო ჟამს საკენკის ჩხარუნით გამოწიავდა თავსაფრიანი ვაჟას დედა და ბოლომობდღვნილ მამალსა და სამიოდ დედალს ნაკმაზი მიმოუყარა. მერე ცერად გახედა დედაკაცმა ცარიელ ავტობუსს, წვრილნაკადა ონკანს შეუშვირა შინიდანგამოყოლილი, მურიანი ქვაბი და ქვიშიანი ჩალა აუფანდურა...

— მოვედით! — დიდი სიფრთხილით შეახსენა სიძეყოფილმა გატვრენილ ვაჟას.

. . . . . .

— მოვედით-მეთქი... — კვლავ გაუმეორა მძღოლმა მგზავრს.

— შენცა? — იკითხა ვაჟამ, სიძეყოფილს ახედა და წამოიწია. სიძეყოფილი დუმდა.

ვაჟას წამოდგომა ჩასვლად ენიშნა შოფერს და ძრავი ჩართო. ვაჟამ წინ გადაინაცვლა მხოლოდ და მგზავრის მოწინავე სკამიდან ტყავგადაკრულ, სახელოსნო, შოფრულ ყუთზე ჩამოუჯდა მძღოლს.

— შენცა-მეთქი? — აუღელვებლად გაუმეორა კითხვა ნამოყვრალმა სიძეყოფილს და ანთებულ ასანთს დაადო ორგროშიანი სიგარეტის წვერი.

— მე, მე არა... მე რაღათა?!

— დიდი ხანია? — ჰკითხა ვაჟამ და კიდევ მოქაჩა.

— ...ალიმენტს არ ვუგვიანებ, თვიდან თვემდე ვუხდი, ისე-

დაც მიჭირავს თვალი: ბურთია, წიგნები, კედები... უარს არც სხვა წვრილმან დახმარებაზე ვამბობ... — ოჯახთან ურთიერთობის თავი და ბოლო გამოუჩინა სიძეყოფილმა ნამოყვრალს...

— წავედით! — თქვა ვაჟამ მშვიდად.

— სადღა? აგე სახლი!..

— სოფელი დამათვალიერებინე!..

სიძეყოფილი აიჯინჭრა და უხალისოდ დაძრა მანქანა.

— თან ილაპარაკე, ეგენები შენ აკი არ გიჭირდა?! — დააზუსტა სურვილი და კვლავ მოქაჩა ვაჟამ...

* * *

ერთმგზავრიანი, ცარიელი ავტობუსი ნელ-ნელა დაგორავს ქუჩა-ქუჩა. შუქები აენთო სოფლად და სანახაობა გამკაფიოვდა. თუმცა მზე ჯერ არ ჩასულა!..

— ეს მიტოს სახლია, რკინიგზელისა, დედა ხო მოუკვდა, მამა ცოცხალი ჰყავს... მებუფეტედ დასდევს სოჩა-თბილისსა. ერთი ცოლი იქა ჰყავს, მეორე აქა. სახლი რაც არი, შენცა ხედავ... დაბლა სართული ერთიანი ზალაა, სამასი კაცი ეტევა ცალპირად, — სოფლის ამბავს უყვება შოფერი ნაპატიმრალს. — ისა, მიმინოს სახლია, მიხასი... მგონი შენსობას ჩადგა... მას აქეთ უმატებს და უმატებს, უმართლებს ზოგსა და! ის კიდევ კაკლუასია, ზაგოძერნოს ყარაულისა, მეორე მეტსახელი ბელურა შეარქვეს... ჩვენზე უფროსი იყო, გეხსომება... უმცროსი უფროსს უფრო ადვილად იმახსოვრებს...

— შახსოვს... განა მაგდენი რა იშოვნა, რო?! ფეხზე დამდგარხართ უჩემოდ, წავიდე, რა ვქნა?! — გაიღიმა ვაჟამ და კვლავ ქუჩას გააბარა თვალი.

— ვინ გაკეთდა და ვინ კი ვერა... ჩემ აბაზიანზე უდგებათ თვალი ზოგიერთებსა და თვითონ კი გააქვთ და გამოაქვთ... აბა, ამ ნაკრძალ დროში მაგადანს რომ ხილს წაიღებს, თანაც გაკეთებული გირებითა ქართველი კაცი, ჩემი უნდა გაუკვირდეს ვინმესა, მანქანის ქვეშა ვგორავ, ნაწილებსაც ჩემი ჯიბიდან ვყიდულობ...

— გავიხადო, ჩაგაცვა?! — აგდებულად ჰკითხა ვაჟამ სიძეყოფილს და გახუნებული სვიტრი გადმოიქაჩა კისერზე, ვითომც გასახდელად...

— არა, სამაგისო არ მჭირს, მაგრამ... აგერა, ყასაბ-კოლას სახლი... რაღა სახლი, სასახლეა... რა ავეჯი, საიდან-სად, რა ყველაფერი... ერთ პოლკს არა, მაგრამ ბატალიონს თავისუფლად დააძინებს სანაძლეოზე. უშვილოსავით კი არის და, რა თავში იხლის!..

— უშვილო? კოლას არ ამბობ, ნაკოლკოლას რომ ვეძახდით? გოგო აკი ჰყავდა!..

— ვინც სად დაფხანს, იქა წვება, ერთი პრიუტი გაიხსნება მაგის სახელობაზე, რამე რომ იყოს... მაგისი კვერცხის ნაჭუჭი ქვეყანას მოედო. ყასაბ-კოლამ ერთიც არ შეიკედლა შვილიშვილთაგან, ნაბუშარი გზამ მონათლოს, ქუჩამაო, ყველა გამოჰყარა...

— შენი სახლი რომელია?..

— ჩემი... ჩემი აბა რა მოსატანია აქა! შენ დას რომ არ აერია, სხვაზე ნაკლებ არ გავიმართებოდით, მაგრამ... აგერ ჩემი სახლი, გარედან მტერს უყენებს თვალს და შიგნიდან მოყვარესაო, ეგრეა ჩემი საქმე... აი, ესე კაპიკ-კაპიკ ვცდილობ და ვრაღაცაობ... ვეროს რომ არ აერია, შენ დასა, ბარემ იცოცხლე, მაგრამ... თავზე მიწა გვეყრება ჩორნაპოლიდანა, ლამფა რა არი, ის ველარ ავაკარი...

— არა, მართლა? — გაურკვევლად ჰკითხა ვაჟამ.

— მართლა, მაშა! ჩემზე უბედური სახლი ჩემზე უბედურსაც კი აღარავისა აქვს მთელ სოფელში. ერთ ორ შაურსა ვშოულობ და ეგ არი... ალიმენტსაც დროზე ვიხდი... სხვაფრივაც თვალი მიჭირავს...

ვაჟამ საგზური აართვა ცხვირწინ სიძეყოფილს, ჩაათვალიერა:

— მე ძროხის ქურდი უნდა მერქვას და შენ კი შოფერი?! მაშ, მანქანის ქურდი არ უნდა გერქვას შენა, ჰა?!

— მე ხომ არ შემირქმევია შენთვის ეგ სახელი და ჩემგან რა გინდა?

— არა, შენ რატომ არავინ შეგარქმევს-მეთქი მანქანის ქურდსა, შე, შე,.. აბა, ერთი ამოყარე დღის ნავაჭრი. ერთი... მიდი, ხო მართალი კაცი მიგდია შენი ლაყე თავი, ამოალაგე! — შენ მე რა ზღაპარს მიამბობ, გინდა დამაძინო?! ნახევარს ჯიბეში იდებ, შე ნეხვო, შენა!.. შენ ჩემ დაზე აღარ დაიჩივლო დღეიდან, თორემ ლაფშას ზეზეულად გავაკეთებ შენი კანის ტყავისაგან!.. ზეზეულად-მეთქი!.. წადი!..

— ბენზინი ნოლზე მაქ, ფარეხში უნდა დავბრუნდე...

— „კალონკაზე“ მიდი, ჩაუმატე!.. ღამის მატარებელს არ დახვდები?..

— არა... ორი ღერი მგზავრი ჩამოვა ხოლმე და იმათაც კერძოები იტაცებენ... ნახევარსოფელი ტაქსაობს... დამემდურებიან ბიჭები. თავად ისედაც არ მიყურებენ რიგიანი თვალით...

* * *

„ბენზოკალონკის“ მუშაკმა, ვაჟას ყოფილმა ძმობილმა, თვალი მოჰკრა თუ არა ავტობუსის ერთადერთ მგზავრს, ვაჟას, სასწრაფოდ ამოიჭრა მანქანაში და ძმაკაცი გადაკოცნა:

— ჩამოხვალ, ძმაო! ბიჭო, ვაჟა, შენ გენაცვალე!.. დავკეტავ, წავიდეთ, ტკბილი პური ვჭამოთ... უარი არ გამაგონო, თუ ძმა ხარ!..

— არა, კაკოჯან, ჯერ შინ არც მივსულვარ!.. ხვალ იყოს, ზეგა, წამსვლელი არა ვარ... გნახავ... წავედით! — განკარგულებასავით თქვა ვაჟამ. ავტობუსი დაიძრა. კაკო მანქანიდან ჩამოხტა და ხელი დაუქნია მიმავალთ...

სოფლის კერძო ნახირმა მანქანის მოძრაობა შეაფერხა. საძოვრიდან შინ ბრუნდებოდნენ მომცრო, ხევსურული ჯიშის ძროხები. სიძეყოფილი საყვირითა და კარებზე ხელის ბარტყუნით ცდილობდა გზის გათავისუფლებას, ჯერჯერობით არა გამოსდიოდა რა და ტაატით მიჰყავდა ავტობუსი. სასადილოს რომ გაუსწორდა ნახირი, ერთბაშად ოცი-ოცდაორი წლის ვაჟი გამოხტა სასადილოდან და ნახირში შევარდა. ტოლი ბიჭი დაედევნა ფეხდაფეხ. მდევარს სისხლი სდიოდა ცხვირიდან. გახელებული ცდილობდა დაწევას, ცხვირსახოცაფარებული იგინებოდა. სანახაობას ხალხი დაეხვია და ფარეხივით შეკრეს ნახირი. საქონლის ლაბირინთში დარბოდა ორი ტოლი თანასოფლელი ერთმანეთის გასასრესად. ძროხის მუცლებქვეშ გაუჩინარდებოდა ხოლმე დევნილი და მოულოდნელად სულ სხვა ადგილზე ამოჰყოფდა თავს. უშვერი სიტყვებით აგინებდნენ ერთმანეთს, მაგრამ საქონლის ბღავილში დანაწევრებულად ისმოდა ლანძღვა-გინების ხმები. მოსეირეთა სარტყელი აგუბებდა ნახირს, საქონლის სიმჭიდროვეში კი ჭირდა ჩარევა და მიახლოება. გაშმაგებული მდევარი მუშტსა და წიხლს ურახუნებდა პირუტყვს, ერეკებოდა, მიღწევას ლამობდა. დისწულის მოწოდებულ ბოლო კურტნებს

ერთი ხანობა იმდენად მიუახლოვდა მდევარი დევნილს, რომ ორი ძროხის ზურგიღა იდგა მათ შორის. დანამ იელვა მდევარის ხელში. ვერა და ვერ უწია მოწინააღმდეგეს, ვადითა სცემდა პირუტყვს გაშმაგებული, ზურგიდან ზურგზე მიცოცავდა, მიხტოდა, დევნილი ჩაიმალა. მდევარიც გაუჩინარდა. მანქანებზე შემდგარიყვნენ მოსეირენი და თვალს აცეცებდნენ, მთავარი მომენტის გაშვება არ უნდოდათ. აზარტით გათანგულმა სიძეყოფილმა ვაჟას მოხედა, აღარც მანქანაში იყო ვაჟა და არც სადმე ჩანდა ირგვლივ. უბნის რწმუნებული მილიციელი მანქანის კაპოტზე შემხტარი უსტვენდა და თან გადაძაბული თვალით ეძებდა ნახირქვეშ გაუჩინარებულ მოჩხუბრებს... და ერთბაშად ვაჟას ზორბა ტანი აღიმართა ნახირის შუაგულში. ახალი ფიგურის გამოჩენამ უფრო დაძაბა სიტუაცია წამით. ვაღარაფერი გაიგო ხალხმა, ვიდრე ვაჟას გვერდით ვაჟას მიერ განიარაღებული მდევარიც არ გამოჩნდა. მერე კი მესამე ფიგურაც შენიშნეს მოსეირეებმა. ნელ-ნელა შვებით ამოისუნთქა საქონელმაც და ხალხმაც, ნახირმა გზა იპოვა, მოძრაობა გაჩნდა. რაღაცას გაფაციცებით უხსნიდა სიძეყოფილი მანქანის საფეხურზე შემომდგარ რწმუნებულს და თან მანქანას მართავდა. მერე ჩამოხტა რწმუნებული და ჩქარი ნაბიჯით გაიკვლია გზა შემთხვევის ადგილისაკენ...

— ბიჭო, ვაჟა, გამარჯობა! — შორიდანვე ხელგაწვდილი გაემართა რწმუნებული ვაჟასაკენ. ვაჟამ კლერტის ღეჭვით გართულ ძროხის ზურგზე დადო მზარეულის ბრტყელი დანა და რწმუნებულს ხელი ჩამოართვა:

— გაგიმარჯოს, ბიძო!.. ბიჭები ესენი არიან, — გაიღიმა ვაჟამ და მოჩხუბრებს გადახედა. გასავათებული, არაქათგაცლილი ბიჭები ფუნამოძეძგვილ ასფალტზე ჩამსხდარიყვნენ და ფეხებშუა იყურებოდნენ.

— რაც საჭიდაო მოედნებმა იკლო სოფლად, ჩხუბმა და იარაღმა იმატა. მაინც რა ზღაპარივით გაჩნდი, ჰა?! — დანა აიღო რწმუნებულმა, ჩანთაში ჩაუშვა პირით.

— ჯერ სახლშიც არ მივსულვარ, დიდი ხანია წესრიგში ხარ?..

— არც ისე... ერთ ვარსკვლავს შევცქერი, ვერა ხედავ!.. უნდა გამოიარო ჩემთან! უსიკვდილოდ!.. საბჭოს წინა ვარ... წამოდით! — უბრძანა რწმუნებულმა დათეთქვილ ახალგაზრდებს, — უნივრო ხაშის სუნი გიდით, თქვე მამასულკეტიანებო!..

* * *

დედის შეკაზმულ მინდვრის ლობიოს შეექცეოდა ვაჟა საკუთარ სახლში. მარცხნივ და უჯდა, ვერო, მარჯვნივ დისწული, გოგია. დედა თავს ადგა და ცრემლებს იხოცავდა.

— იმოდენა ტელეატელიე გვიდგას და ნალბანდები ჰყავთ ხელოსნების მაგივრად, შენ ვინ გეტყვის უარს, ვინ არ მიგიღებს, ოქროხელავ, — ეთაფლებოდა ვერო ძმას და თვალებში შესციცინებდა.

— ახლა ატეკა აიღე, შვილო, ტოლიატიდანა ჰყავთ ორი რუსი ბიჭი ჩამოყვანილი, — ჩაერია დედაც...

— ტოლიატიდან კი არა და, გორკიდანა ჰყავთ ჩამოყვანილი, — თქვა გოგიამ საბუთიანად.

— ჩააღრჩვეს კია გაკეთებულ ღვინოშია და, გაქცევაზე არიან... შენ როგორ არ მიგიღებენ, — დაასრულა სათქმელი დედამ...

— ქვას წყალს გამოვადენ, დედი, დავტრიალდე რო!..

— შენი იმედი გვაქ, თავშემოგევლე თორემა, აგე, ხო გვხედავ...

ვერომ დედას წაუმუჯლუგუნა ვაჟას დაუნახავად.

— განა ვჩივი, შვილო, მაგრამ უკაცო ოჯახი ჯერ ცეცხლში უნდა დასწვა და მერე კი წყალს გაატანო!.. — მაინც მოიფხანა გული დედამ.

— კერამიკულ კომბინატშიაც გაიგებენ შენს ჩამოსვლასა, ძმაო, იქაც დაფაცურდებიან, მოგიკითხავენ... ტრანსფორმატორი თუ რაღაც ჯანდაბა დაგვეწვა იმ დღეს და სანამ თბილისიდან არ ჩამოიყვანეს ოსტატები, მანამ ვერას გახდნენ, ვინ მოგასვენებს! — ედუდუნებოდა და...

— ჟიგულის ძრავი ხომ იცი, ძია? — მოულოდნელად ჰკითხა დისწულმა გოგიამაც...

— ყველა შიდაწვის ძრავს ერთი პრინციპი აქვს, ვაჟკაც... რა იყო?

— სუ გორში და თბილისში დარბიან ჟიგულის პატრონები, — თვალები უბრწყინავდა ბიჭს.

— ჯერ სახლ-კარს მივხედავ. ცოტა რამ ჩამოვიტანე ხელის ფულად, კრამიტს შევცვლი, ქარხანა აქვე გვაქ, კავ-ბოძებსაც შე-

ვაახლებ, სამუშაოსაც გავიკითხავ... რწმუნებულთანაც მისასვლელი ვარ. ბიძინა დაუყენებიათ, ჩემი სკოლის ამხანაგი...

— რამდენჯერმე მკითხა შენი ამბავი, დედა შემოგევლოს, ჯერჯერობით კარგი სახელი აქვს, ცდილობს, მერე თუ არ მიჰქარა!

— მასალა ხომ არა ჭირს აქა? უჰ, რაც რომ შორეულ წყლებში ხე-ტყეა დაძირული!..

— მაგეებს ჯერჯერობით შეეშვი, შვილო! ჯერ გადაჭამენ ხეტყის საწყობებს, მერე ცეცხლს წაუკიდებენ. ორცეცხლშუა იწვის სახლის მშენებელი ჩვენში, დედაშვილობამ, შენ საქმეს მიხედე!

— მე მასალა ვიკითხე, დედი, შენ კუდი მიაბი. მეტ ფასს მე ეგენი ვერ გამიბედავენ...

— მაგათ გარჩევა არ იციან!.. ერთ ცალ კოჭს ოთხ და ხუთ თუმნადა ჰყიდიან, ეგ მართლა დასაწველები!.. კავს, ბოძს, ისეთ ფასს დაადებენ — იტყვი, სპილოს ძვალიაო... მე ყური დამიგდე შვილო: ჯერჯერობით ტოლი დავაფაროთ სახლსა, მერე, შენც რომ ჩადგები და გაიმართები, სახლიც ფეხზე დადგება და გაიმართება. ვეროც კარგა ჯამაგირობს, ორ ნორმაზე გამოდის. გამოიხრუკა კი საკრამიტეში ეს საცოდავი, აგრემც გამოეხრუკება, და უდნება ჯანი იმ ჩვენს სიძესა, ქონის გუდასავით რომ ჩამოიპოხა და ჩვენ კი შოფრიჯამაგირიდან გვიხდის ალიმენტსა, განა შემოსავლიდანა რო!..

— ყველაფერს მოევლება... ძმაკაცებიც მომხედავენ, — თქვა ვაჟამ და ჯამი გაწია.

— ღმერთმა ქნას!.. ისე კი ფეხძვირად იყვნენ შენს არყოფნაშია და...

* * *

შემდგომ, დღეთა მსვლელობა ისე წაეწყო, რომ თავისი საქმით დაკავებულმა ვაჟას მეგობრებმა დიდი ვერაფრიშვილი დახმარება გაუწიეს. ვალის მოხდას უფრო ჰგავდა ერთ-ორ ოჯახში მისი მიპატიჟება. იქაც ისე დაათვრეს, რომ კედელ-კედელ დაბრუნდა შინ, ძმაკაცების თანხლებით. არც სამსახურში მოწყობის საკითხებზე დაფაცურებულან მაინცა და მაინც; შეპირდნენ,

შემოპირდნენ და... ნასყიდობის გუჯრებივით ჰქონდათ თავ-თავიანთი სატვლეპი ადგილები ჩაბღუჯული, კაპიკში — კამეჩს ხედავდნენ. ყველას თავისი გეზი ეპოვნა ცხოვრებაში. ყველას თავისი კავშირურთიერთობა დაემყარებინა გარემოსთან და საეჭვო წარსულვამოვლილი ვაჟა ხრიოკაშვილის დანაგვიანებულ-დაგვიანებული ცხოვრების გასაკვლევად დრო აღარავის ეყო. სახლის სახურავის აყრაში თუ მიეხმარა ორიოდ ძმაკაცი, დახურვაზე არავინ გამოჩენილა და ბიძა-დისწულმა იძრომიალეს კრამიტებზე...

ვაჟას თანაკლასელი, უბნის რწმუნებული ბიძინა შემოიელიდა ხოლმე სხვაზე უმეტესად. თანამდებობრივადაც ეხებოდა მას შინდაბრუნებულის ამბავი და ბალღობიდან თანშემოზრდილი ურთიერთობის წვენიც არ დაშრობოდა სხვებსავით. ასე იყო თუ ისე, ვერც მან მოახერხა შესაფერი სამსახურის პოვნა ვაჟასათვის: საპირწამლედ შეგულებული რამდენიმე სამსახურის პოვნა ვაჟასათვის: საპირწამლედ შეგულებული რამდენიმე საქმე ვერც ხელფასის გამო აკმაყოფილებდა ვაჟას და ვერც მორალურად...

ალალმართალს და სპეტაკ ადამიანსაც გასჭირვებია ხშირად ნაბიჯის წინ გადადგმა და აბა, რა გასაკვირი უნდა ყოფილიყო, რომ ძროხის ქურდობაზე ორგზის ნაყურყუტებ კაცს, რა გინდ ოქროხელაც არ უნდა ყოფილიყო, ერთბაშად ვერ მომართოდა ხელი...

მერე იყო და, დიდი ძვრების პატარა ბიძგებს ამ მხარეშიაც ჩამოელწია: ზოგი მოეხსნათ, ზოგიც დაენიშნათ, ზოგიც გაესტუმრებინათ. ახალი კაცი ძველს თავს არიდებდა, თუ სადმე ძველი კაცი შემორჩენილიყო, ისიც ახლობდა და სიმტკიცის ნიმუშად ქცეულიყო.

ვაჟა კი ორჯერ გახლდათ ნასამართლევი ძროხის ქურდობაზე. თუმცა სოფელში ტექნიკურ ჩხირკედელაობაში ბადალი არ ჰყავდა ამ კაცს იმთავიდან, გაცილებით სუსტ ხელოსნებს მიეტაცათ საქმე და სახელი სახელოსნოებსა და ქარხნებში, მაგრამ აუტკივარი თავის ატკივება არავის ეწადა, არც კერამიკული ქარხნის დირექტორს, არც „ატეკის“ გამგეს, არც ავტოპროფილაქტიკის პატრონს. ჭარბი ფიზიკური ძალა, რომელიც ვაჟას ბუნებით მომადლებული ჰქონდა, როგორღაც აკრთობდა და ანაპირებდა მის მოკავშირეებსაც კი, უცხო ხელმძვანელებზე რომ აღარა ვთქვათ რა. საკაძის ნაფუძრელი ბიჭი იყო, მუშტის ერთი დარტყმით ოთხივე ფეხში ადამბლავებდა, რაც უნდა მძლავრი საქონელი ყოფილიყო. სოფლის ნახევარქათამა სკოლას სადა ჰქონდა თავი და

გაქანება, დიდ სარბიელზე რომ გაეშვა ეს უკალაპოტო ყმაწვილი თავის დროზე. ვაჟა ხან ღონეს აჰყვა, ხანაც ტექნიკაში ივარგა; მსუბუქი მანქანის ძრავს მარტოკინა ერეოდა. თავადიანთ ნაქონი, სკოლის დიდი კედლის საათი ვაჟას ხელმარჯვეობის წყალობით რეკდა დღეში ოცდაოთხჯერ...

საბჭოთა მეურნეობა მსხვილფეხა საქონლის სარძევე კომპლექსად გადაეკეთებინათ და საქმე ისე აეწყოთ, რომ სარძევის შეშვერაც კი აღარ იყო საჭირო, პირდაპირ დაწნეხილი კარაქი და მრგვალ-მრგვალი ყველის თავები გამოჰქონდათ გაქათქათებულ სპეცმანქანებს, ტრანსპორტი ორ წელიწადში ერთხელ იცვლებოდა ახალთახალი მანქანით და ამრიგად აღარ საჭიროებდა ვაჟასნაირ ოქროხელა ხელოსანს, — დაახლოებით ასე გაურკვია უფროსმა სოფლის მეურნეობის მეცნიერების კანდიდატმა, საქმის ვითარება ვაჟას.

— ისედაც თოფიანი კაცი მიყენია წარმოების ალაყაფთან და ახლა ზარბაზნიანი გინდა რომ ჩავაყენო? — ასეთი პასუხით გამოისტუმრა ვაჟას მოწყობაზე თხოვნით მისული ბიძინა-რწმუნებული კომპლექსის დირექტორმა.

— არც აგრე გახლავთ საქმე, მორის, ვაჟას მე თქვენზე კარგად ვიცნობ; ასაკობრივმა ქარებმა გაუარა, კოლონიიდან საუკეთესო დახასიათება გამოატანეს. მე ვარ თავდები ბოლოს და ბოლოს!..

კერამიკულის დირექტორიც უარზე დადგა: — ცვლის ოსტატად მე მაგისი დამყენებელი არა ვარ, რომ ვიცოდე, გეგმას ორასი პროცენტით გადამაჭარბებინებს... რიგით მუშად მივიღებ, თუ მაინცა და მაინც არ მომეშვებითო. — გასცა პასუხი.

— ხელოსანია, ოქროს ხელი აქვს, რკინას ცომივით ხმარობს, — შეახვეწა ვაჟას თავი ბიძინამ „ატეკის“ უფროსს.

— გიშველა ღმერთმა, აგერ რუსთავი გვაქ, სანთლით ეძებენ მაგისთანებს...

— სამშობლოში დაბრუნდა, გამიგეთ, დედასთან, დასთან, თავისიანებთან, სოფელთან... აქ უნდა ყოფნა...

— როცა გვინდა ჩვენ, ქართველებს, კასპიდან პონტოიამდე გვაქსო სამშობლო, რაღა მაინცა და მაინც ამჟამად დამიკონკრეტეთ... ერთი პატარა ნაკადული ჩამოგვიდის და მაისის გასულს ისიცა შრება, რა ისეთი ბუნება ჩვენა გვაქვს, კაცი შეიშალოს და ამ ხრიოკში მოიკლას თავი, თანაც ყველამ იცის მაგისი ავან-ჩავა-

ნი... ჩამოწერის პირას მისული ერთი ჟანგიანი თვითმცლელი მეგულება, ის გამირემონტოს და იმავე მანქანაზე დავსვამ მძღოლად...

ისევ მერძევეობის კომპლექსის დირექტორს ეახლა ბიძინა.

— დამცინი, ბიძინა? დამცინი, ბიჭო?!

— როგორ თუ დაგცინი?! რა შუაშია აქ დაცინვა?! რას კეკლუცობთ ბოლოს და ბოლოს! ვაჟა თუ ჩემი თანაკლასელი იყო, შენი თანაკლასელიც გახლდათ, კარგად მოგეხსენება.

— მერე, მერე?..

— ტიკები ბერე! ეს ამოდენა კომბინირებული საკვების ქარხანა რომ გიფუჭდება თვეში ერთხელ, ვაჟასთანა ხელოსანი ფეხზე დაგიყენებს საქმეს!

— ნემსისა და აქლემის ქურდი ერთიაო, ბრძენმა წინაპარმა რომ გვიანდერძა, იმ სიაში ძროხა განა გამოტოვებულია, თავისთავად იგულისხმება. ორგანოს მუშაკმა პირველ რიგში უნდა იცოდეს ეს! — წამოჭარხლდა მორისი.

— ორგანოს მუშაკმა ბევრი რამ იცის, თუ ცოდნაზე მიდგება!.. —იწყინა ბიძინამ, — მე შენ უბრალოდ ადამიანური, ამხანაგური პირით მოგმართე, ჩვენივე ყოფილი თანაკლასელის თაობაზე... დაჰკა უბედურსაო, ეგრე გამოდის.

— არა, ბიძო! მე რომ ვაჟა ძროხას არ მომპარავს, არ დამიკლავს, კარგად ვიცი, მაგრამ სოფელი ყბად აგვიღებს, თანაც ჩვენი ენაკვიმატი ხალხი!.. სამმართველო, სამინისტრო, ამბავს ჩაიტანენ... ძროხის ქურდი მიიყვანა ფერმაშიო, მგელი ფარეხშიო!.. — მეც გავპამპულდები, ვაჟაც და შენც ყბად აგიღებენ...

— ცრუობ!..

— რა ვიცი...

— მაგაშია საქმე...

— არ არის გამორიცხული...

— ქურდობის შესაძლებლობა?

— თუნდაც! საიდან სადა გვყავს ჩამოყვანილი იცი, თითო ძროხა? ორი ასეთი ძროხა უკვე მანქანას იყიდის, ჩვენებურ ჩაგველა ძროხას — ათსა, ბაზრის ფასობაზე რომ ავიღოთ.

— ყველაფერს რომ ბაზრის ასწორზე ვდებთ, მაგაშია საქმე!.. — მოტოციკლს გადაალაჯა რწმუნებულმა.

— ჰო, ჰო! ამ ერთი კვირის წინ ახალშობილი ხბო წაგვექცა, ფეხი მოიტეხა ზღვეზე და ხუთი სპეციალისტის თანდასწრებით

შევადგინეთ აქტი, სამმართველოდანაც ჩამოვიდა წარმომადგენელი...

— მუქთ მოსაკითხს რომ დაატარებთ ზოგ-ზოგებთან, ამას რამდენი სპეციალისტი ამოწმებთ?! რომელი აფთიაქის სასწორზე სწონით ამ ხარჯებს?!.

მოტოციკლმა მტვერში გახვია კომბინირებული საკვების ქარხნის კარებწინ მდგარი მერძევეობის კომპლექსის დირექტორი...

* * *

როგორღაც აღარ ჩქარობდა ვაჟა თავისი საქმის ფეხზე წამოყენებას. პირველ ხანებში თუ უფრო შემართული ჰქონდა თავი და სარისტიანობდა, ბოლოს და ბოლოს, იმდენად გააუღიმღამა პირობა, რომ დედის მორიდებული შენიშვნაც დაიმსახურა სახურავში ატანილი არყის ბოთლების თაობაზე. შეუხირდა ამაზე ვაჟა დედას და უხეიროდ მიაყეფა...

ხშირად შეჩერდებოდა იგი კრამიტით ხელში, დაუმთავრებელი სახლის სახურავზე ჩამოჯდებოდა და უხეირო სიგარეტის ბოლვა-ბოლვით გასცქეროდა მიდამოს. ველს იქით მთები იწყებოდა, მთებს იქით კვლავ ველები. ამ მთების ვიწრო გადასასვლელზე ბევრჯერ უტარებია ორხიდიანი ავტომანქანა მრავალი წლის წინათ ვაჟას, საქონლის საქურდლად რომ დაიარებოდა. ოთხი ძროხის გატყავებასა და აქნას ახერხებდა ამხანაგთან ერთად, ნახევარღამეში მანქანის ფარების შუქზე. ღამის მეორე ნახევარში კი სარეალიზაციო ადგილებზე მიტანას და უკან გამობრუნებასაც ასწრებდა. გზებზე სოკოებივით ამოსული სასადილოები და სახინკლე-საღვეზელეები ყელის წევით ყიდულობდნენ ნაქურდალს და იწყებოდა ღრეობა, მატარებლები, მანქანები, ზღვა, ზღვის არხეინი ქალები... და ისე მოადგა ორმოცი წელი, რომ თითზე დასახვევი ვერა შემატა ოჯახს. ჭიდაობდა ისე, რომ ქამარს ზემოთა ნაწილი ნახერხზე არ დაუდვია, ბევრი კბილიც ჩამოუბერტყავს ქოჩრიდან ჩხუბის შემდეგ და ბევრიც ყველაფერი. წაკითხულიც საყოფი ჰქონდა და გაგონილიც. ძმაკაცებთან ერთად რამდენჯერ ატრიალებინა ორსერიიანი ფილმი საკაძეზე, კოჭლ კინო-მექანიკოსს, დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე...

. . . . . .

— მაგას ჭკუა ყოფნოდა, ფული დაეგროვებინა და რესტორა-

ნი გაეხსნა, შიგ ჩავიხოცებოდით, მაგისი ქებით ავიკლებდით ქვეყანა-სოფელს... არ ეყო და!.. ან, სულაც კერძო პროფილაქტიკის პატრონი გამხდარიყო, ქურდიაო, ხომ ვერ იტყოდით... თქვენსავით ორპირ ტყავს მაინც არ გააძრობდა კლიენტებს, რაკი საკუღარი წარმოება ექნებოდა... სიტყვაზე ვამბობ ამას, არა-არას რომ გაიძახით წარმოების ხელმძღვანელები, კარგით და მაგასა ჰქონოდა–მეთქი წარმოება, ხომ ვერავინ იტყოდით, ქურდიაო?!

— რეებს მიედ-მოედები, თუ ვარაუდობ, ბიძინა? თუ აკვირდები, რასა ჰქადაგებ შენი თანამდებობის პატრონი?! — შეუხირდა „ატეკის“ გამგე და თვალები საშიშად მოჭუტა, — შენ გესმის, რაებს აყენებ ეჭვქვეშა?! თუ ძალიან გაგიხურა მხარი ემაგ პაწია ვარსკვლავმა, ბარემ ეგეცა თქვი...

— სიტყვაზე გეუბნები!.. ჯოხი შევაბრუნოთ, ის ბოლო, თქვენ რომ გიჭირავთ, ვაჟას დავაჭერინოთ, სიტყვაზე გეუბნები...

— სიტყვაზე მეუბნები და სიტყვა წინ არ დაგხვდეს, გაფრთხილდი! ნორმები დაიცავი!..

— ნორმები ჯერ შენ და შენმა შოფრებმა დაიცავით და მერე სხვებსაც შესთავაზეთ!.. თქვენი ერთი ბორბალი რომ წალმა ბრუნავს, მეორე უკუღმა გაგირბით და აზირ ესა ვთქვათ!.. შენც, კომპლექსის დირექტორსაც, კერამიკულსაც!.. — მიაყარა გაფიცხებულმა ბიძინამ გამომწვევად თვალმიჭუტულ „ატეკის“ დირექტორს და მოტოციკლს მოაჯდა...

. . . . . .

კვალიფიკაციის ასამაღლებელ ერთთვიან კურსებზე გამოიძახეს ბიძინა. შვილი არ უტიროდა და ცოლი არ უკიოდა, ვაჟასავით ცალუღელი იყო ბიძოც. ვერო მოწონდა თავის დროზე. ეს ჯარში წავიდა, ვერო პირობამიცემული არ იყო და გათხოვდა. ბიძომ ქალი ნახა, ჩამოსული მასწავლებელი, ხელმოუწერლად დადიოდა მასთან, შვილი თუ გეყოლება, შეგირთავო, — ჰპირდებოდა ბიძო ქალს და არ აპირებდა სიტყვიდან გადასვლას, რაკი ქალი მოსწონდა კიდეც და მაგრადაც იყო შეჩვეული...

* * *

სახლის სახურავის რემონტს ამთავრებს ვაჟა. მიუხედავად დედის რჩევისა, რომ ტოლი დაეფარებინათ სახლისათვის, ვაჟამ მაინც კრამიტი არჩია და აგერ უკვე სამერცხლურზე აწყობს

— როგორი გამოგვივიდა, ხალხო, კარგია?! — იკითხა ერთბაშად ვაჟამ და ჯერ ეზოს მოავლო თვალი, მერე მეზობლების ეზოებსა და სახლებს გახედა და მერე კი მთელ სოფელს...

— შენ მაინც ამოიღე ხმა, გოგია, სადა ხარ, ბიჭო?! — შეეხმაურა დისწულს და ძებნა უწყო თვალით.

— აქედან არაფერი ჩანს, ძია, ჩავალ და შორიდან შემოვხედავ, — თავი გამოჰყო გოგიამ სამერცხლედან და ისევ შებრუნდა...

— უჰ, დედა შემოგევლოს, ახალივით არ დახატა ახალმა კრამიტმა მთელი სახლი!.. ჩამოდით, ივახშმეთ! — შემოუძახა ეზოდან დედამ...

— კრამიტმა კი არა და, მე დავხატე, დედი, მე და გოგიამა! — იცინის ვაჟა, სიგარეტს უკიდებს და სამერცხლეზე ჯდება...

— სულ გაახლდა სახლი, ძია, სულა! — შორიდან მოთვალთვალე გოგიამაც შემოუფრინა აღტაცების ყიჟინა ახალ სახურავზე გადამხარბეჭებულ ბიძას და ონკანქვეშ გაწვა წელზევით გაშიშვლებული...

— ხო კარგია, მეზობლებოო! — კვლავ დაჰკივლა ზემოდან ვაჟამ.

— კარგია-მეთქი, შვილო, ჩემი არა გჯერავს? ჩამო, რალასა ზიხარ, — შეეპასუხა დედა და თან გოგიას გაუსვ-გამოუსვა დაშაშრული ხელის გულები გასაპნულ მხარ-კისერზე.

— მე განა თქვენ გეკითხებით, მეზობლებო-მეთქი, მეზობლების აზრიც მინდა გავიგო ჩვენ ნამუშევარზე, კაცი — კაცითაო. არ გაგიგონია, დედი?!

— სამუშაოზე არიან გაკრეფილები, საშოვარზე, ვინ გინდა რომ ხმა გაგცეს?!

— ჰოდა, მაგაშია საქმე!..

— რაშია, ბიჭო?

— რაში და ვახშამში... ერთი ხელადა მოგვიხდებოდა სამაღარიჩოდ მე და გოგიასა... ეგ რომ არა ყოფილიყო, მე ამ საქმისა არც დამწყები ვიყავ და არც დამამთავრებელი... გაიქე, გოგია, ერთი-ორი ბოთლი საერო მოარბენინე და ხელადაში ჩაასხი... შაქარწყლის ნამამაძღლევს ისევ საერო მირჩევნია...

— მოტანილია, შვილო, ხელადაშია... ჩამო! — შვილიშვილი გააბანა დედამ და შინ შევიდა. გოგიამ ტანის გამშრალება იწყო. ვაჟა არ ჩქარობდა სახურავიდან ჩამოსვლას, სოფელს გასცქერ

და და აბოლებდა... კვლავ ჩაიარა სოფლის კერძო ნახირმა და მათი ჩლიქინი და ზმუილიც თანდათან გაშორეულდა. ისეთი საკვირველი სიჩუმე გამეფდა ირგვლივ, სასწაული! ბეღურამ გადაუფრინა ვაჟას და მისმა მოკლე გადალანდებამ კიდევ უფრო გააჩუმა სოფელი...

— გამარჯობათ, მეზობლებო!.. როგორია, ჰა?!. — თავისთვის ჩაილაპარაკა ვაჟამ და ნათქვამს მიაყურაო თითქოს, ისე გატვრინდა.

აღარც გოგია ჩანდა ეზოში, აღარც დედა. მატარებელმაც ჩაიარა, მაგრამ, თითქოს ნაბდიან ლიანდაგზე გარბისო, ხმა არ გაჩენილა მისგან და ერთბაშად, თითქოს მიწიდან ამოიზარდა ციდან სასწაულად დაეშვაო, ვაჟაანთ ეზოში თავი შემოჰყო უზარმაზარმა, რუსული ჯიშის სტეპის ჭრელ-შავმა ძროხამ და გაბმით დაიზმუვლა. ძროხა კარგი მოვლილი და ნაპატივები ჩანდა. ნახევარტონიან სასწორს ისე დაზნიქავდა, როგორც არაფერი.

— სოფელო-მეთქი! — გამოსცრა ვაჟამ ნელ-ნელა და მუშტრის თვალი დაასო ძროხას ზემოდან.

თითქოს რაღაც კვალს მოჰყვაო, ისე იმედიანად და ბეჯითად შემოაყოლა სიმეტრიულ რქათავს ვეება ტანი ძროხამ. მარტო მისი ცური აიწონიდა ორ ფუთს.

— აქ რა უნდა ამ ოხერს, ამასა! — შეიცხადა დედამ და გაძევება უწყო ეზოდან. ძროხა თითქოს განგებო, თავს არიდებდა მოქნეულ წკეპლას და უფრო ღრმად და ღრმად მოიწევდა ეზოში. გაღნიოშებულ გარაჟშიაც კი შეიხედა და გაძარცვულ ძველ „შკოდას“ რამდენჯერმე დასუნა. რაღაცა ალოკა კიდეც დაქცეული...

და, ვერო **ჯერ არ მოსულიყო** საკრამიტედან, მეორე ცვლაში მუშაობდა. ბიჭმა გოგიამ ღეჭვას თავი ანება და ხელში შერჩენილი ლუკმა გაუწოდა საქონელს. სიამოვნებით შეჭამა ძროხამ პურის ნატეხი და ხელის გულიც აულოკა ბიჭს. ვაჟა ნელ-ნელა დაეშვა სახურავიდან ეზოში. იდგა და ათვალიერებდა პირუტყვს. თავზეზე შედებული ქვამარილი ჩამოიღო და ძროხას ალოკინა. დიდი სიამოვნებით ალოკა ძროხამ მარილი, იქვე მიატრიალა თავი ონკანისაკენ და ჩამონადენი წყლის ხვრეპა იწყო.

— როგორ ჩემეულივით შინაურობს, ამას დამიხედეთ! — თქვა ვაჟამ, დედას სახრე გამოართვა, გატეხა და გადაყარა.

— რას სჩადი, შვილო? — შეკრთა დედა.

— შენ თვითონ რას სჩადი, ცემით რათა კლავ? იყოს, მიძოვ-მოძოვოს ყორის ძირები, გაბალახებულია აქაურობა. ამასობაში პატრონიც გამოუჩნდება, ალბათ...

— სოფელში ასეთი ბროხა რომ არავის ჰყავს?! — შეეჭვებით თქვა გოგიამ და სახელდახელოდ გამობღუჯული ბალახი დაუყარა საქონელს...

— კარი ღია იყოს, თუ უნდა წავა, ან პატრონი შემოიხედავს. საჭმელს კი ნუ მოვაკლებთ, ცოდოა! — თქვა ვაჟამ.

— ამისთანა ძროხა ფოფოდიაანთა ჰყავდათ ჩემს ბავშვობაში... ჩვენ მხარეში მას აქეთ თვალი არავისთან მომიკრავს. ვისია ნეტავ? — ამოიკვნესა ვაჟას დედამ.

— ვისიც უნდა იყოს, თუ ნებავს წავა, მანამ კი მოვლა უნდა საქონელს, ცოდოა! — გადაჭრით თქვა ვაჟამ და ნამგალს პირი აუწყო. მერე საკარმიდამოში გავიდა და ცოტა ხნის შემდეგ ახლად გამოთიბული ბალახის ზვინით დაბრუნდა ეზოში...

* * *

...ერ იქნა ოა არავინ მოაკითხა ძროხას. არც საქონელმა მოინდომა სადმე წასვლა; კარი დღედაღამ ღია იყო.

ვაი იმ ძილსა და ღამის თენებას, ვაჟას დედა რომ ათენ-აღამებდა. ვეროც უგუნებო ფიქრებს იყო მიცემული. გოგია გულისყურით ეკიდებოდა ძროხის მოვლა-პატრონობის საქმეს, არც ვაჟა აკლებდა ხელს. ფიქრს არ იმჩნევდა სახეზე ვაჟა, არადა მთლიანად ფიქრით იყო მოცული.

მივივლ-მოვივლიო, — დაიბარა ვაჟამ და ერთი-ორი დღით სადღაც გაქრა. მესამე დილით გამოჩნდა მხიარული და სიტყვამომატებული. ძროხა ისევ ეზოში იდგა და ახალთ-ახალ ბალახს შეექცეოდა. გაბმული წვიმების შემდეგ მუხლზე მოყრილიყო ბალახი, საჭმელი არ აკლდა ძროხას.

— რა დაარქვით? — იკითხა ვაჟამ მხიარულად და ქედზე მოუთათუნა პირუტყვს.

— უბედურებას ემანდ არას გადამკიდო, შვილო, თუ ღმერთი გწამს! აბა, რა უნდა დავარქვათ?! ვინ იცის, ვისია და რა ჰქვია? რა გამწარებული დაეძებს პატრონი, ვინ იცის?! — შეიცხადა დედამ და ხელი გაასავსავა.

— ორი დღე და ღამეა, სოფელი ალარ დამიტოვია ამ ხეობაში,

ძირი-კუთხე გადავქექე, ვის არა ვკითხე, არავინ გამოჩნდა მაგისი პატრონი. მე როგორცა ვხედავ, ღმერთისა უნდა იყოს, ეგ დალოცვილი. ის კეთილი გულთამხილავი ზემოდან დაგვცქერის და დღე-დღეზე ან სახელს ჩამოგვძახებს, ან, ამომიყვანეთო, გვეტყვის, ან თკითონ ჩამოვა თეთრი წვერით, თეთრი სახრით. დაჰკრავს საქონელს თეთრ სახრეს — ადამიანად აქცევს, გადაჰკრავს ადამიანს და ნახირში გაუშვებს. ქვათახევის წმინდა მამებსაც შევეკითხე, იმათაც ესე ამიხსნეს: პატრონი თუ არ გამოუჩნდა. ღვთის ნებას დაელოდე, ღმერთმაც თუ არა გითხრა რა, სიტყვა შენზეაო...

— იცოდე, შვილო, მაგ ფიქრებს დაეხსენ, შემოგევლე. დაეხსენ-მეთქი! სოფელია, ქვეყანაა!

— მე აქ, დედი, ვერც სოფელსა ვხედავ და ვერცარა ქვეყანას! შენ შენს პატარა საქმეებს მიხედე, სოფელმა თავისას და ჩემი საქმე კი მე დამანებეთ! დღეს-ხვალ თუ არ გამოჩნდა მაგისი პატრონი, მერე ვნახავ... რაიონის გაზეთში გამოვაცხადებ, რადიოთი შევუთვლი, რამეს ვიღონებ, დარდი ნუ გაქვთ. — მშვენიერი გუნებით წარმოსთქვა ვაჟამ, ჯიქანზე მოუთათუნა ხელი ძროხას და ერთი ძუძუც ჩამოწველა ანაზდად. მღვრიე ხსენი ჩამოიხაზა მიწაზე...

შებინდებისას, როდესაც ერთხელ კიდევ და ეს მერამდენედ ჩაიარა სოფლის ნახირმა ხრიოკაანთ წინ და მიწყდა მათი ხმა, ვაჟაანთ ეზოში, უკან-უკან სვლით შემოგორდა დახურული სატვირთო მანქანა, კურდღელი ეხატა ზედ ესკიმოთი ხელში ალაყაფი ბოლომდე გაუღო ვაჟამ, მანქანა რომ თავისუფლად შემოტეულიყო. დამწყვდეული მიმინოსავით იხედებოდა მძღოლი კაბინიდან. ჩამოხტა თუ არა, ტყავის კურტაკის ჯიბიდან ორი დიდი ფილა შოკოლადი დააძრო და გოგიას მიართვა.

— ვაჟა, შორი რეისი მაქ და ამაღამვე უნდა მოვრჩეთ რემონტს, სისხამ დილით გავდივარ, — განუცხადა შოფერმა ვაჟას ყველას გასაგონად და ვაჟას დედასაც მიართვა შოკოლადი.

ვაჟას დედამ ფილა ისე გამოართვა, რომ შოფრისათვის თვალი არ მოურიდებია; ვერაფრით კი ვერ ამოიცნო მისი ვინაობა-სადაურობა.

— პური შევჭამოთ და ხელდახელ, — თქვა ვაჟამ.

— ნაჭმი ვარ, არა მინდა რა, აი, შენი ხელობის ფული, სათადარიგო ნაწილები კი შიგ მიწყვია. გამზადებული დამახვედრე მანქანა, დილაუთენია მოვალ. ბიძაშვილი მყავს უნახაობით მომ-

,დურებული და წავალ, კარს შევუღებ, თორემ, ვინ იცის როდის მოვხვდე აქეთ, — ფულის შეკვრა მისცა ვაჟას შოფერმა, დედას ხელი ჩამოართვა, დაემშვიდობა, ბიჭს თმა აუქოჩრა და გარეთ გასწია.

— ვინ იყო, შვილო? რა უნდა, შვილო? რისა მოგცა მაგდენი? ჰა, შვილო?! — ჩააცივდა დედა ვაჟას.

— ეს ამოდენა ბეხლერწი მანქანა უნდა გავურემონტო და იმისი მომცა. დამშვიდდი, დედი, ჩემგან სისულელე შორს არი! — დაამშვიდა ვაჟამ დედა და მანქანას დაუტრიალდა.

* * *

ღამეა. ელექტრონით გაჩახჩახებულ მანქანას არემონტებს ვაჟა. გოგია-ბიჭი მის გვერდით ჩაცუცქულა და იარაღებს უმარჯვებს ბიძას. დროდადრო ჩაეყვინთება. დედა აივანზე სთვლემს, გოლიათი, ჭრელი ძროხა კი დგას ღვთის წყალობასავით გასხივოსნებული და იცოხნის. ხანდახან ცოხნას შეწყვეტს, ვაჟას მოხედავს და ხმადაბლა დაიზმუვლებს...

— როგორღაც ურიგოდ ტოკავს და ზმუის ეგ ღვთისდაკარგული, ეგა, შვილო და არა დაემართოს რა! — გადმოსძახა დედამ რიკულგაიშვიათებული აივნიდან.

— გასწით ახლა, ალაგდით, რა ჭოტებად იქეცით!.. ემანდ, ბენზინში ამოიბანე ხელები, გოგია და გაიქე!

გოგია წამოდგა, ბენზინიან ვედროში ამოიბანა ხელები, ონკანქვეშაც გაიჩახჩახა სოდითა და საპნით, საყოველთაო სახოცით შეიმშრალა და კიბეს აუყვა.

— გესმის, დედი?! — კვლავ შეუძახა ვაჟამ მთვლემარე დედას.

— სანამ ვერო არ მობრუნდება საკრამიტედან, ფეხს არ მოვიცვლი, — იუარა დედამ.

— აქ არა ვარ?! — დაბლა ჭინჭველი და მაღლა ფრინველი... შედი-მეთქი! — მეტის დაჟინებით გაუმეორა ვაჟამ, დედისაგან უხილავი მხრიდან წამოწვა მანქანიდან სახელოსნოდ ამოყრილ რბილ საკარძლებზე, ძროხას გახედა და დიდხანს უყურა...

დაღლილი ნაბიჯებით აიარა ვერომ დაბრეცილი აივნის კიბე. ვაჟამ წამოიწია:

— მოხვედი, ვერო?! — ხმადაბლა მიადევნა დას და წამოჯდა.

— უი, როგორ ვერ შეგნიშნე! — შეიცხადა ვერომ და მარდად ჩამოირბინა კიბე, — რაღას უზიხარ, შუაღამე გახდა!

— ცოტასაც მიუკაკ-მოუკაკუნებ და...

— ზოვიც დილისთვის გადასდე.

— საჩქაროა. უთენია გავდივარო, პატრონმა.

— მოადგილემ საქმე გინახა, მგონი მოგეწონოს, ახალი „ბელაზი" მიიღეს. მაღალია, კოშკივით არის. მაგრამ დირექტორი მივლინებაშია და უიმისოდ...

— მოვლინდება, სად ჯანდაბაში წავა... გოგია კი ძალიან ბიჭია! უჭრის თავიც, ხელიც მოსდევს... აქამდე არ მომშორებია.

— ბიძა ხარ მაგისი, ღმერთი! შეთამამდა შენი ჩამოსვლით, ტოლებში გაიმართა... პირველი დაიწყო, ზოგიც დილისათვის გადასდე. ვაუიკო! — მიეფერა ვერო ძმას და კიბეს აჰყვა.

ერთხანს კიდევ იჯდა ვაჟა და ფიქრის ხისწრაფით დაქროდა... ასტონიან „ბელაზზე" მუშაობდა შოფრად ვაჟა კოლონიაში ბოლო პატიმრობისას; კირქვის კარიერიდან ცემენტის ქარხანამდე იყო მისი მარშრუტი. სახლივით მანქანა იყო და ვაჟასაც ოჯახივით შეეყვარდა ეს დოღიალა გიგანტი, ოთხი წელი გაატარა მასში. — კაცი-ადამიანის ხმა არ გესმოდა, ისეთი გამაყრუებელი გუგუნი იდგა კაბინაში. — უყვებოდა ბიძინას, თანაკლასელს, სოფლის რწმუნებულს, — საკმელიც შიგა მქონდა პატარა მაცივარში, სამოკარიც ჩამონტაჟებული მქონდა კოხტად, შესვენებაზე ცოლიც მოვდა, ზინა, ჩვენი აღმრიცხველი, ვიყავით ჩვენთვის. თვალში რომ ჩავვარდნოდი კოლონიის უფროსს, ხელს არ მოისვამდა, სტალინზე იყო შეყვარებული, საკაძის ამბებიც იცოდა, პატივსა მცემდა, სინოკ და სინოკო — დარჩიო, მეხვეწებოდა, თავისუფალ მოქალაქედ იმსახურე, ავტოკოლონის უფროსად დაგნიშნავ, სამმაგი ჯამაგირი გექნება, ფულს დააგროვებ, წახვალ, ფეხზე დადგებიო. — ექვსი თვე ვიმსახურე თავისუფლად. განსხვავება არ იყო: მანქანა, მაცივარი, სამოვარი, ზინა — შესვენებაზე. დღე ისე დაღამდებოდა, კაციშვილის ხმას ვერ გაიგონებდი; გუგუნებს ქარხანასავით, ხარ ამ გუგუნში და ხარ. მე შენ გეტყვი, კაბინაში შემოგეჭრება ვინმე, თავზეხელაღებული; ციხესიმაგრეა, დალოცვილი!.. ისედაც ვის ჰქონდა ორი თავი, მაგრამ, მაინც... სამი მეტრითაა კაბინა მიწას დაცილებული, ხარ ცაში მეციხოვნესავით, თანაც მოგზაურობ ამ შენი აუღებელი კოშკით... ბუნებაა, ძმაო, გადაირევი!.. ზამთარი — განსაკუთრებით... ისე შეეჩვიე გუგუნს,

დაბლაც აღარ მსიამოვნებდა ლაპარაკი. პორტში, ქალები თოლიებივით ირევიან, გადათეთრებულია, განსაკუთრებით ზაფხულში. იქაური გაზაფხული ჩვენი ზამთარივით არის, ზაფხული — ივენახევარი, ორი თვეა; ცხელა...

კაცი ჭირს წამალივით! უნდა ქალს პატრონი, ხმის გაჩენამი... კაცი ისედაც ნაკლების-ნაკლებია და რაც არის, ისიც წელიწადი-თორმეტი თვე ზღვებსა და ოკეანეებშია.. ჩეჩქივით აქვთ ფული... მე არა ვსვამდი: ისე, ხანდახან, აქაური ჭაჭა თუ ჩამომივიდოდა... ეს ჩვენი კერამკომბინატის „ბელაზები“ იმათთან ჩიტის ბარტყებია. მაგრამ. ხმა ამათაც ნაკლები არა აქვთ, მაინც კარგია.

— ბიძინამ თვე დაიბარა, შვილო და მეორე დაიწყო! — ჭოტივით ჩამოსძახა დედამ.

— შედი-მეთქი, თქვენცა და თქვენი ბიძინაც!.. დიდი ვინმეც ეგა მყავს, შედი! — ბელაზური მჭექარე ხმით შეჰყვირა ვაჟამ დედას. ძაღლები აიყოლია მისმა შეყვირებამ: კარგა ხანს ყავყავებდნენ..

ერთხანს კიდევ იჯდა ვაჟა, როდესაც სახლში საბოლოოდ მიწყდა ყოველგვარი ჩქამი. წამოდგა. სავარძლები ადგილზე შეაწყო კაბინაში, ეზოში სინათლე ჩააქრო და სარდაფში ჩავიდა. სინათლე აანთო ჭერდაბალ სარდაფში ვაჟამ და სალეს ჩარხზე იწყო ჟანგმოკიდებული დანის ლესვა. ორი დანა გალესა. ერთი გრძელპირიანი და ვიწრო, მეორე თხელპირა და განიერი დანა ააფხავა. მკლავზე მშრალად ჩაისხიპა ბეწვი, დანები ხარახურით გაჭედილ თაროზე შეაწყო და ჯერ ეზოში. მერე ჭიშკარს გარეთაც გავიდა, დღის სინათლის ნათურებით გაკაშკაშებულ ქუჩას გახედა, მერე შემობრუნდა. ალაყაფი ჩაკეტა და ძროხასთან გაჩნდა..

გარშემო შემოუარა ფერმკრთალ შუქზე ზვინად აღმართულ პირუტყვს, დაკვირვებული თვალით მიაჩერდა ჩავარდნილ ფერდებზე. დაწეულ მუცელზე, დაცურებულ საშოზე. ადგილზე აღარ ჩერდებოდა ძროხა, ხმადაბლა ზმუოდა, მიდი-მოდიოდა, თითქოს დაკარგულს დაეძებსო. ყნოსავდა ხან მიწას. ხან რკინას, ხან ღობეს...

სამსაფეხურიან სარდაფთან მიდენა ვაჟამ პირუტყვი და ქვამარილის ლოკვით ფრთხილად ჩაიტყუა. ძლივს შეატია ორყბიან კარში უიმისოდაც ვეება, მაკეობით გაორმაგებული საქონელი. ერთხანს უმოძრაოდ იდგა ძროხა ნესტიან სარდაფში. ალვილის

მონიშვნას ლამობდა. ერთბაშად წინ გაიწია და ლამის კედლამდე მივიდა რაღაც გატყდა. რაღაცაც აჩხარუნდა.

ვაჟა ჩქარობდა. დიდი, ხუთასვოლტიანი ნათურა ეზოდან სარდაფში ჩამოიტანა და სარდაფის მბჟუტავი ნათურა შეცვალა. მცირე წყვდიადში რამდენჯერმე გაბმით დაიზმუვლა პირუტყვმა და კვლავ რაღაც ძველი ნივთის ჩხარუნი და დაცემის ხმა გაისმა.

ხუთასვოლტიანმა ნათურამ სარდაფი გააკაშკაშა. ექვსთვიანი ღამეების კაშკაში გაახსენდა ანაზდად, კოშკივით „ბელაზი", სახლივით კაბინა, მაცივრითა და სამოვარით. როგორ უყვარდა ზინას, ზედ აკვდებოდა! — ჯანდაბა იმას! — გიორგის ეძახდა ვაჟას რატომღაც. ერთი-ორჯერ მოკრა ზინას ხმას ყური გაგონებით. ჩამქრალი იყო ძრავი და ისიც მხოლოდ მაშინ. საერთოდ, ექვსი წლის განმავლობაში ექვსჯერ არ ჩაქრობია „ბელაზის" ძრავი. ორივეს მოწონდა ეს უხმო ლაპარაკი... ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ, განსაკუთრებით ზინა ჭიკჭიკებდა, აცმაცუნებდა პირს, ენაამორთმეული კაჭკაჭივით დახტუნაობდა. კვდებოდნენ სიცილით, არც სიცილი ესმოდათ, სიცილიც ჩანდა, როგორც ხმაგამორთულ ფილმში...

ყველაფერი მიმოიძია ძროხამ სარდაფში მოურიდებელი ბორძიკ-ბოგინით, კიდევ ერთხელ დაიზმუვლა გაბმულად, თითქო შორს გადაკარგულს თავისიანს უხმობსო, და ვაჟასაკენ შემობრუნდა მთელი ტანით, პირისპირ.

მარცხენა ხელში აფხავებული გრძელი დანა ეკავა ვაჟას...

კვლავ გაბმით დაიბღავლა ძროხამ, დაკიდული მუცელი ტალღასავით მიარწ-მოარწია და ვიდრე ვაჟა მომაკვდინებელი დარტყმისათვის მოიქნევდა მარჯვენას, დამბლადაცემულივით დაეშვა ძროხა მიწაზე, კვლავ დაიზმუვლა, თავი უკან გაიქნია კისერწაგრძელებულმა და დრუნჩი სხეულის სასრულამდე მიიტანა. იმ სასრულამდე, საიდანაც წამდაწამ ახალი ცხოვრების სათავე იწყებოდა: ახალი სულდგმული მოიწევდა წინგაწვდილი წყვილი ჩლიქითა და ზედ დანდობილი, ლამაზი ჭრელი თავით.

ზეაწეული მკლავით ტომარას მიწვდა, რაღაცეები ეყარა ზედ, გამოაძვრინა ტომარა, დანით ჩახია, ცალფად, ფართედ და დედის საშოდან დაძრულ სულდგმულს საფენად შეაგება. დანა თაროზე შეაგდო, მკლავები დაიკაპიწა, კიდევ ერთი ფალასი მოძებნა თაროზე და ხელსაფრიანი ხელებით მისწვდა ხბოს წინა ფეხებში.

ახალ, უჩვეულო გარემოს შემგუებლური ფრუტუნ-ფრუტუ-

ნითა და ცხვირცემინებით მოიწევდა ჭრელი, ლამაზი, დიდი, შაქარჩლიქება არსება გარეთ, სამყაროდან — სამყაროში.

უკანა ფეხებიც ფრთხილად გამოუკრიბა ვაჟამ ხბოს და ფეხგართხმით დაეგდო გრილ თიხაზე. ერთხანს ასე იჯდა ვაჟა და მერე, ძროხის, ხბოსა და საკუთარი ნაფალავნარი სხეულით დავიწროებულ სარდაფის კედელს მიეყრდნო ნოსტეური მხარბეჭით. ძროხამ წყნარად დაიზმუვლა და რამდენჯერმე აუსვა ენა ჭრელ ერთეულს.

წამშესვენების შემდეგ წამოდგა ვაჟა, ჯვალოზე წამოჩოქილი ხბო დედას მარჯვედ, ფრთხილად მიუცურა ტომრიანად, სალოკად უმარჯვა. იქვე, კოფიოდან მარილი გადმოიყარა ხელისგულზე და სველ სხეულზე მიმოუბნია ხბოს. მეტის გამალებით დაუწყო დედამ შვილს ლოკვა.

უფანჯრო, კარებდაგმანულ სარდაფში ჰაერი მოხრჩობილიყო. კარი გააღნიოშა: მაისის ღამის საამო ჭავლი მეკვლესავით შემოვიდა და შემოევლო იქაურობას.

მესამე მამლიყივილზე აიღო მკერდზე დაგორებული თავი ნესტიან კედელზე მიყუდებულმა ვაჟამ. გალოკილ-დავარცხნილი, ჭრელი, ლამაზი, დიდი ხბო ბზინავდა ხუთასვოლტიანი გადაკაშკაშებულ პატარა, ნოტიო სარდაფში.

ნელნელა აიმაღლა მზერა ვაჟამ და მიმინოსთვალება, შავკურტაკიანი ამხანაგი დალანდა ზღურბლზე. მიმინოსთვალებამ დიდხანს არ შეატოვა მზერა ვაჟას, ჯერ შორიდან დაათვალიერა სასწაული, მერე ახლოსაც მოდგა. მის მიახლოებაზე ერთბაშად წამოიხლართა უნდო ფეხებზე ხბო, დედაც წამოდგა, ვაჟაც ნელ-ნელა ადგა. მიმინოსთვალებამ ხბოს ჯერ ხელი გადაუსვა ზურგზე, მერე მუშტრულად ამოსდო ორივე ხელი მუცელქვეშ, რამდენჯერმე დააცილა ჭილოფს ოთხივე ფეხით და კვლავ დაუშვა ძირს. ხბომ ცოტა ხანს იტოკა და უხეიროდ, მაგრამ ლამაზად გაწვა ტომარაზე.

შეკითხვის ნიშნად დაუქნია თავი მიმინოსთვალებამ ვაჟას. პასუხის ნაცვლად გააქნია თავი ვაჟამ, წამოდგა და დაღლილი ნაბიჯით გავიდა გარეთ. ზღურბლს გადაცილებულმა ვაჟამ პაპიროსი გამართა და ასანთი გაჰკრა. გვერდით აუარა მანქანის პატრონმა და ეზოში გავიდა. ნელა, აუჩქარებლად ჩაჯდა იგი კაბინაში, ფანჯრის მინა ჩამოწია ვაჟას მხრამდე და მანქანა დაქოქა. ვაჟა ისევ ისე

იდგა და აბოლებდა. შიგადაშიგ უსიტყვოდ გამოსცქეროდა ხოლმე იგი ვაჟას. ჩამოწეულ ფანჯარას მიადგა ვაჟა, ჯიბიდან ფულის შეკვრა ამოიღო და კაბინაში ჩააწოდა შოფერს. მანქანა უხმოდ დაიძრა. მთელი ამ ხნის მანძილზე როგორც „ბელაზის“ კაბინაში, ისეთი გუგუნი ედგა ვაჟას ყურებში, არაფერი ხმა არსაიდან არ გაუგია გარდა გამაყრუებელი გრუხუნისა.

ჭიშკარი აღარ მიუხურავს ვაჟას. ღია დააგდო...

* * *

ბოლომობდღვნილმა მამალმა ისეთი ძალით იყივლა, რომ შეაკრთო სახლის ქვედა კიბეზე ჩამოქინდრული ვაჟა.

თენდებოდა. ხმა და მოძრაობა ჩნდებოდა ირგვლივ. დედაზე ადრე ვერო გამოვიდა შინიდან ღამისპერანგიანი, პირის დასაბანად. შეკრთა კიბეზე მჯდარი ძმის დანახვაზე, შედგა, შეყოვნდა ნაცვლად იმისა რომ კიბეზე ჩასულიყო, მოაჯირს ეცა და ძროხის სადგომს მოავლო თვალი. ძროხა იქ აღარ ება. ვერო აღვილს მოწყდა და ფეხშიშველი ჩარიხინდა კიბეზე. გზად ერთი კი შეყოვნდა ძმის სიახლოვეს, გაიჭრა ეზოში, მიმოიხედა, შემობრუნდა ხუთასსანთლიანით გაკაშკაშებული სარდაფისაკენ და თითქოს სული მოითქვაო, ღრმად შეისუნთქა დილის მაგრილებელ ნიავში განზავებული დედისა და ახალშობილის, ჭრელი, საფურე ხბოს უჩვეულო სურნელი... ვერო სარდაფში ჩაქანდა და მუხლმოყრით მიეხუტა დიდ, ჭრელ ძროხასა და დედისფერ ხბოს...

რამდენიმე ხნის შემდეგ დედა და ჩანთააკიდებული გოგიაც შეემატა მნახველთა რიცხვს. აღარც სკოლა, აღარც პამსახური, აღარც არაფერი! ყველა საქმე და ყველა საკითხი ერთბაშად გაუფერულდა და გაქრა ხბოსა და ძროხის გარშემო გარინდული სამი თაობისათვის. თანაბრად ბედნიერი ხუთი არსების სუნთქვით ივსებოდა და იტენებოდა ღატაკი სახლის დაობებულ-დანესტიანებული სარდაფის მთელი სივრცე. ეს ბედნიერი ამონასუნთქი უხმო ჭავლად მოედინებოდა ორყბიან სარდაფის ღია კარში და იმედით ავსებდა ეზოს, სახლ-კარს, ღია ალაყაფში მიედინებოდა და ორგულა სოფლის დამდგარ ჰაერს ბუნებრივ გემოს აძლევდა...

ამ სუნთქვას, ამ ეზოსათვის ეგებ არც უჩვეულოს, მაგრამ, მაინც უჩვეულოს, ჰაერის ამ საკვირველ ნაზავს გაჰყვა ვაჟა ორმოცი წლის კაცის დაღლილი ნაბიჯებით. მიდიოდა...

სოფელში დღის სინათლის ნათურები ქრებოდნენ და მზის ნათელი ჰკვალავდა გზას. „ბენზოკალონკასთან“ დარაჯი ბორიალობდა, ვაჟას ძმაკაცი ჯერ არ მოსულიყო. სასოფლო საბჭოს წინ, რწმუნებულის პატარა ფინურ სახლთან, გერმანული ნაგაზი დაცქვეტილიყო ჯაჭვით მიბმული. ბიძინა ჯერ არ ჩამოსულიყო სოფელში, მის ნაცვალს არ იცნობდა ვაჟა.

თითქოს პირველად გამოვიდაო უცხო კაცი სოფლის დასათვალიერებლად, ისე გულმოდგინედ აკვირდებოდა ვაჟა ყოველ წვრილმანს.

შემხვედრი მეტი ჩანდა თანამგზავრზე. რამდენიმეს საპასუხო დილამშვიდობისა შეაგება ვაჟამ. თუმცა ცნობით ვერ იცნო...

* * *

ვაჟაანთ ეზო ხალხით ივსებოდა, ივსებოდა და ისევ იცლებოდა. ერბო აიკრიფებაო, ნათქვამი რომაა, ისე დაეკრიალებინათ ეზო ვაჟას დედასა და დას. ხასხასა ბალახის მთელი გორა ეხვავა ჭრელი ძროხის წინაშე. მოსაკითხი ბალახით დაიღლიავებული მოდიოდა ხალხი სანახაობაზე. მსუყედ შეექცეოდა მოვლილი, ხბონაყოლობით მადამომატებული პირუტყვი ნაირ-ნაირ ბალახს. ჭამდა და თითქოს ლუკმა — ფუთსა მატებსო, მნახველთა თვალწინ იზრდებოდა, იზრდებოდა და იზრდებოდა. ჭრელი ხბო გაპეტებით უჯლიქინებდა ლამაზ თავს დედის ვეებერთელა ჯიქანს, ისიც მატულობდა, ისიც იზრდებოდა და იზრდებოდა. ვიდრე ხბო ერთ ძუძუს წოვდა, დანარჩენი ძუძუებიდან თაფლისფერ-მოთეთრო მსუყე რძე ნაკად-ნაკად მოედინებოდა, ჩხრიალ-ჩხრიალით ჩამოედინებოდა დაზეპილ მიწაზე. ძროხისაგან მოშორებით ნაკადები ერთ ნაკადულად ერთდებოდა და ლამის ღელედ მოედინებოდა პირდაღებული. სახტადდარჩენილი ხალხის თვალწინ. ეზოში ჩუმად მდგარი მნახველები გარეთ გამოსვლისას ერთ ბუტბუტსა და „ჰაი და ჰუის“ იწყებდნენ და სასადილოსთან ისეთი ჯარ-ჯამაათული გაუდ-გამოუდიოდათ, კაცი იტყოდა, ქვეყნის გადასარჩენად ისხამენ ფარ-ხმალსაო. „საიდან? ვინ? როგორ? არ ვიცი! ტუზი! კოზირი! ეშმაკი! გამჩენი! კომპლექსიდან!.. არა, რას ამბობთ! ბედი! იღბალი! საფურე და ეგეთი! ოცდაათი-ორმოცი ლიტრიო! ლიტრა — მანეთი! რატო — ორიც არა! დღეში — ასი! თვეში სამიათასი! ჰაი, დედასა! ტუზი! კოზირი!..“

— გამოჩნდით, დაიძახეთ, ვისიც არის, თქვენი ჭირიმეთ! — სათითაოდ ეკითხ-ეგებებოდა ვაჟას დედა მომსვლელს, — არაფერი არ დაგვიკლია, ღვთის მოგზავნილივით მივიღეთ და კუპატრონეთ... აბა მე იმდენი რა გამეგება ძროხისა და ხბოსი, თბაც არა გვყოლია მეწველი, აი, ამ წყვილი ძუძუთი მყავს დაზრდილი ორივე, თუ დაგვიჯერებთ, თავსშემოგევლეთ!.. გავიდა, აქ იყო... გოგია, ბიძაშენი, ბიჭო!.. აქა ტრიალებდა, ბიძო, დედა შემოევლოს! ხალხში გავიდოდა, ადამიანებში... მაგან იმარჯვა, დედა შემოევლოს, თორემ მე მაგისთანა საქმისა არა ვიცი რა და იქნება კიდეც დამხრჩვალიყო, ხბოცა და დედაც გადაჰყოლოდა, რა იცის პირველდედამ... ვაჟა რომ არ ყოფილიყო, დედა ენაცვალოს... გავიდოდა სადმე, ბიძინა, თავშემოგევლე. ლუკმა გატეხე, განა თუ რამე მოვასწარი, ანგელოზობაა დღესა. ქადობაა და „თაგვო, თაგვო, გამოდი, ანგელოზო, შემოდი!“ — ქადა მაინც გატეხე, დაილოცე. ლიმონათი, გოგია!.. მანქანით არის ბიძინა, გესმის, გოგია?!. უწინ, ანგელოზობას, ასკილის ეკლიანი სახრეებით დავდევდით თაგვებს, ვერეკებოდით: „თაგვო, თაგვო, გამოდი, ანგელოზო, შემოდი!“ — ისე კოხტად ჩამოუარა დედამ, ისე თამამად, ცეკვით, სახრის თამამი მირტყმა-მორტყმით... აჰყვა ზოგი, გადაედოთ უბრალო, გულღია ქალის მსუბუქი შეთამაშება, ფერხულივით ჩაებნენ, ვინ ეკლიანი ჯოხით, ვინ წკეპლით, ვინ კიდევ თავშლის ფრიალით. ვინ სიმღერა თქვა ხელდახელ, ვინ — ფანდურიც გააჩინა... ყველა ხომ ბოროტი და გულძაღლი არ არის ქვეყნად, კეთილი მეტია, მაგრამ გულძაღლების შიშითა და რიდით ფერხდებიან, კავდებიან, იკეტებიან, სწუხან, მაგრამ, ვეღარ ხალვათდებიან, ვეღარ უბრუნდებიან საწყის სილაღესა და უბრალოებას. გულძაღლებსაც უხარიათ დახუთული გარემო, ხალხის გაუშლელობა და მოდარდიანება... არა და, სილაღეა თავი და თავი ყოველი სიკეთისა ქვეყანაზე...

* * *

გრიალით მიჰქროდა ვარსკვლავმიმატებული ბიძინა-რწმუნებულის მრავალცხენისძალიანი მოტოციკლი ჯერ სოფლის მთავარ ქუჩაზე, მოედნებსაც შემოურბინეს ბიძინამ და გოგია-ბიჭმა, ზოგსა ჰკითხეს, ზოგს არა, რკინიგზის სადგურზეც შეირბინეს... კუდიღა მოჩანდა კლდოვან მოსახვევში...

რკინიგზის პარალელურ შარაზე მიჰქრის სოფლის რწმუნებულის მოტოციკლი. გოგია-ბიჭს თავი მუხლებში ჩაურგია ცრემლე-

ბის დასაფარავად, ის კი არ იცის, ქარზე რომ უფრო ვალე შრება წვეთი...

კუშტად და ჯიუტად ჩაჰფრენია ბიძინა მრავალცხენისძალიანი მოტოციკლის საჭეს, ლამის არის გადაწვას ძრავი, ისეთი გამწარებით მიაგრიალებს. — ფრთა გამოებასო, — ამასაც თუ ნატრობს... ზოგ-ზოგი მუქთად ხელმომართული, გულძაღლი კაცის კარებწინ გალია უნდა იდგეს, დღისით შიგ უნდა ემწყვდიოს გამვლელ-გამომვლელის გულის მოსაოხებლად, ღამით უნდა უშვებდნენ შინ, ბოლმის საჭმელადო, გუნებაში ფიქრობდა ბიძინა და გამწარებით მიერეკებოდა მოტოციკლს. მოტოციკლი ხან ეწეოდა მატარებელს, ხანაც უკან რჩებოდა...



გუდოკა და თითქმის დედოფალი-დედო

მძლავრი, მაგრამ ფუჭი, გულმავიწყი სიყვარულით უყვარს ქარხნის ბუღას ქარხანაში მასთან სატრფიალოდ მოყვანილი დეკეულები და ძროხები. სადა სცალია ცხვირში რგოლგაყრილსა და დაზგასთან მიყენებულს საამისოდ, არც სახელს ეუბნებოდნენ წამიერი სატრფოსი, არც მაინცდამაინც ათვალიერებდნენ, რა არის, სახის მიხედვით არ დაეხსომებინა რომელიმე საუკეთესო ფური. გულში არ ჩავარდნოდა მისი ხიბლი, ტრფობად არ ქცეოდა წამიერება და ამრიგად, არ ეღო ხელი ხეობის ძროხების სანაშენო მომსახურებაზე. საერთო-ქარხნული გულისყური უფრო მთავარი იყო მის ყოველდღიურობაში: ხბო და ხბო, ხბო და ხბო, ხბო და ხბო. ხბოთა მწკრივები უწყვეტ ქარავნებად მიიწელებოდნენ ხეობის შემწვანებულ ფერდობებზე, ფურდებოდნენ, ძროხდებოდნენ, ხარდებოდნენ, მრავლდებოდნენ, ბერწდებოდნენ, ბერდებოდნენ, ბარდებოდნენ ხორცად — სასადილოებს, ძვლად — ძვალსაფქვავებს, ტყავად — ქარხნებს; იკერებოდნენ, დაჭრაჭუნებდნენ, ცვდებოდნენ, ილეოდნენ და ქრებოდნენ.

და ყველაფერი კვლავ თავიდან იწყებოდა: მძლავრი, მაგრამ ფუჭი, გულმავიწყი სიყვარულით უყვარდა ქარხნული ჯიშის „გუდოკა“ — ბუღას მასთან სანაშენო-სატრფიალოდ მიყვანილი

დეკეულებისა და ძროხების უსახელო რიგები. სად ეცალა ცხვირში რგოლგაყრილს საარშიყო-სატრფიალოდ.

ასე, წლიდან-წლამდე იდგა ქარხნის ერთადერთ დაზგასთან გუდოკა-ბუღა, თავაუღებლივ დგარიდგურობდა მოუცლელ საქმეში, უკანმოუხედავად, ნაჩქარევად გაყვანილ ფურებსა და ძროხებს ხბოთა უსახელო და უსასრულო სახელს გაბმულად მიაყვირებდა ყველას ერთად და შუადღეული, საათიანი შესვენებაც მისი საყვირით იწყებოდა. დღეში სამჯერ ასე გაბმულად და მძლავრად გაჰყვიროდა ცხვირში რგოლგაყრილი, თუჯის დანადგარივით უშველებელი, რუხი, მძიმე, ულამაზესი აღნაგობის ქარხანა-ბუღა, დილით, შუადღისას და საღამოს, სამსახურის დამთავრების ჟამს.

ზანზარი გაუდის სანაშენო-ქარხნის შენობასაც, ეზოსაც, ხეობასაც გუდოკა-ბუღის ფოლადივით ძახილზე. სამკითხაოდ გადმობრუნებული ფაიფურის პატარა ფინჯნები ლამბაქებზე ხტიან, კბილს — კბილზე აკაპუნებენ, შიგ ჩატოვებულ ყავის ნალექზე გუდოკა-ბუღის მრისხანე სხეული იხატება ამაყ დგომში.

სამსახურის ოთახის კედლებზე დაკიდებული გრძელქანქარიანი საათები სვლას ასწრაფებენ; გულის ფრიალით, დროის გაუთვალისწინებლად დაურბით ყურცქვიტა ისრები გადაფითრებულ ციფერბლატზე.

ქარხნის მეცნიერი მამრი და მდედრი თანამშრომლები, რომელთა რიცხვიც ორმოცდაათიდან — სამოცამდე მერყეობს შვებულებებისა და მივლინებების პერიოდში, თითქმის თავაუღებლივ ჩაჰკირკიტებენ თავიანთ საქსოვ დანადგარს, ყაისნაღსა და საქარგს, მამრები — ჭადრაკს დაჰყურებდნენ, დაფებზე დააცოცებენ ნიკოტინით შეყავისფერებული ხელების ისრებს. შეჩვეული ჭირივით უხმოდ ჩაესმით მათ გულსა და ყურს გუდოკა-ბუღის ბზარგარეული ფოლადიანი ხმა.

სავარძელში ჩაყვინთული მთავარი ვეტერინარი გუმანით გრძნობს შუადღის შესვენების წამდაწამ მოახლოებას, ტელეფონის ყურმილს ღია ფანჯარას მიუმარჯვებს, საუწყებო გარაჟის ნომერს კრეფს და გუდოკას ხმას გზავნის ტელეფონის ხაზით მძღოლის გამოსაძახებლად.

მთავარი ვეტერინარის მოადგილე — ვეტერინარი, რომელიც უშუალოდ ბუღასთან ტრიალებს პრაქტიკულ-სამეცნიერო საქმიანობის ფერხულში, შესვენებაზე არ მისდევს მთავარ ვეტერინარს, საქმეებს მიზეზობს შეწუხებული სახით, დაზგაზე მიკუნჭული,

პირსახოცით იწმენდს ოფლს და დავთრების ქექვით ქარხანაში რჩება. სამრავლის მამრავლს ამოწმებს. ლაბორანტი ქალიშვილების აჭყაპნილ. აჩხაბაჩხა ფორმულებს ებუზღუნება, ზეზეულა ზმურზლავს უმცროსი თანამშრომლების შემოთავაზებულ საუზმეს და ქარხნის კარის დარაჯს თვალს უშვება, ანიშნებს, კერძო ხალხის ძროხებისა და ფურების შემოშვების დრო დადგაო.

როშით სავსე ვედრო სანახევროდაც არ ჩაუთავებია გუდოკას, შესვენებაზე რომ უფაქტურო საქონლის მისაღებად ამზადებენ. საჭმელი მაინც შემაჭამეთო, — ზმუის მოკლე-მოკლედ გუდოკა და ცხვირში რგოლგაყრილი ჭამა-ჭამით მისდევს მთავარი ვეტერინარის მოადგილეს კერძო გლეხკაცთა გულის გასამხნევებლად, მათი აბურძგნულ-დაბურძგნული, შეუხედავი, ნაბოსლარი ძროხებისაკენ.

თითო ძროხის მიღება-გასტუმრებაში ორ თუმანს იჯიბავს ვეტერინარი. კარის დარაჯი შემოშვებაში მანეთს იღებს გასამრჯელოდ. გახარებული გლეხი ზურგს უთელავს, ეალერსება ნამსახურებ ძროხას და დალმართში მიარბენინებს ბაზრისაკენ წინასწარგამჭოლი, სარფიანი მზერით: ხუმრობა საქმე ხომ არ არის, სამი გუდოკასეული ხბო რომ ხარბად აქციოს და ფულად გადაადნოს — ერთი მსუბუქი ავტომანქანა გამოსდის.

ლაბორანტი ქალიშვილები თავის საქსოვ დაზგა-დანადგარებზე გადაფაფრულ-გაფაციცებულნი, უცხო ჟურნალიდან ამოღებულ ორნამენტს ეცმაცუნებიან და წამითაც არ ფიქრობენ, თუ რა აზრისა არიან მათზე ვაჟი-კოვბოები, მაღალი ცხენებიდან რომ ყელ-ყელაობენ მათი ფანჯრებისაკენ. ჭადრაკის დაფებზე თითებდაყვითლებული ზოოწუნმდებელი ვაჟებისთვისაც სულერთია, თუ რას ფიქრობენ მათი გაუთხოვარი გოგონები, სვამენ შემოთავაზებულ ყავას, აბრუნებენ ფინჯნებს და ნამკითხავებს აღარ ელოდებიან, გუდოკა-ბუღის საღამოსჟამის მაუწყებელ საყვირზე დატიშულები ჩარბიან თავქვე, ასფალტისაკენ, მათ მოლოდინში გატვრენილი სამარშრუტო ავტობუსისაკენ.

დაახლოებით ასევე ფიქრობენ და ასევე ირჯებიან ბიოლოგი თანამშრომელი გოგონებიც; თან ამშრალებენ სინჯარებს ჩაისათვის, ფინჯნებს — ყავისათვის, თანაბარი გატაცებით ჭრიან და კერავენ, ძახავენ და გრეხენ, ართავენ, არღვევენ, ჩეჩავენ, ქსოვენ, პენტავენ! ქსოვენ, ხან თვლემამორეულნიც კი ქსოვენ და ჩეჩავენ, სინჯარები და ფინჯნები გაკრიალებული უწყვიათ. როგორც კი შესვენებას გამოაცხადებს გუდოკა, ათუხთუხდება ჩაი ცეცხლგამძლე

სინჯარებში; ყავას ნაყავენ ან ფქვავენ საფქვავში. მერე ადუღებენ ქაფქაფით დუღილის წერტილამდე ქვიშაში, სვამენ მოსმით. მოწრუპვით, განაბვით და მკითხაობენ გადმობრუნებულ მომავალზე და აწყდებათ ნერვები: საძაგელი გუდოკა ზის ყოველი ყავის ფინჯნის შემღვრეულ კედელზე ჯიქურად რქებდალესილი. დაბეჭდავს ხბორებს, რატომაც არა?! თუჯის სხმულივით ბუღა-ქარხანაა, არც ეწევა, არც სვამს, სხვა რა მოვალეობა აქვს! ან — ყვირის გაბმული საყვირივით, მიაქვს ყურთასმენა, შესვენებას აცხადებს. მიირთმევს ძვირფას კოპტონს, ჰალვაზე უკეთესსა და უტკბესს, საღომე ღერღილზე გაცილებით უკეთეს ღერღილს გეახლებათ, ანუ როშს, დაკეპილ იონჯას აყოლებს ზედ, რაღაც გამაძლიერებლებით გაყუათიანებულს, ახრამუნებს აბრეშუმივით ნაზ თივას, პირდაპირ მზის დისკოზე მოთიბულს. საცოდავი ბულბულები კი თითო ღერ ასეთ აბრეშუმზე უნაზეს თივაში თითო სიმღერას მისცემდნენ: ოქრომკედივით თივაა, ნაზამთრალი ბუდეების შესაკეთებლად უკეთესს ვერც ინატრებ, ნაზი და ექსტრავაგანტური თივის უნაზესი სამოსიც შესანიშნავად მოიქსოვება ამ აბრეშუმისაგან. პირველყოფილი სასწაულმოქმედი.

ჭამას რომ მორჩება გიგანტი-გუდოკა, წყლით სავსე ორფუთიან კათხას ამოხაპავს, გაბმული გულგრილობით დაიყვირებს დრუნჩაპრეხილი და თავიდან ხელახლა იწყებს ყველა ხმას, ყველა ჩქამს თავის დასგასთან, რგოლგაყრილი ტომის ბელადივით, მეფურ პატიკში შენახული, ყველა ჩაცმული და ეს კი შიშველი, შემქმნელ ბუნებასავით ..

არცა ჭრის, არც კერავს, არც ქარგავს, არც ართავს. წაბლისფერია. ყავისფერი და რა ეყავება. არც რა ეჭადრაკება, დგას და ბეჭდავს საქონლის სიმრავლეს ამწვანებული ხეობის გაღმა-გამოღმა ფერდობებისათვის.

არც ახსოვს ფურები, დეკეულები, უშობლები, ძროხები, სად ეაიხსომოს — დღეში ოცი, თვეში ექვსასამდე, წელიწადში ექვსიათასზე მეტი. ეს ოფიციალურ-საბუთობრივი, გადმორიცხვით ჩარიცხული. შუადღის შესვენებაზე ჩუმ-ჩუმად შემოყვანილი კიდევ ჯანდაბას, ღამითაა ძნელი და შემაწუხებელი, სამუშაოს შემდეგ, როცა ყველა თავ-თავის ბუდეში შეფრინდება და შეფრთხიალდება. გატვრენილი როა სამყარო ჭოტის სიმშვიდით, როცა ნამდვილად ენატრება დასვენება ცხვირში რგოლგაყრილ გუდოკას, რბილ,

აპრეშუმივით ნაზ თივაზე მუხლმოყრით როცა უნდა დაეშვას საკუთარ ფერდზე წამოსაწოლად ფიქრსა და რაღაც უშორესის გახსენების მოლოდინში, თუნდაც ერთი წამით ენატრება გაფიქრება მინდვრისა, მოწყურება წყაროებისა, მარტოხელა ხეზე ფიქრით მიყრდნობა ენატრება, მარტო მდგარი მუხის ან პანტის, პანტა არა. სხვა რაღაც ერქვა იმ ხეს, მის ჩრდილქვეშ დგომა და შორიდან მოდენილი დასიცხული ტომის მოლოდინი ენატრება.

„ქარხანაც“ კაცია, ბოლოს და ბოლოს, კაცი თუ არა, სულიერი ნამდვილად არის.

საიდან სად ჩამოიყვანეს გუდოკა. ჯერ კიდევ ხბო იყო, შორეული სტეპის დიდი ჯიშთსაშენიდან რომ გამოამწესეს აქეთ, საჯიშე ქარხანა ააშენეს მის გარშემო, სათავსოებით, ლაბორატორიებით, საანგარიშოებით. შტატებით — შტატებით — შტატებით — შტატებით: ოჯახები. გვარები, ნათესავები. მიდი-მოდი, დიდი შენობა აიგო, მცირე შენობებიც: შედიოდნენ, გამოდიოდნენ და ამასობაში პატარა ხბო გუდოკა-ქარხნად იქცა. მთელი ჯიშის. მთელი გენის ვეებერთელობით აიყარა ტანი, აისხა რქა და, როგორც კი პირველად უხმო მონატრებულს თავისი მჭექარე ხმით, ვიღაც შავტყირპა ტიპმა გუდოკა შეარქვა, მოასწრო, თქვა და მორჩა, შერჩა სამუდამოდ მას ეს სახელი...

ღამით მაინც მოასვენოს ამ შავტყირპა დარაჯმა, ერემ-ქერემ-ლიმ, ათასი ოხერი კერძო საქონელი რომ შემოუდის ღამით. გაივსო ჯიბეები, უბეები: ფული და ფულ, ფულ და ფულ. ხან შვილები ენაცვლებიან მორიგეობით. დაასაქმა შვილები, ფესვებიდან ამოიბერტყა, ყველა გამართა და დააფულდაფულა. შეიკლა გუდოკა ამასობაში ერემა-ქერემამ, დღე ღამეს დაუმგვანა, ღამე — დღეს, შემოჰყავდა კერძო ფურები, ძროხები, დეკეულები. ფულ და ფულ, ფულ და ფულ. ღამეში რამდენიმე, თვეში — ბევრი, წელიწადში — უთვალავი!..

ფულ და ფულ, ფულ და ფულ, შვილთათვის, იმათი ბადიშებისათვის.

მერე და როგორ უთაკილო ბიჭები ჰყავს ერემ-ქერემას: ჰგვიან ქარხნის ეზოს, ნაგავი გააქვთ, ღებავენ რკინის მესერს, ხეებსაც ღებავენ, რკინას ქვაზე ადუღებენ, სანტექნიკას მართავენ. თან ყასბობენ, ვაჭრობენ, თან დაბაღობენ, ჩეხავენ, წონიან. ჩეხავენ. ღონე აქვთ, რომ ჰა! იმხელა ნაჯახს მოქნევა უნდა ასჯერ, ათასჯერ, ათიათასჯერ. არშინი ხმალივით უელვარებთ ხელში...

ხასხასებს მოურეველი ბალახი და ბალბა ეზოში, მწვანედ ხასხასებს და ენატრება გუდოკას, რომ ერთხელ მაინც როგორმე მოახერხოს, ენის ერთი ხაოიანი ასმა მაინც, გემო რომ ჩაატანოს!..

ღამის ცვლაში საერთოდ წყვდიადია. ჩუმად შემოჰყავს ერემ-ქერემას უფაქტურო ფურები და უსაბუთო ძროხები.

— ქარხნის ბუღა ხარ, ბუღის ქარხანა, — ეტლიკინება თან, — გუდოკა გქვია, მე დაგარქვი, ნათლია ვარ, მორჩა და გათავდა, მოდექი აქეთ და მიდექი იქით. თორემ იგარ, ცხვირში რომ რგოლი გაქვს, ძგარ. ! ე მოდი, მოდი! — ნესტოში გაყრილ რგოლს ქაჩავს ღამის დარაჯი.

ისევ დილა, ისევ საყვირი...

ვეტერინარები, ზოოლოგები, ბიოლოგები, ლაბორანტი ქალები — საქსოვი დაზგებით, სართავით, საძახით.

ტრიკო-ტაჟ, ტრიკო-ტაჟ, ტრიკო-ტაჟ, იწყება დღე...

იყოს ქარხანაში ქარხნის ფილიალი, თუკი არის საამისო საშუალება, მოგება მიიღონ ერთგვარი ეგებ. იყოს სანაშენო ქარხანაც და შიგ შეთავსებით ტრიკოტაჟის ფილიალიც, იყოს!

მიიწლაწნებიან სამსახურიდან დღის დასასრულს გუდოკას საყვირის შემდეგ საქსოვ-სართავ-საჩეჩ-საწინდიჩხირო -საყაისნაღო ხელსაქმეზე შეტრფიალებული, გაუთხოვ-გადაბერებული ლაბორანტი ქალიშვილები, ბიოლოგი ქალიშვილები, ზოოლოგი ქალიშვილები. დაბლა, ავტობუსისაკენ მიიჩქარ-ჰერი-ჰერიან. ზრდილობის მანძილის დაცვით მათ ცხვირაპრეხილი ბოლვა-ბოლვით მიჰყვებიან წუნმდებელი ვეტერინარი ვაჟები. ვაჟი-ზოოტექნიკოსები, მექადრაკე-მეშაშეები, მეწუნე-მეწეწუნეები, მესინჯარენი, წაგებულ პარტიაზე მოჩივჩივენი, მოყაამენი და სხვანი და სხვანი. მიისწრაფიან შინ — ტელევიზორის კვადრატულ ჩარჩო-ბინაში შესასახლებლად, ჩვეული სიმშვიდის საამბოროდ, გუდოკას სახვალდილისო საყვირამდე...

დგას რგოლგაყრილი, ბრინჯაოს სხმულივით ნაქანდაკარი სტეპის ქარხნული ჯიშის გოლიათი გუდოკა, ღვარად იღვრება და ეს ამოდენა ჯარჯამათი, უქმი-მოქმედნი ღებულობენ ჯამაგირს. ღებულობენ შვებულებებს და იქაც ქსოვენ, ართავენ, ძახავენ და გრეხენ, მიემართებიან მივლინებებში, იქაც გრეხენ და ქსოვენ, ართავენ და ძახავენ, წერენ შრომებს სისპეტაკის ხარისხზი და რჩებიან უქმრონი, უცოლონი, უშვილონი, უძირონი, საქსოვი

დაზგებით იღლიაში დაწუნებული, გაჭყან-გამოჭყანული გახედვ-გამოხედვით მირბი-მორბიან, ურეკავენ და ფიქრობენ დარეკვაზე.

მთელი ღამე ამუშავებს ქარხანას ერემ-ქერემა, მტკივნეული რგოლის ძგარუნით, უშვერი თრევით, ყვედრებით უფრთხობს ძილს და ღამის ცვლაში სამუშაოდ გაჰყავს, ტანჯავს განთიადამდე: რგოლის მიწევ-მოწევით მართავს ტონიან გოლიათს, უფრთხობს სტეპის მოსაგონებლად ჩაფიქრებულ გატვრინულ მოლოდინს, გამოათაყვანა, აურია ტვინი. შუაღამისას ყვირის გუდოკა, შესვენებაზე აღარ იძახის, დუმს. ჭამის დროს ფიქრობს, ფიქრის დროს ჭამს... საქონელს ზიზღით ექცევა.

ღამით აღებული ფულით ამრავლებს ბარაქას ერემო, ამრავლებს მოდგმას. უთაკილო შრომით შრომობენ, უზიზღარი მეყველფარეობით: ჰგვიან, ღებავენ, ხვეტავენ, თხრიან, აგებენ, აჰყავთ კედლები, შედიან და გამოდიან, ადიან და ადუღებენ რკინას ქვაზე და ქვას — რკინაზე...

უწყინარი ზმუილი, მოხავერდო ტემბრი თუჯის გაბმულ ხმად ექცა გუდოკას; ძველი ქარხნის საყვირის ცივი ხრიწინი ამოსდევს რა ხანია.

გასასრესად გამეტებული თვალებით მიაცილებს ღამის დარაჯს ერემ-ქერემას. „რას მიბღვერ, რო მიბღვერ, შე სახაშლამევ! მოვიდეს ღამე, მერე ნახე შენი დღე! ესეც დოვლათია, ხალხია, ცხოვრებაა, შულებია. შულიშულებია, შენ რა იცი, შე საქონელო! ჯერ დამაცადე. მოვიდეს ღამე, ჩემი ღამე. ჩუმი ღამე. ნახე შენი დღე მერე!“ — ემუქრება.

* * *

საცოდავი შეყვარებულია ძროხა! ერთხელ შეხვდება წლის დასაწყისში და მორჩა! წელიწადი უნდა ლოკოს ხბო მამაცის მოსაგონებლად, უნდა მოუთმინოს ძუძუების გაუთავებელი წელვა მწველავებს, ნაზად უნდა მიაზმუვლოს თანაც, „მადლობელი ვარო“, შესციცინოს, ასვას და აჭამოს, ჯანმრთელად შეინახოს. რომელმა — რომელი? პატრონმა — ძროხა და ძროხამ — პატრონი. უნდა ილოცოს ჩუმად, პატრონის თავი რომ არ მოუშალოს ღმერთმა, არა დაემართოს რა პატრონს, თორემ, თუკი გაუჭირდა, პატრონი თუ გამოეცალა, დანას მიაყუდებენ კისერზე, ზვარაკად შეს-

წირავენ, თითქოს ამ საცოდავი მარჩენალის ბრალი ყოფილიყოს იმ მარჩენალის მოულოდნელი წასვლა-წაბრძანება...

როგორც იქნა, გავიდა მეწველი წელიწადი. ძლივს აიკოხტავა ძროხამ მაკივარ-მაწყევარი პატრონის ძალადობით ჩამოგრძელებული ძუძუები; ჯიქანიც აიწოვა და შეიმკვრივა, რაღაც-რაღაც გაიხსენა, საურველი გადაისვა, მიკოხტავ-მოკოხტავდა.

მდინარეზე დაწაფებული ძროხები დიდხანს სვამენ წყალს, წყალმოტანილ ამბებს უგდებენ ყურს, თანაც როგორც სარკეში, ისე ჩასცქერიან თავის თავს: უხარიათ ამოდენა წამწამები რომ ჰქონიათ, ჩამუქებული უპეები, მოვარდისფრო ტუჩები... ნეტა თუ მართლა უყვარდა? თუ მოატყუა და თავი დაანება?!. მერე რა, აგერ, კვერცხივით ხბო გამოაზამთრა და გამოზარდა: მიგოგმანებს აღმართში ბოროტთა და მეშურნეთა თვალის ასახვევად. მიათამაშებს საკოკრე-საყვავილეს!..

ის საცოდავი მეზობელი ბოსლიდან აღარა ჩანს: იბერწა შარშანწინ, შარშანაც არ გაუმართლა, ბერწად დარჩა. აღარ დაიტოვეს პატრონებმა ალბათ...

თან წყალს სვამენ ძროხები, თან ფერდობზე ძოვა-ძოვით მიმავალ ხბორებს გასცქერიან, ყველა თავისას ამჯობინებს სხვისას: შეხეთ, ამაზე ლამაზი გინახავთ რაიმე და ვინმე? ვისაც კი შეხედავს, დააბრმავებს, მუხლში მოშლის. ქარხნის გარდა, რა თქმა უნდა! ქარხანა მუხლმაგარი თუჯია, ჩამოსხმული, აპრეხილი დრუნჩით, ვითომც ვეზიზღებოდეთ, მაგ უქმურს, მაგასა! ერთხელ რომ წესიერად არ მოგეფერება, ზამთრის ამბებს რომ არა გკითხავს, ბოსლის ნაწუნწუხარს: შენ თვითონვე რომ ათბობ უშეშოდ და უცეხცლოდ იმოდენა კედლებს, ხბოს რომ არ შესცივდეს, ქუში არ დასჩემდეს და იოლად არ გაიმეტოს პატრონმა. ერთი სული გვაქვს, როგორმე გამოაზამთრო საიდან-სად ჩამოზიდულ უხეშ ბზეზე. მე შენ გეტყვი, და გემრიელ რამეს შეურევენ პატრონები პირის ხილად. ფიტულებივით ტენიან ბზით, რომ არ წაიქცნენ გაზაფხულამდე. ბალახის ამოსვლამდე, სითბოს გაჩენამდე; ბზე და ბზე, ბზე და ბზე გაზაფხულამდე. გემოდაკარგულნი ელიან მწვანე გაზაფხულს, სიზმარშიაც. ცხადშიაც ელიან. ელიან...

მოვიდა, როგორც იქნა, მობრძანდა, მომწვანდა. მოყვავილდა გაზაფხული. მთელი ფერდობის მაღაზიების მწვანე ვიტრინები თეთრი, საპატარძლო-სადედოფლო კუნელის, შვინდის, კვრინჩხის, ჭანჭკეტოს, ტყემლის აფეთქებული თავსაბურავებითაა მოფენილ-

გამოფენილი. ნამდვილი საგაზაფხულოა ყოველი, უქმად და მუქ-ოად გეძლევა გაზაფხულის მობრძანების ჯილდოდ, იმის ნიშნად, რომ კარგად ხარ და გულითადად რომ შეხვდი გაზაფხულს, რომ გაიხარე... და რომ გაეპრანჭე ნაზი გაპრანჭვით, თითქოს თვითონ გაზაფხული აგიტაცებდა ხელში გუდოკას ნაცვლად, მოგეფერებოდა და ჩაგიკრავდა ყველას დასანახავად.

წყლის სმას რომ მოათავებ, აჰყვები ფერდობს გაოგნებული, შებრუებული. ნახეთ, როგორ დავაჟკაცებულან, დადუღებულან და დაბუღებულან, რა სწრაფები არიან საქციელში, როგორი გადაუდებელი მოტრფიალე და მოსიყვარულენი. შარშანწინდელი მოზვრები ხომ არიან და არიან, სრული სიმწიფის ატესტატები დაურიგა გაზაფხულმა მათ და თავდაჭერილი ფშვინვით მიუყვებიან თეთრ-მწვანედ შეფეთქებულ ფერდობს. მაგათ უკვე ძროხებთანაც ეთქმით გაბედული.

რა ნაზი ზმუილი და ბზუილია ირგვლივ. გაუმარჯოს გაზაფხულს, მის მობრძანებას! ღმერთო, შენითა! გაუმარჯოს, სიყვარულს, გამრავლებას! ვაშა! ვაშა! მუუუ!

კიდევ კარგი, რომ გაზაფხული ყოველ წელიწადს მობრძანდება, კიდევ კარგი, მუუ! ვაშა, ვაშა გაზაფხულს!..

* * *

მთვრალი ფუტკრები სკებში აღარ შედიოდნენ, ჰაერში ხვლანჯავდნენ ბზუილის თოკებს. ვერ გაივლიდი, ბზუილი იყო ყველგან გაბმული. დენივით, დენივით უხილავად დაჰქროდა სიყვარული ზუზუნის ხაზებში. ჩაიარა ვერაგმა მეფუტკრემ ტაშტზე ჯოხის ჯახუნითა და სანაყარე ტომრით. ფუტკრის ნაყარი ვერ იპოვა ან განგებ აარიდა თავი გაზაფხულის, სითბოსი და სიყვარულის ჰატივსაცემად. მარტოკინა მუსიკოსივით ჩაიარა; თან ღიღინებდა. ყვავილად აფეთქებულ რამდენიმე ბუჩქს ჩახედა, გატვრინდა, გაბრუვდა და გაქრა სადღაც უხილავში.

ბალახი ოდნავ იყო ჩამოწეული ფერდაზე. ფერდა ერთი კალთით ხევში ჩადიოდა მელიებისა და კურდღლების სიყვარულის დასათვალიერებლად, მეორე კალთით კი ველს უერთდებოდა. ველზე ზამთარგადანახადი შემოდგომის ყანა ჯეჯილობდა ქალაქის საზღვრებამდე. თითქოს ყურის ნიჟარაში ბუდობსო, ისე მკაფიოდ ისმოდა მწყერის „ქვითკირო“.

ქალაქის საზღვრებამდე ატანდა ველითა და ყანით დარბილებული ეს თავბრუსხვევა სიყვარულისა. იქ, ქალაქად, ოთახებში, იყო ჩაკეტილი, ან პატარ-პატარა საკარმიდამო ეზოებში კვლებს ავლებდა, თესავდა და ბუდნიდა თავბრუდახვეული ქალივით. მამრი-მამაცი ჩრდილივით ელოდებოდა ღობესთან შეხამებული, ბარვით და ჩერკნით მოღლილი. მაგრამ მაინც მხნე და უტყუარი...

მწყემსი ბიჭები მზეზე ეყარნენ, ისედაც ბიჭები და ახლა მთლად გარეტიანებულნი სურნელოვანი ბზუილითა და სითბოთი, ერთბაშად რომ მოვიდა ყინვის შემდეგ. ზოგიერთს უფოთლო, მხოლოდ ყვავილთა გამჭვირვალედ ნაქსოვ ჩრდილში ჰქონდა თავი წატყუებული, ვითომ ჩრდილში ვართო, ეგ იყო და ეგ...

ძროხები მხოლოდ ტუჩებს იღებავდნენ სიმწვანით, თავს იტყუებდნენ: ბალახი ციცქნაა, მოსაწყვეტად ენანებათ. მიატარ-მოატარებდნენ დრუნჩს ნაზად ბალახის ხასხასა ლიფსიტებზე, დასუნავდნენ, შეიხვეტავდნენ კამკამა სურნელით გაპენტილ ჰაერს ნაბოსლარ ფილტვებში, დაიბერავდნენ ფერდებს, ვითომც, მაძღრები და გასუქებულები ვართო, სიყვარულისა და სიხარულის ველზე ვქშინავთ, ნატვრის ბილიკებს გავცქერით, მეტი არც არაფერი გვინდაო...

ქამრებმოხსნილი პატიმრებივით გათანგულები ეყარნენ ბიჭები. რომელიმე მათგანი თუ წამოსწევდა თავს, მთვრალი თვალების ძოვა-ძოვით გადაუვლიდა ზმუილში უძრავად გახლართულ ყველაფერს და ცოტათი დაბლა ჩაგორდებოდა, სადაც დაუტკეპნავი და უწოლი იყო ბალახი, ეგ იყო და ეგ: გორვით იცვლიდნენ ადგილებს...

ყველაზე გრილში აბგები ჰქონდათ მიწყობილი. შიგ იყო სიცარიელე, ან მაგრად მოხარშული კვერცხი, ნივრის კბილი, თავი ხახვი ან თითო-ოროლა მუჭი საქუმელე ფქვილი, ფერდაკრული ლორის ნაჭერი და კუტის ნატეხი; ვისაც რა მოეპოვებოდა და გამოემეტებოდა ხიხრიკა გაზაფხულზე.

ბიჭები ცამეტ-თოთხმეტისანები იყვნენ, შვიდი-რვა სული. შიგა და შიგ უმცროსიც ერია. ძალა უმცროსებს ადგათ, ნახირის მოსაბრუნებლად მათ საქმავდნენ ვნების კვერით ტვინშელაყებული უფროსები.

იქვე, იებიანში, ნათოვლარიდან შეუმჩნევლად, თვალწინ გამოვიდა ბორკილაშვებული პაწია წყარო. გამოვიდა, მიიფათურ-

მოიფათურა ახლოებში და შედგა, ქვევით, ჯეჯილებისაკენ აღარ დაეშვა, გადაიფიქრა: აქ ძირჩევნიაო. იმოდენა ქვეყანა მინდვრება მე რას ვეყოფიო. აგერ, მღვრიე, დიდი ბატონივით მობუტბუტე, ჯერ დაუვარცხნელი, გაზაფხულის ნარიყმოდებული მდინარე, იმან მიხედოს დაბლობ ველ-მინდვრებსო. ცოდო კია ეგეც, ჩვენი ბატონი, რამდენი უპატრონო ლეში და ნაქოთი უნდა მიალაგ-მოალაგოს, მაგრამ მაინც მაგან უნდა გაწმინდოს ნაზამთრალი, ხეობის ნაგროვი ნაგავი და ცოდო-ბრალი, ჩვენ სად შეგვიძლია მაგისოდენიო, — ეკისკისებოდა წყარო ყვავილებს, ყველას თავ-თავის ენაზე შესციცინებდა, ეფოფინებოდა, მოწითალო ფესვუკებზე ელიკლიკებოდა, აცინებდა, აკისკისებდა...

და ერთბაშად თითქოს მიწა წამოდგაო, ბალახქვეშიდან, ნოტიო, მწვანე ჩოხა გადაიხია მხრებზე, დაიჭექა და დაიქუხა რაღაც სიტყვები ზათქი-ზანზარის ენაზე, ისე გადმოდგა და ფერდობს მოეცა დაუოკებელი რამ. გოლიათი გუდოკა მოდგრიალებდა საყვირითა და ცხვირში გაყრილი რგოლით, საბელი ჯაჭვის ნაწყვეტით, ქერიმას წითელი ხალათის ნახევით. ბრმა ორთქლმავალივით, აყრილ ლიანდაგს რომ მიღეჭ-მოღეჭავს წითელნაჭრიანი მორიგიანად, ისე მოთქლიშინებდა გუდოკა, რაღაც მილსაც მოათრევდა თან, ცხვირიდან სისხლი სდიოდა დადრეკილ მწვანეზე. ცეცხლებს კვესავდა მილი აქა-იქ ქვებზე. შემოვარდა ამ დაყრილ სიჩუმეში, ხევსურულჩოხიანი, მომცრო ბუღიტები, გაბუტული მოზვრები, მიიდგრ-მოიდგრიალა ზამთრის ზღაპრებით თავგაბერილ, ჯერ ნაკლებად მოვლილ-მოწესრიგებულ ფურძროხეულში, მაკეებს კუდი მიუთათქუნა გზა-გზა, ყოჩაღ, გოგოებოო! — შეამხნევა. ერთს, მშვენივრად მოვლილ, წაბლის ნაჭიდან გამოკროლილ ორწლიან უშობელს გახედა შორიდან, შეუჩერებლივ და გადამეტებულად დაქანდა მისკენ.

ისეთი ლამაზი იყო, ისეთი მოკალმული ეს დეკეული, ბიჭებს ნახირის დედოფლად ჰყავდათ დათქმული და ნაირნაირ, ლამაზ-ლამაზ სახელებს უგონებდნენ, ეფერებოდნენ, თავაზობდნენ მარილიან ლუკმას.

იმ სანაქებო, წაბლა დეკეულისაკენ ეჭირა გეზი აწყვეტილსა და გადარეულს, სისხლადმონაღვარ გუდოკას და, როგორცა ჩანდა, ვეღარავინ გადააცდენდა საწადელს.

მელიებისა და კურდღლების ხევისპირს მიმდგარი წაბლა სადღაც ცხრამთას იქით იხედებოდა, ფიქრში გატვრენილი. ვინ იცის

და ვინ იტყვის, რაზე ფიქრობდა ფუტკრიონის საქორწილო ზურნის ზუზუნში თვალმილულული სადედოფლო დეკეული. კარზე მომდგარი ქორწილის გვირგვინს თუ ირჩევდა სხვადასხვა ფერად, სხვადასხვა ზომით აყვავებულ გაზაფხულის ვიტრინებზე. თეთრად აფეთქებულ ხან ერთ ბუჩქს მიადებდა დრუნჩსა და საგირგვინედ, უზადოდ მორკალულ რქებს, დასუნავდა, გააქნევდა თავს: ამას მძაფრი სურნელი აქვს, მე უფრო ნაზი მომიხდებაო, — ფიქრობდა ფრუტუნ-ფრუტუნით და ახლა სხვა ბუჩქს წამოიცმევდა რქებზე თავისი მათრობელა ყვავილებიანად...

წაბლა დეკეულმა უკვე საბოლოოდ არჩეული თეთრი ბუჩქიდან გამოხედა ბუღა-ქარხანას და ისე გულღიად მიაზმუვლა: — მოდი, ეს მიყიდეო, — თითქო დიდი ხნის დათქმული ჰქონდაო ყოველივე.

გუდოკა-ბუღა, შვიცური ჯიშის სტეპის გოლიათი დამრეც, საშიშ ფერდობზე დაბარებულივით მიდგლიცინებდა თავგვირგვინიანი წაბლა ფურისაკენ, გზა-გზა სიჩქარეს უმატებდა: შეჩერება შეუძლებელი იყო და აღარც აპირებდა...

ბიჭებს გული ასტკივდათ, მუხლებზე წამოჩოქჩოქდნენ, გაქცევა რაკი ვეღარ მოასწრეს. საძირკვლიდან მომზღვრეულივით ჩაუქროლა ქარ-ქარხანამ, მიაფეთ-მოაფეთა ყველა: რის კრაზანა, რა ფუტკარი, რა მუმლის ბრუალი და რა ზღაპარიო! — შეაფეთ-შემოაფეთა სულიერიც, უსულოც, სურნელოვანიც, ბუჩქიც, ნახირიც, ბიჭებიც, ბაჭიებიც, მელიებიც, ყველა და ყველაფერი, დაიტანა ზვავივით, მიაწვ-მოაწვინა გაბმული საყვირითა და ჰაერის ცივ-ცხელი ტალღით. მაკედონელის მუზარადივით დიდი, ორრქიანი თავი ხევგაღმა ლურჯ ცაზე გამოეხატა, იმოდენაზე აიქნია ზევით, ერთბაშად ჩამოახურა იმ წაბლისფერ სადედოფლო დეკეულს თავიც, ტანიცა და ყველა უძრავ-მოძრავი, რასაც იმ წამად ფლობდა, რაც კი ებადა, წინ გაიგდო ტალღის დაკვრით, ვეღარც თვითონ შეიკავა თავი, გადაეშვა კურდღლებისა და მელიების ქორწილების ხევში პატარძლიანად, წყაროც რომ იყო და იებიც რომ ჰყვაოდნენ...

— თავს უშველეთ, ბიჭებო და ბაჭიებო, კურდღლებო და მელიებო, იებო და ფურისულებო! — ამისი დაძახება ვერ მოასწრო დედაბუნებამ, ისე მოულოდნელად დაეშვა ხევისაკენ სიყვარულის ზვავად შერწყმული სტეპის ქარხნული, ველური ხმა და ხევსურული უშობელის ფუტკარივით გაბმული ზუილი.

სიცოცხლის სიშმაგით დატენილი ქვემეხი თეთრად აფეთქებულ კუნელის ბუჩქს დაეტაკა, აწია, აიტაცა ფურიცა და ბუჩქიც და შიშისაგან გათავებულ და გამქრალ იების ნაკადულში ჩაიხერგა...

პატარა მენახირის სასოწარკვეთილმა ყვირილმა შესძრა ერთბაშად იქაურობა. „მამა-დედა-მამააა!" — ღრიალებდა ბიჭი გაბმულად, დატიშული მიქროდა თავქვე მშობლების მოსახმობად, ხევში ჩაჩეხილი დეკეულის გადასარჩენად...

მუხლებაკანკალებული იდგნენ გადაფითრებული ბიჭები პატარა, მაგრამ ღრმა ხევის გადასახედთან და სიყვარულის სიკვდილს გადასცქეროდნენ. დასანახად არაფერი არა ჩანდა, ყველაფერი ნანახი იყო და დანარჩენის დასასრულიც თავზარდამცემად მოცოცავდა ხევიდან მაღლა, ბიჭების შებრუნებული ტვინებისაკენ...

შიშისაგან გამქრალი დრო ნელ-ნელა ბრუნდებოდა ადგილზე.

წაბლა დეკეულის მწყემსი ბიჭის მთელი ოჯახი მოქროდა აღმართში: დანებით, ხანჯლებით, ტაშტებით, ვარცლებით, ჩანგლებით, თოკებით, ნაჯახებით, ქაღალდებით ისე მოშლიგინებდა შვიდი-რვა სული აყუდებული კევრივით აღმართზე, თითქოს აღმა კი არა, დაღმა გარბიანო.

ყურშა მოსდევდა ოჯახს ჩუმი წკმუილით. ძაღლი მშვენივრად იცნობდა ამ ადგილებს, მაგრამ წინ გასწრებას მაინც თავს არიდებდა, გვერდ-გვერდ მისდევდა პატრონებს მათსავით შეღონებული.

ხევის პირს შექუჩებული ბიჭები დაინახა თუ არა, ყეფა აუტეხა ისეთი, თითქოს მომხდარი უბედურება მათი ბრალი ყოფილიყოს.

— საით არის?! — დაიძახა კაცმა და პასუხს აღარ დაელოდა, ჩანაღარევის მიხედვით დაქანდა ხევში დანა-სალესის ხაფა-ხუფით.

ყველა შეიარაღებული იყო: ვინ დანით, ვინ ნაჯახით, ვინ ხანჯლით, ქალიც და კაციც, დედაბუდიანად. მარტო პატარა მენახირეს არაფერი ეპყრა ხელთ, სახრეც დაჰკარგოდა. ორივე მუშტით ისრესდა ნაკვერჩხლებივით ანთებულ თვალებს...

თაგვიონი და ვირთაგვიონი

შაქარი მადნება ტუჩზე პაპიდას მონათხრობ საახალწლო ზღაპართან ერთად.

— ქვეყანა ერთი შემორბენაა, შვილო, ჩვენი კი — ერთი პატარა ზღაპარია. დახუჭე თვალი!

— რა ჩხარიჩხური ისმის ჭერიდან, პაპიდა? — ვეკითხები ხმაურით გაფხიზლებული.

ჩემს თავთით მთვლემარე პაპიდა თავის კანტურს წყვეტს, ზღაპრად იბადრება. ღამეულ მზედ ჩამომნათის და ახალ ზღაპარს ჩამჩურჩულებს.

— მშიერი თაგვები ფხაკუნობენ სხვენზე. ბარაქიან დროებაში დაწუნებულ ჭიან კაკალს შეექცევიან. ნაჭუჭებით კი ფაეტონს მართავენ, ყოყოლოს წისქვილში მიიჩქარიან „თაგვიონის“ სანახაობაზე.

— რა თაგვიონი, პაპიდა? — ჩიტივით გამიფრთხა ძილი...

— ჩვენს პატარა რუზე შესკუპებულ წისქვილებში ორი წარმოდგენა იმართებოდა: ერთს „თაგვიონი“ ერქვა და მეორეს კი „ვირთაგვიონი“. ზემოურ წისქვილს, რომელშიაც თაგვიონი იმართებოდა, გაუჭირდა ერთი ხანობა, გაჩერდა ყოყოლოს წისქვი-

ლი, დაიშალა უნაფქვო თეატრის თაგვიონი. ზარმაცი, უქნარა და სასმელზე თავგაკლული ლენტოს ვირთაგვიონის საქმემ და სანახაობამ აჯობა ალალკაცური ყოყოლოსეული წისქვილის საქმესა და „თაგვიონის“ სანახაობას...

ამბავი ასე დაიწყო: ვაჟა-ფშაველას „სათაგურიდან“ გამოშვებული, ნაპატიები ფიცხელა და მისი ხალხი აღარ დადგა ესტატეს განჯინაში. ესტატეს და ეფემიას ოჯახში მათგან ატეხილი საშობაო ფათერაკისა და ხათაბალის მერე, სტუმრები რომ გაუწბილეს და ლამის მთლიანად ჩაუშალეს პურ-მარილი სოფლის თვალისჩინივით სათაყვანებელ ადამიანს, სინდისმა ისე ძლიერ შეაწუხა ფიცხელა და მისი მოძმენი, რომ ფშავში ვეღარ გაჩერდნენ და ცოდვის მოსანანიებლად იმ სუსხიან, ტალახიან ამინდში ბარიბარ დაეშვნენ, ჩარგალი მიატოვეს.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მოადგნენ ერთ ტკბილხმოვან წისქვილს. შეხედეს და მოეწონათ: ცალკე წისქვილი ღირღიტებს და სიკეთესა ფქვავს, ცალკე კიდევ მეწისქვილე ყოყოლო ჯაფობს და საფქვავს სიმღერით დასტრიალებს. დროს რომ მოიცემს, კედლიდან ფანდურს ჩამოიღებს, მოიმარჯვებს და აახმიანებს:

ვენახს წისქვილი სჯობიან,
რაი უნდა ძლიერ როხავდეს,
წეწკი ცოლ-შვილის პატრონი
ესდა ოჯდეს და ოხრავდეს.

მოეწონათ და მოეწონათ ფიცხელაურებს მეწისქვილეც და მისი თქმულიც, ცალკე კიდევ მშივრები იყვნენ და მიტკალივით ქათქათა პურის ფქვილმა კეთილი ცხოვრების ფრთები შეასხა თაგვებს. ადგნენ და წმინდად აღიარეს თავიანთი დანაშაული და თავსგადანახადი. სიტყვა-გასარიგებელი ფიცხელამ ასე დაიწყო:

— ერთი ალალი და ჩვენი სოფლის თვალი ადამიანის, დალაქი ესტატეს განჯინიდან გახლავართ. თაგვურად ვცხოვრობდით, ესტატეს და ეფემიას განჯინა და თხილ-კაკლეულის კოდი თუ გოდორი აკლებული გვქონდა. კატასაც არაფრად ვაგდებდით; აქაოდა დაბერდა და ღუმელთან იხუხებაო, ისეთებს ჩავდიოდით, ვარცხვენდით პატრონთან, გვინდოდა მოეშორებინა ამდენი ხნის ერთგული ხატაურა. ესტატეს ხათრი და რიდი სოფელში ყველას პირზე ეკერა, ხალხი ერთმანეთს სიამტკბილობდა, რა არის, ესტა-

ტეს გული არ დავწყვიტოთო. აი, ასეთ კაცს იმდენი დავმართეთ, სათაგური შევაძენინეთ. არც ეს ვიკმარეთ, ჩვენი უვიცობისა და თავხედობის წყალობით საშობაო დღესასწაული ჩავუმწარეთ, სტუმრები დავუფეთეთ, ტაბლა წავუბილწეთ, — ალალად აღიარა ფიცხელამ.

— ღვინით სავსე ჭიქა დავუღვარე პატიოსან მღვდელს ესტატეს სუფრაზე, — აწუწუნდა ცელქაც.

— ჩვენი სოფლის ერთ ხელმოკლე, წვრილშვილ მასწავლებელს, ესტატეს სტუმარს, უსინდისოდ გადავახტი თავზე, გული გავუხეთქე კინაღამ, ჩემი ფერი გადავკარ, — აღიარა კუდამაც თავისი ჩადენილი საშობაო ცოდვა.

— რუსეთ-თურქეთის ომის გმირს, ესტატეს საპატიო სტუმარს, კაპიტან მიხეილს ზედ გულზე ვეცი, წმინდა ელენეს ორდენი წავუბილწე ჩემი მოსვრილი თათებით, გული ისე გავუხეთქე ვაჟკაც კაცს, რომ ხმალზე ვატაცინე ხელი, ლუკმა ყელში გავუჩხირე. იმ ხმლით რომ ავეკუწე. ბარემ ღირსი ვიყავი, — ცოდვა მოინანია ბეცამაც მეწისქვილე ყოყოლოს წინაშე.

— ხაშლამის ცხელ, წვნიან ჯამში ოთხივე ფეხით ჩავუვარდი მღვდელ მაქსიმეს, კუდიც დავიფუფქე და ქონიანი წვნით ანაფორაც შევუწუწე, — ფხორამაც დაფქვა თავისი ცოდო-ბრალი.

— ერთი ჩვენა ვმსხდარიყავით ეგეთ გემრიელ სუფრაზე და ჩვენს მაგივრად ეგენი ჩაგვცვენოდნენ ჯამ-ჭურჭელში, ღვინო წაებილწათ, წვნიანიც, როგორ გუნებაზე შევიქნებოდით, — დაიჩივლა ისევ კუდამ და განაგრძო, — თანაც რა ხალხი უსხდა ჩვენი ტკბილი პატრონის, ესტატეს კეთილ სუფრას: რამდენიმე უებრო მშრომელი გლეხკაცი, ხელმოკლე და წვრილშვილი მასწავლებელი, ომებში ნაცადი კაპიტანი, მღვდელი, გზირი და რა გუნებაზე დადგები, ხაფანგში კუდმოკვეცილი კუდა-თაგვი რომ წმინდა ელენეს ორდენზე დაგეკიდება, სხვა რომ ჭიქას წაგიქცევს, შესახვრეპად გამზადებულ წვნიანს რომ ჩაგიწუწავს, პურ-მარილზე ფეხით გადაგირბენს, რომელ შეწყალებაზე უნდა ილაპარაკო და გადარჩენის რა იმედი უნდა გქონდეს! სწორედ რომ კაპიტანი მიხეილის გრძელი ხმლით ვიყავით ყველა ერთად ასაკეპი.

— ერთი სიკვდილი გავათავე, ამ წმინდა წისქვილის მადლსა ვფიცავ, — განაგრძო მოსანანიებელი საბოლოო სიტყვა ფიცხელამ, — სირცხვილი ხომ სიკვდილზე არანაკლებ მწვავდა და მდა-

გავდა. სწორეც გახლდათ სტუმრებისა და დიასახლისის ჩემზე ნაბრძანები განაჩენი. „სადგისით დავჩხვლიტოთო!"

— არა, ბატონებო, — ბრძანა ესტატემ მაშინ, როდესაც მე აღარაფრის იმედი აღარა მქონდა, — დღეს საუფლო დღეა და ეგ. თაგვიც ალბათ რითიმე შესანიშნავია, რომ თავის თანამოძმეთა. თანაგრძნობა მოუპოვებია. უნდა გავათავისუფლოთ! ზოგი ხვთის გულისათვის, ზოგიც მე მიხათრეთ! — გაასრულა ჩემი შემწყალებელი სიტყვა ესტატემ და თავისუფლება მაჩუქა ნაცვლად იმისა, რომ ნემსებით დავეჩხვლიტე, რისი ღირსიც ნამდვილად გახლდით... გვიმსახურე, მეწისქვილე კაცო, მოგვეცი ნება და გასაქანი, რომ ჩვენი დღეღამეური ოფლითა და შრომით ჩვენი ცოდვები მოვინანიოთ, — დაასრულა საყოველთაო სათქმელი ფიცხელამ.

— შრომის საზღაურს რას მოითხოვთ? — ჰკითხა ამბის მოსმენის შემდეგ მეწისქვილემ, — შრომის ყადრს როგორს გამიწევთ. ხვნაში გარიგება ჯობია მკაში გარიგებას, მოგეხსენებათ, როგორ გაირჯებით და ჩემგან რას ირგუნებთ?

— გლეხკაცის მოტანილ საფქვავს წონით მივიღებთ, ხვიმირაში ჩავცლით, დავუფქვავთ, მინდს წესისამებრ ავიღებთ, ჩაგაბარებთ, მისხალ-მისხალ მივუწონით გლეხებს ყველას თავისას, არც ფქვილს დავეკარებით და არცაღა მარცვალს. შრომის საზღაურად, ფქვილის მტვერს, ხრილს ვიკმარებთ, მოვასუფთავებთ — ხრილის მეტი ჩვენ თქვენგან არა გვინდა რა. ქვებსაც მოვკოდავთ, როცა საქმეს მოვიხელთებთ. უცხო თაგვს არ გავაჭაჭანებთ. ციცაურს კი ნუ დაგვიყენებთ ზედამხედველად, თუ ნდობაა, ნდობა იყოს, იმისი ცრუ ღნავილით ტყუილად ნუ წავახდენთ ჩვენ ფიცს, — ყველას მაგივრად მიუგო ფიცხელამ და წინსაფარი აიკრა.

— ყაბულსა ვარ, კეთილი და პატიოსანი, სიტყვას არ გადავალ! — ხელი-ხელს დაუკრა ყოყოლომ. ის-ის იყო, რომ დედაკაცმაც მოაკითხა ბედობა დღის გემრიელი, მცირე ტაბლით. — ასე ტკბილად დამიბერდი, ჩემო ყოყოლო! — ცოლმა ქმარი გადაკოცნა ტკბილიანი პირით და ახლაღა შენიშნა წინსაფარაკრული ფიცხელაურები, — ეს ვაჟბატონები საიდან მობრძანებულან ბედობადღეს, რა გვინდაო? — ჰკითხა ცოლმა ქმარს მხიარულად და ვიდრე მისგან პასუხს მიიღებდა დახალული თხილი, გოზინაყი და სხვა ტკბილეული ისე გულღიად შესთავაზა დამორცხვებულ თაგვებს, რომ იმედის თბილმა ჟრუანტელმა დაუარა ფიცხელაურ ბიჭებს.

ყოყოლომ ცოლს თაგვების ამბავი და მათთან გარიგებული საქმე გაანდო. — თქვენ იცით და თქვენმა ბიჭობამ! ბედნიერ დღეს გვეახელით და ღმერთი სიკეთეს არ მოგაკლებთ. ხელი მოგმართოდეთ, სიტყვა პირნათლად შეგესრულებინოთ! — დალოცა ყოყოლოს დედაკაცმა თაგვიონი და კვლავ შეთავაზა ტკბილეული.

— არა, თქვენი ჭირიმეთ, ფიცის გატეხვით ვერ დავიწყებთ ამ წმინდა წისქვილში ჩვენს საქმიანობას, თქვენ — თქვენი, ჩვენც — ჩვენი, მორიდებული უარი გაუბედა ფიცხელამ ყოყოლოს მეუღლეს, კიდევ ერთხელ მოუბოდიშა ცოლ-ქმარს და წისქვილის დათვალიერებისა და გაცნობის ნებართვა სთხოვა.

ეს დღე იყო და ეს, ბედობა დღე. ამ დღიდან მოყოლებული, პირშეუქცევად შეუდგნენ პირობის მიხედვით ნაკისრ საქმიანობას ფიცხელა და მასზე არანაკლებ მოწადინებული სხვა დანარჩენი თაგვები: ლებანა, ნემსა, ნუშა, ცელქა, ცქმუნა, კუდა, ეცა, ბეცა. საფქვავს უფქვავდნენ გლეხკაცებს, წმინდა ფქვილით ტომრებს უვსებდნენ, კმაყოფილებს ისტუმრებდნენ. თვითონ თაგვები ხრილის მეტს პირს არაფერს აკარებდნენ, სიტყვას არ გადადიოდნენ. ხშირად იყო, მეწისქვილე თავის კერძს შეექცეოდა, თაგვებსაც ჰპატიჟებდა მცირედ ლუკმაზე: წერეთლის მწვადზე და შებრაწულ ნიგოზზე, მაგრამ თაგვები სიტყვას ვაჟკაცურად ინახავდნენ, პატიჟზე უარს ამბობდნენ.

კაცის სამსახურში თაგვების მოსვლამ ბევრი გლეხკაცი მუშტარი მოზიდა ყოყოლოს წისქვილში. მოჰქონდათ საფქვავი გლეხებს, იდგნენ და თვალს ადევნებდნენ ამ პატიოსან, მშრომელ თაგვებს. აღარ იცოდნენ, რითი გადაეხადათ მადლობა ყოყოლოსათვის. დაწესებული მინდის მეტს ყოყოლო გლეხებისაგან ნამცეცს არაფერს ღებულობდა და გლეხებიც მადლიერნი მიდიოდნენ და ქვეყანაზე ყოყოლოს წისქვილის პატიოსანი და შეხმატკბილებული თაგვურ-კაცური სამსახურის ამბებს ჰყვებოდნენ.

დღითი დღე ემატებოდა ყოყოლოს მუშტარი. სანახაობაც ართობდა და პატიოსანი, საქმიანი მიღება-გასტუმრებაც.

ზარმაცსა და სასმელის მოყვარულ მეორე მეწისქვილეს — ლენტოს მანამდეც ემდურებოდნენ გლეხები: მოუკოდავი დოლაბებით გვიფქვავს მარცვალს, ფქვილი და ქვის ნაშალი ქვიშა პირში გვიკაწუნებს პურის ჭამისასო. ყოყოლოს წისქვილის წარმატებამ მთლად დასცა ლენტო. გაალოთა და დააძაბუნა, ათასში ერთი მასავით მოზარმაცო გლეხი თუ მიუტანდა ნაკმაზანარევ, ურიგო

ჰარცვალს, მაშინაც უფრო არყის ეშხით თორემ, პატიოსანი, მშრომელი გლეხკაცობა ზარმაც ლენტოს წისქვილში ფეხს აღარ ადგამდა. ბოლოს, ის თითო-ოროლა მუშტარიც რომ გადაუშენდა ლენტო-მეწისქვილეს, მთლად წახდა. ძველი ალაოსაგან არაყი გამოხადა, ჩაიკეტა თავის წისქვილში. ცხარე წიწაკის მწნილს — ცხარე არაყს აყოლებდა, ცხარე არაყს კიდევ ცხარე წიწაკის მწნილს. ცხარე წიწაკის მწნილს კვლავ ცხარე არაყს და სულ გაილურჯა ცხვირ-პირი ბოლმისა და ლოთობისაგან. შინაც აღარ მიესვლებოდა და იქვე, წისქვილში ნაბდის ძველაზე ეგდო, იქ ეძინა და იქ ეღვიძა.

ოჯახმაც მიატოვა უქნარა და გამოუსწორებელი. ვითომც წყალს წაუღიხარო, — მიაწყევლა მეუღლემ და ქვა მიაგორა წისქვილის კარებს.

ერთ მშვენიერ ღამესაც თვალს ახელს ნაბდის ძველაზე მიგდებული მთვრალი ლენტო და რას ხედავს: მის ნაწუწ ჭიქაში ვირთაგვა ჩაყუდებულა და არყის ნარჩენს წრუპავს. ჭყიტა თვალი ლენტომ, უყურებს საკვირველს, გაფრთხობით კი არ გაუფრთხია ვირთაგვა. არაყი რომ ამოხვრიპა და ამოათავა დაუპატიჟებელმა სტუმარმა, კვლავ პურის ნახორხალს მიუბრუნდა, შეჭამა, მოანამცეცა ღარიბი ტაბლა და კაი მთვრალი კაცის ბარბაცით, დაყრუებულ დოლაბს იქით, ხვრელში გაუჩინარდა.

ლენტომ გუმანი მოიხმო. გუმანმა უთხრა: შეავსე ჭიქები, ნახორხალიც მიუმატე, რაღაც სასწაული გეწევაო...

წამოხტა ლენტო, არყით შეავსო დანარჩენი ჭიქებიც, ცეცხლს ძალა მისცა, ზედ წერეთლის მწვადი შეხანხლა, ათიოდე ლებანიც არ დაიშურა, ისიც დახალა ნაკვერჩხალზე, პურიც გახუხა და თითო სავსე ჭიქას ეს მადის აღმძვრელი სასუსნავიც სათითაოდ შემოეწყო. ტაბლა რომ გამართა. კვლავ ნაბდის ძველზე მიწვა და თავი მოიმძინარა.

გემრიელმა სუნმა საღერღელი აუშალა ვირთაგვების ჯილაგს. მთელი ჯოგი შემოძრუწუნდა წეღანდელი არამკითხე ვირთაგვა ჯაგარას მეთაურობით. ჯაგარა ნაბახუსევი გახლდათ და მწვადნიგვზეულს როდი ეცა სხვებსავით, კვლავ ჭიქაზე აიჩაჩხა წინა თათებით. დაეწაფა და ლამის ნახევარზე დაიყვანა არაყი ჭიქაში. ვირთაგვები სახრავს ჭამენ, თანაც გაკვირვებული ცალი თვალი ჯაგარასაკენ მიურბით. ნაყლაპმა და იშტაზე მოსულმა ჯაგარამ დინგი ჭიქიდან ამოიღო და ზარხოშიანი ჭყივილით შებრაწულ საუზ-

მეს მოუთაროვა. „ურიგო რამე არ იქნებოდა ეგ რალაცაო“, — გაიფიქრეს დანარჩენმა ვირთაგვებმა და მათაც გასინჯეს ჭიქებში ნადგომი სითხე. ერთი ხანობა ემწარათ, ჩამოხტნენ და კვლავ სახრავი აახრამუნეს. ის კია, რომ სიმხიარულე და მადის მომატება იგრძნეს, ჯაგარას ყაიდაზე მათაც წამოიჭყვირეს და სახრავიდან კვლავ სასმელს გადაესივნენ. ამასობაში კარგა მაგრად მირეტ-მორეტიანდნენ და ჭყივილითა და ჟრიამულით თავის ხვრელებს მიაკითხეს. გზა-გზა ერთმანეთს ეხლებოდნენ, მხიარულ, ძმაბიჭურ ქისტაურებს თავაზობდნენ კისერსა და ფერდებში, ცას ეწეოდნენ...

ასეთი ყოველდღიური მასპინძლობით შეიჩვია, გააწუწკა და შეითამამა ლენტომ დაუპატიჟებელი სტუმრები. შარი ხეირად მექცაო! — თქვა და გააღო აქამდე დახშული წისქვილის კარი, კარებწინ გადგა მუყაითად და გამვლელის გასაგონად ძახილს მოჰყვა: აბა, კარგად მოკოდილ დოლაბზე დაფქული ვისაც გნებავთ, მოზიდეთ მარცვალიო!

ჯერ თითო-ოროლა უხეირო, სეირის მოყვარული გლეხკაცი გაჩნდა. იცოდნენ, რა ბედოვლათიც ბრძანდებოდა, ცალყბად შემოიხედეს ლენტოს წისქვილში და პირი ღია დარჩათ: აქეთ წისქვილი ბრუნავს და საფქვავი იფქვის, იქით სანახაობა თვალს იტაცებს — კაცურ ტაბლას ვირთაგვების ხროვა წყობისად შემოსხდომია ვირთაგვჯაგარას მეთაურობით. იბრუჟეებიან არყით, დახალულ ნიგოზს, წერეთლის მწვადსა და სხვა გემრიელ-გემრიელ საუზმეს ატანენ, ილოცებიან, ლენტოს მზესა ფიცავენ, ხვევნა-კოცნასა და გამართულ ვახტანგურში არიან გადაკუდაბმულები.

— მობრძანდით, ძმებო! ჩვენ — ჩვენი, მაგათ — თავისი! მობრძანდით, ხილი იხილეთ, ფქვილი იფქვილეთ, თვალიც გავახაროთ. ერთთავად შრომა როდიღა ვარგა, გული ლხენითა სძლებს! — უხმობდა სანახაობით გაკვირვებულ და პირდაღებულ გლეხკაცებს ლენტო და მწვადიან ტაბლას სთავაზობდა. თვითონაც გემოზე შეექცეოდა ამ ძახილში და უფრო ამითაც იზიდავდა და აგულიანებდა...

ერთ პირდაღებულს მეორე ამოუდგა ზურგში, მეორეს — მესამე... ხედავენ წისქვილიც — წისქვილია. რაღა ზევითა ვზიდოთ, აქ ამისთანა ამბავი ტრიალებსო. ასე, ნელ-ნელა იმატა და იმატა მესაფქვავემ ლენტოს წისქვილში. სასმელი და სადღეგრძელოც თავისას სჩადიოდა და დატრიალდა წალმა ჩარხი.

უმატეს არაყსა და პურ-მარილს ლენტომ და მისმა დედაკაცმა ხურანჯუხტმა. გატენეს წისქვილი საფქვავითა და სახრავით. კარგად გამაძღარ, მთვრალ გლეხებს დიდად აღარ ედარდებოდათ, ქვიშიანი ფქვილი რომ მიჰქონდათ შინ. საცერი და მაგის ჯანიო! — იძახდნენ მთვრალი ყანყალით შინ მიმავალნი...

დღითიდღე აღმა და აღმა წავიდა ლენტოს საქმე. წისქვილი გააფართოვა. პურისსაჭმელი დარბაზი მოადგა, თვით წისქვილიც დენზე გადაიყვანა. ზამთარში ყინულების ჩამტვრევა აღარ მოგვიწევს, შეუფერხებლად, გაუწვალებლად გავირჯებითო, დოლაბი მაინც ბრუნავს, ესეც რამეა, გრამაფონადაც გაეწყობაო, — თქვა და გადაყრილი გრამფირფიტების ნამტვრევები დააჭახრაკა — დააკრა წისქვილის ბორბლებს, სარეკელას წვერი წაუმახვილა — ნემსად აქცია და საყვირ-მაყვირა, მოჭყვიტინო-ხრიწინა მუსიკის ჰანგიც გაუჩინა მოქეიფე ვირთაგვიონს. რომ ნახა, ჩემს იქით აღარსად წავლენო, საქმე გააძვირა ლენტომ. ბოქაული-ციცაური საქმის ზედამხედველად დაიყენა. ბოქაულმა-ციცაურმა თავისი კლანჭიც გამოსდო ამ საქმეს და ვირთაგვებს ხარჯი დააკისრა: ამდენი ხანი რაც მუქთად ჭამეთ და სვით, იმისი მადლობლებიც იყავით მისამარას, თორემ ვაი თქვენს ტყავსო... სადღა წავიდოდნენ, სხვა ვინ გაუმართავდა ასე წუწკმუცელებს ხელსა. მოითმინეს, ხარჯი გაიღეს, სმა-ჭამას კი არ მოეშვნენ. მინდვრის თაგვები შეიტყუეს ვირთაგვებმა, შეიჩვიეს, მინდი შეაწერეს — და ასე დაიძვრინეს თავი გადასახადის ნაწილიდან.

ბარე ორი თუ სამი კარგი დამშვენებული სადედოფლო წრუწუნაც შეაცდინეს და სახეთქელაში თავი მოაკვლევნიეს ვირთაგვებმა, სარჩიელი ციცაურს მოასპობინეს.

შესაფქვავეებმა და ვირთაგვებმა სუფრებიც გააერთიანეს და ერთმანეთში გადად-გადმოდიოდნენ...

* * *

გაუჭირდა ყოყოლოს წისქვილს. იკლო მის წისქვილზე დაყრილმა მარცვალმა. ბოლოს იმდენად გაიშვიათდა მუშტარი, რომ იძულებული შეიქნა წისქვილი დაეყენებინა.

ყოყოლო ფიქრს მიეცა, სცადა გაერკვია საქმის მოშლის მიზეზი. ფიცხელაურებიც ჩაფიქრდნენ. ისხდნენ დღედაღამ საკუთარ

კუდებზე და ფიქრობდნენ, რა ელონათ, წისქვილი რომ არ გასჩერებოდათ. ალალი ლუკმა-პური ხელიდან არ გამოსცლოდათ მეწისქვილესა და მასთან შეფიცულ თაგვიონს.

ბევრი იფიქრა ყოყოლომაც, ფიცხელაურებმაც ბევრი იფიქრეს, დღე და ღამე გაასწორეს ფიქრში: ალალ წისქვილს რად უნდა აჯობოს არამმა და მოუკოდავმა წისქვილმაო? წამოაქციეს დოლაბები, ხელახლა მოკოდეს, თუ სადმე წუნი ეგულებოდათ, ყველა შეასწორეს და განაახლეს, მაგრამ მათი გარჯა ამაო გამოდგა, წისქვილს სულ გაუქრა მუშტარი.

— ან მადლი დაგვაკლდა, ანდა ყისმათი აღარ გვიჭრის, — განუცხადა ყოყოლომ ერთ მშვენიერ დღესაც ფიქრითა და ლუკმის ნაკლებობით დაჩიავებულ თაგვიონს. ზედაც ფანდურს ჩამოჰკრა და მწარედ დაამღერა:

ააქამდე ტკბილი ცხოვრება.
ახლა გვემწარვის მგონია,
ლხენა-სილაღის გამჩენსა,
დარდი რად მოუგონია?!

ფიცხელას ცრემლი მოერია, ყოყოლოს ალალმა აღსარებამ ლამის აატირა. შეეცადა, დარდი გაექარვებინა. ფანდური სთხოვა პატრონს და დაამღერა:

რას ჩააცივდით ჩვენს შიმშილს,
მუცლის და კუჭის ჭყრიალსა?
ღორი მინახავს მაძღარი,
ლაფში რომ შეიქმს ტრიალსა:
ღრუტუნებს, ოხრავს სიმსუქნით,
აღარ ეტევა ტყავშია.
ისიც ვიკითხოთ, რა უყრავ
ოხერს იმ ოხრულ თავშია.

— ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. — თქვა ყოყოლომ დარდიანად, — ამ ქარაგმებით საქმეს წინ ვერა ვწევთ. ჩემს ცოდვას თქვენი რაღაზე მივუმატო?! წადით, ძმებო! — ფანდური გამოართვა ფიცხელას, ჩამორეკა თვალწყლიანმა გამოსათხოვარი სიმღერა:

თქვენ ცოდვას მე ვერ დავიდებ,
გასწით, იმტვრიეთ თავია,
თვითონ მოსძებნეთ სახსარი,

იცნეთ კარგი და ავია,
იკვლიეთ, გამოიძიეთ,
თეთრი რაა და შავია.

ამ სიმღერის მერე საგზალი გაუწყო ყოყოლომ თაგვიონს. გამოეთხოვა, გადაეხვია სათითაოდ. გამოიკეტა წისქვილი და გასწია თავისი ცალთვალა სახლისაკენ.

დაძმარებულმა თაგვიონმა ლოთი ლენტოს წისქვილის ჭუჭრუტანიდან შეხედა. ნახეს ბუქნი და ჩარბუზანა, დასწყდათ გულები, მაგრამ რას გააწყობდნენ. გავიდნენ ბოგირზე და ის-ის იყო დიდ ქალაქში უნდა შეედგათ ფეხი, რომ ბუკნა-ჭოტი დაუფრინდათ წინ. გაისვეს ხანჯლებზე ხელი ფიცხელაურებმა. ჭოტმა შეაჩერა და უთხრა:

— ტყუილად ნუ გაირჯებით, მწიგნობარი ჭოტი ვარ, მინდვრის თაგვებში მონადირე ჭოტებში, ნუ ამრევთ, ბუკნა-ჭოტი ვარ, ბუკინისტური მაღაზიის გამგე. მთელი ქვეყნის საუკუნოვანი სიბრძნე ასაკინძი მიყრია ოთახებში. სიბრძნე მე არ მაკლია, ყველა წვრილად ვიცი, ათაბაბიდან რაღა თქმულა და დაწერილა, თქვენთვის და თქვენისთანებისათვის მინდა ცოდნა გავიღო, თქვენს გასაჭირს მინდა რომ ვუშველო. თუ მომყვებით, წიგნის აკინძვის საქმეს შეგასწავლით, ახალ შრომას გაზიარებთ, ანბანსა და წერა-კითხვას დაგაუფლებთ. სარჩო-სახრავად ქაღალდის ნაკუწებს მოგცემთ. გონების გასახსნელად და ცოდნის შესახვრეპად მუცლის აღორება არ გარგებთ. „სადაც არ იყოს — ცოტა კმაყიროს“, მოგეხსენებათ, ცოდნის ნარეკლიან გზაზე ჰპოვებთ თქვენი ფიქრის და დარდის გასაღებს და იმ ოქროს გასაღებით ჭირი ლხენად შეგეცვლებათ.

ამ ვრცელ სიტყვას კარგად მოუსმინეს ფიცხელაურებმა. დაეთანხმნენ ბუკინისტ ბუკნა-ჭოტს, გაჰყვნენ და წიგნის კინძვა-ბეჭდვის საქმეს მიჰყვეს ხელი. ააწყვეს იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“. ანით დაიწყეს და ჰაეთი დაამთავრეს.

ჰაუ-ჰაუ, ქორო, ნუ ფრენ,
ჩვენს ეზოში დილ-დილასო,
ვერ მოგვტაცებ, არ გაგატანთ
ჩვენს პატარა წიწილასო.

ბევრი სასიკეთო ზღაპარი, მოთხრობა და ლექსი წაიკითხეს და დაისწავლეს ფიცხელაურებმა. ცოდნისა და შრომის ბევრი ოფლი მოიწურეს. ცრემლიც ბევრი დასცვივდათ მშვენიერი ქარ-

თული ზღაპრებისა და მოთხრობების კითხვისას. სულ ცრემლებით დაალბეს და დაპოხეს თავისი ლამაზი კუთხის დიდი შვილის, ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრი“, „მთის წყარო“, „ხმელი წიფელი“, „მთანი მაღალნი“, „წიფლის ჩიტა“, „ფესვები“, „ჩხიკვთა ქორწილი“. „ტყის კომედიაში“ — თავისი გარეგნიძაშვილების დუხჭირი ცხოვრების ამბებმა, ზამთრის სარჩოდ ორმოში შენახული თხილის ბაცაცობამ, გული დასწყვიტა: „ცოდნა-განათლების მადლი არ სცოდნიათ, იმიტომაც უბაცაცნიათ და ალალი, რიგიანი ცხოვრების მადლიან-უსაყვედურო გზისათვის ვერ მიუკვლევიათო საწყლებს“. — შეიცოდეს ფიცხელაურებმა თანამოძმენი. დაფურცლული „სათაგური“ რომ ნახეს და თავისი თავგადასავალი წვრილად წაიკითხეს, სირცხვილისაგან დაიწვნენ. ბევრი კეთილიც მოაგონა მოთხრობამ. ჩარგალი და ვაჟას ტკბილ-ღარიბი ქოხი თვალწინ დაუდგათ, გულზე მწუხრი გადაეკრათ. საშობაოდ ესტატეს შინ მოტანილ გემრიელ ნობათზე პირწყალი წასკდათ. ხან ტიროდნენ, ხანაც იცინოდნენ, გულში იხუტებდნენ ახლად აკინძულ ვაჟა-ფშაველას წიგნებს, ჰკოცნიდნენ, ერთმანეთს უკითხავდნენ, ხარობდნენ და განათლებული გონების თვალით შორს იხედებოდნენ, დიდ, სასიკეთო გეგმებს აწყობდნენ უწიგნურ თანამოძმეთა გასანათლებლად...

ლოთმა, სახელგატეხილმა ლენტოს წისქვილმა, ვირთაგვიონის საძაგლობამ, ალალი, მშრომელი გლეხკაცობის გადაბირებამ და უქმი ცხოვრების გახსენებამ საბოლოოდ გადააწყვეტინა თაგვიონს, რომ სიბრძნის მარცვალი ეთესათ, ემრავლებინათ და ყოყოლოს წმინდა წყლის წისქვილზე დაფქული სიტყვის მარცვლის სპეტაკი ფქვილით გაეძღოთ დამშეულ მოძმეთა გონება.

თავისი თხოვნა და სურვილი ბუკნა-ჭოტს მოახსენეს ფიცხელაურებმა. ერიდებოდათ კია წლების მანძილზე შეხმატკბილებული გონიერი პატრონისაგან წასვლა და განშორება, მაგრამ სათქმელი მაინც გაანდვეს მწიგნობარ მფარველს და ბუკნა-ჭოტმაც ფრთა ფრთას შემოჰკრა სიხარულისაგან, თვალები ააფახულა, წამოიცრემლა და მშვენივრადაც გამოისტუმრა: თითოეულს სანუკვარი წიგნით აუვსო ახალთახალი ხურჯინი, საკუთარი ფრთის ღერი ჩაუდო ჩოხის ქილებში კალმად, ხელის მოსამართი ჯამაგირიც ჩაუთვალა, ბოგირამდე გამოაცილა და გზა დაულოცა...

ამ ყოფით მოადგნენ ფიცხელაურები ყოყოლოს წისქვილს, პატრონი რომ იქ არ დაუხვდათ, შინ მიაკითხეს და დააგუგუნეს:

ვერავინ იტყვის იმასა,
რომ ხმლითა ქვეყნობს ქვეყანა;
ხმალი რას იზამს სალესველად
თუ სწავლა არ დაეტანა?!
სწავლა ციხეა მაგარი,
ნაგები მტრისა შიშადა,
სწავლით გაგვიჭრის ფრანგული,
რიხი ექნება მტრისადა.

მაშინვე გამოეგება ძველი ხრილით გაჭაღარავებული, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგი მეწისქვილე. სიხარულით ცას დაეწია, თავისი ერთგული, ალალი სიტყვის ბიჭების ომახიანი სიმღერა რომ გაიგონა. გადაისვა თმაზე ხელი, გაიყრევინა თეთრი, გაჯიელდა და დაუქმებული წისქვილისაკენ გაუძღვა ფიცხელაურებს.

იმედად გადანახული ერთი ტომარა „დოლის პური" ჩაცალა ხვიმირაში, ღარს წყალი მისცა. წისქვილი ძველებურად აახმიანა და ვიდრე დედაკაცი ცხელ შოთებს ამოყრიდა, საქმის ასავალ-დასავალი გამოიძია. ყველა წვრილად უამბო ფიცხელამ და გეგმაც გადაუშალა კეთილ მეწისქვილეს:

— ცოდნის ლავაში ფურცელ-ფურცელ უნდა დავურიგოთ ჯიბეგავარდნილ ვირთაგვიონებს. სხვა ჩარა არა აქვთ, გამოგვართმევენ. ლენტოსა და ბოქაულ-ციცაურებისაგან გაფრცქვნილებსა და შემოქერქილებს ისღა დარჩენიათ, ნისიად მიწოდებული ცოდნის ლავაში იგემონ, დამშეული გონების ხნულში ჩაითესონ, აზრი გაიღოჯონ და სიბრძნის ყანის მოსავალი მოიმკან და სიკეთისაკენ მოიღონ პირი.

თაგვები გემრიელად აკნაწუნებდნენ შოთის ყუის დაბრაწულ ქიმებს. ყოყოლო კი ხურჯინიდან ამოლაგებულ წიგნებს ჩაჰკირკიტებდა. ანიდან დაიწყო და ჰაეთი ჩაამთავრა. გარიჟრაჟზე გატეხა მხოლოდ ლუკმა ყოყოლომ.

ვიდრე თაგვიონის ფიცხელაური ბიჭები ბუკნა-ჭოტის ბუკინისტურ მაღაზიაში სიბრძნის წიგნის ფურცლებით გონებას იკინძავდნენ, ამასობაში „ვირთაგვიონის" მუშტრებმა უქმი სმა-ჭამითა და თავყირაობით გამოიცალეს ჯიბის ბარაქა. ვეღარც დათესეს, ვეღარც მოიმკეს, რაც ებადათ, გაანიავეს, მთხლეზე დავიდნენ და აზრისეულიც თუკი რამ ეშავათ, ქარს გაატანეს. ლენტოსი და მისი მარჯვენა ხელის, ბოქაულ-ციცაურის კლანჭებში მოქცეულებს თავის დასაღწევი აღარც გონი და აღარც ღონე აღარ შერჩათ. მალე „ვირთაგვიონის" კარიც დაეხურათ. აღარც მარცვალი, აღარც

სახსარი, აღარც გონი. დაჟანგებული გუთნები მიწამ შეუჭამათ... არც გამდიდრებულ ლენტო-მეწისქვილეს წაუვიდა უკეთ საქმე: ფულის გაყოფისას ბოქაულ-ციცაურთან დიდი შეხლა მოუვიდა. სულ თავ-პირი ჩამოაფხრიწეს ერთმანეთს მანამდე შეხმატკბილებულმა მეინახე დოსტებმა.

„ვირთაგვიონის“ წევრებმა გაბედეს და სულ თითო-თითოდ აიტუზნენ „თაგვიონის“ განახლებული წისქვილის კარებთან... წისქვილის ღია კართან ფანდურს აწკრიალებდა ყოყოლო; ძველ-მეწისქვილურს კაფიაობდა:

წისქვილის ამბავს თუ მკითხავ,
მე მოგახსენებ, რა უნდა:
სათავე აშენებული,
ღარსა პირამდე თლა უნდა,
ქვეშ სახეთქელა ბორბალი,
შიგნით ლამაზი ქვა უნდა,
ხვიმირა სარეკელაი,
საკონწიალო სხვა უნდა...

ვიდრე ყოყოლო მღეროდა, ამასობაში ფიცხელა, ლებანა, ნემსა, ფხორა და მთელი გოგო-ბიჭები გონიერი სიტყვის მარცვლის ნაფქვის ლავაშს ნისიად ურიგებდნენ დამშეულ-დაძაბუნებულ „ვირთაგვიონებს“. ამ გზითა და ამ ცდით მათაც გაუჭრა გონებამ, კარგი ავისაგან განასხვავეს, შრომასა და ხვნა-თესვას მიჰყვნენ, წიგნს ხელიდან აღარ უშვებდნენ ვირთაგვიონელები, გუთანს მართავდნენ, ფარცხავდნენ, მკიდნენ, ლეწავდნენ, თაგვიონელთა სესხსა და ვალს ისტუმრებდნენ, თანდათან ფეხზე დგებოდნენ...

შრომამ და სწავლამ ხელი-ხელს დაჰკრეს და წაქცეული ბურჯი მტკიცედ დააყენეს ფეხზე. ამუშავდა მეორე წისქვილიც. ახალი წისქვილები აიგო წყალზე.

* * *

გამოხაპული დიდი გოგრის ფაეტონით დავყავდი პაპიდას თაგვიონის წარმოდგენებზე. ვაშლის ჩირის რბილი ბორბლები რბილად მიგვარწევდნენ წისქვილისაკენ. ჩვენი ვენახის ერთგული ზღარბი — ბუძგა გვება ცალცხენეულად ფაეტონში... ბუძგამაც ბევრი ზღაპარი იცოდა ვენახეული. გვიამბობდა და გვართობდა გზა-გზა...

„თაგვიონის“ ბოლო სანახაობად საპალნის ქვეშ დაბერებული უდაბნოს ხომალდის, აქლემისა და მისი ლეშის შესაჭმელად, აქლემის ფეხდაფეხ მადევარი მაწანწალა მელიის ამბავი თამაშდებოდა ყოყოლოს განახლებულ წისქვილში.

ერთმანეთზე შემსხდარი თაგვები ფქვილის ტომარას ჩამოიცმევდნენ, ზემოთ ამოღებული ტომრის ყელიდან თაგვი-ფიცხელა იხედებოდა და აქლემის სათქმელს ჰყვებოდა. თაგვი-ფხორა კი, წინა სანახაობაში რომ ბოქაული-ციცაურის როლს ასახიერებდა, ამჯერად მელად გადაიქცეოდა და მელას ჰბაძავდა. აქლემი და მელა სიმღერით ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. შესავალ ამბავს ყოყოლო მღეროდა:

აქლემი გახდა ავადა,
გაჭირვებული კვდებოდა:
სულის დალევას ლამობდა,
სიცოცხლის ძაფი წყდებოდა;
სნეულს ვით ჭირისუფალი,
მელია გვერდსა ხლებოდა.

ავადმყოფი, მწოლიარე აქლემი უდაბნოში თავისი ცხოვრებისა და მძიმე შრომის თავგადასავალს ჰყვებოდა: „რამდენი დიდი მგოსანი მიტარებია ზურგით, რამდენი დიდი მხედარი საღსალამათი გამომიყვანია ბრძოლის ველიდან, რა თვალმარგალიტი და ზინათი მიზიდია ბაღდადისა და ისპაჰანის საქარავნო-სავაჭრო ბაზრებზე. უდაბნოს მხურვალე ქვიშის მტვერი მივსებდა და მწვავდა თვალებს. ეკალი გახლდათ ჩემი საკვები. სახედრის გარდა ყველასაგან დაწუნებული ნარეკალა, ახალ მთვარემდე ვძლებდი მწყურვალი“.

მელას შენიშნავს აქლემი და შეეკითხება:

მითხარი, გამაგებინე,
რისთვის დამყვები, მელაო,
ავად რად მიცქერ, ჩემგანა
განა რა გახსოვს წყენაო?!

მელა ურცხვად მიუგებს:

შენ სიკვდილს ვუცდი, აქლემო,
კანჭმრუდო, კისერგრძელაო:
მალე შევესწრო, შენთვისა

ღმერთს რომ დღე დაებნელაო;
მივუჯდე შენ ლეშს უშიშრად,
შევექცე ნელა-ნელაო.

აქლემი მიუგებს:

ვაი, რომ მოტყუებულხარ,
შე ბრიყვო, ჰკუათხელაო:
მანამდე გრძელი კისრიდან
მე სული ამომხდებაო,
ათასჯერ მოგკლავს შიმშილი,
შე უბედურო, შენაო!

თავისი სიტყვის დასტურად აქლემი ფეხზე დგებოდა და იძახდა: — მშრომელი კაცი თავისი ცხოვრების ფეხდგომელა ძეგლია! ავდგეთ ფეხზე, მელებს რომ თავი არ შევაჭმევინოთ! — ამ სიტყვებთან ერთად აქლემი ფეხზე დგებოდა და მნახველნიც ფეხზე ამდგარნი უკრავდნენ ტაშს.

მერცხლები

სათაური კი დავაწერე, „მერცხლები“, მაგრამ, მაინც ვეძებ უკეთესს... მერცხალი... მერცხლები... რამდენი მერცხალიც დაფრინავს დედამიწის ზურგზე, ალბათ იმდენჯერ არის ეს სათაური ნახმარი. მერცხალი... მერცხლები... კაცი-მერცხალი.. კაცი-მერცხალი თუ შეიძლება, ქალი-მერცხალიც შესაძლოა... შარიანი სათაურია. ყველა ცას აეკვრება, ქალიც, კაციც... არა, მთლად არ ესადაგება სათაური „მერცხლები“ ან „მერცხალი“ წინამდებარე მოთხრობების მასალას, რომლის თავმოყრასაც ვაპირებ ამ ფურცლებზე... ადამიანური, ყოფითი მოტივებია და რა შუაშია მერცხალი?! საჭირბოროტო მოტივებია, თანაც გადასაწყვეტი. რა ადვილი იყო მდინარის ტოტის გადაწყვეტა, დაწყვეტა... როგორ უმწეოდ ეყარნენ ხოლმე კალმახები ხრეშიან ფსკერზე ან მცირე გუბეებში. ლოდებქვეშ!.. რა ადვილად კარგავს ფხას გუბეში წყალი. დუბელად გადაიქცევა და ხელაობით თუ ვერ მიაგენ ქვის ქვეშ შეყუჟულ კალმახს, მოგვიანებით თვითონ ამობრუნდება გულაღმა დამყაყებული წყლიდან...

„მეზარმაცება“ რომ დამერქმია სათაურად, გამართლებული იქნებოდა, ამართლებს ჩემს განწყობილებას. რამდენი ასეთი მო-

თხრობის მერცხალი მოფრენილა ჩემი თვალის ფანჯარასთან, წარბზე ბუდე გაუკეთებია... გიკვირს განა?! სად „მერცხალი“, სად „თვალის ფანჯარა“ და სად კიდევ „წარბზე გაკეთებული ბუდე“... სათვალეს კი აქვს ქარქაში, ბუდე, მაგრამ, „თვალი-ფანჯარა“, „წარბი-ჩარჩო“, გაგონილა და თქმულა?! ანდა, „წარბზე ბუდე!..“ რამდენი საჭიდაო, უარმყოფელი აზრი ჩნდება მოთხრობის წერისას?!

რამდენი მერცხალი მოფრენილა ჩემი თვალის ფანჯარასთან, წარბზე...

არაესთეტიკურად ჟღერს... „წარბზე ბუდე გაუკეთებია“. ბუდეში ბარტყები იჩეკებიან... სანიტარული ნორმების დაცვაა საჭირო... ბარტყებმა კი იციან ეს და შიგ, ბუდეში არასოდეს არ წიტავენ, მაგრამ, მოთხრობას რომ იმაგრებ ბუდესავით და ქვეყნის ჯარ-ჯამაათი გნებავს ააკივკივო შიგ, სად გინდა წავიდნენ... მაშინ, ფრენის უფლებაც უნდა მისცე და მიანიჭო...

ფრენა ყველას არ შეუძლია!.. ხედავთ, როგორ გართულდა ერთი მოთხრობის დაწერა?! ეს კიდევ არაფერი... რედაქციის ფანჯარასთან რომ მიიტან შენს მერცხლის ბუდეს და რედაქტორი ორივე წარბს ასწევს, კოპად შეიკრავს, ანუ აიკაპიწებს შარვლის ტოტებს, წყალში რომ მშრალად გავიდეს და გაღმა ნაპირიდან გითვალთვალოს, თუ რა წყალს მიეცემი შენი ბუდეებიანად?! არა და ცხოვრება სასწაულად იცვლება შენს თვალწინ. ასი წლის წინათ აწეული და შეკრული წარბის ქვეშიდან უმართებლოა გაღმური ჰვრეტა გამოღმისაკენ. ცხოვრება პასუხს მოითხოვს ყოველწუთიერად, მტკიცე და გადამწყვეტ პასუხს იმის თაობაზე, თუნდაც რომ კარგი მერუე, კარგი მრწყველი ერთ სოფლად ღირს. დღედაღამ რომ წყალში დგას დაქარიანებული და წელკავიანი, უდიერი ბრიგადირი კი მასაც იმდენსავე შრომადღეს უწერს, რასაც, თუ რამდენსაც, მაგალითად, მთიბავს, ან, მეთოხურს, ან... არგებს განა, დღევანდელ გადაუდებელ, ინტენსიური სოფლის მეურნეობის სასწრაფოდ გადასაჭრელს, თანაც შეუმცდარად გადასაჭრელ პრობლემებს, გაღმიდან კოპებშეკვრით გამოღმა მაცქერალი ბრიგადირის შორიდან თაყაობა?!

* * *

რამდენი ასეთი მერცხალი მოფრენილა ჩემი თვალის ფანჯარასთან, ბუდე გაუკეთებია, უეღურტულ-უჭუპრავია, ბარტყები დაუჩეკავს, დაუფრთიანებია, მელნად დაუქარგავს დასიცხული აგ-

ვისტო, ყვითლად გადაჭანგული ველები. მერე, ამდგარა და გაფრენილა მთელი თავისი ლურჯად დაწინწკლული სანოტო სისტემით — ბარტყებით, გაფრენილა და დარჩენილა ქართლის ველებზე, სოფლის თავებზე გარდამავალი სველი ხაზები გაუშიფრავად მოზუზუნე კავშირგაბმულობისა; ბოძიდან ბოძამდე წვიმით დამძიმებული, როგორც ნაღვლიანი კაცის ქუთუთოები... გამოქანდება ბეღურა, ეს შინაურივით ერთთავად ერთგულების მოყივყივე ფრთოსანი თაგვი, გამოქანდება და, როგორც ქართლში იტყვიან, ტყაპანს გაიღებს, შეძვრება მერცხლის ბუდეში, დაისადგურებს და აგიცენცავს სულის ყოველ მარცვალს, ყოველ ნამცეცს. უფრო დაგინაღვლებს ზამთარს თავისი აბუზული ჩრიპინით. შეგიწუხებს სულს, გადაგიწურავს იმედის წყაროს...

რამდენი მერცხალი გამიფრენია ასე. გამიყოლებია დამძიმებული თვალი გაუშიფრავად მოზუზუნე კავშირგაბმულობის მავთულ-ხაზებიდან. მერე, მთელი შემოდგომა, მთელი ზამთარი და ნაწილიც გაზაფხულისა მიცქერია ცარიელი ბუდისათვის, როგორც მოკირული, ცარიელი ქვევრისათვის, რომელშიაც საუკუნეთა უწინ, წინაპარი მევენახე პაპა ჩადგმული კიბით ჩაუყვებოდა, როცა მრეცხავი-მერცხალი ვაჟები მოკლე სარცხებით ამოილალებოდნენ უშველებელი ქვევრიდან. ამოილალებოდნენ ოდნავ დაბანგულნი, მუშაკაცის ოფლით შუბლდაცვარულნი... ჩავიდოდა ის ჩემი პაპა თუ პეპერა უსმელ-უჭმელი, ფხიზელზე უფხიზლესი, შეისუნთქავდა, მრეცხავი მერცხალი ვაჟების გარეცხილი ქვევრის ამონასუნთქს, შეამოწმებდა ქვევრის სიწმინდეს, ხელის გემო რომ არ შერჩენილიყო და არ შეჰყოლოდა ლეჩაქიან დიდედათა უებრო ხელით მონაკრეფი მტევნების უმანკო წვენს...

ჟამთა სიავით, მამაკაცთა სიმცირით, იდგა მარანი ქონგურმორღვეულ სათვალთვალო კოშკზე მიყრდნობილი და მიყურსული ჩემი ბალღობის ჟამს. უსტვენდა ქარი გაღნიოშებულ კარ-ფანჯარაში, აჟღარუნებდა მოტეხილი მტევანივით დაკიდულ რაზას....

ათეულწლობით წვენმიუწვდომელ, უბადაგო, პირამოხახულ თვალუწიერ ქვევრებს ჩავცქეროდი, კენჭებს ვყრიდი შიგ სათითაოდ და ყურს ვუგდებდი ქვევრებიდან ამომავალ ჩქამს...

ღობეშემოძარცულ ვენახში, შემოდგომობით, ფეხმძიმე დედაკაცის ბოლო, მეცხრე, სართვლო თვის სიმძიმით ძუძუდამძიმებულ ვენახს უტიფარ მეჯოხეთა ღორების დინგწვრილი, წვრილთვალა

კოლტი შეესეოდა, შეუდგებოდა და დღენიადაგ უზანგში ნატარები მხედრული ტერფის ნაცვლად, მშიერი ქოსმენის დინგში შეყრილი ეშვები თქვლეფით წურავდნენ დამკრახული შავკაპიტოსა და თავკვერის, ბუდეშურისა და მუხამწვანეს, თითასა და ხარისთვალას მტევნებს.

დამშეული, მაწანწალა, ყურძენზე გაწუწკებული, საშიშად ამძუებული ძაღლების ქარავანი მოიმცვრევდა ბოლოს ღვთითკურთხეული ვენახის წლის მოსავალს და...

ვყრიდი გამჭვირვალე მარცვლებივით ლამაზ კენჭებს ყელამოხახულ, ტუჩებდამსკდარ ვეებერთელა ქვევრებში დამძიმებული ქუთუთოებით, ყურს ვუგდებდი ჩქამს ქვევრიდან, როგორც საუკუნეთა სიღრმეებიდან აღმომავალს, „ქართლის ცხოვრების“ ვაზური ფოთლების ამონათქვამს...

მთავარი, თავი და თავი სათქმელი ფრთამოტეხილ, მორბენალ მერცხალზე, გვერდით ჩამომრჩა. ცარიელ ქვევრებში აღმოვჩნდი მერცხლის ბუდის ნაცვლად, თავხეზე რომაა მიდუღებული ჭიკჭიკითა და იმედებით სავსე...

ქვევრში მრეცხავები ჩაილალებოდნენ და ამოილალებოდნენ. მე კენჭებით ამოვპირე და წამოველ... განათლების ბუდეების ჩხრეკვით...

ჩვენი ოდინდელი მარბევალის ისლამის მოპირულ ყურს რომ ესმას ეს სიტყვები, „ჩაილალა და ამოილალა“, — იტყვის, ალლაჰის სადიდებელ ფორმულას შემოკლებით ბრძანებსო „მერცხლის“ ამბის მთხრობელი: „ლა-ილლაჰ ილ-ლალაჰ ვალ მუჰამმად...“ და ასე შემდეგ...

არა! ლალი კეთილშობილი თვალია! მის ჩათვლას, ჩალალვას, სამკაულის კოლოფში ჩამარცვლა-ჩაწყობას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვა, „ამოლალვა“ კი ამოკრეფას, სამკაულის სათითაოდ ამოცანცვლას ესადაგება და არა „ილლა-ლლაჰს“, ანუ, „ალაჰის“ სადიდებელ მოკლე, მუსლიმურ ფორმულას.

გამორიცხული არ არის, რომ ქართველმა ენაკვიმატმა კაცმა მუსლიმთა თარეშისა და პროტექტორატის დროს იხუმრა მოლას ქადაგების მოსმენისას: „შეხეთ, რა ამბით ჩალალა და ამოლალა ამ ოხერმა!“ — ლალივით ჩამარცვლა და ამომარცვლა ლოცვანიო...

გადავუხვიე სათქმელს კვლავ, გადავიპარე მოუკრეფავში. განზრახ როდი მომდის, სიტყვა გამიტყუებს ხოლმე: „აქეთ მო!“ —

ჩამჩურჩულებს და გზიდან გადამიყვანს. აი, ახლაც მთავარი დამავიწყა — მერცხალი...

თურქების მიერ მიტაცებულ ქართულ მიწაზე მცხოვრები ქართველობა, არდაკარგული ქართველები, მერცხალს საქართველოს მაცნედ თვლიან და პატრონობენ როგორც ბარათის მომტანს, სამშობლოს — დიდი საქართველოს მაცნეს. შეჰხარიან: „...სტამბოლსა და იზმირში არ იცის, ჩვენს სოფელში კი ბევრი ბუდობს. ხალხი ძრიელ პატრონობს. საქართველოს მახარობელია მერცხალი“, — უთქვამს იქაურ დამდუღრულ ქართველს...

„ძრიელს“ ქართლში დღესაც ზუსტად ისეთი კუთხური ცთომილი სახით წარმოთქვამენ, როგორც 400 წლის წინათ. „ძრიელს“ ამბობენ ქართლში დღესაც ძველები, რომელთაც სკოლაში არ უვლიათ და ზეპირი, დედის უბნობით, დედის ძუძუს თამაშ-თამაშით შეუსისხლხორცებიათ მშობლიური ქართული.

კვლავ გადავუხვიე სათქმელს. გამიფრინდა მერცხალი... თორტიზაში ვარ. დამკრახ-დაშაქრულ თორტიზაში. ვემუსაიფები ახლად, მაგრამ გულწრფელად შემეგობრებულ ექიმს. გორის მთავარ დასტაქარს. საქმითა და საქციელით დამშვენებულს, საშუალო ასაკის გემრიელსა და საყვარელ კაცს... დასტაქრობისა და კაცური გამჭრიახობის ისეთი ფართო დიაპაზონი აქვს გივი-ექიმს, რომ საქართველოს ნებისმიერ საავადმყოფოში, უფრო შორსაც, უფრო მეტი მასშტაბებითაც ალალად შეძლებს მთავარი ქირურგის სახელის ტარებას...

გაჭირვებამ შეგვახვედრა, შეგვაყვარა ურთიერთი და ან იქითობას, ან აქეთობას რომ არ შევურბინო, არ გადავეხვიო და არ ჩავიხუტო, გული ვერ მითმენს. თვალში რომ ჩაუვარდეს, არა კაცი ხელს არ მოისვამს, ისე ჩაჰქრით გულში გორელებს ჩემი მასპინძელი. არადა, ისიც სტუმრადაა თორტიზაში. ახალი სიძე-ბატონია. კვირა დილით, საავადმყოფოს მონახულების შემდეგ აურბენია გორიდან თორტიზაში სიდედრიანთ მამულში. ნებივრობს, რაღაცას ფათურობს, როგორც ტალ-კვესიდან აბედზე გადმონთებული, ისე გადავეხვიეთ და გადავედ-გადმოვედით ერთიმეორეში.

რა იტყვის იმ დღის სიკეთეს, რა ენა ჩათაფლავს იმ ქარვისფერ კრიალოსანს, თორტიზაში რომ იყო გაბმული ვენახ-ვენახ, ბაღ-ბაღ, ზვარ-ზვარ, ალვა-ალვა!.. თითქოს გამძაფრებული ქვეყნიერება ლაპარაკით მოიღალა, დადუმდა, გაიტვრინა და დუმილის საკვირველებით მოხიბლულმა ყველამ და ყველაფერმა პირი უსი-

ტყვოდ დააღო მყუდროების სიდიადით გაოცებულმა და სახტად დარჩენილმა... ხეები უხმოდ ათამაშებდნენ მწვანე უბეზე აკინძულ ლოყაწითელ ნაყოფს, ჩუმად ეფოთლავებოდნენ, არ ბზუოდა ბუზი, კრაზანაც ყრუდ დაბობღავდა საპირიწამლედ მორთმეულ დამტკბარ ჭანჭურზე, განაპობ ატამზე, მარილმოყრილ სიმინდის ტაროზე...

კაკანაში ეძინა ჩვილს და სუნთქვაც არ ისმოდა მისი... მზე სადღაც იყო და იქიდან ჩამოყვითლებული უხმო ნეტარებით გვითვალთვალებდა ჩრდილქვეშ, გრილად გატვრენილ მოკეთეებს, შემოფარება ეწადა...

ჩიტები ხეთა ფოთლებს შეფარებოდნენ ზროსთან ახლოს, შუაგულის სიგრილეში...

იდუმალ ხმად ჩამესმოდა ჩიტიშვილის მანანური:

მიწას,
ასჯერ გადაბუგულს,
თავზე ადგას სვეტი ნათლის,
პირჯვრის წერით სათქმელია:
ზემო,
ქვემო,
შუა ქართლი.
ქართლო, საქართველოს ძირო,
ქართლო, საქართველოს ფარო...

სიყვარულით დაბანგულები ვისხედით და ერთმანეთს ვათვალიერებდით ქართლის ცისქვეშ...

გაბუტული იდგა ლალისფერი კამკამა დოქი და იშვიათობას ჰკვირობდა... თავშეკავების კანონისა არა იცოდა რა ხელადამ და ჰკვირობდა.

არც უსმელობა იქნება, მოგეხსენებათ და ნუნუაც თავის ადგილზე ჩადიოდა. ჩადიოდა და ფესვებიდან უხმოდ ამოჰქონდა უსიტყვო სიკეთე ნათესავთა ქართლოსიანთა:

ავაგე ესე კოშკები, დავდგი ლაგამად მტერთათვის,
ყოველგან დასახედავად, ყოველთა — მრავალფერთათვის;
შუებამ, შაჰვამ და საწუთრომ — ლხინმა მამისა ერთათვის,
და გოლიათად...

და მეტი აღარ იკითხებოდა ზემო ქართლის კოშკისეულ ლოდზე, სახლის კუთხის ქვად რომ ეხმარა ვილაცას. შემთხვევით და

ზეგოლიათი ლოდით უნებლიეთ შეემტკიცებინა გარდასული სიდიადეც. ყოფად და მხოლოდ სამყოფად ანაგები ბოსლური ოდისათვის...

ჭაში ჩაკიდებული ლალისფერი დროგამოშვებით ჩააკითხავდა მამა-პაპურ ხეთა უძველეს ფესვებს და მერქან-მერქან, ძარღვ-ძარღვ ამოჰქონდა აზრი ჩვენის არსობისა...

ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი უხმო და გემრიელი, ახალგაზრდა ბიძაშვილის შვილი მახლდა თან. ცხრაასი კილომეტრი გავიარეთ მისი მანქანით წინა, შაბათ დღეს. მოვქანცე, დილაუთენიიდან კვირის ძირამდე ვარბენინე საბიძაშვილო, გადაუდებელ საქმეზე. საქართველოს უკიდურეს საზღვრამდე ზღვა-ზღვა და უმალ — უკან. ხმა არ ამოუღია, თავს მევლებოდა ჩუმი ფუტკარივით, ახალგაზრდა, ჩემი სისხლის წვეთი, ჩემი ბიძაშვილის შვილი ჩუმად გვივსებდა გვიან-გვიან დაცლილ ჭიქებს.

მთელი შაბათი მე დამითმო, საიდან სად ჩამიყვანა და ამომიყვანა ხმის ამოუღებლად. კვირადღეც ჩემს სამსახურში ჩააყენა; ქართლის ველი ხელისგულზე დამიდო.

სიკეთეს ჩამოთვლა არ უყვარს. ახლა ვამბობ, თორემ იმ დათაფლულ სიჩუმეში ხმას როგორ ამოვიღებდი!..

— მძივივით შეგვება სიჩუმე. ასეც არ ვარგა, ხმა ამოვიღოთ. ,აცი გვაკლია, ვატყობ. გურამ, მობრძანდი! — კარის მეზობელი შემოიპატიჟა ჩემმა მასპინძელმა. მერცხლისფერი პერანგი ეცვა მეზობელს. მერცხლის სიმარდით შემოფრთხიალდა. იშვიათი, ზღაპრული სილურჯის თვალები შემოასხივა: „სოსანზე უფრო სოსანი“. ჭიდან დანახული სექტემბრის კრიალა ცისფერი...

იშვიათია ქართლში ცისფერი თვალები. ასეთი მუქი, სილურჯეს მიტანებული კი უიშვიათესი...

.ოჯახის უფროს სიძესაც ცისფერი თვალები ჰქონდა, მაგრამ ასეთი ლურჯი არა და არა. „ეზოში ჭა ამომყავსო“, — მოგვიბოდიშა ძველმა სიძეურმა და დროდადრო შემოგვირბენდა. საქმეს თავს არ ანებებდა. შორიახლოს ედგა ბინა, მეუღლე და წყვილი ჩვილი აკვნებით მოებარებინა სიდედრიანთა. კაკანაში ჩაკრულ-გასუსულ ბალღებსაც მამისეული ცისფერი უკრთოდათ თვალებში. „ალბათ ჭიდან ამოსდევთ-მეთქი“, — .გავიფიქრე. გახუნებული ცისფერი თვალები ჰქონდა დიდედასაც. მის სამ ქალიშვილს, გივის მეუღლეს და ჭისმთხრელისას, ბაცი ყავისფერი, თითქმის ჩვეულებრივი ფერის თვალები ჰქონდათ. მათი უფროსი და მუქ ყავის-

ფერს რჩეულობდა. ყორნის ფრთით წარბები მოეხატა, ყინწვისის ანგელოზი ჩამოფრინდაო თითქოს, გაგაქცევდა და დაგაოკებდა ოცდაათს მიტანებული ან გადამეტებული ეს ღვთის ჩანახატი ქალიშვილი გაუთხოვარი ფრთხიალებდა დედის უბეში...

ზღვიდან ამოყვანილივით ლურჯთვალა, მერცხლის ფრთამოსმული მეზობლის ვაჟიც უცოლო გახლდათ. „ოცდარვისა ვარო", დამნაშავის სიმორცხვით გამოგვიტყდა, თავისი პირით ბრძანა. არა და, სახლ-კარი გამართული, საკარმიდამო დახუნძლული და მზეჩამდგარი. სამოცი წლის ჭარმაგი და მხიარული დედ-მამა, ორი და... ამ სიმდიდრის, დოვლათის პატრონი, მოწოდებითაც და უმაღლესი განათლებითაც სპორტსმენი კაცი, გამოირკვა, რომ თბილისში ქირითა დგას, მცხეთის რაიონის რომელიღაცა ქარხანაში შრომობს. ერთი ახალგაზრდა კაციც შემოგვესწრო, ისიც მეზობელი, ისიც ოცდარვა წლის, ისიც გამართული და ისიც უცოლო. იჯდა თვალებდათაფლული და მოთმინებითა და ღიმილით უძლებდა ჩემს მართებულ-დაშტამპულ ტატანს:

— ოცდაოთხისამ შევირთე-მეთქი, — ვლაქლაქებდი.

მითმენდნენ...

მერე მოვიღალე და გავჩუმდი...

გვიც წასასვლელი იყო, ჩვენც ვეშურებოდით. წამოვიშალეთ. გივი-ექიმი ცოტა ხანს შეყოვნდა. მისაბრუნ-მოსაბრუნი ჰქონდა ახალ ფუძეზე: მეზობლები შემოდიოდნენ. მცირე, სამეურნეო ტრავმების შესახებ ემასლაათებოდნენ, რჩევებს ეკითხებოდნენ.

მე და მერცხალა-ბიჭს თბილისის გზა გვქონდა და დავწყვილდით. ბიძაშვილმა გორის ყელთან მიგვიყვანა გამვლელი მანქანის სალოდინოდ.

ვიდექით გაგანია სიცხეში, გორის გოლიათი ვერხვი შორიდან გვიჩრდილავდა. ახლოს მისვლა და მისი ნამდვილი ჩრდილის ქვეშ დგომა შეუძლებელი იყო რიარიათ მიმავალ-მომავალი მანქანების ნიაღვრისაგან. გზის გამყოფად, მოძრაობის ბუნებრივ მომწესრიგებლად აყუდებულიყო ეს ძველისძველი ვერხვი შუაგულ ტრასაზე. ოთხი-ხუთი კაცი ვერ შემოუწვდენდა მკლავებს, იმოდენა რამ იყო.

ვიდექით ასფალტის მტვერსა და მანქანების გამონაბოლქვის სულთამხუთავში, მგზავრად გაყოლის მოლოდინში მე და ეს ჩემი თორტიზელი მერცხალი. ვინ ეშმაკს უნდოდა ჩვენი დამგზავ-

რება ამ ბულსა და სიცხეში!.. ხალხით გადაჭედილმა ავტობუსმაც ჩაგვიარა...

ვიდექით...

ერთი გაქცევა კი იყო თორტიზამდე. განა მარათონული გაქცევა, არა, საკუთარი ჯანმრთელობის მოსაწესრიგებლად რომ დაძუნძულებენ, აი, ასეთი მარშრუტი ეყოფოდა ამ ბოლოდან — იმ ბოლომდე, თორტიზას ბოლომდე...

არა და ვიდექით მე და ჩემი თორტიზელი მერცხალა-თანამგზავრი გორისთავის დიდ ჭადართან, მტვერსა და ბოლში გახვეულები...

ნუთუ აქ მთავრდება მოთხრობისათვის შეგროვილი მასალები? ბოლოს და ბოლოს, გარდა გარეგნობისა, სწრაფი მიხრა-მოხრისა განა ისეთი რა იყო საინტერესო და მეტად გასავრცობი, რომ აგერ აქ, გორის თავთით მდგარ გოლიათ ვერხვთან არ დამთავრდეს სათქმელი: „მერე ჩავსხედით თბილისს მიმავალ რომელიღაცა მანქანაში, ჩავედით და ჩვენ-ჩვენ გზაზე გავსწიეთ...“

არა, ასე არ ივარგებს. ბრიგადირი პასუხს აგებს დღეს თავის მრწყველზე, მერუე-კაცზე, ტბორში რომ დგას და ურურუებს მამულს მაცოცხლებელ წყალს წარღვებში... არ უნდა გაგექცეს პატიოსანი, ტრადიციული, მრწყველად დაბადებული კაცი სოფლიდან იმის გამო, რომ ვერ შეაფასე, ბრიგადირო, იმისი მადლი. შრომადღეების მადევარ და მოწუწუნე, ცალფეხად სოფელში და ცალფეხად კი ქალაქს მაჭყეტარ თანასოფლელს გაუიგივე ეს ტლაპოიანი, წელკავიანი, მეტბორე-მრწყველი და ამ შენი უგულობით იმდენი ჰქმენი, რომ...

ძველად, გვალვიან ქართლში მრწყველებს ერთმანეთი დაუხოციათ ბარებით: უსამართლოდ რატომ გადაუყელე წყალსო. რად დამსვი მშრალზე, რად ამიტირე ცოლ-შვილიო! — იყო ბრძოლა, სიკვდილამდე ბრძოლა წყლისათვის აი, აქ, ქართლში, აღმოსავლეთ საქართველოში, ძალიან ბევრგან...

არხი-არხზე გადად-გადმოუდის დღეს ჩვენს მამულებს, რწყვის სურვილი და, რაც არანაკლებ მთავარია, რწყვის კულტურა სოფრომ მგალობლიშვილისა და ნიკო ლომოურის დროინდელზე გაცილებით დაბალია.

აქაოდა, არხები გვაქვს თავისი ჩამკეტებითა და ერთი ამბებითო, ზოგი მეურნე მიუშვებს თავიდან ბოლოსაკენ მჩქეფარე ნაკადს. რიგთაშუა მიურუებს და მიუტოტებს, მიაქვს თქიშინ-თქი-

შინით გაქცეულ წყალს მიწის წიაღი თავიდან ბოლოსაკენ, რეცხავს სასარგებლო მარილებისაგან მიწას, აქაოდა, სასუქი ვაგონებით მოგვიდისო..

ცელინოგრადელთა წინაშე გამოსვლისას მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა ისეთ მეურნეებზე გაამახვილა სწორედ გულისყური, ისეთ ხელმძღვანელებზე, რომლებიც ადვილად ჭრიან და იმითი არხეინობენ: მელიორირებული მიწები მქონდეს და მოსავალს მოსვლა არ გაუჭირდებაო, — ასე ფიქრობს მეურნეობის ზოგიერთი გულარხეინი ხელმძღვანელი...

ეს კრიტიკული შენიშვნა გულარხეინ, თვითდაჯერებულ მეურნე-ხელმძღვანელთა მიმართ, ცხადია, მარტოოდენ სოფლის მეურნეობის თვალსაწიერზე როდი ზოგადდება. ზეპირად ვერ მოვიყვან ციტატებს, მაგრამ არსში არ მეშლება, არსი კი ისიც გახლავთ, რომ სოფლად წარმოებული დიდი ძვრები, კულტურულ-მშენებარე საქმიანობა, ბევრ არასოფლელს იზიდავს და ხვალ უფრო მეტსაც მიიზიდავს, რაკი მიწა, ტყე, მდინარე და ბუნება ადამიანის ჯანმრთელობის, მისი სულის თავი და თავი აკვანია. აკვანია განა მარტო ჩვილთათვის, განა მარტო მოზარდთათვის, ეს სწორედ ის მერცხლის ბუდეც გახლავთ, რომელსაც ჩვენს მატერიალურ დოვლათზე არანაკლებ ძვირფასი ჩვენი სულის სიმშვიდის გაზაფხულიც მოჰყავს...

— სტარტს ისეთი ძალით ვიღებდი საწყისი მდგომარეობიდან, რომ სატერფულებს ჰაერში ვისროდი უკუცემის ძალით, — მიამბობს ჩემი მერცხალი-თანამგზავრი.

— იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში... სასტარტო სატერფულები, უჰ, რომ მოვწყდებოდი და რომ აცვივდებოდნენ უკუცემის ძალით ჰაერში!..

— მძლეოსნობისა ცოტა გამეგება, ასეთი ძალით არეკლილ მორბენალს შედეგი რა გქონდა?..

— იცით მძლეოსნობა? გიყვართ? — ლურჯი ცეცხლი დაინთო ჩემი მოსაუბრე თორტიზელი ვაუკაცის თვალებში.

— ბადროს ვტყორცნიდი, ბირთვს, ეროსაც, მოყვარულის დონეზე. სასკოლო რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე ვმონაწილეობდი, 1952 წელს შიდა-საუნივერსიტეტო სპარტაკიადის ჩემპიონი გახლდი...

— შედეგი? შედეგი?! — კვესავს და ბრწყინავს ჩემი მოსაუბრე

და გვავიწყდება მტვერიც, ბოლიც, ქარვად დამკრახული და დაბრაწული თორტიზას მიტოვებული მამულებიც...

— შედეგი დიდი არაფერი დღევანდელი თვალთახედვით... ოცდათხუთმეტი, ოცდათექვსმეტი მეტრი, ხან ნაკლებიც...

— აუჰ, რა პატარაა!.. დღეს სამოცდაათები აქვთ...

— მაშინ საქართველოს რეკორდი ბადროს ტყორცნაში ორმოცდაორი. ორმოცდასამი მეტრი იყო, ჩემო ფიცხო და ახალგაზრდა ძმობილო..

— მეექვსე კლასში ვიყავი. აი აქ, თორტიზაში, ას მეტრზე თერთმეტი და ექვსი მეათედი წამი რომ ვაჩვენე. ღადა-ღუდა ბილიკზე თანაც... ბოლო კლასში თერთმეტი და სამი, თერთმეტი და ორი მეათედი წამი... ადრევე უნდოდათ ჩემი წაყვანა თბილისში. რაიონის სპარტაკიადაზე თვალი დამადგეს იქაურმა მწვრთნელებმა. ხუთჰიდში გამოვდიოდი... ფიზკულტურის ინსტიტუტში მისაღებ გამოცდაზე თერთმეტი და ორი მეათედი წამი ვუჩვენე. გაკვირდნენ... მოხრეშილ გზაზე გავრბოდი მაშინაც... სად იყო ასეთი დახვეწილი სარბენი ბილიკები!.. ათი და რვა მეათედი წამი, ათი და შვიდი ვუჩვენე ცხრამეტისამ...

ანთებული ვუსმენ... კრთის, თრთის, გადაძაბულია... დალევით არ დაულევია, სამი-ოთხი ყლურწა-ჭიქა ამ ძალის ვაჟკაცისათვის რა უნდა იყოს, არაფერი...

— მამაჩემს რა ვუთხრა, მამაჩემს!.. ოჰ, მე!.. როგორ ვვარჯიშობდი, იცით!.. სტარტზე ვარჯიშისას მწვრთნელი, წინ, მეტრნახევარზე დაბალი სიმაღლის რკინის თამასას მიყენებდა. სატერფულიდან არეკლილი, მთელი ტანით წინ გატყორცნილი ამ რკინის ქვეშ ჰაეროვანი ცურვით, ჰაერ-ჰაერ მკლაურითა და მთელი სისწრაფით ამ რკინის თამასას ქვეშ უნდა გავცურებულიყავი... რამდენჯერ დავტაკებივარ შუბლით, თავი გამიხეთქია. ნაწიბურებიანი თავით კვლავ და კვლავ განვაგრძობდი ვარჯიშს მწვრთნელის მეთვალყურეობის ქვეშ... „მიდი, ეგ არაფერი... თავი ჯანდაბას. ფეხებია აქ მთავარი!“ — ღიმილით მამხნევებდა მწვრთნელი ახლად თავშეხვეულს... მგელივით ვვარჯიშობდი. ყოველ წელიწადს წამის მეათედს ვაკლებდი, საცაა დიდებისათვის უნდა შემეტია, ათ წამსა და ხუთ მეათედს ვუმიზნებდი.. .განა შურდათ, უხაროდათ ჩემს მომავალ მოწინააღმდეგე სპრინტერებს, ბუნებრივ სისხარტესთან ერთად ჩემს დიდ მონდომებასაც ხედავდნენ... ოჰ, ღმერთო, რატომ ის დღე არ დაიწვა, მამაჩემმა რომ მანქანა მიყიდა!.. რა ჯან-

დაბად მინდოდა მანქანა ამ სისწრაფის ფეხების პატრონს!.. ერთადერთი ვაჟი ვყავდი, თანაც ნახევარი ევროპა მოვლილი მქონდა... ოცი წლისაც არ ვიყავი.

— ცხონებულმა მამაჩემმა ჭადრაკი ღუმელში ჩაგვიყარა, დაგვიწვა... მერვე კლასში ყოველდღიურად ოცდახუთ პარტიას ვთამაშობდით მე და ჩემი მეგობარი. სწავლა ვიღას ახსოვდა. ჭადრაკის ჯადოქრული სამყაროს ტყვეობაში გახლდით... ადგა და ცეცხლში ჩაუძახა მშვენიერი ფიგურები... რისხვამ ისე შემაშინა, საერთოდ დავკარგე ჭადრაკის თამაშის ყოველგვარი სურვილი...

— ეგ არაფერი... რა მოსატანია ჩემს შემთხვევასთან... დამღუპა და დამანელა იმ მანქანამ!.. — ცრემლები ერევა თანამოსაუბრეს, თვალცრემლიანი თხრობას განაგრძობს:

— მოვდივარ ჩემთვის. მშვენივრად ვფლობდი მანქანას. წვეთს როგორ დავლევდი, ამისთანა შედეგების პატრონი. ერთი დიდი, ვიღაც ბობოლა მშენებელი დამეჯახა ძეგვის ხიდთან. კარგი მაგარი გამაძღრები იყვნენ ღვინითა და პურმარილით უფროსიცა და მძღოლიც. გაქანებული „ოცდაოთხით" შემომელეწნენ. ძალა მეყო წამიერი. თეძოს ღია მოტეხილობით გამწარებული გადმოვედი დაჭეჭყილი მანქანიდან, ხუთჭიდელის ძალით დავცხე ორი მუშტი მთვრალ მძღოლს, ტლაპოში ჩავაგდე და გათიშული მეც ზედ დავენარცხე ლაფში გართხმულს, დავაკვდი ზედ. დარტყმის ძალამ რომ გადაუარა ქვეშმოყოლილს, გამოძვრა და ერთი სიკვდილი გაათავა, გრძნობადაკარგული რომ მიხილა. გულწასული მიმატოვეს ლაფში და გაიქცნენ...

კრიმინალიაო, მოთხრობაში ამაზე დავა წავა რედაქტორთან. არა და, ცოცხალი კაცი მიყვება თავისი მომავალი დიდი სპორტული კარიერის მოულოდნელი მსხვრევის რეალურ ამბავს, თვალცრემლიანი მიყვება. ძალიან რომ გვაკლია, ისეთი კაცი, ას მეტრზე მორბენალი, მძლეოსანი, ხუთჭიდელი... თავის თავსაც აკლია ის, ცხადია. იმიტომაა შეფეთებული, რომ დაეძებს დაკარგულს.

ათ წამსა და შვიდ-რვა მეათედში მორბენალი, ოცი წელი არ შესრულებია, ბრმა შემთხვევის გამო ტოვებს დიდ სპრინტს. თორტიზელი, გორელი ბიჭი!.. ამ ასაკში ასეთი შედეგი ტელევიზიის საშუალებით თუ უხილავთ მის თანამემამულეებს!..

თუ არ ვცდები ოურენი. ან რაღაც მსგავსი გვარი იყო მსოფლიოს ჩემპიონი ბირთვის კვრაში, ჩემი ყმაწვილური გატაცების პერიოდზე უფრო ადრინდელი. მძლეოსნობის სახელმძღვანელოში

გულდასმით ვსწავლობდი კადრებად ასახულ მის ყოველ მოძრაობას ბირთვის კვრის დროს. დევური აღნაგობის ვაჟკაცს მუხუდოს მარცვალივით ჰქონდა მუჯში ჩამალული ბირთვი. იარაღიანი ხელის მტევანი ყვრიმალს უკან მიებრჯინა, მარჯვენა ფეხზე ჰქონდა სიმძიმის ცენტრი გადატანილი, თავიც მარჯვენა მხარეზე გადაექინდრა. თორმეტ თუ თოთხმეტ კადრში სრულად იყო ასახული ბირთვის კვრის დროს მთელი მისი სხეულის მოძრაობა. ორი წელი მწვრთნელის გარეშე, დამოუკიდებლად ვსწავლობდი ბირთვის კვრის ამ დეტალურ პროცედურას. სადღაც ნაგდები ჟანგით ამოკენკილი ბირთვი მაჩუქა ვიღაც უფროსმა ამხანაგმა, ფიზკულტურის დაშტამპულმა მასწავლებელმა და ხელიდან არ ვუშვებდი. აჭიჭყნილი მქონდა ეზო მისი ნაბარტყუნევისაგან. სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლები ასეთ საკითხებში ვერ ერკვეოდნენ: „განმკლავი, მიმკლავი, წინმკლავი, უკუმკლავი...“ — აი, ეს და თხილამურებად გათლილი ღობის ფიცრები იყო ჩვენი სპორტული ენაც და ფრენაც... ომამდე არსებული „დოსაafის“ საფრენოსნო კლუბი სანატრელ მოგონებად იყო დარჩენილი.

სიმკაცრის ნიღბით იფარებოდა ჩვენსობას ფიზკულტურისა თუ სხვა მასწავლებლის დაბალი, უინტერესო მექანიზმი, ვინც მაგრად წაგქოჩრავდა, მაგარიც ის იყო...

აი, ესეც წუწუნი და ჩივილიაო, — შეიშმუშნა რედაქტორი, — რას გვაძლევს ამაზე ლაპარაკი დღეს ჩვენო...

მე უბედნიერეს ხალხად მიმაჩნია ჩვენი შვილების თაობის ყველა გოგო თუ ბიჭი, ვინც გარკვეული ფიქრისა და აწონ-დაწონის შემდეგ ხელ-ფეხს დაიკაპიწებს, ცალ ხელში აგროტექნიკურ სამეცნიერო-პოპულარულ წიგნს დაიკავებს, მეორეში სპორტულ სახელმძღვანელოს გამაჯანსაღებელი სირბილიდან — მარათონამდე, დაახლოებით ამგვარ სახელმძღვანელოს, და ვისაც მონაცემებიც ხელს შეუწყობს, იშოვის ბადროს მტყორცნელის, უროს ან ბირთვის მტყორცნელის შესახებ ვიდეოფილმს და ნიადაგის მორწყვასა და მორწყვას შუა თავს შეიქცევს თავდაპირველად. ხოლო შემდეგ, როდესაც მნიშვნელოვანი სპორტული შედეგის მიღწევის სურვილი გაუჩნდება, მე, მე, დიახ, მე ჩავდგები მის მაგივრად მერუედ, მრწყველად, მთიბავად, ოღონდაც ჩემი თაობის ოცნება — საქართველოში საზოგადოდ სპორტის და კერძოდ მძლეოსნობის — სპორტის საფუძველთა-საფუძვლის დიდი, ნებაყოფლობითი

აღორძინება მოხდეს თანამედროვე საერთაშორისო დონეს მიახლოვებული...

მოთხრობაში ამ მასალის გამოყენებისას, შესაძლოა შენიშვნა მიიღოს მწერალმა: „სპორტული პუბლიცისტიკა არ არის ჩვენი პროფილი, სოფლის მეურნეობის საჭირბოროტო პრობლემებსა და ირიგაციას რომ თავი გავანებოთო...“

„საფერფულები ცაში აცვივდა, მოვწყდი თუ არა, წახრილი ცურვით გავაპე ჰაერი თხუთმეტ-ოც მეტრზე...“ ზეპირ საუბარში არ არის მოსაბეზრებელი, ნაბეჭდმა შესაძლოა ვერ აიტანოს... პირისპირ მოსმენილს მძაფრად განვიცდი. ბეჭდვისას სიმძაფრე კლებულობს.

მონაყოლს იქით მოტეხილს რომ ხედავ. მობანილი სისხლი მთხრობელისა — მსმენელის თვალს რომ ხელახლა გესახება და გაჟრჟოლებს. როცა გინდა, ეს სიტუაცია კადრივით განმეორდეს, მაგრამ მთავარი არ მოხდეს, გადაეფარო, შეუძახო იმ „ბობოლას“, თავის მძღოლთან ერთად ნაბახუსევ-გამაძღარი რომ ბრუნდება ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერილი და დაბინდული თვალებით სიკვდილ-სიცოცხლის საზღვრზე დებს დიდი ასპარეზისათვის გამოკვეთილ რაინდს...

— საქმე ლამის ისე წარმართეს, ჩემს „სიმთვრალეს“ აბრალებდნენ მომხდარ ფათერაკს, — მიყვება თორტიზელი თანამგზავრი დიდი ხნის ამბავს, — მთელი ფიზკულტურის ინსტიტუტი, მწვრთნელი, ყველა, ყველა და ყველა თავდებად დამიდგა. მოჩმახული ამბავიაო, ამ მხრივ საქმე მოგვარდა, უფრო სწორად გაგვარდა, გარიგდა. მეც წყალი ჩავიგუბე, აღარ გამოვდევნებივარ მათი სიმთვრალის ამბავს ან რანაირად გამოვდგომოდი. მე ლაფში ჩამტოვეს ბარძაყგადანატეხი და სისხლისაგან დაცლილი, თვითონ მიდგნენ-მოდგნენ, საქმე მოაგვარეს და ლამის ჩემს წინააღმდეგაც კი შემოატრიალეს, ცოტა გაწყდა... ყოველდღე მოდიოდა ჩემი მწვრთნელი საავადმყოფოში და ტიროდა, ცრემლით ტიროდა.. ყველა შემთხვევაში ხელიდან გამოვეცალე... ათი წამი და შვიდი მეათედი მქონდა იმხანად. ყოველ წელს თითო მეათედი უნდა ჩამოშეკლო. ასე გვქონდა პირობა და მივდიოდი. მაგრამ...

მოთხრობის წერის დროს ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სპრინტში, თანამედროვე ხუთჭიდში ოც წლამდე ასაკის ყმაწვილი ვერამც და ვერამც ვერ გავიდოდა ესოდენ დიდ ასპარეზზე,

ღვინოსთან და საზოგადოდ სასმელთან რომ უმძრახად არ ყოფილიყო. ამის თავდებად მისი შედეგიც იკმარებდა და მწვრთნელთა და მასწავლებელთა ზედმეტი ქომაგობა საჭიროც აღარ გახდებოდა, თუ რომ ამ შემთხვევის ირგვლივ გაჩენილი სამართლის მესვეურები თავის ადგილას მდგარიყვნენ, მოწოდების, დანიშნულების სიმაღლეზე და მერყეობის ტბორში არ ეყვინთათ დამნაშავის გადაყრილი უზალთუნების საპოვნელად...

— ოჰ. მე! მოვწყდებოდი და რომ აცვივდებოდნენ ცაში სასტარტო-სატერფულები უკუცემის ძალისაგან!..

ლურჯი თვალები, ლურჯი, მუქი ლურჯი! ხანდახან ფართლეულის მაღაზიაშიც გაგიჭირდება ასეთი ფერის ქსოვილის პოვნა. კალმახივით სხარტი ბიჭი, მუქ-წაბლისფერი გრუზა თმა, ოცდარვა წლისა. უცოლო, ულამაზეს ქართლის სოფელთან ზურგშექცევით დგას და თბილისს მიმავალ ტრანსპორტს ხელს უქნევს. მეც მასთან ერთად ვდგავარ. ვიღაცამ გააჩერა, ძველი „ოცდაერთია“, ორნი ჩავსხედით, მგზავრები იკმარა, მეტი აღარ უძებნია. დავიძარით. მომაღლოდან გავხედეთ:

აგერ გორი, აგერ გორს შემოჯარული, ალვებატყორცნილი, ხეხილდამძიმებული, დამკრახული, ტირიფონის — იგივე ლიახვის არხით ჩაბუჟბუჟებული სარწყავი მიწებით უბებარაქიანი გზაკეთილი, სახელდამშვენებული სოფლები, სამსართულიანი, დიდ ეზო-კარიანი სკოლები, არა უშავს რა მომცრო სპორტული მოედნებით, მეტნაკლებად რიგიანი ბაზებით, მეტის მოსურნე, მაგრამ მაინც საკმაოდ ხალხმრავალი, განსაკუთრებით ზაფხულ-შემოდგომის შაბათ-კვირაობით ხალხმრავალი, როცა ყველაფერი დამტკბარ-დაშაქრულია და დღითიდღე კიდევ უფრო მეტადა ტკბება, მშვენიერი ორსართულიანი სახლებით შუბლგახსნილი სოფლები, კვირა დღე, და ბურთი გაქანებული არ მინახავს, არავინ თამასაზე გადავლილი არ მინახავს არც გავლისას, არც გამოვლისას, ფრენბურთის ბადის ზემოთ წელამდე ასული ყმაწვილის მოქნეული დარტყმა არ მინახავს. შუბოსან და ფარ-ხმალოსან მამა-პაპათა შთამომავალი შუბის მტყორცნელი ახალგაზრდა არსად მინახავს. ძალიან რომ მოინდომებ კაცი, კი, სადღაც რაღაცას გიჩვენებენ. ბადრო, ბირთვი, ურო! ეს ხომ ძალების შერკინება-გამოცდის დიდად მაცდუნებელი და საკმაოდ ხელმისაწვდომი იარაღებია. სად, რომელ დარდუბლის კიდობანში აქვთ ჩაკეტილი, თუ კი საერთოდ აქვთ და გააჩნიათ!.. ასობით მეტრი რკინის მილები,

კუთხურები, წვეტუნები და სხვა ეშმაკის ფეხუნები შეუდუღებიათ ხეივნებისათვის, ღობეებისათვის, ალუმინის თუ თუთიის გადა-თეთრ-გადაკაშკაშებული სახურავები მდიდრულ (ღმერთმა კეთილად მოახმაროთ) შენობებს საშვილიშვილოდ აკვრიათ და ამშვენებს, მერედა, რა გახდა ერთი უჟანგავი სპორტული შუბი, რა გახდა ნახევარფუთიანი ბირთვი, ურო, ბადრო, გროშები და კაპიკები ღირს სპორტულ მაღაზიებში. ამ მამულების პატრონებმა შვილების სპორტულ აღზრდასაც ხომ მხარი უნდა დაუჭირონ, ინიციატივასთან ერთად, ორიოდ გროშიც შეაქუჩონ და გაიღონ, ჯვარი აქაობას და ქელეხსა და ქორწილ-ნათლობებში შექუჩებული ფულები ერის ხერხემალს — მომავალ თაობას ვერ აღზრდის და ვერ განამტკიცებს...

სიტყვის გონიერი ოსტატია საჭირო აგრო-სამრეწველო გაერთიანებებში. მე როგორც ვატყობ, აზრი-გამჭრიახი მწერალს მარტო კალმის წვერიდან არ უნდა გამოსტყუო, ადგილის მდევრად უნდა გაუშვა და აბა მაშინ ნახე სატკივრების სატკივრებზე ამოყრა და საჯაროობა...

ქელეხსაც დავსწრებივარ სოფლად და დამკოდვია გული იმითი, რომ ძირფესვიანი, გულმკვდარი და სისხლდაწურული, უებრო მამულიშვილის თამადობაც იშვიათად მინახავს. შვიდი ან ცხრა საეკვო ჭიქის მერე ხუთასი კაცი აქეთ-იქით დატორტმანდება თავ-თავის ორღობეებში, შენაწევარით კმაყოფილი და ამაყი, ჩათავდება ფეხის ხმა და ხმამაღალი: „ბიჯო, აბა, ჰა!. კარგად იყავით!.. ჰო, მართლა, რაღაც უნდა მეთქვა და... ხვალა, კაცო, ხვალაც ამ თვისაა... ჰო, ჰო, კარგი.. სოჩაში ვითომ ვერა?!.. მპირდებიან და მგონი რომ ვერა. აი, იქა, მაგადანში... ოცდახუთად გასულა... ერთი, კაცო, შენცა და!.. მაგადანი და საიქიო მინდა?.. ვერა ხედავ, რა ამბებია!.. ორად და სამად აქაც კაა გადის... მამულის შეკვეცა და პანჩური მინდა!.. ჰო, კარგი, ზოგიც ხვალა...“

ჭრელ, სუპერბურთს დიდის ამბით დააგორებენ „ჯიგულის“ უკანა მინასთან. ეგ არის და ეგ. ბოტასებსა და ადიდასის სვიტრებს განა სავარჯიშოდ იცვამენ, — ისე, ხილად, საჭრაჭუნოდ. ერთი ჭიდაობა იყო ქართლში საყოველთაო და აქა-იქ, თითო-ოროლა ამაგდარი და საქმეზე გულმკვდარი მამულიშვილი რომ არ ირჯებოდეს, აქამდე ბეჭზე დაწვებოდა ეს სახეობაც...

მოვდივართ გზაში, მეც ვეწევი და ჩემი თორტიზელი თანამგზავრიც კარგა გემოზე ახრჩოლებს. განა წევამ, დანებების ფიც-

მა მომკლა, შვილებისთვის თვალი ვერ გამისწორებია... მძღოლი არ ეწევა. უზარმაზარი, პირდაპირ გოლიათი აღნაგობის ჩემი ხნის კაცია... ჩვენ საუბარში მანაც წვლილი შემოიტანა: „ბადროს მტყორცნელი, საქართველოს ჩემპიონი ჩადუნელი ჩვენ სოფლელი იყოო. ამოდონა სიამაყე, ამოდონა ამბავი და ტყუილად კი გაიფუჭა და წააგო თავი...“

ჩადუნელის ნატყორცნი ბადრო მახსოვს, დინამოს სტადიონზე, უმაღლესი სასწავლებლების პირველობა ტარდებოდა, მეც ვმონაწილეობდი. ჩადუნელი ფიზკულტურის ინსტიტუტის ბიჭი იყო. ვეფხვივით ბიჭი!.. მარჯვენა თეძომდე მიღრეცავდა ბუღა-თურქის თავყბას, კისერს, ზამბარასავით ჩაიგრიხებოდა ბადრომომარჯვებული, მერე ღურღუმივით დაბზრიალდებოდა, გაიშლებოდა და მიაპობდა ბადრო ჰაერს სტვენით...

კილაძე იყო მისი მწრთვნელი. უ, რა ტკბილი და შაქარივით კაცი, საქმეც მშვენივრად იცოდა, იმ დროისათვის, რაღა თქმა უნდა... დღეს ყველაფერია სპორტის ამ სახეობებში, მწვრთნელიც მაღალი კვალიფიკაციის, მოედანიც, იარაღიც, კოსტიუმებიც, მაგრამ, სურვილია მკვდარი დიდი, მსოფლიო შედეგების მიღწევისა, მიდი და უბერე სული, თუ ბიჭი ხარ...

დღეს თუ სოფელი რაღაცამ არ აიტაცა, მატერიალურზე უპირატესად თუ გაასკეცებული გონებით არ იზრუნეს რაიონის პარტიულ-სამეურნეო და სპორტულმა, კულტურულმა მესვეურებმა, თუ რაღაც ზედმეტად ეროვნული ილეთით არ დააზღერთეს გემრიელი პურიჭამის ყოვლისმომცველი გველეშაპი, დიდ, სამეურნეო საქმეს დიდი, საშვილიშვილო სული ვერ ჩაედგმება და ვერ ჩაებერება, ფიზიკური ძალა და გამძლეობა არ ეყოფა.

რესპუბლიკის იდეოლოგიის მუშაკთა აქტივის შეკრებაზე, საქართველოს სამხატვრო კავშირის პირველმა მდივანმა, ცნობილმა მოქანდაკემ, საბუთიანად დაასკვნა და ბრძანა, რომ დღეს საერთო ესთეტიკური ნორმების. მუშათა გემოვნების ასამაღლებლად თითო დიდ ქარხანაში თითო მხატვარი უნდა იღვწოდეს.

საქმიანი და ყურადსაღები წინადადებაა, გადაუდებელ მხარდაჭერას მოითხოვს პარტიისა და სახელმწიფო-სამეურნეო ორგანოებისაგან...

ხომ იყო სოფლად მოსე-მწერალი, წერა-კითხვის მცოდნე და სოფლის სულიერი გაჭირვების საშველად მოწოდებული კალმო-

სანი. ავად თუ ირჯებოდა, ხელმრუდი და სულმრუდი მოხელე თუ იყო, ეს სხვა საკითხია...

დღეს ყველა წერს და კითხვით თუ არ კითხულობს, წიგნის შესაძენად ყველა ხერხს ხმარობს. სოფლის მცხოვრებთა თაროებიც სავსეა წიგნებით, ქალაქელებისაც... ნამდვილი ერისკაცი მწერლის სული კი დღესაც ისევე აკლია სოფელს, როგორც უწინ.

არა და სოფელი თითქმის ჰყვავის...

დედაქალაქის მწერალთა რაზმი ხუთასამდე კავშირის წევრისაგან შედგება. შედგენილია რიგი წიგნის ბეჭდვისა. ჭოკით ხტომის რეკორდსმენი უნდა იყო, რომ ასეთ რიგს გადაევლო და პირველი შევარდე გამომცემლობაში ან რედაქტორის კაბინეტში. შედეგის დაფიქსირება, ნაწარმოების ურიგოდ დასტამბვა-გამოცემა მთლად შენს რეკორდზე აღარაა დამოკიდებული, ანუ, შენი ნაწარმოების ხარისხზე. საშუალო ხარისხის შედეგს დაახლოებით ყველა აღწევს, ამიტომაც რიგის დაცვა თითქმის გარდუვალია. საერთო-გუნდური ჩათვლა ჰქვია სპორტში ამას...

ასი თუ ორასი მძლეოსანი, მორბენალი, მხტომელი, მტყორცნელი ერთი შეჯიბრის ორი-სამი დღის განმავლობაში ერთად იბრძვის საერთო გუნდური შედეგებისათვის. ქულები იკრიბება და მთლიანი ჯამის მიხედვით გუნდი რომელიღაცა ადგილს იკავებს. ზოგი სპორტსმენი დიდ შედეგს აღწევს, ზოგი საშუალოს, ზოგიც მცირეს, მაგრამ საერთო საქმე ჯამდება და წინ მიდის. რამდენიმე მსაჯი ზუსტი საზომებით ერთდროულად აფიქსირებს თითოეული მონაწილის შედეგს. მედალს აქ ისე ვერ აიღებ, თამასას თუ არ გადაევლე, პირველმა თუ არ გაჰკვეთე ფინიშის ხაზი. სხვის ნატყორცნს თუ შენი არ გადააცილე. ამას ათასობით მაყურებელიც ესწრება და ხედავს. ეს ხდება რამდენიმე დღის განმავლობაში. თუ ფეხბურთს ავიღებთ სამაგალითოდ, რამდენიმე თვეში, ანუ ერთ საფეხბურთო-საკავშირო სეზონში აქაც ირკვევა, რომელი გუნდი უნდა გავიდეს პირველ ადგილზე და რომელი მეთვრამეტეზე. თერთმეტი ფეხბურთელის ცალკეულ უკეთეს თუ უარეს შედეგს სეზონის განმავლობაში გონებით ან უბის წიგნაკით აფიქსირებს ასიათასი მაყურებელი.

მსაჯის გადაწყვეტილება კანონია და განსჯას არ ექვემდებარებაო, — იტყვის ხოლმე კომენტატორი დროდადრო, როდესაც მსაჯის ესა თუ ის მკაცრი გადაწყვეტილება მაყურებელს აშკარად

არ მოსწონს და მღელვარე შეძახილებს. ხშირად უწმაწურობის მტრედებს აფრენს ტრიბუნებიდან მსაჯის მისამართით. ასეთი შემთხვევები მაინც ხილული და გამონაკლისია სპორტში. ამ დარგშიაც ხდებაო ჩაწყობა. საზღვარგარეთ, ყური მომიკრავს. მაგრამ ყურმოკრული თვალმაც თუ არ დააფიქსირა, სარწმუნო ვერ გახდება... გამართლებულია, საუკეთესო სპორტსმენები რომ დედაქალაქში არიან თავმოყრილნი, დიდი მწვრთნელების ხელმძღვანელობით იწვრთნებიან და იგეშებიან. სპორტული ბაზებიც საუკეთესოა აქ, მილიონიანი მაყურებელიც აქა ტრიალებს, სანახაობას კი მნახველი ესაჭიროება და ერთი შეხედვით, ძირითადადაც ასეა, სხვაგვარად საქმეს ამ დარგში ვერ გააქანებ...

გაწვრთნილსა და თავისთავად შექმნილ მწერალს ქალაქში ცხოვრება და ხუთასკაციან მწერლურ რაზმთან ერთად სადღეღამისო დგომა და ყურყური არ უნდა ჭირდებოდეს, არ უნდა აინტერესებდეს. წიგნი-მტრედი იქაც მოფრინდება, შენი იქნება თუ სხვისი, თუ რიგია და რიგი იქაც მოგიწევს; მიიღე განათლება? ძირეულს ეზიარე? მწერლის საერთომნიშვნელოვანი წიგნაკი გიძევს უბეში? წადი, ძმაო, და გაჭირვებას იქ მიხედე, უმწერლე და უხელმძღვანელე, სადაც მართლა ჭირს...

არა! დგას ხუთასკაციანი რაზმის წევრი მწერალი ჟანგბადნაკლულ ქალაქში და ჯიუტად და მოთმინებით გასცქერის სარკმელს მაღაზიისა, საიდანაც ნოქარს თავი აქვს გამოყოფილი და — შემდეგიო! — იძახის სასწორის თეფშიდან პროდუქციის მიწოდებისას...

რაიონში, პერიფერიაში მწერლის აღიარება ძნელად ხდება, მაგრამ, უკვე აღიარებულ მწერალს, ქალაქიდან მამულში მიბრუნება, დასახლება და იქ წერა არ უნდა უჭირდეს. ქალაქურ რიგში ყურყუტი და ფეხი-ფეხმონაცვლეობა არ უნდა ეჭირვებოდეს. თუკი ის მართლა მწერალია, არავითარი პრივილეგიები და რიგთა ჩატეხვები არ უნდა აფიქრებდეს მას.

დედაქალაქის თეატრების რეჟისორები ჩივიან, მაყურებელი არა გვყავსო, პერიფერიების თეატრების რეჟისორებიც ჩივიან, მაყურებელი არა გვყავსო. არ ვიცი, უჩივის თუ არა მაყურებლის სიმცირეს ვილნიუსიდან საკმაოდ შორს მდებარე ლიტვის პანევეჟის თეატრის მთავარი რეჟისორი... ადრე არ ჩიოდა. არ ვიცი, ახლა როგორაა საქმე...

და, თორტიზაშიც საჭიროა თუნდაც ჩვენი თორტიზელი ფრთამოტეხილი მერცხალი... საჭიროა მწვრთნელად თორტიზელი, გორის რაიონის ახალგაზრდობის მწვრთნელად მძლეოსნობაში. ევროპაში ნაფრენი, ფიზკულტურის ინსტიტუტის ყოფილი წარჩინებული, მებრძოლი ხუთჭიდელი, სხაპასხუპით რომ მიყვება თავისი ვარჯიშებისა და წვრთნის დეტალებს, შედეგებს, ვინ? რა? როდის? რამდენი?.. საჭიროზე უფრო საჭიროა დღეს!.. მუშაობს ქარხანაში სადღაც, მუშაობს ყოჩაღად, უწუნოდ... თბილისში ბინის მიღების მოლოდინში... მამა სამოცი წლის, ჭარმაგი კოლმეურნეა, სახლსაც ასდის და სოფელსაც ჯერჯერობით. დედა, ორი დაია...

საინტერესოა, ჩემს თანამგზავრს ჰქონდა თუ არა რაიმე ცდა, ემუშავა მწვრთნელად თავის რაიონში?..

ასეთი მაღალკვალიფიცირებული, სულანთებული მძლეოსნობის მწვრთნელის მოლოდინში დავამთავრე საშუალო სკოლა, სპორტული სკოლის სექციებში ვიბორიალე... „ბავშვებო, აი, ეს იქნება თქვენი მწვრთნელი“, — გამოგვიცხადებდა სპორტსკოლის დირექტორი. ავხედავდით იმედიანი თვალით და მალე ჩამოვყრიდით ყურებს, ლუდის კათხამომარჯვებულს რომ მოვკრავდით თვალს ბავშვები ლუდხანის მომჟავო სარკმელთან მოყანყალეს...

ვიცნობდი ერთ მამაპაპეულ მერუეს, მრწყველს, მელიორატორს — დღევანდელი მეცნიერული ტერმინოლოგიით. ხორუმა ერქვა მეტსახელად. ნამდვილი სახელი თანასოფლელებსაც დავიწყებული ჰქონდათ... მერუედ, მრწყველად იყო დაბადებული ეს კაცი, ამ საქმის ცოდნა და სიყვარული მამისეული მოსდგამდა. ღამე უყვარდა, მთვარიანში რწყვა... პირადი მოხერხებულობის თვალსაზრისით არ გახლდათ რწყვის მისეული მეთოდი გასაზიარებელი. სამაგიეროდ, ღამით მორწყული, განსაკუთრებით ბოსტნეული, გვიან მოიკიდებდა სიყვითლეს, თითქმის არა ჭკნებოდა მისი მოვლილი კიტრის ბუდნა და პამიდვრის ნერგი. ისეთი მასშტაბების, დღეს რომ სოფლის მეურნეობა გვაქვს, არც ხვნა იყო მაშინ და არც თესვა, მაღაზიაში ტომრობით გაყიდული ხახვი, ნიორი, კარტოფილი და სხვა ბოსტნეული იშვიათობაზე იშვიათობა იყო. ხილბოსტნეულის სახელწოდების მაღაზია დღეს რომ აქე ხშირია, მაშინ ბაიბურშიაც არ გახლდათ. ასე იყო თუ ისე, ქართველი კაცი უმწვანილოდ და უბოსტნეულოდ არც მაშინ მიირთმევდა პურს და არც ახლა.

ხორუმას მორწყული ბოსტნეული არ ისიცხებოდა მზეზე, ტენს ღამიან ღებულობდა და დღის სიცხისაგან აღმავალ ოხშივარში არ იჭკნობდა ფოთოლს.

მერე იყო და, მარჯვენა რომ მოგეჭრათ, სისწრაფის საზომით არ იმუშავებდა. ტრასიდანაც კი ადვილად მოჩანს ახლა, არხიდან თავქვე რიხინ-რიხინით მიშვებული წყლის ნაკადები, ზევიდან ქვემოთ რომ ეზიდებიან მიწის უხილავ ბარაქას — სასარგებლო მარილებს. ამის გარდა, ბევრგან, ზედ ჩემს თვალწინ, (ბავშვობის თვალს ვგულისხმობ, ცხადია) ისეთი ღრმა ხრამები გაჩნდა ველ-მინდვრებზე წინდაუხედავი რწყვისაგან, რომ ხიდებისა და ბოგირების გადება გახდა საჭირო...

ნიადაგის მორწყვის მამაპაპეული, ხორუმაანთეული მეთოდი მაშინაც ერთადერთი გახლდათ და დღესაც უცვლელია, მაგრამ, სწრაფი და იოლი მრწყველები მაშინაც საკმარისად იყვნენ, დღევანდელზე რომ აღარა ვთქვათ რა.

ძირითად ნაკადს ვერტიკალად ჩაიყვანდა მაღლობიდან დაბლობისაკენ, სარწყავის ბოლოზე დააგუბებდა და დონის მატებისდა მიხედვით ვერტიკალიდან ჰორიზონტალში ნელა და გემრიელად მიაბუჟბუჟებდა. ნიადაგი არ ირეცხებოდა თავქვე, ასწრაფებული რწყვისათვის გაქცეული ნაკადებით, არ ხდებოდა ჩახრამვა და მიწის გაღარიბება...

არც ერთ მთვარიან ღამეს არ გააცდენდა ხორუმა. თოხმომარჯვებული დატოპავდა დადღლეზილი რეზინის ჩექმებით მამულში. ისიც რომ დაეხეოდა, სულაც ფეხშიშველი დატბორიტბორობდა კოლმეურნეობის სარწყავში. დღისითაც რწყავდა, ცხადია, მაგრამ მთვარიანში განსაკუთრებით მუდმივი და ერთგული გახლდათ საქმისა. იდუმალი მშრომელი გლეხკაცი იყო. კარგი ხელაობაც იცოდა. მდინარეს მიაკითხავდა რიჟრაჟამდე. ერთ საათს წაიხელავებდა და ოჯახის დღის სამყოფი ცომივით მურწა და კაპუეტი მოჰქონდა დაფხავებული ბრეზენტის აბგით... სხვაგვარი მუშაობა ხორუმას არ შეეძლო. ხშირად წელკავი გააკავებდა და ვიდრე მთლიანად სალოგინე შეიქმნებოდა, თავისებური წახრილი სვლით დაიარებოდა სოფლად. ამართლებდა მეტსახელს, ხორუმის საცეკვაოდ გამოსულსა ჰგავდა, ისე მიიტ-მოიტანდა გახრიოკებული კეხივით მოხრუკულ კურტუმს.

— ხორუმ, შე სახე-მახე, შე თავკომბალების მტერო!..

— ხორუმ, მართალია, მენშევიკებთან მზვერავად რომ მუშაობდი?..

არ ასვენებდნენ სოფლის ენაკვიმატები თოხის ტარზე კაკვად მიყრდნობილ მრწყველს.

— მამაშენი უფრო მაგარი იყო, თუ შენა? — უწყალებდნენ წამდაუწუმ გულს.

კვირადღეობით ხორუმას დედაკაცს ისეთი დაზოლილი, ხასხასა კიტრი ჩამოჰქონდა ბაზარზე ბორხვენის ფოთოლჩაფენილი, რომ კბილის დანახვაზე იკბიჩებოდა.

ხანდახან გორიჯვრის აბანოებს მიაკითხავდა ხორუმა. ათ-თორმეტ დღეს დაჰყოფდა. კეხს დაილბობდა და კვლავ სარწყავში ჩადგებოდა...

რიგიანი თავმჯდომარე სანამ იყო და მამულის ავ-კარგი გაეგებოდა, ერთიორად მეტ შრომა-დღეზე გამოდიოდნენ სხვებთან შედარებით ხორუმაანი. მაგრამ წყალწყალა კაცი თუ მოექცეოდა სოფლის სათავეში, მაშინ კი მაგრად იჩაგრებოდნენ. მათაც და ბევრ მათ სოფლელ ლაღუნდარასაც ტოლად ეწერებოდათ შრომადღეები.

ის დრო გახლდათ, სოფლელი ქალაქის ბაზარზე ან ისე, საქალაქო საქმეზე ქალამნით ან სულაც ფეხშიშველი რომ მოდიოდა. იღლიაში ამოდებული მოჰქონდა ერთი ხელი სამკვდრო-სასიცოცხლო ფეხსაცმელი. წყაროსთან ან ისე ნაკადთან გაიხდიდა ძველმანს, შიშველ ფეხს დაიბანდა, ჭრაჭუნებს ჩაიცმევდა და ისე შემოდიოდა ქალაქში... სად იყო ამოდენა „ჟიგულების“ მიდი-მოდი და ჩაცმა, სად იყო ეს გასაქანი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. გასაქანი გაჩნდა და გაქანდა სოფელიც, გაქანდა და რუსთავსა და თბილისში ამოჰყო მაძიებელი თავი.

ხორუმას ჩამომავლობა რომ სოფლად აღარა დგას, ვიცი, დაცლილია ხორუმას სახლი მერცხლის ბუდესავით. ძალიან გვიან შემხვდა მისი ერთი ვაჟი, გამწვანებაში ვმუშაობ, ამა და ამ პარკში, მრწყველადო. ვაკე-საბურთალოს გზის გადასახედიდან რომ ნაძალადევი დასახლება მოსჩანს ვერეს ხეობაში, ხვართქალა ბალახივით რომაა სახლი-სახლზე ჩახორუმებული, იქ მიმანიშნა, მეც იქა ვცხოვრობ და ჩემი ორი ძმაცო. მთელი სამერცხლეთია იქ. ჩასვლა და მიკვლევაც დავაპირე ოდესღაც...

— ჩემი ძმებიო, ორ-ორგან მუშაობენ ღამის ყარაულებად. კარგად არიან. დღისით შინ ფუსფუსებენ, ღამით სადარაჯოზე თვლემენ. „ვრემია“ რომ ჩათავდება — საყარაულოდ მიდიან, მთელი დღე თავისუფალი აქვთ. შიგადაშიგ ღამეცო...

სოფელსა თავსა ვესახლე,
არა სოფელი ჩემ თავსა,
სოფელი კარგად მთავსობდა,
მე რომ სოფელი მეთავსაო.

ულბრწყინვალესი ლექსია! უღრმესი, ორლესული აზრი ორტოტა. ღრმა ხეობასავით ჩაუდის ამ ლექსს. ვინ იყო ნეტავ ამ სიბრძნის მთქმელი?. პიროვნება და სოფელი, სოფელი და პიროვნება. მთელი ფილოსოფიური დინების პროგრამაა მასში გატვრენილი...

— ორი და ათი შაურიო, — პეწენიკა საჩხერელმა სიმინდის ფქვილი დამიფასა, — პეწენიკა, კოხტა, სამოცს გადაცილებული მეუღლის თავი დაიფიცა თანაც, იქვე გვერდით რომ უდგა, — ეს მომიკვდეს, ბატონო, გუშღამინდელი დაფქული თუ არ გახლდეთ, წყლის წისქვილზეო.

— რას ერჩი, რადა კლავ? — ფასის დაკლება ვთხოვე.

— არ მკლავს, ბატონო, არ მკლავს, სრულ სიმართლეს მოგახსენებთ, გუშღამინდელი დაფქულია, წყლის წისქვილზე. გასინჯეთ, ბატონო, აქავე. ჩვენს ლოცვაში იქნებით, მჭადს რომ გამოაცხობთ! — მანე ი-ნახევრად დამითმეს, — თოხს ერიდება ხალხი, ბატონო, პურის ქბილზე ძვირი იმიტომ გახლავთ სიმინდის ქბილი. სიმინდს თოხი უნდა, თოხი კი აღარავის...

— მძლეოსნობაში ვეღარ გამოდექი, ალბათ, — კვლავ გავუბი საუბარი.

— ვცადე, განა არა. ვალერი ბრუმელის მაგალითით მეც გავიკალი თავი, მაგრამ, არა. ბარძაყის ძვლის მოტეხილობა, ღია, რთული, თეძო, შერყევა. ლაფში უგონოდ მიტოვებული ვინ ამომიყვანა, არც მახსოვს... ექიმები. ამბავი... ბიძაჩემი თავს მევლებოდა. ერთხელ, მისი თანხლებით მობრძანდა ჩემი გამბედნიერებელი საავადმყოფოში ჩემს მოსანახულებლად. სოლიდური კაცი, დარბაისელი გარეგნობის. პირის სანახავიც მომართვა, დაყვავებით შემოვიდა პალატაში. ჩონჩხოვან დაჭიმვაზე ვეკიდე, ფეხში რკინებგაყრილი, გირებდაკიდებული... შუაზე გავხევდი, რომ შემძლებოდა. გავაწბილე ბიძაჩემი, ნაცნობი იყო მისი... — გაეთრიე-მეთქი! — ისეთი ძალით ვიყვირე, მეორედ წამივიდა გული...

— მერე, ინსტიტუტის შემდეგ, გორში ვმუშაობდი მძლეოსნობის მწვრთნელად... შევაგროვე ბავშვები ახლო-მახლოებიდან, ქალაქიდან, მეხუთე-მეექვსე ადგილზე გამოვიყვანე სკოლების რეს-

პუბლიკურ სპარტაკიადაზე. გეგმები მქონდა, მთებს მოვგლეჯდი, მეგონა. ბადალი მინდოდა გამეჩინა, აღმეზარდა. სად რა პირობები იყო! ბავშვებს უხაროდათ ლამაზი სპორტული ფორმის ტარება. შემოეხეოდათ ვადაზე ადრე და მე უნდა მეზღო ჩემი ხელფასით... ერთს უყიდი, ორს უყიდი... რამდენს უყიდი? რამდენჯერ უყიდი?.. მე ოჯახი მინახავდა, ხელფასით კი ასე ვბარაქობდი. განა ხელფასი იყო მთავარი, არა, გულისყური იყო გაყინული. არავის არ აინტერესებდა დიდი მასშტაბებისათვის რაიმე დაპროგრამებული, გააზრებული, თავგადადებული ბრძოლა. მე კი უბრძოლველად ყოფნა არ შემეძლო. დაკარგული დიდი იმედების ანაზღაურება მეწადა. რომ ჩამოსხდებიან პურის საჭმელად, ხეობას დააგუბებენ... ზოგს ისეთი მოსავალი მოსდის, მთელ გორს ჩააცმევს სპორტულ ფორმას, თუ მოინდომებს. გონიერი თაოსნობის გაგონებაც არ უნდოდათ... ამ სიტყვას საერთოდ აღარ ახსენებდნენ სპორტის ძირეული განვითარების კონტექსტში... ერთი ჭიდაობა ბოგინობს. ეგ არის... — დრო იყო, როცა ქართლი დამოუკიდებლად იცავდა თავს თურქთა და სპარსელთ თარეშისაგან!..

— მე თქვენი არ ვიცი, მაგრამ, იქამდე გათავხედდა ზოგი, მაგიდას რომ არ ეკორიკნა, ფულის შეკვრას შეუდებდა რესტორანში მაგიდის ფეხს, გასათარაზოვებლად... უბრალო ნაფოტივით ან აგურის ნატეხივით, ხურდას რომ ეძახიან კალატოზები, ისე შეუდგამდა მაგიდას ფულის შეკვრას და მიდიოდა გრიალ-გრიალი, — წამოიწყო შელახული „გაზ-21“-ის პატრონმა, — აზრის მაგივრად ფული გადი-გამოდიოდა...

— ამ საუკუნის დასაწყისის ღია ბარათი მახსოვს, ვაჟა-ფშაველა ეხატა და ეწერა: „მეც ვსწირავ ერთსა აგურის ფასსა ქართველ მოღვაწეთა აგარაკისათვის...“ — გავიხსენე მე და აზრის გასაღრმავებლად დავუმატე: — ქართლის მცხოვრებთაგან, სადაც კი პირის გასველება შეიძლება, თითო კილოგრამი ან ვაშლი, ან მსხალი, ატამი, გარგარი, ბალი ანუ ალუბალი რომ შეიტანოს თითო ოჯახმა სპორტის ასაღორძინებლად, ანუ ერთი აგურის ფასი, რამდენიმე წელიწადში ისეთი სპორტული ტაძრები და მოედნები აღიმართება და გაიმართება, ისე დაეკოდებათ გული ჩვენს უძველეს მტაცებლებს, რომ თქვენი მოწონებული! ფულის შეკვრით მაგიდის ფეხის გასწორება-გათარაზოვება რომ გაეგო სოლომონ ისაკიჩს, მისი სასოწარკვეთილი ღრიალი ცის გუმბათს დაბლა ჩამოაგდებდა... მეფე ერეკლეს თხოვნით საქართველოსთან ურთი-

ერთობის მოსასინჯად ჩამოსული და ერთი ხნის განმავლობაში თბილისსა და ქუთაისში მცხოვრები პოლკოვნიკი ბურნაშოვი ნაღვლიანად შენიშნავდა თავის დღიურებში: გასართობი ძალიან სჭირსო, ერთადერთი, რითაც ახალგაზრდობა აქ თავს იქცევს, ფარიკაობაა, „Палашные бои..“ გაუდით დილიდან საღამომდე ჩახა-ჩუხი მოფარიკავეებს...

იმ დროის ქართველ ახალგაზრდათა დამახასიათებელმა ამ ნეტარმა სპორტულმა დეტალმა ისე ამაღელვა და ისე შთამბეჭდავად შემოინახა ადგილი ჩემს მეხსიერებაში, რომ დედანშიაც არ ექნება ბურნაშოვს ტექსტი ასეთი სიზუსტით დაცული და შენახული. ზედმეტად მოწყურებულს შეუძლია მოძებნოს საჯარო ან მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში წიგნი: «Картина Грузии или описание политического состояния царства Карталинского и Кахетинского, ТФЛ. 1896».

მტრის შემოსევის მაუწყებელი სათვალთვალო კოშკები რომ იგებოდა უწინ ერთი-მეორის თვალსაწიერზე, იმ ყაიდითაა ახლა საქართველოს გზატკეცილებზე რესტორნები და დუქნები განლაგებული. ფარ-ხმალის ნაცვლად შამფური ბრუნავს მაყალზე, ბევრიც რომ არიდო თავი, სადღაც მაინც წამოეგები. მცხეთასა და თბილისს შუა ხანდახან თუ გალანდავს მგზავრის მოღლილი თვალი რამდენიმე ველომრბოლელს, ან მენიჩბეს, ეგ არის და ეგ, მორჩა და გათავდა!..

* * *

ქართულ ხალხურ ზღაპარში ფეხდოლაბიანი გოლიათი კურდღელს რომ დაეწევა, დაიჭერს, გაუშვებს, გამოუდგება. დაეწევა, დაიჭერს, მერე კვლავ გაუშვებს, ამ ძალასა ვხედავ ქართლში ასაღორძინებელს.

ბელტიყლაპია რომ მისდევდა გუთანს, რამდენ ბელტსაც ამოაგდებდა სახნის-საკვეთი, იმდენივეს სტაცებდა ხელს და პირში გაიქანებდა. ყლაპი ვქნა — ყლუპი აღარაო, — ამ ძალასა ვხედავ ქართლის მიწაზე, დიდი სპორტის ასპარეზი ლუკმად რომ არ ეყოფა, ოღონდ გულისყურით, გონების უტყუარი სასწორით შეაყენე, მიჰყევ და წააქეზე...

ეს გეზი უპირატესობს დღეს, ჩვენდა საბედნიეროდ, ეს არის ჩვენი ერთადერთი მხსნელი და გადამრჩენელი და დიდიცა და პატარაც ამ გეზზე უნდა შევდგეთ, თუ ჯანმრთელობა, გამრავლება და გონების გაფაქიზება გვწადია. გვწადია კი არა, მეტიც გახლავთ. როგორც მშრალზე დაცემულ კალმახს ვაჟას წყალი, ისე ეჭირვება დღეს ჩვენს ერს სპორტის ნამდვილი, სახალხო აღორძინება...

მესამე ზღაპრული გმირის სახელი ვერ მოვიგონე, მიწაზე რომ იწვა, ყური მიწაზე ედო, ქვესკნელის ამბებს რომ უსმენდა, ცალი თვალით ზეცას ასცქეროდა, მეორეთი კი ბალახებში მოფუსფუსე ჭინჭველის მოძრაობას უთვალთვალებდა, მწერალი იყო უთუოდ, დიდი ხალხური პოეზიის ქვესკნელიდან ამომყვანი...

სამი მინისტრი გამოდიოდა არც ისე დიდი ხნის წინათ ტელევიზიით. ბაზართან გლეხის ახალ ურთიერთობათა პრობლემებს განიხილავდნენ. მეოთხე ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ, ერთდროულად ბჭობდნენ, ახალ გზებს სახავდნენ ახალი, მეტად საჭირბოროტო პრობლემის საჯაროდ გამოსატანად, გადასაწყვეტად...

თავიდან ბოლომდე ვუსმინე საუბარს, გონივრულსა და საჭიროს, მათ საზრიან წინადადებებს. მაგრამ რაკი უკმარისობის გრძნობა ერთი და ერთი ამეკვიატა, ისე ჩათავდა ეს პრობლემატური გამოსვლა, რომ გულნაკლულობა ვერ გავიქრე ვერაფრის დიდებით. ოთხივე მინისტრი თავისი საქმის სახელმოხვეჭილი ავტორიტეტია. უკმარისობის გრძნობა კი ვერ გავიქრე. განა მარტო ამ შემთხვევაშია გაჩენილი მწერლის უკმარისობის გრძნობა, ბევრი საერო მსჯელობის ჟამსაც ტელე-რადიოს საშუალებით იქნება ეს თუ პრესის მეშვეობით, ერის საჭირბოროტო პრობლემებზე მინისტრთან ერთად ერთ სიტყვას მწერალიც უნდა ამბობდეს. ფაქტია. მწერლის საზოგადო-მოღვაწეობრივი გენეტიკური მრუდი თუ არ ახლავს ასეთ საჯაროობას ხერხემლად, ამ სიბრძნის ხეს, როგორც წესი, სიმართლის ისეთი დეტალი, ისეთი ნაყოფი აკლია, ურომლისობაც მსხმოიარე ლიმონარიუმის უფოთლობასა ჰგავს და შთაბეჭდილება მნახველს ისეთი ექმნება, თითქოს ყვითელი ნაყოფი მწვანე ტოტებისათვის ძაფით შეუბავთ და აუკინძიათო...

ერთი დუშელი ყოფილი კალატოზი, ცოუნების მოლიპულ გზაზე გადასული, გამდიდრების ნაცვლად საშვილიშვილოდ გაკოტრებულ-გაღატაკებული, ნარკოტიკებით მოვაჭრე, ყოფილი ადამიანი გვიჩვენეს საამისოდ მოწყობილ სატელევიზიო-დოკუმენტურ

გადაცემაში. გვიჩვენეს მისი არაკაცობის წყალობით დაჩაგრულ-გაჩანაგებული მთიელი კაცის ოჯახი, მეუღლე, ვაჟი — მოჭიდავე და კეთილი, რაინდული სახის ახალგაზრდა სპორტის ოსტატი, მამისა და მეუღლის, ქართველი მთიელი კაცის ამ წარმოუდგენელი გადაგვარებით ჩრდილჩამდგარი და დამტვერილი მათი თვალები სიკვდილსღა ნატრულობდნენ, სიცოცხლეს კი არა.

საკმაოდ რიგიანი ჟურნალისტის მომზადებული გახლდათ ეს გადაცემა-გადაღება, და ამ გადაცემისავე ავტორის ხმის წინამძღვრობით, მისი კომენტარებით მიმდინარეობდა.

ამ შემთხვევაშიაც, სრულიად გულწრფელად. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ბალღი ვარ და მამაპაპურ სკივრში ჩამწყვდეულ ჯადოს, რაღაც საინტერესო, უხილავ საგანს მიძაგებენ. ხილვით ვერ ვხედავ ჯადოს, რაკიღა ჩვილი ზედ ამ სკივრზე ვარ დაგორებული. „ქიხ“! — მესმის დედის ამკრძალავი შეძახილი, — „ქიხ!..“ ცნობის წადილმა გამჭვალა თავიდან ბოლომდე. ბალღი რაღაც ისეთს ვეპოტინები, რომლის ბაიბურშიაც არა ვარ. „ქიხიო!“ — მიშლის დედა, ორივე ხელი ცომიანი აქვს, მე კი ჩემთვის ვპოტინობ და ვგორავ საკმაოდ მაღალ სკივრზე. ერთი სული მაქვს მივწვდე ბრჭყვიალას და ამასობაში ლამის არის გადმოვარდე...

გაგონილა ასეთი ტანჯვა მოუბარისა, მაშინ, როდესაც ყველა ქარაგმა აუხსნია ქართულს!..

მიუხედავად ჩვენი რაზმის ესოდენ გაზრდა-გამრავლებისა, ერისკაცის ბუნებრივი, სიგელგუჯრიანი ტიტული გენიალური რუსთველის, დიდი ილიას, აკაკის, ვაჟას და გალაკტიონის წყალობით, ავად თუ კარგად, მწერალთა იმ რაზმეულს გადმოგველოცა, „შაგრენის ტყავივით“ ჩვენს კედელზე ჰკიდია ჯერჯერობით, და ამდენად, ასეთ საკითხთა საჯაროობისას მწერლის დასწრება-მონაწილეობა სავალდებულოა, აუცილებელია! ამბიციის ნატამალი არ გახლავთ ამ სიტყვებში...

„გაზ-21“ იგოეთს გამოსცდა, მუხრანის ველს გადმოვხედეთ ამ ფიქრებსა და საუბრებში...

კაკლის ხეთა ქარსაცავი ზოლი ორწყებად გასდევს გზატკეცილის ამ მონაკვეთს. კაკალი შემოსულია და მთელ ჩაყოლებაზე. კაბიანი თუ შარვლიანი, დიდი თუ პატარა, ხელთ არსებული ყველა საშუალებით კაკლის ბერტყვა-შეგროვებას შესდგომია. „პაპას არ დაურგავს ეს კაკლის ხეები და მამათქვენს. გინდაც მათი დარ-

გულებიც გახლდეთ, რა ამბავია ქვის, კეტის სროლა და ხალას ხათქა-ბუთქი!“ — ის იყო გავიფიქრე და რომელიღაცა შემგროვებლის ნასროლი ქვა ჩვენი მანქანის საქარე მინას ეკვეთა, მინა ჩაიშუშა. მძღოლმა მოხერხებულად გადააყენა მანქანა უხიფათო ადგილზე, გადმოხტა და დამნაშავის საპოვნელად დააბრიალა კაკლები...

მე და ჩემი თანამგზავრი-მერცხალი, ჯიბე-უბეთა ქექვას შევუდექით. ფრთხილად ვიბრუნებდით სარჩულს, მინის ნამსხვრევებისაგან ვითავისუფლებდით სამოსს.

თავი მოვიწესრიგეთ, მანქანიდანაც ამოვხვეტეთ მინის ნატეხები და საბრძოლო ყიჟინით გაქცეული ჩვენი მძღოლის მობრუნებას დაველოდეთ. მოლოდინში უბის წიგნაკის თვალიერება დავიწყე. ღარიბი ჩანაწერები მაქვს. ნანახი, გაგონილი, მონაფიქრი და წარმოსახული ძალზე იშვიათად გადამაქვს ქაღალდზე. გაელვებულის სიკაშკაშე, მისი ქუხილი მსიამოვნებს, ქაღალდზე გადატანა კი ძალზე ნაკლებად. არ ვიცი, რითია გამოწვეული, მაგრამ ქაღალდთან ჭიდილი მიძნელდება ამ ბოლო ხანებში. ზეპირმეტყველებაში იმდენად დავოსტატდი, რომ ვახუშტისა და ალექსის ხალხოსანთა გუნდისაკენ მიმიწევს გული...

„შემომეყარა ყივჩაღი, ბილიკსა მუხრანისასა!...“

რად უნდოდა ამ ცეცხლისმფრქვეველ გენიოსს კრიტიკოსი?!. განა ჩვენი თანამედროვე სმენისათვის ამ ლექსის გარეშე უღიმღამო არ იქნებოდა მუხრანის სახსენებელი?! რაგინდ დიდი მოსავალიც გნებავთ არ მოჰყავდეს სოფლის მეურნეობის აქ დასაქმებულ მუშაკებს, ეს ბრწყინვალე ლექსი მუხრანელთა შუბლის ქინძისთავია...

ყივჩაღზე ამ დიდებული ლექსის მთქმელი უპირველესად ქართველ მწერალთა წინაპარი გახლდათ და შემდეგ უკვე ყველა დანარჩენისა!..

ათკეცი და ასკეცია დღეს, სოციალურ-ეკონომიკურ გადაუდებელ პრობლემების გადაჭრისათვის უშეღავათო და უკომპრომისო ბრძოლაში საერთოდ საბჭოთა მწერლის და კერძოდ ჩვენთვის ქართველი საბჭოთა მწერლის როლი. სულიერი გაღება იმდენადვეა საჭირო, როგორც მუხრანის ველზე წარმოთქმული, დღემდე ჩაუმქრალ ვარსკვლავად მოკაშკაშე, ერისათვის ნამდვილი დიდი, სულიერი ხარისხის ნიშნის მიმნიჭებელი ლექსი — „შემომეყარა ყივჩაღი“.

მინას სად იშოვიდა ჩვენი მძღოლი. კაკლები კი ჩამოერთმია მინის საბადლოდ. ტომრები საბარგულში შეყარა და აღელვებულმა, მანქანა დაძრა.

ცხელი ქარი გრიგალივით შემოიჭრა უმინო მანქანაში და კუდიანივით დაგვირბინა... ლამის ხელიდან წამართვას უბის წიგნაკი... ვკითხულობ ჩანაწერს:

„საჭადრაკო დაფიდან ხნულში გადაყრილი ფიგურები ჭადრაკს ვერ ითამაშებენ... საჭადრაკო ამოცანის ან ეტიუდის დროსაც კი, ამოცანის შემდგენელი ყველა ფიგურის გათვალისწინებით ადგენს ამოცანას, თუნდაც რომ მის მოცემულობაში მხოლოდ კუ, მხედარი და პაიკი იყოს გამოყენებული...

ჭადრაკის თამაში ფიგურების გარეშე მხოლოდ დიდ გროსმაისტერებს შეუძლიათ. უდაფოდაც შეუძლიათ მათ ჭადრაკის თამაში, მაგრამ მათ წარმოსახვაში უდაოდ იხაზება დაფა, ლაგდება წარმოსახვითი ფიგურები, რომლებიც სინამდვილის ტოლფარდია. ფიგურების, ასევე პაიკების აბსოლუტური უარყოფა შეუძლებელია...

ჭადრაკის დაფაზე სათამაშო წესის მიხედვით მხოლოდ ოცდათორმეტი ფიგურა ეტევა...“

* * *

პატარა ქალაქის მკერავი, თერძი ფუტკარაძე მეტრაბახება: სულ დიდი ხალხის შეკვეთები მაქვს, რა ვქნა, ვერ ვიცლი შენი შარვლისათვისო.

ასე გადამიდო უბრალო საქმე რამდენჯერმე. მიმიყვანს, მომიყვანს, შესაძლოა იმდენი არავინ უტალახიანებს კარს, რამდენსაც იგონებს ჩემს თვალში თავისი ოსტატობის ასამაღლებლად. წაკითხული არაფერი არა აქვს ჩემი, ალღოთი ხვდება, რომ რაღაცას წარმოვადგენ და მაგარი უჭირავს.

— კარგი, რა! შესანახად ხომ არ მოგაბარე ის ნაჭერი თვე-ნახევრის წინ. ბეც დაგიტოვე... შაბათი მითხარი, შაბათს გეახელ, შინ არც შემივლია, პირდაპირ ხიდიდან შენსკენ გამოვწიე. სამი იყო, ოთხის დასაწყისი. ვიდექი, ვიყურყუტე. დარაბები დაშვებული არა გქონდა. უბრალო გასაღებით იყო დაკეტილი დუქნის კარი...

— „ატელიესი“, ძმაო, რაღა დროს დუქნებია. დიდ-დიდი ხალ-

ხი მოსვენებას არ მაძლევს, შემიკერე, შემიკერეო, შენ კი დუქანიო...

— ჰო, კარგი... გუშინაც მოველ და არ იყავი... აგე ახლოს ძველი და ახალი უბნის კუთხეში პაწაწა ქელეხი იყო ჩარდახქვეშ. იქ თუა-მეთქი, ვიფიქრე და გავბრუნდი...

— აქ ვიყავი, მეზობელთან. დენი არ იყო მთელი დღის განმავლობაში და მეზობლიანთა შევიქციე თავი. მოვკვდი ნარდის თამაშით. ორი წელიწადია აღარ მითამაშია, ამოდენა კლიენტები მახვევია და, გუშინ სწორად შევისრულე დანაკლისი... ცოცხალი ჰქონდა მშვენიერი, ორი-სამი ჭიქა თეთრი ღვინოც ვხუხე...

— რატო ორი-სამი ბოთლი არა. შენ ხუხავდი, მე კი აქ მაყურყუტებდი ამ ჯვალოს გულისათვის.

— შემოსულიყავი და გენახე... შენც გიცნობენ. ცოცხალს მირთმევდი... ორი-სამი ბოთლი ოომ ბრძანე, შეცდი... მოსულიყავი და გენახა. ორი-სამი ჭიქა დავაყოლე. სხვა დროა, ძმაო. ამოდენი კლიენტურა თავს მახვევია, დალევ და ორ დღეს თავი აღარა მუშაობს. ამოდენა საქმე, ხალხი, ანგარიში... უთავოდ რას შეკერავ?.. ისე დაეხვეწა ხალხს გემოვნება, ბეწო რომ იქით გადაგიცდეს ნაკერი, ერთ ამბავს ატეხავენ... შვილები მყავს, შვილიშვილები. პურის ფულს შოვნა უნდა...

დავიჯერე ფუტკარაძის ნათქვამი, განა არა, მესიამოვნა... კარგი სამი თვეც იქნება, მეც აღარ დამილევია. ფუტკარაძე თერძია და ნაკერის სიზუსტისათვის სჭირდება საღი ტვინი. მე მწერალი ვარ. მთელი ეს დაძაბული სამყარო ციდან ქვესკნელამდე ჩვენი თვალსაწიერია, ჩემ ხალხს უნდა დავულიანდაგო, ჩავაცვა, დავახურო, მოვარგო... იშვიათად, აქა-იქა, ავი ფიქრის გასაფრთხობად თუ დალევ კაცი ორ-სამ ჭიქას...

— მომაზომებ, მზადა გაქვს? — ვეკითხები.

— გამოჭრილი მაქვს, ა, ძმაო... დენი არც გუშინ იყო, — დღესაცა ტყუის...

— ელექტრონიკაზე რომ გადახვედი ერთბაშად, ფეხის საკერავი მანქანაც უნდა შეგენახა...

— ა, ძმაო, ფეხისაცა მაქვს და დენისაც. ნაკერს თუ ცხელი უთო არ მიადევნე ფეხდაფეხ, არაფერი გამოვა, მოდური ნაჭრებია, უთოს გარეშე ვერა დგება. ფეხდაფეხ თუ არ მიაყოლე უთო ნაკერს. ვშოულობ, განა არა ვშოულობ... მოვა დენი და შენც მოდი...

— როგორ კერავ შარვალს?.

— თხუთმეტ მანეთად, ოცად. ამ ბრეზენტს, შენ რომ მომიტანე, არც ორმოცი ეყოფა, მაგრამ შენ ხომ არ გამოგართმევ. მარტო რაც ეგ მე ნემსებს დამილეწავს და მაკრატელს დამიბლაგვებს, იმისი გადამიხადე და დანარჩენი ალალი იყოს...

— კარგი, დამიბრუნე, მომეცი, აგერ შენ მეზობელს, მეთუნე ავთოს მივუტან, რკინის საჭრელ-საკერი იარაღი აქვს, სახურავებსა ხურავს კაცი და ტყეში საგლეჯ შარვალ-ხალათზე როგორ მეტყვის უარს.

ვიცინი და მივდივარ...

* * *

...ჩამოვიდოდა მეცნიერი-მელიორატორი დედაქალაქიდან, შეამოწმებდა დახრამულ, ეროზირებულ მიწებს, შეაყენებდა სასტიკ აქტს, კანონიერს, მეცნიერულს. როგორ იღუპება მიწის ნაკვეთი არასწორი რწყვით, როგორ იხრამება, როგორ ფუჭდება საშვილიშვილო საქმე, მომადგებოდნენ ნაცნობი აგრონომები, ჩემი მეგობრები, მთხოვდნენ მეშუამდგომლა რევიზორ-მელიორატორთან, სასტიკი აქტი რომ არ შეედგინა.

წარსულის ამბებია, არც ისე შორეული წარსულის, მაგრამ მაინც წარსულის... დათვური სამსახური ჰქვია ამას, მეტი არაფერი... სალიტერატურო ფრაზად იქცა ეს სიტყვა. „დათვური სამსახური". თითქოს საიმისო არაფერი მომხდარაო, მობოდიშებასავით არის ეს ფრაზა. ისეთი რა დამიშავებია, ერთი „დათვური სამსახური" გავუწიე. შემეცოდნენ. თანშეზრდილები ვართ. გეგმები აქვთ შესასრულებელი, ფართობები იზრდება, საქმის მცოდნე ერთგული და მუყაითი მრწყველები არა ჰყავთ... „დათვური სამსახური!.." რა დააშავა ნეტავი იმ საცოდავმა დათვმა, მარტოდ შერკინებულმა ათას თოფოსანთან, ხაფანგოსანთან, საწამლავსა და უბედურობასთან! რამდენჯერ ვმჯდარვართ მონადირულ საფარში კოლექტიური ნადირობისას, ლიცენზიით ან საგანგაშო გამოძახებით: დათვმა სიმინდის ყანები აიკლო, დათვმა საქონელი დაგლიჯა, გაიტაცა, წაიღო. გვიშველეთ, ჩაუსაფრდით, მოგვაშორეთო!..

ასე ერთგულად რომ იწერებოდეს კოლექტიური განცხადებები: აგვიკლო რევიზორმა ან მავან და მავანმა თავმჯდომარემ, ან

მავან და მავან „ჩარჩოიანმა“ ძველბიჭმა, ან მავან და მავან მექრთამემ, ან მავან და მავან ჩუმჩუმელა ლოთმა, ან ტყავის მაძროებელა სპეკულანტმა, — ბედნიერი იქნებოდა გაიშვიათებული ტყის ბინადარიც და მისი ცოდვით სავსე ადამიანთა მოდგმაც...

მასალები მოთხრობებისათვის... ზოგი ძველია, ზოგიც ახალი. ჩანაწერთა უმეტესობა უჯრებში მიძევს დამტვერილი...

პიესების სიუჟეტები, თანამედროვე, საჭირბოროტო პიესებისა. კინოსცენარების ფაბულები და ვრცელი განაცხადები, სამი დაწყებულ-მივიწყებული ვრცელი მოთხრობა, ლამის რომანელა, ანუ მომცრო რომანი, დამიწყია და მიმიტოვებია...

პიესები არა გვაქვსო, თეატრის რეჟისორები აცხადებენ დროდადრო, კინოსცენარები არა გვაქვსო, კინორეჟისორებიც წუწუნებენ... განა თუ დრამატურგს მოიკითხავენ და პირისპირ გაარკვევენ. არ ჭირდებათ. წუწუნს ყველა შეეჩვია, წერასაც, რეჟისორებმა ისწავლეს წერა, დრამატურგები გადაეჩვივნენ. ესეც მართალია, მაგრამ, თუკი სამეურნეო საქმიანობაში ექსპერიმენტების დიდი ძვრებია, ტერიტორიულ-დარგობრივი ცხოველმყოფელი, სადღეისო, სახვალიო და სამერმისო დიდი მიღწევების თავი და საწინდარი გაჩნდა, რატომ უნდა იყოს გაუთავებელი წუწუნი დრამატურგებისა თეატრების პატრონების მიმართ და პირიქით. რეჟისორებსა და კინოსცენარისტების შორის ერთ დროს ცხოველმყოფელი ურთიერთობა რატომ გაცვდა და გახუნდა? რამ დააჟანგა ეს კონტაქტები, ხომ არ ჩამოვრჩით მოვლენებს? ხომ არ ჩამოვრჩით დროს?.. გავხეხოთ კონტაქტები, გადავაცალოთ მავნე, მომაკვდინებელი ჟანგი. წერა დაგვავიწყდა თუ რაშია საქმე? ჩავატაროთ შემოქმედებითი კავშირების გაერთიანებული ექსპერიმენტული პლენუმი. ვილაპარაკოთ სრული გულახდილობით, როგორც სჩვევიათ ნამდვილ შემოქმედებს.

ვერ გაკეთდება დიდი საქმე უერთმანეთოდ...

ეს არ არის ძველი ჩანაწერი, ეს ცხელ-ცხელი, პირდაპირი რეპორტაჟია გულის სიღრმიდან...

* * *

გადატკეცილია ვარაზის ხევი, უნივერსიტეტის აღმართი. ოცოცდაორი წლის ახალგაზრდა თბილისელი მოსრიალებს ახალი „ჟიგულითა“ და მინდობილობის ფურცლით უბეში, ბაიბურშიაც არ

არის, რომ ჩვენი სტუდენტობის ჟამს უშველებელი, გაუვალი, ღრმა და განიერი ხევი იყო აქ. უფრო ადრე, ჩვენი მშობლების სტუდენტობისას კი კურდღელი და მელა გარბოდა ამ ხევში, კაკაბი კაკანებდა ვერეს ხეობის ფერდობებზე. მშვენიერი ცოცხალი დამიჭერია სტუდენტობისას მდინარე ვერეში...

ამ ხევში ჩავდიოდით ბადროს ტყორცნაში სავარჯიშოდ მე და ჩემი მწვრთნელი, მძლეოსნობის მშვენიერი მცოდნე დათაშვილი, სახელს ვეღარ ვიხსენებ, ოცდაათზე მეტი წელი გავიდა მას აქეთ...

რა გაახურა და გააჭირა თავისი ბადროს ტყორცნითო! — შეიცხადებს ამოვსებული ხევის მიტკალივით გატკეცილ გზატკეცილზე გამოჭენებულ „ჟიგულში“ მჯდარი სტუდენტი და გაზის სატერფულს დააწვება, სიჩქარეს მოუმატებს, ლექციაზე არ დამაგვიანდესო...

ძლივს ჩავდიოდით ფრიალო კლდის საცალფეხო ბილიკებით ვარაზის ხევში. ჯერ მოსათელი ვარჯიშები, სირბილი, დამამშვიდებელი სირბილი და ბოლოს ჩხირით შემოწრეულებულ მეტრნახევრიან წრეში ბრუნვა ბადროთი ხელში.

ვარჯიშს რომ მოვრჩებოდი, ტრამვაის ძეხვში ჩაჭირხნული მივდიოდი სტუდქალაქში ან ნაქირავებ ოთახში. ვწვავდი ტაფაზე გადამარილიანებულ შაშხს, ვახლიდი უმაცივროდ შენახულ საეჭვო კვერცხს და კედელზე ჩემი ხელით შპალერებად აკრულ არაბული ზმნის ფორმათა პარადიგმებს ვიზეპირებდი... კვირის გასულს ფუნჯითა და მუქი საღებავით, მსხვილი ასოებით, ახალ პარადიგმებს ვწერდი ხატვითი წერით და ახალ სიტყვებს ვიზეპირებდი გიორგი წერეთლისა და ლექსო ლეკიაშვილის, ამ ორი ბრწყინვალე მეცნიერისა და პედაგოგის არაბული ღიმილის მოლოდინში.

საღამოს უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრის მეცადინეობაზე მოვრბოდი იღლიაში ამოდებული „ამატის“ ვიოლინოთი, თურმე უძველესი და უიშვიათესი ინსტრუმენტი მქონოდა, ბიზნესის გაკეთება შეიძლებოდა. ინსტრუმენტის ქვედა დეკაზე ამოვიკითხე, როცა შემთხვევით, დიდი ყინვის ჟამს, ზამთრის არდადეგებზე, კიევში გასტროლებისას ყინულზე უცაბედი წაქცევით ნაჭუჭ-ნაჭუჭ დამემსხვრა ეს ძველი და ნაღვლიანი საკრავი. ქვედა, დიდი დეკას ნატეხზე ეწერა: „ამატი“, 176.., თარიღის ბოლო ციფრი აღარ მახსოვს...

ჩანაწერი:

„შენც ხომ იცი ბროლის ციხე,
ზეცის როგორ თაღებშია..“

ჩანაწერი გრძელდება: „ბროლის კოშკის შესახებ უნდა ჰკითხო 12-დან 18 წლამდე ახალგაზრდას, მეორე დაკითხვა 18-დან 25 წლისას უნდა ჩაუტარო და თუ სხვისაგან განსხვავებული. საკუთარი ოცნების ბროლის კოშკი არ გააჩნია, სერიოზული იმედი აღარ უნდა იქონიო მისი, „ინტურისტის“ დარბაზები შეიქნება მისი ცის ქუდი, დედამიწის ქალამანი...“

* * *

სკოლის სიმღერის გუნდი. ვმღეროდი და ვცხოვრობდით მასში. მერვე კლასში ხმა საგრძნობლად გამიბოხდა და მეორე ხმებიდან ბანებში გადამიყვანა გუნდის ხელმძღვანელმა, იგივე ჩვენი სკოლის უმკაცრესმა დირექტორმა, ბუზი რომ ვერ გაიფრენდა მისი შიშით სკოლაში კი არა, ეზოშიაც კი... მეათე კლასში ბანებიდანაც გამომიყვანა. საქმე ის გახლდათ, რომ, ჩემს წინ ოთხ რიგად მდგარ პირველ და მეორე ხმათაგან ოთხმა ყმაწვილმა შესჩივლა გუნდის ხელმძღვანელს, არ გვესმის ჩვენი საკუთარი ნამღერი, დაგვაყრუაო... — გამომიყვანა. ცალკე გამსინჯა. სიხარულის ფრთები შეესხა. „აღარ იარო, შვილო, გუნდში, ეგ შენი საქმე აღარ არის, შენ სოლისტი ვოკალისტი ყოფილხარ. მომილოცავს! — გადამკოცნა, — დიდი მომღერალი იცი რა არის, ჩემო შვილო? აი, რომ გახდები, გაიგებ. ხვალიდან ცალკე ხმის დამუშავებას ვიწყებთ. ფა-დიეზე გაქვს მაღალი, დაბალი — აუჰ!

დავალება მომცა:

— აბესალომის და მურმანის დუეტიდან მურმანის ტექსტი ისწავლე... ორივე ისწავლე. მურმანისა განსაკუთრებით...

ვსწავლობ...

გაკვეთილები, ვიოლინო, მძლეოსნობა, ვარჯიში ვოკალში... გამოვიწერე ლენინგრადიდან ნოტები ბანისა და ბარიტონისათვის... ერთ ამბავში ვარ! ლამის დამახრჩოს მომავალ გამარჯვებათა სიხარულმა...

გამოვდივარ ქალაქის დიდ სცენაზე. აქეთ მე — მურმანი, იქით — ჩემზე ერთი წლით უმცროსი ლირიული ტენორი — აბესალომის პარტიას მღერის. სკოლათა ოლიმპიადის დასკვნითი

კონცერტია. რომელიღაცა ფილმით ჭკუანასწავლმა ვულაპე და ვულაპე უმი კვერცხები... ლამის ალი ამომვარდეს დაღებული პირიდან...

„შენც ხომ იცი ბროლის ციხე

ზეცის როგორ თაღებშია!“ — იმისთანა მოულოდნელი და მრისხანე ხმით დავჭექე და შევუძახე ჩემს პარტნიორს, ლირიულ აბესალომს, რომ შეფრთხა და პატარა ხანს პასუხი ვეღარ მომამღერა... დარბაზში ტაში და სიცილი ატყდა... მაინც დავამთავრეთ დუეტი... ხვალ-ზეგ ლა-სკალაში მგონია თავი. ვცხოვრობ სიმღერის ბროლის კოშკში. ვიზუთხავ რუსული რომანსების ტექსტებს. ვვარჯიშობ მძლეოსნობაში... დავდივარ ვიოლინოზე...

ერთი საგაზაფხულო, ათკილომეტრიანი რთული კროსის დროს გაოფლილმა და გამარჯვებით წახალსებულმა ცივი ვაშლი გეახელით ჩემი თანასკოლელის ცივ სარდაფში დახორავებული... გამიჩნდა ყელის მძაფრი კატარი. წამერთვა ხმა. წავიდა „ლა-სკალა“ გალმა, დავრჩი ლიახვგამოღმა, ყურებჩამომჭკნარი.

თადარიგში ორი კოშკი კიდევ მქონდა: ვიოლინო და მძლეოსნობა...

* * *

უფროსი თანასკოლელი ამხანაგის მონაყოლი, ძველი ჩანაწერი. ახლახან დავასათაურე:

„ვარდის ეკალზე დასობილი, მკვდარი ბულბული“ — ჰამლეტ გონაშვილი. ჩვენი თანასკოლელი. უფროსი. ცა ჰქონდა თვალებად, დედამიწა — ქალამნად. მამა ინსტიტუტში ასწავლიდა. არასოდეს არ ერეოდა ჩვენს თამაშებში. დასვენებაზე არ ღლაბუცობდა. არ ზედახორობდა, არ კაკლაობდა, არ ლახტაობდა, არც მრგვალი ჯორი, არც გრძელი. კახეთიდან კი იყო, ანაგიდან. დაც ლამაზი გოგო ჰყავდა. ომი ახალი დამთავრებული იყო. ჯერ კიდევ ჭირდა პური. ყველას გვშიოდა. ჰამლეტის დედას მზესუმზირა ჩამოჰქონდა კახეთიდან. ოჯახში ხალავდნენ. შიმშილობას მზესუმზირის კნაწა-კნუწით ებრძოდნენ. ჰამლეტს მუდამ სავსე ჰქონდა ჯიბეები მზესუმზირით. გვინაწილებდა, მაგრამ, მაინც ვავიწროვებდით. რაღაცნაირი იყო. ჩუმი. თავისთავადი. მზესუმზირის დიდ ნაწილს გვაძლევდა, დანარჩენსაც ვართმევდით, გვშიოდა და ვართმევდით. შენ სახლშიცა გაქვსო, — ვეუბნებოდით. იდგა თა-

ვისთვის, „ღუ-ღუ-ღუ-ღუ“ — ერთთავად ღუღუნებდა ჩუმი ხმით... არაფერი მას არ აინტერესებდა ამ ღუღუნის გარდა... განმარტოვდებოდა, აიტუზებოდა კედელთან და ჩვენ რომ ვყირამალაობდით და ერთ ამბავში ვიყავით, ის თავისთვის ღუღუნებდა. „ღუ-ღუ, ღი-ღი“ — რაღაც ამნაირად. მე ვერც კი გავიმეორებ... რომ ღიღინებდა სულ, გამუდმებით, ყველა მოწმეა... ყველას შესაძლოა არც ახსოვდეს მისი ასეთობა, თავისებურება, უმეტესობას გვახსოვს... ბევრნი კი აღარ დავრჩით, მაგრამ, ვინც დავრჩით, აი, ასეთი გვახსოვს,, იშვიათი, სკოლის სიმღერის გუნდში მღეროდა თუ არა, არ მახსოვს. რა საკვირველია?! მომკალი და არ მახსოვს... დასვენებებზე მახსოვს, სწავლის დაწყების წინ, ღუღუნებდა და ღუღუნებდა ქედანივით... თავის გასაგონად... შინაც რომ მოდიოდა სკოლიდან, ჩუმად ავედევნებოდით, ფეხაკრეფით, რაკი ვიცოდით მისი ეს უცნაური წყურვილი. მოდიოდა და „ღუ-ღუ, ღი-ღი“ — ღუღუნებდა თავისთვის. მაინც რა ვაეკაცი დადგა, ჰა?! აი, სარაჯიშვილიო, რომ იტყვიან, რადიოთი რომ გადმოსცემენ. ჩანაწერები არ ვარგოდაო. ესო, ისო... მჯერა. არ ვარგოდა მაშინ ჩაწერის ტექნიკა, მაგრამ, მე, ჰამლეტ გონაშვილი, სარაჯიშვილი მგონია. ბავშვობიდან რომ ასე, სულ ერთთავად ღუღუნ-ღიღინებდეს თავის ცისფერ ფიქრებში წასული ადამიანი, მეორე ალბათ, დედამიწაზეც არ მოიძებნება...

ვარდის ეკალზე დასობილი და მკვდარი ბულბული...

* * *

— შევიდეთ ინტურისტში. პური ვჭამოთ... მე მშია და თქვენი არ ვიცი...

— აღარ შემიძლია ამ ინტურისტში და მომკალი თუნდა.

— ჰო, კარგი. შევიდეთ. კალმახი, საფირმო კატლეტები, ცოცხალი, შინაური დედლები, ხიზილალა, ნადუღი, მჭადები, კიტრი, პამიდორი, ტარხუნა, შოთები, მუჟუჟი..

— გავარდა ჯიბეს ძირი, ამოვიდა სასეელში ერთი და იგივე, ერთი და იგივე!..

მაღალთაღოვანი დიდი და მცირე დარბაზები აქვს ქართლის გულში ინტურისტის რესტორანს. მუქი ყავისფერი ხით გაწყობილი კედლები. სვეტები, ფანჯრები...

გუმბათიღა აკლია და ეკლესიაა!. დრაიტი „ინტურისტო!“

— დრაიტი ტიკლიკო! მარტო ხართ?

— არა, ჩამოსულები არიან... გავწყალდი...

— შენი წყალი სხვის ღვინოსა ჯობია...

ინტურისტში უნდა შეხვიდე, რაკიღა ეძებ ან რაკიღა გეძებენ. ან ის გიპოვნის ან შენ ჰპოვებ... მაშინაც იპოვნი, თუ არავის ეძებ და თუ გეძებენ — ვერ გიპოვნიან, ან გიპოვნიან...

გოგოლი რომ შემოვიდეს თავისი რევიზორის საძებნელად, არავის გაუკვირდება... აპოვნინებენ, ჩაახუტებენ ერთი-მეორეს, შეარიგებენ...

— ინტურისტო, ინტურისტო, შენი ჭირიმე...

— რა იკო, ვალიკო? — შუბლთეთრა, დედოფალივით ბადრი ოფიციანტი.

— ტაკლი-ტუკლიკო, დუშკიკო, ვანიკო, იკოკო? — ეხოხმარიკება მამალი ხოხობი.

— კო-კო და ცავიდა.

— „ტანგო“ ან „ზაპაროჟეცა“?

— იკვნენ და მოვალთო...

— ბუებუჟა?

— პატარაშია, სტუმრები ყავს... დავუძახო?

— ჯერ მოიტა რამე და მერე...

ეზოს მხრიდან სახაშეა. იქ ჩუმი, სწრაფი და ცხელ-ცხელი დიალოგები მიდის:

— კარგი ორიანია, ბიჭო!

— პირი — პურისათვის არის გაჩენილი და პური — პირისათვის...

— მაშ, მაშ..

— წაველით!..

მძიმე, შემოდგომის პეპლებივით დაფარფატებენ გადამწიფებული ოფიციანტი დედაკაცები. ხან აქ ჩამოჯდებიან, ხან იქ, როგორც საკუთარ ოჯახში, ისე... ცოტა მარილის მოყრა და აჰა, დედალი, ცივად და ცხლად..

— სვიმონი ვარო, ბიჭები იკითხა, არ დაბრუნებულანო?.

— ვინ სვიმონა, სვანეთის მწონავი? — მუხლზე ჩამოისვამს.

— არა, მეფე ვარო, სვიმონ, მწვანილი მინდაო... ბიჭები იკითხა.

— მწვანილი? ვინ გიჟი იყო ნეტავი? გაატანე? მეფე? მეფე. —

ფიქრობს, თანაც დედალს მუხლზე ანანავებს...

— მაშ, მეპე ვარო, სვიმონ — მეპე, დოსპეხები ეცვა ჯაჭვი — მაჩვი, ჩაჩქანი...

გულით რომ სდომოდა, ვერ იფიქრებდა, თუ რომ სვიმონ-მეფე შემოვიდოდა „ინტურისტის" რესტორანში, ბიჭებს იკითხავდა, ვერავის ნახავდა, ბუმბერაზია აქ ყველა. ის ბიჭები კი ბიჭები იყვნენ. წავიდოდა ერთი მუჭი მწვანილით ხელში. ესპანეთის მეფესთან გაგზავნილი დიპლომატიური წერილების პასუხის მოლოდინით აღესრულა სვიმონ...

* * *

არადა ცენტრია, გემრიელი პური იჭმება, მარჯვეა. ყველამ ყველაფერი იცის, სწავლა და გაწყრომა „არ ვარგა-ვარგას" საკითხებზე არ დაგჭირდება აქ კაცს: ბლაღოჩინებივით მზარეულები ბრუნავენ ამ საყდარივით შენობაში..

ერთი გრძელი და ჭრელი სუფრა გახლდათ გაშლილი დიდ დარბაზში, ჩვენ რომ შევედით... თურმე სამი სხვადასხვა ასაკის ჯიელი: ოცდაშვიდის, ოცდაცამეტის და ორმოცის ერთად იხდიდა დაბადების დღეს... ასი წელი გამოსდიოდათ ერთად. ცხელი ხარჩო და საფირმო კატლეტი მოვითხოვეთ ტრაპეზიდან მოშორებულ ოთხკუთხა მაგიდის სიმყუდროვეში.

სამი სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა სამსახურის, სხვადასხვა რჯულის ახალგაზრდა ერთად იხდიდა თავის დაბადების დღის აღსანიშნავ ზეიმს... ერთი მილიციელი იყო, მეორე და მესამეც ისე მუშაკი... ყველას თავისი სტუმარი ახლდა, ყველა სტუმარი ერთმანეთს კარგად იცნობდა და მშვენივრად დასამეულდა სამი სხვადასხვა რაზმი ერთ ჯარ-ჯამაათად... სარდალიც საერთო ჰყავდათ, ყველა რაზმიდან თითო მოადგილე თამადისეულ სიბრძნეს თავისებურად ავითარებდა და საწურავში ატარებდა.

ამ დიდი დარბაზის ცალკე შორეულ, მყუდრო მაგიდას ვუსხედით მე და ორი მეგობარი. ერთიც იყო შედარებით უცხო, ცოცხალ-ცოცხალი ბიჭი, ჩვენზე უმცროსი, კალმახივით სხარტი... კურკას ეძახდნენ მეტსახელს. როგორც იტყვიან, ვარიანტი არ იყო ცნობისა და მიპატიჟებისა...

„სადაც არის ბედი შენი — იქ მიგიყვანს ფეხი შენი..."

საოცარი შეხვედრა მოხდა სწორედ აქ. ბავშვობისას, ღორების კოლტი რომ ჰკაფავდა ღობეშემოძარცვული ჩვენი ვენახის ბარაქას, იმ კოლტის უმცროსი პატრონთაგანი, გუგულა-ბიჭი გამოდგა სწორედ ერთ-ერთი ამ დაბადების დღის დამნაშავე. ის არა ხარო! — სიხარულით იფეთქა, ჩამეჭიდა და თავის სუფრასთან ვაცივით მიმაოთხა. ესო, იცით ვინ არისო! ბავშვობის დროს ასე და ისეო... — ღიმილით იგონებდა, აგურის ნატეხით როგორ მოტეხა ჩემმა ძმამ მათ ონავარ მთავარ-ეშვას წინა, მებრძოლი ფეხი, მტევანს რითიც ჩამოიტოტებდა ხოლმე... დიდი მორი ეპოვნა, როგორც ჩანდა, ეპო — ეპო და ჯერ ვერ დაეპო. დასაპობი ჯერაც ბევრი ჰქონდა. დიდი მარნის გამგედ ვმუშაობო...

მოგონებები ისე ხალას-ხალას გადამეშალნენ, მართლა გულით ვისიამოვნე. ჩვენი პაწია სადილის სუფრა ლამის გადამავიწყა ამ სიხარულმა. ვხუხეთ და ვპროშტნეთ, ვპროშტნეთ და ვხუხეთ...

ამ გულითადობაში რომ ვართ, მე და ეს ჩემი ძველი მოწინააღმდეგე, კოლტის უფროსი, თაფლივით რომ ვდნები მოგონებათა ფიჭაზე, ერთბაშად საშინელი, დაბოღმილი ღრენა მომესმა: მაშ, მტყვანის ასე და ისე, რაც შენ აქა თქვი, გულით ნათქვამი არ იყო, გძულვარ, გეჯავრები, ტყუილებს კი როშავ, შენი ასე და ისეო! მაგას როგორ დავიჯერებ, მე შენიო! „ვაი, შენ ჩემო, თეთრო ბატო!“ — წავიღიღინე, ვითომც აინუნშიაც არ ჩამეგდოს ჩემი მთვრალი ძალადმაცხონე, თან ვიღიმები და თან ჩვენი მაგიდისაკენ მოვიწევ... წამომეწია ორმოცი წლის წინათ ჩემზე დაბოღმილი ეს ჩემი გულტკბილი მოპატიჟე. ასპარეზზე გამოსული და გარაინდებული, თავაშვებული ტახის ფეხის მოტეხვა ვერ მოენელებინა. ძველი, შხამად შენახული გესლით იგესლებოდა გზა-გზა, ფეხ და ფეხ... თითქოს ჩემი ქართული ვენახის დაუსჯელი რბევა-მოოხრება დანაშაული არ ყოფილიყოს არც მაშინ და არც ახლა...

მოვარღვევდი მაგიდებისა და ზურგმაღალი, საპატრიარქო სკამების ტევრს. მომდევდა ქაფის მარაქაში გამოსული გუგულა — ბიჭი წანკლიანი გესლით.

თურმე თვალყური ეჭირა კურკა-ბიჭს ჩვენს უსიამო ბაასზე. ერთი დარტყმით ერთბაშად გადააფრინა ეს ჩემი უმადური მდევარი სამსახოვან მაგიდებს, მკერდული სრიალით გასრიალდა გაქონილ მუხის პარკეტზე და გაქრა. სულ ძურწა ბალახივით ბღუჯა-ბღუჯად გამომარგლა სამი გაერთიანებული დაბადების დღის

სუფრიონი კურკა ბიჭმა. ზოგი თვალით მოძოვა, ზოგიც მკლავით გამოახშირა და მძიმე ქოშინით ჩამოჯდა კუთხეში მიყუჟულ ჩვენს მცირე სუფრაზე. დიდხანს ჩვენც აღარ დაგვიყოვნებია, ჩვენც გამოვედით... ნელი ნაბიჯით, უხმოდ მოვდიოდით გორის თავში მდგარი გზათა გამყოფი გოლიათი ჭადრისაკენ, საიდანაც გზა თბილისს გამოსცქერის...

გზები იყრებიან და კვლავ ერთდებიან...

კურდღლის სიმღერა

(სათავგადასავლო-სახუმარო მოთხრობა)

ორი აზრი ზღვის თაობაზე

როგორ გიზიდავს ზღვა ჩუმი ფშვინვით, ზღაპრული ჩურჩულით, ათასგვარად შეზავებული ჰაეროვანი სუნთქვით...

მთვარეს გამოპარული, ძილის წინ დავარცხნილი ტალღა გამოირბენს ვარდნარით შემოკავებულ სარბენ ბილიკს, შემოტლაშუნდება სასტუმროს ფოიეში, ამოცქრიალდება ნომერში, მოგეფერება, მოგიალერსებს, ხელს აგაღებინებს ღამეულ საკითხავზე, ჩაგიხუტებს, მოგელამუნება, გაგწურავს, ცოტაოდენს წაიწუწუნებს ქალურ უიღბლობაზე, მარგალიტს ცრემლად აიკიაფებს ნიკარებში და ნელნელა დაცხრება, მოგიშინაურდება, გაგიტყუებს დაბუღული ოთახიდან თითქმის შიშველს, ჩაგასრიალებს ბილიკზე და ერთბაშად დაგძირავს ღამეული ზღვის ჯადოსნურ სამყაროში.

ბოლოთევზა ფერიები დაცქრიალებენ ირგვლივ, მედუზის გამ-

ჭვირვალე კაბები ასხიათ მათაც და შენს მოპატიჟე, თმავარცხნილ ფერიასაც.

ყველა მათგანს როდი უღიმის ბედი, ყველას როდი მისდევს ხმელი ზღვაურ-ღამეულ თავგადასავალში. აქა-იქ თუ შეხვდები შენსავით მამაცს, ფერიასთან ერთად რომ შეუბედავს ნეპტუნის სამფლობელოში უკუნეთ ღამით.

ზღვა ზედაპირზე სჩანს ბნელი, თორემ სიღრმეში ათასგვარ ბინადართა საზეიმო შუქითაა გასხივებული.

ყველა დასრიალებს შენს ირგვლივ ეხლო ძალლით, შუქსა ჰფენს, თვითონაც ნათდება და სხვასაც გადასცემს სინათლის ნაწილს.

თამბაქოთი გაჭვარტლულ ღამის ბარში რომაა ინტერიერი გამკვრივებული და „ახოს“ ნომრიანი ლურსმნით ადგილზე დაჭედებული, ასეთ ქვის ხანას ზღვაში ვერ ნახავ; ჭავლი-ჭავლსა ცვლის, ფერი — ფერსა, ფერია — ფერიას, თევზი — თევზს, მარგალიტით დატენილი პირღია ნიჟარებითაა მოფენილი ფსკერი და სწორედ ის ანათებს, რასაც ანათებს!..

ხმელელმა კაცმა მხოლოდ საჭმელი თევზების სახელები იცის, ისიც აქა-იქ და ხამუშ-ხამუშ: კალმახი, წვერა, ნაფოტა, ქაშაყი, ქაბალა, სკუმბრია, და რამდენიმეც სხვა, კონსერვის ქილებზე ამოკითხული.

ზღვის ბინადართა უდიდესი ნაწილი ისევე არ იჭმევა როგორც ადამიანი, მგელს თუ არ ჩაუვარდი სადმე, სოფლის განაპირა ხევხუვში, ზამთარგამოვლილსა და ნაშიმშილებს, ძუძუზე დაკიდული ლეკვებით რომ გადაგიღობავს გზას.

მარი-ლენდის უზარმაზარი აქვარიუმი არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ზღვის სიღრმეში ნახავ. ყველაფერი დაფარფალებს, დასრიალებს შენს ირგვლივ, ცეკვავს, თამამობს, ღელავს, მღერის, ვნებიანობს. ცალი ცალთან შეხვედრისას ლაღობს, ფარფლებს უნაზესი მოსმით ფერაობს, იტვრინება, ნეტარებს. შეწყვილებული მიჯნურები ერთბაშად მოწყდებიან ადგილს, გაიჭრებიან ბოსფორ-დარდანელისაკენ საქორწილო მოგზაურობაში, მერე მობრუნდებიან, ჩვენი გრილი და სპეტაკი მდინარეების შენაკადებს აუყვებიან, იქვირითებენ და კვლავ ზღვას მიეცემიან...

ზღვის საოცარი მცენარეებით მორთულ პარკებში დაგაფრიალებს ფერია, ფარფლებიანი უთვლო ფაეტონით. ფერთა საოცარი გამა, ფორმათა უსაკვირლესი ცვალებადობა, სიწყნარე, სიმ-

შვიდე, სრული ჰარმონია, არსი არსობისა! გამქრალია ყველა გრძნობა გარდა ურთიერთპატივისა, სიყვარულისა. ვის სცალია შიმშილზე ფიქრისათვის. დეზად თუ წააციცქნი რომელიმე კორდს სატაცურივით უნაზეს ყლორტს, საკმარისია.

ფერია ფერიას სცვლის, ფაეტონი — ფაეტონს, მაგრამ, არც ერთი წუთით არ გავიწყდება შენი უნეტარესი მოპატიჟე, ღამის ბარის შესასვლელთან რომ გელოდება — შენი თმავარცხნილი ბოლოთევზა!

უნაზესი მიფერებაა თავი და თავი ყოველივე სიკეთისა, ყველა კეთილი გრძნობისა, სიყვარულისაც! მომფერებელთა მთელი ქარავანი ამიტომაც დაგტრიალებს და თავს ამიტომ გევლება. მართლა ზღვა ყოფილა პირველი საყუდარი სიცოცხლის გაჩენისა, შენი გაჩენისა. ხვდები ამ დედურ, უნაზეს საწყისს და ცრემლი გერევა იმ შეცდომის გამო, რაც წინაპარმა ჩაიდინა მყვირალა და მტვრიან ხმელეთზე ამოსახლებით! ცრემლი იქვე ქრება, წყალში ნელდება, ცრემლიანს აქ ვერავის ნახავ... ნეპტუნის სამყაროს ღამის ბარში მიჰყავხარ სრიალ-სრიალით შენს ბოლოთევზა ფერიას. ბებერი ვეშაპის ხახაშია ბარი მოთავსებული. დელფინები მსახურობენ თარჯიმნებად, მეყავეებად, მიმტან-მომტანებად. ძველი, ვეშაპის გადაყლაპული გემების ბაკებდაფანჩული მეპატრონენიც სჩანან აქა-იქ საპატიო წევრებივით, უსაშველოდ გაზრდიათ წვერი, მარჯნის ნიჟარების საბუდრებად გადაქცევიათ. სპილოს ძვლის ყალიონებს ვერ შეშვებიან, აჭყლამპალებენ ჩიბუხებში მარილიან წყალს მყრალი თამბაქოს ბოლის მაგივრად, არიან ჯანმრთელნი, ბედნიერნი, საუკუნეთა ნეტარ მოგონებებს მიცემულნი...

ღია ესტრადა ვეშაპის შუბლზეა მოთავსებული, ორტოტა შადრევანთან. მანათობელი თევზები ემსახურებიან ესტრადას. კრიალი გაუდის ფინჯნებს, თეფშებს, დანა-ჩანგალს. ვეშაპის შადრევანზე აჩახჩახებენ რვაფეხა ბინადარნი ჭურჭელს, ამშრალებენ. თითოეული ოთხი ქალის საქმეს ასდის; ტყუილად როდი აქვთ რვა ფეხი. არც ჭურჭლის ლაწალუწი და ქონიანი წყლის ოხშივარი, არც მეჭურჭლეთა გაუთავებელი ყიყინი და ყაყანი საშოვარ-უშოვარზე. ყველაფერი ბუნებრივ ჰარმონიულ წესრიგშია, არაფერ შუაშია აქ ნეპტუნის შიში. წყალიც უწყვეტ ნაკადად მოჩხრიალებს ვეშაპის შადრევანში. ვეშაპი რისი ვეშაპია, ნესტოებს თუ უწყლობით ჩაიჟანგებს...

ზღვის ღამეულ ბარში რკინეულ-ელექტრონული მუსიკა როდი

გიხეთქავს უიმისოდაც ათასი ღრიანცელით გადაღლილ ყურის ნიჟარებს. აქ ჩამოსულ ხმელელს დელფინები წინასწარ უმაგრებენ ყურზე საგანგებო, ბებერი მოლუსკების ნიჟარებს, საოცარი ოკეანური მუსიკის მოსასმენად:

„აქ ყველაფერი ირეცხება სინდისის გარდა", — იწყებს სიმღერას ვეშაპის შადრევნის წვერზე მოცქრიალე პატარა დელფინი.

აქაურ ბარში იქაური სასმელი არსასმელობს. ახალბედა ხმელელი თუ შეცდა და თან ჩაიყოლა უბეში დამალული მქავე ღვინო, ან ცეცხლივით მანათობელი კარბიტის არაყი, ტყუილად გაირჯება: სასმელი უმალ იხსნება წყალში, მოყუდებასაც ვერ მოასწრებს, ისე გაქარწყლდება, შეირცხვენ თავსაც და სამშობლოსაც ჩრდილს მიაყენებ.

ვნებათა ნამდვილი ღელვით თვრები აქ, ხმელეთისათვის უცხო მუსიკის ხმებით, თვალის უზომო სიხარულით, ათასგვარი საამო ლამუნითა და მიფარფლ-მოფარფლებით.

აღარა და აღარ გინდა ზღვიდან ამოსვლა. განუწყვეტლივ თავსგევლება ფერია და განშორებას სწუხს. მაგრამ, საცაა გათენდება, დროით უნდა ამოხვიდე, ვიდრე შენი სამმანეთიანით ნაბახუსარი ლურჯცხვირა დარაჯი ისევ დგას კარებთან მთვლემარე მდგომარეობაში, ვიდრე იგი ცხვირწითელა დღის შვეიცარს არ შეუცვლია. ზღვიდან ამოყოლილი ვერცხლი აქ არ ვერცხლობს, აქ ქაღალდი სჭრის მხოლოდ. დაგაჯაჯგურებს ეს მეორე, ან სულაც არ გაგიღებს კარს; არც შენი ფერია იცის და არც არაფერია. საკუთარი მშობელის სიტყვასაც არ შეისმენს, ვიდრე ესეც ისე არ გალურჯდება, როგორც პირველი. ამიტომ უნდა იჩქარო!..

ემშვიდობები თმავარცხნია, ბოლოთევზა ტალღას და ნახულით, განცდილით გაოგნებული უკაკუნებ კარისკაცს, ერეოლვით შერბიხარ მომტვერო ოთახში, ხურავ ფარდას და ამთავრებ უნეტარეს წარმოდგენას...

* * *

ჯერ ისევ ჩხრიალებენ გამჭვირვალე, ფერადი კენჭები ქალაქური გუგუნით დახშულ ნიჟარებში. საბეჭდი მანქანის კოდალაური ქერქიდან გულამდე ატანს, მაღლა და მაღლა მიცოცავს, მოგონებათა ბუდეებს ქარგავს მესამეულის ფიჭვების უხსოვარ კენწეროებზე.

ბიჭვინთა — ფიჭვის მთა, ფიჭვინთა — ასე ჩაესმის ხმელელი კაცის ყურს ადგილის სიტყვა.

მრავალსაუკუნოვანი, ცადაბჯენილი ფიჭვების ვეებერთელა კორომი მთასავით მოჩანს ზღვიდანაც, ხმელეთიდანაც. ფიჭვის მთა — მწვანე პირამიდა კრიჭაში ჩადგომია უძღებ ზღვას, აფერხებს, აოკებს.

უკანასკნელი, ხელშუბიანი რაინდებივით დგანან გოლიათი ფიჭვები ბობოქარი ზღვის პირისპირ, მარტონი უმკლავდებიან საიდან-სად მორეკილ თავაშვებულ ტალღათა უნდო ხეთქებას, აყუჩებენ ზღვაურ ღრიანცელს: „უჰ, შენი! ოჰ, შენი! უფ, შენი! ვაჰ, შენი!“ — შხუის მომსკდარი ტალღა და მეწინავე გოლიათს, ნელ-ნელა, დღითიდღე აცლის საუკუნოვან საყრდენს.

მაინც დგანან, ბიჭვინთის ფიჭვები მუხანათი ზღვის პირისპირ, არსიდან ელიან საშველს. მრავალსაუკუნოვან უძველესობად დგანან ზღვის უძღებ კრიჭასთან, სიმშვიდის მომნიჭებელი, წინაპართა ერთგული, გამტანი, ტკივილთა გამყუჩებელი ბიჭვინთის ფიჭვები.

დროგამოშვებით, სიბრძნით აღსავსე სიცოცხლის ფასად თმობს ფესვმორეცხილი როველიმე ბერფიჭვი სადგომი მიწის ნაკვეთს. ცბიერი ზღვის ლოკვით, ქარიშხლის კვეთებით მოღლილი ბერი მეციხოვნე შეტორტმანდება ძმათა თვალწინ, საბოლოოდ მოიქნევს უშველებელ წიწვოვან ტოტებს, ბარჯივით ჩასცემს შორეთ-მოუსავლეთიდან შემოჭრილ აფოფრილ ტალღებს, ხახას გაუპობს, დაშლის, გატვრენავს, გაამტკნარებს, გააყუჩებს ერთი ხნით, ვნებას გაუქრობს ავხორცს, ყველას მლოკველს, ურცხვს, ყველასეულს და უარავისოს...

აქ თუ დამცხრალი და გამტკნარებული წევს მილეთის ხალხი მეორე ბოლოზე ვინმეს ულოკავს და ეპირფერება, ან, სულაც უპირფეროდ ესხმის, სტაცებს, ართმევს, იხეთქავს საყოველთაო ფაშვს გალმამხრის ბინადართა ლუკმით, თან შივის და ყველას გასაგონად მისძახის: „აკი გშვი, რაკი გშვი, აკი გშვი, რაკი გშვი!“

ღამითაც არა ცხრება, როცა უძღები სჭირს, როცა საკბილოს ეძებს, ედავება ერთ მუჭა ხმელეთს ჩაბღაუჭებულ, ხელებდაკოჟრილ, ნაიარევსა და ყოველის მხრივ დაკოდილ მიწის პატრონს, კიდიდან კიდემდე გაჰკივის საშარ-სადაოს ეს მრუში და უთვისტომო, ბრმა, უნდო და პირცოფიანი აშარქალი: „ჩემსას ვთხოვ, არ მაძლევს, შევსანსლავ, შევყლაპავ!“

ბოლოს მაინც გამოსტაცებს უძღების სახეთქს, აითრევს ყურე-დან-ყურემდე, ათრევს ნაპირ-ნაპირ, ძარცვავს გზა-გზა, ცქვლეფავს, აშიშვლებს, აშავებს სიმწვანით მოსილს, გასაცოდავებულს, გაუღენთილსა და გადაპრიალებულს გაუკითხავად ატივტივებს ქვეყნიდან ქვეყანაში, გულებს უხეთქავს უიმისოდაც გულებდახეთქილ, საცოდავ ადამიანებს: „ყველა ურჩს, შფოთისთავს, ყველა თეთრს, ყველა შავს, შევსანსლავ, შევყლაპავ!“ — იმუქრება და მარბიელს უსევს საცოდავ ხმელელებს.

საიდან სადაა გადათხლეშილი მარადმწოლიარე, ცრუდ ფეხმძიმე, მრუში ოკეანისა, ურჩხული სანაპიროთა, არც — არა მშობელი, არც მშობლის ნაცვალი, არც უშობელი, ძუძუმლაშე და მოძალადე, ლუკმის მაყვედრებელი, მარტოდენ სიფლიდითა და შიშითა გამკითხავი: „აკი გშვით, რაკი გშვით, გაყუჩდით, გატვრინდით! თ.ორემ — თუ, ავიშვი, შეგხვრიპავთ, შეგსანსლავთ, მოგტვლიპავთ, დაგძირავთ!“ — იმუქრება და შხივის გველეშაპივით...

• • •

ენაგადმოგდებული აგვისტოა. ჩვენს მშვენიერ „შემოქმედებით სახლში“ მივედით ჯალაბით, ბარგი-ბარხანა გადმოვტვირთეთ „ჯაგლაგიდან“, შევზიდეთ, საბუთები გავაფორმეთ, დავლუქსდით...

— ვახშამს მოასწრებთ, ბევრს თუ არ გაუყვებით, — გვითხრა დასასვენებელი სახლის ადმინისტრატორმა, ზეზორბა ადგილ' დედამ, ძველმა ნაცნობმა ოლიამ.

— ვიბანაოთ, რა! — ატყდნენ ბავშვები.

— ვივახშმოთ, დღე დიდია, მოვასწრებთ! — ვეუბნები და ნაცნობ დერეფანს მივუყვები.

ოთახის ლამაზი ყვავილებია მარცხნივ და მარჯვნივ. პირდაპირ, დიდი ფოტოსტენდიდან ჩაპაევი მოჩანს ტყვიამფრქვევზე მიდუღებული. შუშაბანდის იქით ზღვა ლივლივებს, როგორც იტყვიან, ჩამავალი მზის სხივზე.

ნავახშმევი ბალღები უპატრონო ცინდლებს ეფერებიან, იხუტებენ, ვახშმის ნარჩენებს სთავაზობენ, პაწია სუფრებს უშლიან, ეკრუტუნებიან. მახსოვს, წინა წლებში, მსგავსი ფერებ-ფერებით გატუტუცებული უჯილაგო, უპატრონო ძაღლები ბატონ-პატრონებივით დაბლაყუნობდნენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ჯოგი რომ მო-

იზრდებოდა, საგანგებოდ გამოძახებული მეთოფური არხეინად დაფიშტავდა სათითაოდ, თვალს არ დაახამხამებდა. იყო მეძაღლის დაუნდობელი წყევლა დამსვენებლებთაგან და საჩივრის ქაღალდების ფრიალ-ფრიალი. ბოლოს, დაცხრებოდა წუხილი, რამდენიმე დღის შემდეგ კი განცხრომა თავის კალაპოტს უბრუნდებოდა...

მივდივართ სასადილოსკენ:

— Здравствуйте, Яковлевна, როგორ ბრძანდებით? — ვესალმები მთავარ დიასახლისს სასადილო დარბაზის ზღურბლთან.

— С приездом, Мерван, შარშან სად ისვენებდით? — ჩამოგვართვა ხელი დიასახლისმა და თავაზიანად მოგვიკითხა.

— გაგრის შემოქმედებით სახლში.

— ჩვენთან არ ჯობია?! გამხდარხართ, — მასიამოვნა თქმულით.

— დავრბივარ, დავჩაქჩაქებ, ლუკმას მოვუკელი.

— ჩვენთან უკეთესია დასვენება, დამეთანხმებით, — გულღია, მშვენიერი ღიმილით განაგრძობს საუბარს.

— უკეთესი კია, გეთანხმებით, მაგრამ მწერლობისა არ იყოს, კინოკავშირმაც ისე იბარტყა, ორ წელიწადში ერთხელ ძლივს ვახერხებთ დასასვენებელი სახლის საგზურების შოვნას. ისიც აგერ, თორმეტდღიანი მარგუნეს. გავმრავლდით, ჩემო დაო, გავმრავლდით, არც ისეთი ძნელი ყოფილა კინემატოგრაფისტობა, მწერლობა, როგორც ერთ დროს გვეგონა.

— ეგ სადაო საკითხია, მაგაზე მერე... ახლა კი, აგერ, თქვენი მაგიდა!.. — მიგვაცილა ჩვენთვის განკუთვნილ მაგიდამდე...

სასადილო დარბაზი მშვენიერია, ხალვათია, შუქიანია, სამზარეულოსთან ახლოს დიდი, ლამაზი ბუხარია, ძველი ყაიდის ფარნებით შეკოხტავებული. მაგიდებს კრიალი გაუდის, წითელსაზურგეებიანი სკამები დამსვენებელთა მოყავისფრო-მოშიშვლო ზურგებს ეალერსება. ნაცნობი ოფიციანტი ქალი ღიმილით მოაგორებს ვახშმით დატვირთულ ურიკას, მენიუც ნაცნობი და მახლობელია. „არაგვისას“ ვერ დაედარება, მაგრამ აქ ზღვაა და არა — არაგვი. ნამდვილი შემოქმედი დიეტური ბუნებისა და გემოვნებისა უნდა იყოს. სხვასაც უნდა შეახვედროს ლუკმა.

— Здравствуйте, с приездом! — მოგვესალმა ოფიციანტი ნინა. მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი. ჩემი მეუღლე უფრო ეჭაშნიკება ოფიციანტს, რაკიღა დედით რუსი მყავს. სიდედრად მომ-

ხვდება, რამე რომ იყოს. ჩემი სამი შვილის დედას ქართული მეტყველება უფრო უჭირდა ადრე, პირველ შვილზე. მეორე და მესამეზე ისეთი ქართული ავათვისებინე, ერთ რამედ ღირებული!..

— პირადად მე, ჩემო ნინა, ბოსტნეულ-ხარახურული უნდა მიმარჯვოთ, სტაფილო, კომბოსტო, სალათეული, ორ კურდღელს რომ ეყოფა, იმდენი, — ღიმილით ვაფრთხილებ ოფიციანტს.

ღიმილით მათვალიერებს.

მოშორებით მაგიდაზე შინაურებს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ლალის და მის მეუღლეს, ცნობილ ჟურნალისტს რეზოს მოვკარი თვალი. წამოვდექი. მათაც შემნიშნეს. რეზო თითქმის ჩემი თაობის კაცია, ხუთი-ექვსი წლით იქნება უფროსი. უკანასკნელად მეგობრის გასვენებაში დავიმდუღრეთ, მძიმე ავადმყოფობამ გამოგვაცალა შესანიშნავი თბილისელი მოქალაქე, უგულითადესი ვაჟკაცი, ჩვენი მეგობრობის ხიდი.

მივედი, მივესალმე. რეზოს ლოყურად, თბილისურად ვეამბორე.

— ინარჩუნებთ, მერაბ, კარგია! — მომესალმა ლალიც, — ჩვენს კლინიკაში მე რომ თქვენი წვალება მახსოვს, სხვაგვარად შეუძლებელია! — მეუბნება ჩემი მკურნალი.

— მხოლოდ ორი კილო მოვიმატე, ისიც აუცილებელ ამბებში, — ვუღიმი დამნაშავის ღიმილით, — საიუბილეო ვერცხლის სუფრა ავითვისე ნამცეცობით, ამბებით.

— უნდა ერიდოთ. ორი კილოგრამი აღდგენითია, არა უშავს, — მამშვიდებს ექიმი.

— საკუთარი სუფრა გახლდათ, მე რომ მოვრიდებოდი, სტუმარი დამიფრთხებოდა, — ვცადე თავის მართლება და მცირე ხნით ჩამოვჯექი რეზოს გვერდით. კალათბურთელივით ტანადი რეზოს ვაჟი, იენის უნივერსიტეტში სწავლობს, ფილოლოგიურ-ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე.

— ჩვენსობას, მაგსიშორეზე გაგზავნილი კაცი „ზესტაფონო, გშორდების“ მღეროდა ცრემლიანი თვალებით, — მეუბნება რეზო, — ახლა, ძმაო, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, — ამათია ცხოვრება, თუ მშვიდობა იქნა...

* * *

პლაჟი. ჩრდილქვეშ ვსხედვართ მე და რეზო, გაგვიდის აქეთურ-იქითური. ჩვენები ზღვაში ლივლივებენ. ცოტათი შემამციენა. წამოვდექი:

— წავალ მზეზე, ჩვენებთან, რაღაც შემამცივნა, — მოვიბოდიშე.

«Температура морской воды двадцать четыре градуса!»

— ლევიტანის ხმით აცხადებს ყლურწვისმოყვარული პლაჟის მეთვალყურე ადგილობრივ კვანძში.

— მე მხოლოდ დილით, ჩემო მერაბ, მზეზე ჩემი დიდხანს ყოფნა არ შეიძლება. შაქარი მაქვს, ძმაო, აწეული, აბებსა ვყლაპავ! — განმიმარტა რეზომ თავისი ჩრდილოსნობის მიზეზი.

— შენა? არ გამაგონო! — შევწუხდი, სხვა თვალი გადავავლე.

— დიდი ხანია, მაშ... ამ წინაზე თელავს გახლდი, სტუმრებთან ერთად, ძველებურად მოვიქნიე ნიჩაბი, მასპინძლები კარგი გვყავდა და... აბი აღარ დამჭირდება-მეთქი, რაღაც ისეთ ჯავარზე მოველ, არ მიმიღია წამალი. ლალისაც დავუმალე თბილისში. მეოთხე დღეს დამცხო, ზედ კარებწინ ჩამაჩოქა ამ ვერანმა. ექვსი საათის განმავლობაში ამათ აქეთ მოვყავდი და მე იქით ვიწევდი. ერთი სიტყვით, კინაღამ...

— დედასა! მალე წინსაფრები უნდა ავიფაროთ ფარხმალიანმა ბიჭებმა; სტუმარი და სტუმარიო!

— ჩვენც გვეცმაცუნება, აზირ ეგა ვთქვათ, სტუმარი რა შუაშია!.. ცოტაჯერ ვყოფილვართ სტუმრად სტუმრებთან, იქაც ჩვენ ვიქაჩლებთ თავს. მოგვდგამს მამაპაპური და! — დაასკვნა რეზომ.

— არა და, პარტყა-პურტყი გაგვიდის!.. აგე, მე დავრბივარ! ათ, თორმეტ, თხუთმეტ, თხუტმეტ კილომეტრსაც დავჩაქჩაქებ, განა ვინმე მომდევს. ვერიდები წონა-მატებას. კლინიკაში ყოფნის ოცდაათი დღის განმავლობაში იასნაია-პოლიანამდე ჩაველ ლამის, ჩემის ანგარიშით, იმდენი გავიარე...

— კარგი, კარგი, ზოგიც მერე, — მათავისუფლებს რეზო საუბრისგან.

— შევვარდები, ერთი, ზღვაში, — წამოვდექი კვლავ და ჩვენებისაკენ გავეშურე ცხელ ქვიშაში ბუღრაობით.

ჩვენი პლაჟი სხვებთან შედარებით არც ისე სავსეა დამსვენებლებით. ზოგან თითიც არ ჩაიყოფა. ჩვენთან ხალვათობაა.

ძველებური სიფიცხით შევდგაფუნდი ზღვაში. ეს ზურგიდან, თორემ პირისპირ მაცქერალი ადვილად შემამჩნევს ქოშინს.

რიგიანად შეცურებულიც არ ვიყავი, რომ შემოვბრუნდი და ნაპირისაკენ მოვუსვი. რაღაც მეტად მნიშვნელოვანი გამახსენდა და მოვბრუნდი. ნაპირზე ამოველ.

— მოდი, გაიშრე ტანი! — მეძახის მეუღლე ფიქვების საჩრდილობლისაკენ მიმავალს.

— კურდღელი გამახსენდა, კურდღლის სისხლი რომ მასწავლა ნუგზარმა, შინაური წამალი, უებარი! — პირსახოცს დავავლე ხელი და მშრალებ-მშრალებით გავწიე რეზოსაკენ.

რეზოს გვერდით თემო იჯდა.

— ვაჰ, თემო, შენ გენაცვალე! — გადავეხვიე თემოს, სიმღერასავით ვაჟკაცს, ჩვენი სტუდენტობის და შემდეგ დროინდელ უღალატო კაცს. თემოსია ის დიდებული სიმღერა — „ქარი გიმღერის ნანასაო“. რუსულ რომანსებს, ბოშურს, რა უბრალოდ მღეროდა! ვიხუტებ და ვესიყვარულები. ცალ თვალში შუქი ჩაჰქროობია, თითქოს გარედან შესდისო ნათელი, მეორე კვლავ ძველებურ სხივს გამოსცემს... ვინც არ მოსწრებია თემოს ეშხს, ვისაც არ უნახავს მისი დატალღული, შავფხიანი ქოჩორი, ბიჭობაზე ტრაბახს ნუ მოჰყვება. ერთ ფაკულტეტზე ვსწავლობდით, სხვადასხვა კურსზე და სხვადასხვა ჯგუფში. თემო სპარსულზე, მე — არაბულზე. მე — პირველ კურსზე, თემო — დამამთავრებელზე.

— ბიჭო, თემო, გენაცვალე! — მერამდენედ ვეუბნები. — მაშ, თვალი, ჰა!.. სხვა!.. ეჰ!.. სხვა, როგორა, ბიჭო?!

— სხვა კიდევ შაქარი, შენ ხარ ჩემი ბატონი! — ღიმილით მამცნობს თემო.

— შენცა, კაცო, შენც შაქარი?! — რეზოს გადავხედე.

ხან რეზოს გადავხედავ, ხანაც — თემოს. ფანცქალი გამიდის. სანუგეშო სიტყვა მზადა მაქვს და მინდა ამოვაფეთქო მათი გაჭირვების საპირისწამლედ. ვიწყებ და ვენთები, როგორც ჩირაღდანი, როგორც შუქურა, ბრმა ხომალდების მაშველი! მეგობრები რაღაც უჩვეულოს მოლოდინით შემომყურებენ.

სუნთქვა შეკრულმა ერთბაშად ავხადე სათქმელს სარქველი, ბარე ხუთ წუთს ვლაქლაქებდი, ვუყვებოდი საოცრებას, ვაიმედებდი:

— ჩეჩნეთში იყო, ჩრდილო კავკასიაში, ჩემი გარებიძაშვილი, ნუგზარი. იქ ესწავლებინათ, უებარიაო. მოვკლავ, თუ სწორი არ გამოდგა! ბიძაშვილი მყავს, მაღალი ძაბვის, — ისევ თავიდან ვიწყებ ამბავს.

— აკი გარებიძაშვილიო! — მცდელად იღიმება რეზო.

— ჩემი ბიძაშვილის ბიძაშვილია, ის, ინგუშეთში რომ იყო; ნუგზარია ისიც, ბიძაშვილიც ნუგზარია. ერთი სიტყვით, ჩათვა-

ლეთ, რომ მორჩენილები ხართ. ან აქამდე, ჰა!.. უტყუარი ბიჭია, რაღა ბიჭი, კაცია, ცოლი, სამი შვილი, მაღალი ძაბვის დენის გაყვანაზე მუშაობდა ჩრდილო კავკასიაში; დაღესტანი, ყაბარდო, წლების განმავლობაში, იქ ასწავლეს...

— მერე, რაო? — ინტერესი გაჩნდა რეზოს ხმაში.

— ჩვენ რაო, ჩვენა?! — თემოც მოლოდინშია.

— სწორედ რომ თქვენა! იქ უსწავლებიათ, ერთ, მიყრუებულ სოფელში. გარეული კურდღლის სისხლით, ზედ ჩემი ბიძაშვილის თვალწინ განუკურნავს იქაურ ჰაქიმს ამ სენით დავრდომილი კაცი. გამოუღადრავს და დაულევინებია თბილ-თბილი. ნახევარი ღვინისჭიქისოდენი გამოდისო. ფეხისფეხთან მიტანა უჭირდა თურმე იმ საწყალს და მკურნალობის შემდეგ ჩეჩნეთის სიცოცხლის მოყვარულ ვეტერანთა ცეკვა-სიმღერის ანსამბლში მიუწვევიათ პირველ სოლისტად! ვანგლობ, მაგრამ, მორჩენით კი მორჩენილა და არა ერთი; მავანი და მავანი, მრავალი და მრავალი იმ ჩემი ბიძაშვილის იქ ყოფნაში, — ვამთავრებ ძირითად სათქმელს.

— ბიძაშვილის თუ გარებიძაშვილის? — ეჭვსა და იმედს შორის იხედება რეზო.

— დააცადე, დაამთავროს! — თემოსაც უღვივის იმედის ნაპერწკალი, — გარებიძაშვილი და გარეული კურდღელი ერთმანეთში არ აერიოს ამასობაში და ბიძაშვილი არ გამოასალმოს კურდღელს, — იცინის თემო.

— როგორც მარხილი, ისე მოუჩოჩებიათ ჰაქიმბაშთან შაქრით დავრდომილი. მოურჩენია. ძმებო, თვალით ვნახეო, განა ერთი და ორი...

„მოძრაობა და მოძრაობა, ჩემო თერგო!“

— ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ტყეში ჩიტი მომკვდარიყო, — ღიღინებს დარდიან ფიქრებში წასული თემო. — ნავთი დამილევია, ძმაო, რა საშუალება აღარ მიცდია... ნეტავი მართალი გამოდგეს შენი ნათქვამი, და დავლევ, შენს პირს შაქარი!

— შაქარი მტერსა! არც ცვლის მოშლაა უკეთესი, სირბილი და შეზღუდული კვება მაქვს მისჯილი, ქუსლში მარილის დეზები და იალლა! — მეც ჩემს გაჭირვებას ვუყვები.

— შეზღუდული როგორ? — იძიებს რეზო.

— ნახევარულუფა უნდა მეთქვა: ჭამის დროს, შენ წილს რომ

შეანახევრებ, უცებ უნდა წამოდგე, უნდა წარმოიდგინო, რომ ვიღაცა გეძახის, ადგები, გახვალ. წარმოდგენაში, ცხადია, ისეთი ვინმე უნდა წარმოისახო, ვინც მონატრებული გყავს. წარმოიდგენ, რომ გარბის ის შენი ნანატრი სტადიონისაკენ, იპოდრომისაკენ ან ლისის ტბის, ან კუს ტბისაკენ. გარბის და შენც მისდევ ოცნების ფიანდაზზე. ნახევართეფში შეუჭმელი დაგრჩა — ეს უკვე დიდი მიღწევაა, ნახევარი დღის სიცოცხლეს გმატებს სირბილი, ან ჩქარი სიარული, წუთში არანაკლებ ასორმოცი ნაბიჯი — ერთი საათის განმავლობაში, თანდათან მეტიც შეიძლება, თითქმის სამ საათამდეა ჩაქჩაქი აუცილებელი. ერთი, ბორბლებიანი საწერი მაგიდაც უნდა გავაკეთებინო ხელოსანს. გზა-გზა რომ ვწერო. სწორედ ამ დროს მოგდის გენიალური იდეები გოგრაში. გეცინება გიჟივით. ხვთის გლახას ემსგავსები თანდათან, სამაგიეროდ სულით ღმერთს უახლოვდები... ექვსი საათის განმავლობაში ვირბინე ქობულეთში ერთხელ. ცენტრიდან განაპირამდე ათამდე კილომეტრი მანძილი ორჯერ დავფარე. ოცდახუთმეტ-ორმოცამდე კილომეტრი გამომივიდა. არც არავინ მისტვენდა და არც არავინ მაქებდა. დავრბოდი საკუთარი სიამოვნებისათვის, თუკი ამ მთლიან გამოფიტვას სიამოვნება ჰქვია. სიამოვნებაც იყო, ცხადია. დაძლევის სიამოვნებაც იყო, ცხადია, დაძლევის სიამოვნება, რაღაცაზე, თუ ვიღაცაზე გამარჯვების სიამოვნება. ნოემბრის მიწურული გახლდათ. დილაობით ცივ ზღვაში წამიერ გაცურვასაც ვბედავდი. საკუთარ თავთან მოპოვებული უპირატესობის გრძნობა მსიამოვნებდა. ადამიანის სხეული თავისებური ჭაა, კლებულობს სირბილში, შრება. რაიმე წვენის, თხიერის მიწოდება საჭიროა. პირი ამოხაპული ჭის კედლებივით შრება, სასუსნავს გთხოვს სხეული, არა და, გაჩერება სადმე მოსახერხებელ ადგილას ჯიხურთან და სწრაფი გადაყლურწვაც რატომღაც არ გეჭაშნიკება, ძეხვის სუნმა და ლუდის ქაფმა რომ არ მიგიტყუოს და არ დაგორდე თათქარაანთ ჭაობში. გაკრიალებულია კარებწინა ტროტუარი ქობულეთში ქალაქის ცენტრიდან განაპირამდე, ცალკე ხშირი წვიმებით, ცალკეც მოსახლეთა გულისყურით, ერბო აიკრიფება, ისეთი სისუფთავეა. ძირს დაგდებული ნარინჯის ქერქს დავწვდი, ცხვირთან ვისხურე. ერთიორგანაც „ადესის“ ნამცვრევს შევეტოტე, ორი-სამი კიმპალი გავიქანე პირში სირბილ-სირბილ და კმაყოფილება დამეუფლა...

ქობულეთი შავი ზღვის სიმღერაა!..

— გაიქე, მერაბ, თორემ ამოიქარები ლაპარაკით და დაჯდომა მოგინდება, — მეხუმრება თემო.

გავრბივარ. კილომეტრი, ორი, სამი, ოთხი. თევზის ქარხანას შემოვურბინე. „ოჰ, როგორი მაცდურია შებოლილი თევზის სურნელი! ჩეხური ლუდის ქარხანაც რომ იყოს სადმე, ახლომახლოს, ერთს იმასაც შემოვურბენდი, შევიყნოსავდი დიდებულ არომატს, დაკლებით არაფერს დავაკლებდი“.

გავრბივარ...

ჩემს ორმოცდაათ წელს ასეთ სამკურნალო ძუნძულში შევხვდი. მოისწრაფოდა, თითქოს დიდი ვინმეც ბრძანებულიყოს. ესტაფეტურად რომ გარბოდეთ ორივენი, ეწეოდე და წელს — წელზე გადასცემდე, ეგებ არც დაბერებულიყავ კაცი. მაგრამ არა, ის აქეთ გამორბის ძველი წელთაღრიცხვასავით; შენ იქით გარბიხარ მის შესახვედრად, ქოშინ-ქოშინით და შუალედი სამოცდაათი, სამოცდათხუთმეტი გიწევს. ეგ არის და ეგ... რიგიანად, თავბოლოიანად გატარებულ სამოცდაათსაც არა უშავს რა, მაგრამ ჯერის ნახევარი სხვას რომ უნდა გაუყო, რომ უნდა წამოხტე და გაიქცე, გინდა თუ არა, წარმოსახვით პერსონაჟს რომ უნდა სდიო მთელი შენი სიცოცხლე!..

ვიწყებ თუ არა სირბილს, უნებლიეთ, ხან წარმოსახვით, ხანაც ცხადად, სამკურნალო კვების კლინიკაში უნდა ამოვყო თავი. ექვსი-შვიდი თვის გამოქცეული გახლავართ იქიდან და ფეხები ისევ იქით მიმარბენინებს, იმ კეთილად შეჩვენებულ ჯანმრთელობის დაწესებულებაში. დიდი ილუზიონი აბა იქა ტრიალებს თუ ტრიალებს, რომანი მაქვს დაწყებულ-მოფიქრებული ჯერ კიდევ მოსკოვის ერთ-ერთ სამკურნალო კვების სამეთაურო კლინიკაში რბოლისა და ქამრიჭერის დროს, თხუთმეტიოდე წლის წინათ. მერე, ჩვენშიაც რომ გაიხსნა მსგავსი კლინიკა, რესპუბლიკური საავადმყოფოს ჭერქვეშ, იქაც მიმიწვიეს საპატიო წევრად. მეოთხე სართულზე გახლავთ ცოდვათა მონანიების ეს სპეტაკი განყოფილება, ცალკე გადაკეტილში. დიდი ნაცნობობა უნდა იქ მოხვედრას.

ნივთიერებათა ცვლის მოშლა და წონამატება ისეთი უბედურებაა ჩვენი დროისა, რომ ყოველი მეორე ადამიანი უძღების ჭირით იტანჯვის და გაფაციცებული დაეძებს ამ კლინიკისაკენ მიმავალ გზებს, ბილიკებს, ხიდებს, ნაცნობებს; არის ერთი გაუთავებელი რეკვა და ხვეწნა იქ მოსახვედრად, სამედიცინო ინსტიტუტში მოწყობაზე არანაკლები.

მისაღებ გამოცდას აქ შინაური, საოჯახო მენიუს აბსოლუტურ დავიწყებაში გაბარებინებენ. დაახლოებით შვიდი დღის განმავლობაში დღეში სამჯერ შედიხარ უპურო, უმარილო, უშაქრო, უკარაქო, უხორცო, წყალწყალა სასადილოში, პირდაპირ ცურვით შედიხარ. მაშველი მედდები და მედძმები სამკლაურებით დგანან შორიახლოს და კეთილი ნების თვალს გადევნებენ. თუ დაიძინე და ჩაქანდი, უმალ ქვეჩოში გწვდებიან და ნარიყივით გამოგათრევენ სასადილოდან პირდაპირ პალატაში, შემდეგი ცდისათვის შესამაგრებლად და ნებისყოფის მოსაფხეკად. ასე, შვიღი დღის განმავლობაში მიჰყევ-მოჰყევხარ თავმდგომებს, გწაფავენ და ჩაგძახიან, რომ შიმშილი და სიღატაკე სიმაძღრესა და სიმდიდრეს ჯობია. თანაც ისე გიყურებენ, თითქოს მეტად დიდი და ძნელად გამოსასწორებელი გქონდეს ჩადენილი. ავადმყოფობა და ოხრობა რომაა ნივთიერებათა ცვლის საერთო მოშლა, თეორიულად აღიარებენ, გეთანხმებიან, მაგრამ, მაინც ამრეზით შემოგყურებენ: ვითომც, რა იყო, რა ღმერთი გაგიწყრა, რომ მუცელს ვერ მოერიეო?!

უზუსტესი და ზემძლავრი სასწორის განსაკუთრებული ოთახი გვაქვს, ორ ხევსურულ ძროხას თავისუფლად აწონის ერთდროულად. ამავე ოთახში აწონასთან ერთად უჭმელ-შთაგონებითი მუშაობაც სწარმოებს. არის ფოტოსტენდები მსოფლიოში ცნობილი ყველა სახელგანთქმული ცვლამოშლილის შიშველი და ტანშემოსილი ფიგურებით დამშვენებული.

— სულ გვაშინებენ დახურვით, გვავიწროებენ პატარძალივით, გვჯობნიან დასტაქრული სწრაფი გაკვეთის სპეცები. მათიან ყველაფერი თვალსაჩინოა, ჩვენი ავადმყოფი ყველას ჯანმრთელი ჰგონია! — ჩივის დღენიადაგ ხმელ-ხმელი განყოფილების გამგე, — ვის უნდა შენი წონაში დაკლება და მოშლილი ცვლის აღდგენითი სამუშაოები! მერეა და ჩვენივე პაციენტების ნახევარი დღისით მოკლებულ ლუკმას ღამით ივსებს, ჩუმი ღამურაობით: აგერ, ძვირფასი გასტრონომი გვაქვს შიგ ეზოში, ძირა სართულზე კი ბუფეტ-სასადილოა, ისეთი, რომ ირმის მწვადს შეგიწვავენ! საწოლზე ხომ ვერ მიაბამ, ფეხით წონაგარდასულ გოლიათს, რა თოკი დაიოკებს?! რა საწოლი! რომც მიაბა აითრევს ბოლოს და ბოლოს იმ შენს საწოლს, ჩავა, იქეიფებს, წამოწვება საწოლზე და ამოვა ლიფტით... ლიფტები გვაქვს, ბატონო, ზესწრაფი, დილას გამოძახებული საღამოს მოგაკითხავს.. რომ გვერეკებიან, მართლებიც არიან!

მათი ავადმყოფი მართლა ავადმყოფს ჰგავს, ექიმი — ექიმს. ჩვენი ავადმყოფები მთვარესავით არიან დამრგვალებულები. ექიმები ვგევართ ავადმყოფებს. ქილა მაწონი და ასანთის კოლოფისხელა შავი პური მყოფნის. ავადმყოფი ის ჰგონიათ დღემდე, საკაცეზე რომაა გართხმული, თორემ მაცივარზე იდაყვჩამოდებულს რომ სძინავს ორასკილოგრამიან ცვლამოშლილ გოლიათს, „ჯანმრთელიაო“, რამდენი ფიქრობს. არა და, ავადმყოფობა სწორედ აქედან იწყება, ბატონებო, მერწმუნეთ! სათავეშივე უნდა აღიკვეთოს, სათავეში!..

ამასობაში გოლიათებს არხეინი ძილით სძინავთ: ფშვინვა, ხროტინი, სალამურული, გმინვური, ფაშვურ-ხეთქური, მრავალი სახის, მრავალი გვარის მძინარა ხმა ჭირხნის აღმზრდელობითი ოთახის კედლებს.

სუნთქვის მიხედვით ეცვლებათ ფერი ავადმყოფებს. ჩასუნთქვასა და ამოსუნთქვას შორის დრო ისეთი დიდია, ერთ პაემანს მოასწრებს ჯანმრთელი ახალგაზრდა. ამ დიდ წყვეტილში აბისინიელივით უშავდებათ ჯანმრთელ ავადმყოფებს სახის ფერი, პირდაპირ აფრიკულ სიზმრებსა ხედავენ პაუზებში: როგორი მონური მონდომებითა ფხანს მარტორქა სპილოს უკანა სვეტებშუა შეკიდულ საკვერცხე ტომარას, ან სირაქლემას ვეებერთელა კვერცხების ტაფამწვარი რომ შიშინებს გავარვარებულ საჰარის უდაბნოში... „ეუჰუო!“ — ღაიჭექებს ცვლამოშლილი ერთბაშად, „ეს რამდენი მძინებიაო!“ — დააჭყეტს თვალს და გაძვალტყავებულ მჭევრმეტყველების გამგეს მიაცივდება გამოქვაბულის დათვის გაურკვეველი მზერით.

ცვლამოშლილთა უმეტესობა ზეზეულა ძილს ისეა შეგუებული, როგორც მთა თავის ადგილზე დგომას. ჰა-ჰა კედელს მიაყრდნოს მხარი, ან მაცივარზე ჩამოდოს იდაყვეული, ეგ არის და ეგ. იზოგება ლოგინის თეთრეული, საწოლსაჯდომი ავეჯი.

გაიღვიძებს, გაახელს საცრებს, მიაჩერდება ცვლის მომწესრიგებელს, როგორც ოკეანეში ჩაძირული — მაშველ ტივტივას. სამი-ოთხი სხვადასხვა ტანსაცმელი ერთად გადაუკერებია მის საცოდავ პატრონს და მაინც უჭირს ზოგიერთი კონტინენტის ბოლომდე დაფარვა.

— ძალის გამოყენების გარეშე თუა, ექიმო, შესაძლებელი, — არასრულ წინადადებას ამოაფრქვევს პაციენტი ჩამქრალი ვულკანივით.

— რა, საყვარელო, ძვირფასო? — მამური ზრუნვით ეკითხება ცვლის უფროსი, მაგრამ მოკამათეს აღარ ესმის მისი კითხვა, ძილქუშის გამოქვაბულშია წაბრძანებული პირველყოფილი სიზმრის გასაგრძელებლად.

— ჭამის მადის აღკვეთა, — მეორე გოლიათი ამთავრებს პირველის შეკითხვას.

— სწორედ რომ ძალის გარეშეა წინსვლა შედეგიანი ამ დიდსა და საშვილიშვილო საქმეში. საშვილიშვილოს პირდაპირი გაგებით მოგახსენებთ: არ გეყოლებათ შვილი მიუხედავად თქვენი უზარმაზარი გაბარიტებისა. შვილის უყოლობა თავისთავად შვილიშვილის უყოლობასაც გამოიწვევს და ასერიგად ამოშრება მამულის ჭა ბაზალეთური. ამავე დროს, გაიხედეთ ფართო ფანჯრებიდან და დაინახავთ, რომ გასათიბია ჩვენი საავადმყოფოს მშვენიერი ეზო, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, ცელი, ნამგალი, ზინდალი და ურო, მშვენივრად, ჩვენს რეჟიმულ კვებაზე უკეთესად აკლებინებს წონაში. თიბვისა და ფოცხვის პირველსავე დღეს ორ კილოგრამამდე მოიკლებთ, თანაც სასარგებლო საქმეს გააკეთებთ. ანდა, ნარინჯისა და სხვა ნამუსრევის ნაგავი ჩეჩქივითაა მოდებული ფიჭვების მხარეს, ვაჟას გამზირისაკენ. მოაწყვეთ ლაშქრობა ნაგვის ასაკრეფად, დაიხარეთ, პირველ ხანებში ვინმეს ზედამხედველობით, იმოქმედეთ, შემდეგ კი მთელი თქვენი შეგნებული რწმენით. ათ კილოგრამამდე პურის ნატეხის შეგროვებისას ხუთას გრამს მოიკლებს თითოეული თქვენგანი წონაში, თუკი არ შეცდებით და პირში არ გაიქანებთ გადანაყარ ნარჩენებს.

— ჩვენი გადაყრილი რომ არ არის, პატივცემულო, ჩვენ რად უნდა ავკრიფოთ? — მერყეობს რომელიღაცა გოლიათი და გამოქვაბულში ბრუნდება.

— თქვენია ეს უმშვენიერესი ეზო, მამულიშვილნო, თქვენი, დაიმახსოვრეთ, თქვენვე მოგიტანთ სარგებლობას მისი გასუფთავების და კეთილმოწყობისათვის გაღებული შრომა, დაიხარე. გაიშვირეთ ხელი. ერთი, ორი და!..

— მსხმოიარე ხეხილი მაინც დაგერგოთ, ამ ფიჭვებსა და ფიჩხებს რომ რგავდით; კაკალი გადაშენებაზეა. თხუთმეტი წლის წინათ დარგული ახლა უკვე დასაბერტყი იქნებოდა, — ბუზღუნებს ოთხნაკერიანი გოლიათი და პასუხს გარეთ ტოვებს, ისე შედის ძილის მღვიმეში.

— დიახ, პატივცემულო, ჩვენი დაყრილი არ გახლავთ, ათასი უცხო ი-ვრის ფანჯრიდან. დაურიდებლად, — ათუხთუხდა კიდობანივით დედაკაცი, — ბაღის სიმშვენიერეს რომ თავი დავანებოთ, საშიშიც გახლავთ აქ ვარჯიში. საჭმლის ნარჩენები დაგვიშინეს ამას წინათ ფიჭვნარში მეცადინეობისას.

— ამოდენა გემივით დაწესებულებაა, მთელი დივიზია და მთელი ქვეყანაა ეს შენობა. სად რამდენი ვირთხა გადაირბენს გემბანს, სად ჩაძვრება, რომელ კაიუტაში, ან ვინ რას მოიმოქმედებს და მოსრავს, ჩვენ სად უნდა ვეძიოთ? როგორ და რატომ უნდა ვხვეტოთ სხვათა ნაოხრალი! — ერთბაშად აფეთქდა კუთხეში მდგარი დიდი კაც-მაცივარი, წითელი, მწვანე და ლურჯი ნათურა ერთად აინთო მის უნაოჭო, სავსე მთვარესავით შუბლზე.

— ბაღის პატრონმა უნდა იხეთქოს და თავში უნდა იცეს ყველას მაგივრად, გამიგონეთ და დაიმახსოვრეთ, ბაღის პატრონები კი თქვენ ხართ! — ჩართო სამკურნალო პუნქტის მწონავმა და განაგრძო, — ორმაგ სიკეთეს მოიხვეჭთ ამით: ერთი, რომ მშობლიურ ბაღს გაწმენდთ უწმინდურთა ნამუსრევისაგან, მეორე სიკეთე ამ მოქმედებას ის მოჰყვება, რომ საკუთარ გვამებს დაცლით შხამისა და ნაგვისაგან. დამიჯერეთ, პატივცემულნო, რომ მხოლოდ თქვენივე სიკეთისათვის მოგახსენებთ! — დაამთავრა ექიმმა.

ამასობაში კაც-მაცივარს ჭარბი სისხლისაგან აჭრელებული თვალები დაუმშვიდდა, ერთი ღრმად შეისუნთქა და სათაფლიას მღვიმეში გაუჩინარდა, დინოზავრის ნაკვალევს შეჰყვა გარდამავალი ეპოქის გვიმრული სიზმრების სანახავად.

* * *

ზოგიერთმა გოლიათმა ჯდომისაგან დაშლილი სკამებისა და მაგიდების აწყობა და გამართვა იწყო. კაც-მაცივარმა ყბა გაისწორა და თავის ადგილზე ჩაიგდო. საერთო ცვლის მოშლასთან ერთად ეს გასაჭირიც ადგა გოლიათ-მაცივარს. მთლიანი ატამი ჩაედო ბავშვობისას პირში, ყბა ამოვარდნოდა და მას აქეთ დიდობაშიც იტანჯებოდა ყბის ამოგდება-ჩასწორებით. კიდობან-დედაკაცს სკამის ნახევარი აჰყვა წამოდგომისას. ვერც გაიგო, ისე პაწია ნაფოტივით აიყოლა მისმა უზომოდ გაბარიტულმა გოდორამ პაწია სკამი. დროზე გამოაცალეს და დაშლილი სკამის აწყობაშიც მიეხმარნენ.

— ბოლოს და ბოლოს მოვა დრო, ერთ კაცს ათი კაცის ულუფას აღარავინ გაპატიებთ, — ხმადაბლა ბუტბუტით განაგრძობდა თავის სათქმელს ექიმი-დიეტოლოგი, — პურმარილი ზომიერი უნდა ვიცოდეთ მთელ საქართველოში. ერთ ჩურჩხელას ატარებდა ქართველი მეომარი უბით ლაშქრობის დროს და ის ყოფნიდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში!..

— რამდენი იმას რქაწითელის ტიკჭორაც გამოუცლია ბრძოლის წინ და ისე ჰკვეთებია მომხდურს, ყიზილბაშს, პატივცემულო, იმდენი თქვენც აღარ დაგაჭირვოთ ბუნების ძალამ ემაგოდენი წამალი და ჩვენც შეგვაძლებინოს სუხიშვილის რაზმში ტანი შერხევა და ინგლისური ტაშის გრიალის მოსმენა! — ეპირფერება ნაწყენ დიეტოლოგს რომელიღაც მსხვილჩლიქოსანი.

— ის ჩურჩხელებიც აღარა ჰქონდა თქვენი სანაქებო მეფე ერეკლეს ჯარისკაცს აღა-მაჰმად-ხანთან უთანასწორო ბრძოლაში, მშიერი კაცი დუმით გაპოხილ ყიზილბაშს დიდ რასმე კი დააკლებდა, როგორ არა, შედეგიც ეგ გახლავთ, — ისმის ქვევრის ხმა.

— მაშინაც გახლდნენ ღვინის რუმბი მამულიშვილები, ყველისა და ერბოს გუდა-ვაკაცები, იმდროინდელ საქართველოში. ზაქიჭამიას ტყუილად როდი უძახდნენ მეფის უფროს ვაჟს, გიორგის. ყველა მონაცემის გათვალისწინებით თამამად შემიძლია დავასკვნა, რომ ნივთიერებათა ცვლის უსაშინელესი მოშლით გახლდათ დაავადებული დიდი ბატონიშვილი! — ნერვიულად დუდუნებს ნაწყენი დიეტოლოგი, — მოვა დრო, ბოლოს და ბოლოს, ადრე, თუ გვიან ამოიცლება და ამოიწურება საწყაული აღუვსებელი, შეწყდება მუცლის ღაღადისი და მამალი ხოხობივით იყივლებს წიწამურზე სული ხორცისაგან თავისუფალი! დამიჯერეთ და გადაჰკარით სარაჯიშვილი რქაწითელის ნაცვლად. არ აურიოთ ეს „სარაჯიშვილი“ იმ სარაჯიშვილში, კონიაკის ფუძემდებელში არ შეგეშალოთ.

— ომმა ქნა, პატივცემულო, ნივთიერებათა ცვლის მოშლა, მერწმუნეთ! — შეეპასუხა ერთ-ერთი მცირე ზომის გოლიათი დიეტოლოგს.

— რანაირად, ერთი მიბრძანეთ? — დაინტერესდა ავადმყოფის ბეუტურით ექიმი.

— ულუკმაპუროდ გავატარეთ მთელი ოთხი-ხუთი წელი მაშინდელმა ბავშვებმა. მერე, ომი რომ დამთავრდა და გაჩნდა ნა-

ნატრი პური და ცხოვრება, მივესიეთ დამშეულები, ამოვიტენეთ მშიერი ტომრები და დავაგროვეთ ეს ოხერი მოშლილი ცვლა.

— საინტერესოა თქვენი მსჯელობა. ერთგვარად გეთანხმებით კიდევაც. მაშინ, კუჭის დასტაქარს არა საქმე და არა ფარა არ ჰქონდა, ახლა კი სავსეა, აგერ, წყლულოვანთა განყოფილება...

„სარაჯიშვილის“ ყლურწვაში და შეზრული კომბოსტოს ტიეტივში გადის დღე. მეორე დილა კვლავ მწონავის ოთახიდან იდგამს ფეხს.

პაციენტი ბურანშია, გმინავს სასწორი გოლიათის ფერხთით.

— გადასარეკი პუნქტია, ბატონო, თუ სამკურნალო კლინიკა? ყოველდღე სასწორი და სასწორი სად გაგონილა! — ბუზღუნებს ზემძიმეთა ტომის ასოთხმოცდაჩვიდმეტკილოგრამიანი ბელადი, პროფესიით მეტყევე.

— ერთ დღესაც მოგეცადათ შინ, პატარა წაგეხემსათ თქვენებურად და პირდაპირ ორასიანთა კლუბში მოხვდებოდით, — იწერს დავთარში ავადმყოფის წონას ხმალივით ხმელი დოცენტი-დიეტოლოგი და შემდეგს უხმობს სასწორზე, ორშარვალგადაკერებულს, სვიტრგადანაქსოვს, ღიპგადმოგორებულს.

— შვილი აღარ მელაპარაკება, პატივცემულო, ცოლი ზედ აღარ მიყურებს, დედაც ხმას აღარ მცემს! — წუხს და თვლემს სასწორზე შეგორებული ტანდაბალი და განად გასული გოლიათი, მეტსახელად შვიდკაცა.

— ას სამოცდაშვიდი კილოგრამი, — იწერს წონას დიეტოლოგი, — კილონახევარი მოგიკლიათ, ყოჩაღ! სიმაღლე ნაკლები გაქვთ წინამორბედთან შედარებით და ამიტომაც გამოიყურებით ასე უსაშველოდ განივრად. დაიკლებთ, ნუ გეშინიათ, ნელ-ნელა ჩადგებით კალაპოტში, რაკი მორჩილება აღმითქვით, — ამშვიდებს და აიმედებს კეთილი ექიმი გულწრფელად გულგახეთქილ პაციენტს.

— დამაპეთ, პატივცემულო, დამხერხეთ, გამთალეთ, ოღონდ კი სამოცდაშვიდი კილოგრამი დამატოვებინეთ ამ კედლებში, ოღონდაც! — ჩუმი მოთქმით იცრემლება გოლიათი, თანაც თვლემს სასწორსმიყუდებული.

— ვის ჰგავხართ აღნაგობით, შენებით? — ეკითხება ექიმი ქვაბში წასულს.

— შენებისა არაფერი გამეგება, ვწერ... ქვითრებს ბაზარში, — კვლავ ჩათვლიმა შვიდკაცამ.

— როცა გაიღვიძებს, ჰკითხეთ, დედას ჰგავს გარეგნობით თუ მამას და რომელი — როგორი აღნაგობისა ჰყავს მშობელთაგან! — ავალებს ექიმი ავადმყოფებს.

— დედა ჰყავს, ბატონო ექიმო, ძალზე დაბალი და სქელი, მამამისი თქვენსავით ხმალივითაა. გუშინ გახლდნენ შვილის სანახავად, — აცნობა ზემაფრაშა ქალმა.

— გმადლობთ შედარებისათვის. — გადაეცით ჩემი შეკითხვა როსტომ შვიდკაცა-ქვაბულელს და ყური დამიგდეთ. ისტორიულ მცირე ექსკურსს ჩაგიტარებთ ლონდონში შევლით. მისმენთ?

— ტაუერში მიგყავართ — ხომ? — ზუზუნებს ფინური მაცივარი ყველას მაგივრად.

დოცენტი-დიეტოლოგი იწყებს თხრობას:

— ბაირონს, თურმე, ერთხელ, ბალზაკი ესტუმრა...

— რაკიღა ორივე „ბა"-ზე იწყება ალბათ იმიტომ თუ, — ანგლობს საცოდავი, ქონიანი საბუთების კარადა-გამომძიებელი.

— ქუთათური კაცი ძილშიაც ქუთათურობს! — ვერ მოასწრო დიეტოლოგმა, გამომძიებელ პაციენტს ხვრინი ჰქონდა გაშვებული, ექიმის დაცინვა აღარ გაუგონია.

— ბაირონის უჭმელ-უსმელობამ, მისმა პირდაპირ ბერ-მონაზნურმა თავშეკავებამ ძალზე გააოცა ჭამა-სმის დიდი მოყვარული ბალზაკი. მის შეკითხვაზე, თუ ჭიქა ყავასა და ნაჭერი, მცირე ორცხობილის მეტს რატომ არ შეექცევა ინგლისის პირველი რაინდი და მსოფლიოს გენიალური მწერალი, ბაირონმა უპასუხა: „დედაჩემი, ბატონო ონორე, ისეთი შენებისა გახლავთ, რომ კი არ დადის, დაგორავს". „მერედა თქვენი შიმშილი დედათქვენს რა შეღავათს მისცემს?" — ჰკითხა პასუხით გაოცებულმა ბალზაკმა. „მე დედას ვგავარ შენებით და ამიტომაც ჩემი ერთადერთი მხსნელი მხოლოდ უმკაცრესი დიეტა გახლავთ", — განუმარტა უსასრულო მარხვის მიზეზი ბაირონმა ბალზაკს...

ოთახიდან გამოვდივართ.

— საშინელი, შემაძრწუნებელი ავადმყოფობაა ნივთიერებათა ცვლის საერთო მოშლა! მეტი უბედურება შეუძლებელია ადამიანის თავს. ყველა სნეულება ამ უსაშინელესი ჭაობიდან იღებს სათავეს! ნაცვლად იმისა, რომ ყოველ დიდსა თუ მცირე ქალაქში გვქონდეს მსგავსი დაწესებულება, თუნდაც თვითანგარიშზე, ბატონებო. ლამის აქედანაც გაგვიფიშტონ და გადაგვასახლონ შემოსავლიანმა დარგებმა... ხომ არაფერი გეწყინებათ, ბატონო, მწერ-

ლებს რომ შევეხე ბალზაკისა და ბაირონის მაგალითზე? — მიღიმის დიეტოლოგი.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო მიხეილ, მშვენიერი მინი-ნოველა გვიამბეთ, მადლობელიც გახლავართ.

— ხომ გონიერ აზრს ვავითარებ, ხომ უნდა დამიგდონ ყური ბოლოს და ბოლოს?! ქუთაისში, თელავში, ბათუმში, ცხინვალში, სოხუმში, ზუგდიდში, გორში და ასე შემდეგ, საქართველოს დიდსა და მცირე ქალაქში რატომ არ უნდა იყოს ასეთი კლინიკა, თავისი კეთილმოწყობილი შარკო-მარკოებით, აბაზანებით, სავარჯიშო შრომითი მოედნებით? ორი ექიმი-დიეტოლოგი, ერთი სპორტული განხრის სპეციალისტი, ორიც მასაჟისტი და არცთუ ზემდიდარი კლინიკა ყველა ქალაქს უნდა ჰქონდეს თვითანგარიშის საფუძვლებზე. პაციენტმა უნდა შეიტანოს გადასახადი, ანუ ის თანხა, რასაც იგი დახარჯავდა ერთი თვის გრიალ-გრიალში. მორჩა და გათავდა! მსოფლიოში ბადალი არ ეყოლება ამ მეთოდით შექმნილ კლინიკას. თავის სარეცხს თვითონვე დაირეცხავენ ავადმყოფები, სამრეცხაოს ორთქლი და ოხშივარი განა ცოტას აკლებინებს?!

— მშვენიერი აზრია, ყველამ უნდა დაგიჭიროთ მხარი. ამდენ კარგ ექსპერიმენტს ერთი ასეთი საჭირო ექსპერიმენტიც მიემატოს. — ვაიმედებ ექიმს.

საავადმყოფოს ეზოს დიდი გარშემოწერილობა ერთი კილომეტრია. გოლიათი გორგლები ქშენით მიჰყვებიან ერთმანეთს. გამოცდილები დაძუნძულებენ, ახალბედები ბაჯბაჯებენ. გაუდის ლაწალუწი მშვენიერ ფიქვნარს. ხმელი ტოტები სცვივა ხეებს. ესეც ექსპერიმენტია, დეკორატორის შტატის შემცირება საჭირო გახდება მომავალი კლინიკების გაანგარიშებისას.

„ნამდვილმა ტყის დათვმა რომ დაგვინახოს, ნეტავი რას იფიქრებს, ვინ არიანო, რა იტყვის? ისიც ძუნძულს დაიწყებს, ალბათ, გაადამიანებას მოიწადინებს“, — ათასი მსგავსი და უშტერესი აზრი ებადება ძუნძულში კაცს. თითქოს რეპროდუქტორიდან მოგვძახისო გამგე-დიეტოლოგი:

— თითოეული თქვენგანიდან, მეფე ერეკლესეული ხუთი მებრძოლი გამოიჭრება... წონით მრავლდება დღეს ჩვენი ლაშქარი, წონით! დღითიდღე გვიჭირს ადამ და ევას ნაანდერძევი მეთოდის ტარება და შესრულება. არა და, იყო დრო, როცა ათ-ხუთმეტ მილიონს აღარა გვიკლია-რა! დაფიქრდით, მძინარეთა მდინარეო. მოუკელით სმა-ჭამას! ააყვავეთ სული მეგობრობით, შრომით,

ტექნიკის უსწრაფესი ათვისებით. ისწავლეთ მეთუნეობა, ღებვა და შედუღება, რათა თქვენივე ხელით არემონტოთ და აკოწიწოთ თქვენი მანქანები! როდემდე უნდა უხადოთ ორპირ ხელოსნებს ორპირი გასამრჯელო ავტოპროფილაქტორიუმებში? იშრომეთ თავაუღებლად! ნუ მიილტვით მდიდარი საპატარძლოების შესაძენად! ირჩიეთ ხელმოკლე და ხმელი საპატარძლოები. რათა მრავალი შვილი შეგძინოთ ჯანმრთელმა სხეულმა! მათ, ჯანმრთელთ აღგიდგინონ, შენ, დიდების დღენია!..

* * *

ლიძავა მოვირბინე უბილეთოდ და ბიჭვინთაში ვბრუნდები. გზა-გზა კურდღლების ამბავს ვკითხულობ. საიმედოს ვერაფერს მივაკვლიე. საცოდავად მოვჩაქჩაქებ. დაღლილი და გაბრტყელებული ტერფი ჩლატუნით ფოცხავს გაკრიალებულ ასფალტს. წელან, ბიჭვინთის ცენტრში. ისეთი სიქაგაცლილი ნაბიჯით ჩამოვიარე, რომ ჩემი ცოდვის მაცქერალმა, პაწია რუსის ბალღმა ყურები გაუხვრიტა და გული შეუჭამა სიცხისა და ავტობუსის ლოდინისაგან გასავათებულ მამას:

— მამა, მამიკო, ამ ძიას მართლა ჰგონია, რომ დარბის? ჰა, მამა, მამიკო?!

ძლივს გავცდი. „კარგი ვინმეც გეზრდება-მეთქი!“ — მივაბურტყუნე...

ზღვა, მზე, ბზა, ბზები, ბზები

საღამოს შვიდი ჩამოცალა ქვიშის საათმა, მერვე დაიწყო. მზე ამაოდ დაეძებს შიშველ სხეულს სანაპიროზე და რაკი ვერ პოულობს, მარად უმანკო და მარად ვნებიანი თვით იხდის ტანთ. ლაღად ივლებს ოქროსფერ თმას ლურჯქოჩორა ვაჟის ტალღებში, ნელინელ ცხრება და სხივთ აკრეფამდე წვება ნაპირზე. გადახრილი და გამკაფიოებული მოწითალო დისკო ირიბად უთვალთვალებს ზღვაზე გაწოლილ ნათაფლარ სხეულს.

ნავახშმი დამსვენებლები შემოქმედებითი სახლის კინოდარბაზის წინ გრანიტით ფენილ აივანზე იკრიბებიან ბოლვა-ბოლვით.

ფილმის ნახვა საღამოს მაწონივით აუცილებელი პირობაა აქ, დესერტის დესერტია. თავისი ახალგაზრდობის, თავისი ხელით შექ-

მნილი კინოცხოვრების, საკუთარი თავის ხელახლა სანახავად დადიან კინოს თაობები აქ. დადიან შიშველი ტერფის სიყმაწვილის ნატერფალთან მისატოლებლად, კიდევ ერთხელ შესადარებლად.

ყველა ცნობილია, ნაცნობია, თავისებურად ყველა მომხიბვლელია, ლამაზია, მიმზიდველია, დახვეწილია. ურთიერთნაკლად არ მიაჩნიათ და არ კიცხავენ აქ ერთმანეთს იმისათვის, რომ ყველა არ არის ღვთისმშობელი, ძე ღვთისა და მამაზეციერი. ყველამ რაღაცა გააკეთა იმ დიდი, სახელმწიფო შენობის აგების საქმეში, კინემატოგრაფს რომ ვეძახით. ეს ყველამ იცის. დიდი ეკრანი დიდი სახელმწიფოს მაჯისცემის ასახვაა. დიდი, ღია კარია მათთვის, ვისაც ქვეყნის ისტორიის გადაკითხვა სურს.

შვიდი ათეული წლის განმავლობაში განვლილი გზებისა და ბილიკების ხელახლა თვალის გადავლება და გადამოწმება ხდება აქ ყოველ საღამოს. ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ერთი დიდი, განუყოფელი პატრიარქალური სახლის დედები, მამები, შვილები, ძირები, წულები, მულები, გადიები, შვილიშვილები, გერები, დედინაცვლები, დედმამიშვილები, ბადიშები, კინოცხოვრების ძირფესვეულობა და ძვირფასეულობა მობრუნებულანო მამაპაპეულ ჭერქვეშ დიდი ცხოვრების ორომტრიალიდან, ჟამთასვლისაგან მტვერდაფენილი აკვნის ხელშესახებად, ტკივილების დასაამებლად, მოსაოხებლად, ცოდვების მოსანანიებლად.

თავისებურად ყველა სახელმწიფო მოღვაწეა აქ. ყველამ განიცადა მეტ-ნაკლებად ის ყველაფერი, რაც განიცადა სამოცდაათი წლის სახელმწიფომ. ყველა როლი შეუსრულებიათ აქ მყოფთ: დედის, მამის, შვილიშვილის, დის, ძმის, სასიძოსი, სარძლოსი. ზოგს დამნაშავის როლი განუხორციელებია, ზოგს ბრალმდებლის, ზოგს ჯარისკაცის, ზოგსაც გენერლის, ზოგს, ერთთავად მოღალატის როლის განსახიერებით, მოღალატედ იცნობს მაყურებელთა ლაშქარი, ზოგსაც — პირიქით.

ვერც მამას იპოვის კონკრეტულს კაცი ამ სახლში, ვერც დედას, ვერც პაპას. იპოვის კიდევაც და ვერც იპოვის. ვერ იტყვი, ჩაპლინი იყო მამა ამ სახლის, თუ ეიზენშტეინი, შენგელაია თუ ჭიაურელი, ნატო ვაჩნაძე იყო დედა, თუ ბრიჯიტ ბარდო, თუ ეს მშვიდი და სახენათელი ალისოვა, ორმოცდაათი წლის წინანდელი „უმზითვოს“ თვრამეტი წლის პატარძალი. ლამის სამოცდაათი წლის უნდა იყოს და ახალგაზრდული ხიბლი კვლავ დასთამაშებს უფერუმარილო შთამბეჭდავ სახეზე. ბევრი სახენაღები ქალიშვი-

ლი შენატრებს, ისე გამოიყურება. ისევე უბრალოდ აცვია. როგორც ეცვა უმზითვოს, როგორც ყველას ეცვა, როგორც გვეცვა.

ჩვენს უახლოეს მაგიდასთან საუზმობს. სადილობს და ვახშმობს ორ ახალგაზრდა ქალთან, იქნებ შვილთან და შვილიშვილთან ერთად. გვახარებს ურთიერთხილვა. გვახარებს მათი ცხრაფურცელა, კეთილი მოკითხვა და მადიანობის სურვილი.

— გააგონა მიხეილ-დიეტოლოგს, თავდებით რომ ვყავარ გამოშვებული, ნახე, რა დღეს დაგაყრის! — ვფიქრობ ასეთი ლოცვა-გამარჯობისას. — ბიჭვინთის მიმაგრებაში ვიმყოფები ფაქტიურად, ყოველი ჭამის შემდეგ ბიჭვინთა-ლიძავას შარას უნდა გავაკრა ელენთა, წონაში რომ არ მოვიმატო, თევზის ქარხანას უნდა შემოვურბინო ჩეხური ლუდის ოცნებით. ხალხი ამ დროს თავისუფლად ნებივრობს ჩრდილში, ქვიშაზე, გასაბერ ლეიბებზე გაწოლილები სხეულის სინატიფეს უჩვენებენ ურთიერთს, ყირამალობენ. ეცუღლუტებიან. ეკეკლუცებიან. მე კი მკაცრი უჭმელობით საჭმელების მოჩვენებებს უნდა ვდიო: „ერთი ცხვირსახოცი მქონდა, ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე“. უნდა ვახვიო და ვშალო ტროტუარები და ბილიკები. სარბენი საწერმაგიდაც თუ გამოვჩარხე, ბედნიერად უნდა ჩავთვალო თავი. ზოგი ერბოს ქოთანშია მისჯილი წოლით-ჯდომითი რეჟიმით და მაინც წანწკლი-წანწკლი დადის, ბედნიერების ზურმუხტი დასთამაშებს, მისალოც ბარათებს თხზავს და მალემსრბოლებს ატარებინებს. მისხალს არ მოიმატებს ამ ბედიღბლის ჩიტბატონა. მიეცეს და მიემატოს ისე, რომ წონაში არ მოიმატოსო! — გამჩენ ღმერთს ასე აქვს ნაბრძანები მასზე. შენ კი აწკლაპუნე სტაფილონარევი ხაჭო, ნაბეგვი და ნათაქი კომბოსტო, ყაბაყის ფაფოვანი ხიზილალა, უმარილო თევზის ფარფლი, უკუდო ძროხის ნაწყენი რძე, შვიდთვიანი, მწვანე ვაშლის ხილფაფა, შემოუსვლელი გოგრის ბუძუნძღო, სარეცხის მანქანაში გარეცხილი და ნასახამოცლილი საქონლის ფერწასული ხორცის ნაჭერი...

ამ უსავათო მენიუს გამოუვალ ფიქრში წასული ითიშები უნებურად, დროულ სალამს ვერ მიაგებ მოკეთეს, გვერდით ბილიკზე მორბენალ ქალს, ვისმე აედევნები საუკუნოვან ფიჭვნარში, ლიანების ხვიარებში. წამოკრავს ფეხს, წაიფორხილებს, ან შენ წაიფორხილებ და წამოგაყენებს. მერე, ისე არ იქნება, რომ, ამ ფორხილ-წამოყენებაში ერთი დიდი ხნის ხალვათი გადანაჭერი ჯირკი არ შემოგხვდეთ. მეორე ასეთ სკამკუნძას ვერ ნახავთ ახ-

ლომახლო, იძულებული ხართ, ჩამოსხდეთ ერთად. უზურგო სკამზე დიდხანს ვერ გაჩერდები დაღლილი, ერთურთს უნდა უზურგოთ. ხართ ასე მიბეჭდილები დიდი ხნის დობილ-ძმობილებივით. ორი სიტყვა აქედან წავა, ორსაც იქიდან მოგილამუნებს იოდნარევი ნიავი. ეს უკვე ოთხი: ოთხს ოთხი მოჰყვება. აიკინძება სიტყვა და სუნთქვა ერთი პატარა მინიატურასავით. ეს გახლავთ ცვლის მოშლის ყველაზე დიდი ბედნიერება. ამასობაში, ჩიტი ამბავს მოუფრენს ჯალაბს: „მელა დაიჭირაო წანწალში". მიხვალ შინ გაჭირვებით ნაამები და სიკეთით სავსე. ეჭვის სამართებელს დაგისვამენ და ერთგულების ქათიბს გაგხდიან უმალ, თვალს არ დაახამხამებენ. საუბრისას დანა-ჩანგლის თეფშზე რაწკუნს გასმენინებენ, რა არის, ერთიანად მოგშალონ. აი, ასეთი მკაცრი რეჟიმის მიმაგრებაში ჰყავხარ საკუთარ მონაგარს. შემოდის ეს დიდებული და სახენათელი ალისოვა თავისი ფრთეულით, გიღიმის და «Прятного вам аппетита», გეუბნება.

გინდა გამოძვრე უქმურის ტყვეობიდან და ღიმილით შევხედე მეზობლის კეთილ მომართვას, ცდილობ, მაგრამ არ გამოგდის. „რამ დაწამლა ნეტავ ეს თაფლ-წყალში ნავლები ოჯახი?", — ფიქრობს სამეზობლო სათნოების სურნელოვანი სანთელი და შენი ცოდვით იწვის. იწვის, მაგრამ შველით ვერასა გშველის. ისევ დალოცვილი, რესპუბლიკური სამკურნალო კვების განყოფილების სულიერი მამის რჩევა გიხსნის: „გადაჰკარ სარაჯიშვილის მიქსტურული წვენი, სიმშვიდე და სათნოება დაგეუფლება". ჩემიანებმა ჩემზე უკეთ იციან ეს ჩემი მაშველი წესდებები და მუხლუბი; ჩაის მაგივრად სარაჯიშვილი მისხია ჭიქაში. ვსვამ ამ საძაგლად საყვარელ სითხეს და შუბლი მეხსნება. ჩემი შუბლის გახსნა და ჩვენი მეზობელი მაგიდის წევრთა სახეების გამოკაშკაშება ერთდროულად ხდება. ჩვენი ბუდე რომ აეღურტულდება, ისინიც აჭიკჭიკდებიან და სიკეთით აღივსებიან.

საერთო და ნათესაური ბევრი გვაქვს ადამიანებს. ამას ვეძიებ მეც ამ წანწალსა და სირბილში. უფრო მეტი გვქონდა, მაგრამ ურბანიზმის წყალობით გვაკლდება დღითიდღე. თუკი არ გავუფრთხილდებით ყოველივე ადამიანურს და თუ არ გადავეფაფრებით, ყველა კაიკაცურს წაგვართმევს ეს პირქოსა და მრავალსართულიანი ქარის წისქვილ-სახლები, მოუკითხაობის შავ ყავას რომ ფქვავენ ჭორის დოლაბებში და ბოლომდე გაცლევინებენ წნევის სამსალას ისე, რომ სამკითხაოდაც აღარ გიტოვებენ ნათხლევს.

ცალი ფეხით ურბანიზმში მიექანება დიდქალაქელი მოქალაქე დღეს, მეორე ფეხით მამაპაპეულ კუნძულს ეპოტინება და ურთიერთობს დაბადების დღეებსა და პანაშვიდებზე.

ამ ორ კუნძულთაგან არც ერთი არ არის მყარი. წრფელი და სახვალიო, არც ერთი არ არის იმედიანი. საიმედო სახვალიო კუნძული ნათელი ურთიერთობისა, წინაა. მისკენ მოცურავეს სხვა დიდი გადაფასება და ურთიერთობათა დიდი გადაახლება ესაჭიროება, ცოდნისა და შრომის ბუნებრივი, უანგარო სიყვარულის დაბრუნება!

ქართველი ადამიანის ეროვნული დვრიტა ბრძოლასა და შრომაში იკვერებოდა, მას უბით ატარებდნენ და არა გრძელსიიანი უბის წიგნაკებით მიმსვლელ-მომსვლელზე, მიმტან-მომტანზე, აღებ-მიმცემზე.

გველეშაპი წევსო წყაროს თავში, ქართულ ზღაპრებში რომ ვჰყუმპალაობდით. მოიკლა და განადგურდა ის გველეშაპი, შვილებო, მოგვეცა წყალი და. რაღას უცდით, მოუსვით მკლავი, გადაურუეთ სარწყავებში, გადმოურუეთ. ვიდრე ნიკაპს არ ასცდება ჭავლი, მანამ არ დაეწაფებით ცოდნის სათავეებს?!

* * *

ოცდაოთხი დღე-ღამის განმავლობაში პირველყოფილი სიშიშვლით აღსავსე დატლიკინებს და ჭყუმპალაობს დიდი თუ პატარა ზღვისპირეთში, სრული, ან თითქმის სრული თავისუფლების გამჭვირვალე სამოსელი ჰმოსავს ყველას. ამიტომაც ორმაგად და სამმაგად ძვირფასია დასვენების ეს ორი თუ ოთხი. კვირა აქ. ბიჭვინთაში, გაგრაში, საერთოდ ზღვისპირეთში. ყველა გათავისუფლებულია დიდქალაქური ქოთქოთისაგან.

ყოველგვარ ყოფით წუწუნს რომ თავი დავანებოთ, ადმინისტრაციასთან გარკვეულ პრეტენზიებს და სხვა მისთანას, მართლაც შეუდარებელია ოცდაოთხი დღე და ოცდაოთხი ღამე ბიჭვინთის შემოქმედებით სახლში. თორმეტდღიან საგზურსაც არა უშავს რა, არარაობაში ესეც კაკალია.

მრავალსაუკუნოვან ბზის ნაკრძალში დგას ეს საკმაოდ კარგი, თანამედროვე შენობა, მშვენიერი დეკორატიული ბაღი აქვს; ვარდნარი. ბევრ კეთილ ურთიერთობას ჩაჰყრია საფუძველი აქ.

თუ დიდი, აკიდებული ჭირი არ გაღონებს, პატარ-პატარა სა-

ტკივარს გულიდან გადაგყრის ზღვა, მცხუნვარე ქვიშა სხეულის გამჭვირვალება...

ზღვისპირა კინოდარბაზის სიახლოვეს ვდგავართ ერთი ზრახვით შეძმობილი ბიჭები და ჩვენებს ველოდებით, თან ვსაუბრობთ ჰაქიმბაშური მკურნალობის საკვირველებებზე:

— ნავთი დამილევია, ძმაო, კურდღლის სისხლი რა ბედენაა, თუკი მიშველის! — ფორიაქობს თემო და ვატყობ, თქმულის სისრულეში მოყვანა არ გაუჭირდება.

— თბილისში რომ ჩავალთ, ერთ მშვენიერ დღეს, — იწყებს რეზო, — მებოცვრეობის ფერმა რომ არის ქალაქის ახლოს, იქ დავიგოთ კარავი, თქვენ ხართ ჩვენი ბატონი, რაკი ეგოდენ სარგებელს ბრძანებ ჩვენი გაჭირვებისა, ჩემო ძმაო, ვიქცეთ მელებად, ტურიკოებად, გავაჩანაგოთ იქაურობა.

— კარავი და ბუნებაში გაჭრა ისეც და ასეც აუცილებელია, — შემოგვიერთდა ჩვენი ძველი ნაცნობი და მეგობარი, ბევრ ქვეყნებშემოვლილი კინოოპერატორი შურა. საუკეთესო დოკუმენტური ფილმები გადაიღო ჩვენს ხელოვანთა გამოსვლებზე საზღვარგარეთ. რომელიღაც ფილმზე ვმუშაობდით ერთად. დაიხვეწა ბიჭი. დაოსტატდა, როგორც ამბობენ, ცეკვა „ქართულის“ შემსრულებელს გასმასა და გასმას შუა გახდის აზიურს, პატრონს არც გააგებინებს.

— ტურ ჰეიერდალი მთაში გაჭრილა ავთვისებიანი სიმსივნის მოსარჩენად. სადღაც ამოვიკითხე, რომელიღაც ჟურნალში, ზუსტად აღარ მახსოვს. — გვიყვება ამბავს შურა, — ჭამდა ბალახს, ძირებს, კენკრას, სხვადასხვა პირველყოფილ ნაყოფს, ველურ თაფლს, ცვილს, დინდგელს, მწერებს, ერთი სიტყვით, ყოველივე კეთილს. რასაც არ მოხვედრია ურბანიზმის მსახვრელი ხელი. იმდენ ხანს სწოვა ბუნების ნექტარი, ვიდრე სავსებით არ განიკურნა, — დიდის ამბით გვაცნობა შურამ.

— შენ რომ არ გიჭირს, ამიტომაც ეგრე იოლად ჭრი და კერავ, — ეუბნებოდა რეზო.

— ბიჭოს, ვისაც მართლა უჭირს, რატომ არ უნდა ირწმუნოს ასეთი ჭრა-კერვისა?! სულელები არ არიან ქისტები, ისეთი რამე შემოინახონ წინაპართაგან და საუკუნეები უბით გამოატარონ, რაც არ არის მნიშვნელოვანი და ყურადსაღები, — ვამბობ ისეთი რწმენითა და დაბეჯითებით, რომ საწინააღმდეგო არგუმენტის თქმა გაუჭირდება კაცს, — არავითარი თბილისი და გადად-გადმო-

დება, ხვალვე დავიწყებთ ამ საქმეს და ზეგ დავამთავრებთ! — გზა-მოჭრით ვაცხადებ, — თბილისს თავისი პრობლემები აქვს, აქაური ქუდი იქ არ დაიხურება!

— დავლევ, ძმობას გეფიცები, თვალს არ დავახამხამებ! — გატყდა რეზოც და ფიცად შედვა. თქმით კი თქვა, მაგრამ, მისი თვალები ისეთი გარდამავალი მნიშვნელობით ფერიცვალობენ, ბოლომდე ვერ ერწმუნები კაცი.

დარბაზში შევდივართ...

მეორე დილით, საუზმისას, სულ სხვა მაგიდების ოფიციანტი, ნინა, მოგვიახლოვდა და გვაცნობა:

— არუთას ჰყოლია კურდღლები. ჩვენი დასასვენებელი სახლის შოფერი გახლავთ. დღეს უნდა გამოსულიყო მორიგე მძღოლად, მაგრამ, რატომღაც, არ გამოჩნდა. ამბობენ, ავადაო. სახლი არ ვიცი, თორემ დიდის სიამოვნებით მიგასწავლიდით. გარაჟში ეცოდინებათ, იქ იკითხეთ.

— გმადლობთ, ნინა! — ვეუბნები გულიან ქალს და ღიმილით მივაცილებ.

ცხელა სასადილოში, ხვითქი გადასდით ასწრაფებულ ოფიციანტებს. რეჟიმულმა კვებამ შეჩვევა იცის. ცოტა რომ შეაგვიანდეს მომტანს, ჭმუნვით ხვდებიან. ექვსნი არიან და ამოდენა დარბაზს ემსახურებიან. მზარეულები და ჭურჭლისმრეცხავები კიდევ უფრო მეტად იფუფქებიან. განა რა გაუხდა ამოდენა კინოკავშირს, რომ ორას-სამასიოდე მეტრი ფირი ვერ გაუღია ამ კეთილი გოგონებისათვის, — ვფიქრობ ჩემთვის, — ცამეტი საათის განმავლობაში ჯარასავით ბრუნავენ, გვემსახურებიან, მართალია მეორე დღეს ისვენებენ, მაგრამ, იქაც ოჯახები აქვთ, დამსვენებელი მდგმურები ჰყავთ, მეურნეობა აქვთ, შრომა არც იქ აკლიათ. გადაიღონ ერთი ფერადი ფილმი ამ დაბრაწულ გოგოებზე.

ამ ფიქრებში და თვალიერებაში გართულს მომიახლოვდა მეორე ოფიციანტი, სვეტა:

— ერთი-ორ მეზობელთან მეგულებოდა კურდღლები. ერთს გაუწყვია, მეორეს დახოცვია. ადრე ჩვენც მივდევდით... ერთი ცალი გვყავს, თუ ინებებთ, მოგართმევთ. — გვაცნობა მან.

— გმადლობთ, სვეტა, სულ ცოტა, ოთხი მაინც გვინდა, რამეს გავხდებით, გმადლობთ.

— კიდევ მივიკითხ-მოვიკითხავ, — შემოგვპირდა და საქმეს შეება გორებ-გორებით.

* * *

ბიჭებს ვაცნობე გამოკითხვის შედეგები.

— თუკი ეგეთი უებარი სისხლი აქვთ, მერაბ, ეგრე პარტყაპუტყით რაღად დახოცვია იმ კაი კაცს? — შემომეკითხა რეზო მიამიტად.

უპასუხოდ დავტოვე მისი ეჭვი. სანაპიროს გავავლე თვალი. ზღვა ისევ იქ არის, სადაც გუშინ იყო, თევზიც და ის მოხუცი, წვეროსანი ხელოვანიც, ბიჭვინთის მწერალთა საკავშირო დასასვენებელი სახლიდან რომ ჩამოგვივლის სპინინგის შხუილ-შხუილით. მოხდენილად და მარჯვედ რომ ამოჰყავს თანაბარი ზომის, ადლი-ადლი ვერცხლისფერი თევზები. პატარა, კოხტა, დიდი ბატონის ჩიბუხივით სპინინგი აქვს, ჩიბუხადაც იმას ხმარობს, მგონია. ჰყამპალი რომ გაგვიდის დამსვენებლებს ზღვაში. ჩამოგვივლის ნაპირ-ნაპირ, მოძებნის სულ პაწაწა შორისდებულ სილურჯეს მობანავეთა ცომში, დამბაჩის სიზუსტით ტყორცნის საუცხოო ბოლობრჭყვიალა ნემსკავს და პირდაპირ თვალდახელშუა გვაცლის ლეკვას. წვერიც ჰემინგუეის ყაიდაზე აქვს დაყენებული და ბევრი აღარაფერი უკლია, ყველა დარწმუნებული ვართ, მალე დაიჭერს გოლიათ თევზსაც, ცოცხლად ამოათრევს, დიდმა მოხუცმაც რომ ძლივს მოახერხა.

ეჭვი არ გვეპარება, თევზჭერის ეს დიდოსტატი დიდი რომანების ავტორიც რომ იქნება. კარგა ხანს გვეგონა ასე.

იმედები გაგვიცრუვდა. გაირკვა ბოლოს და ბოლოს, დიდი გაქანების საგარეო საქმეთა ფოტორეპორტიორი ყოფილა. არადა გამოგვავლო ბორჩალო პირში ქართველ მეანკესეებს, ადგილობრივ მონკავშირეში ნაყიდი კომბლებით ამაოდ რომ ვყვინთავთ ნავმისადგომზე დილიდან საღამომდე.

ახალი ზელანდიიდან ჰქონია ჩამოტანილი რეპორტიორს ის საოცარი ნატვრის ანკესი, ტომის ბელადს უჩუქებია თურმე ფერადი ფოტოს აზამბარში. „ამ საშუალო ფოტოჟურნალისტს თუ ასეთი ბრწყინვალე სპინინგი აქვს, დიდს ალბათ ნატვრის სარკიანი ექნება-მეთქი, — ვფიქრობდი ჩემთვის, — ჩაჰკიდებს იმ საოცარ სარკეს ბიჭვინთის ყურეში და სულ ბოსფორ-დარდანელის სრუტით მოდენის და მოლალავს ოკეანის თევზეულს“.

წერე და იკითხე „მაგდანას ლურჯა“, უცადე, როდის მოგიჭ-

რის მოსამართლე მაგდანას მირთმეული ცომივით დედლის ნახევარს.

აი, ჩემო თაყავ, რომ მოგიშვია ჰემინგუეის ბაძზე წვერი და აპროწიალებ შრილანკადან ჩამოტანილ სპინინგს აგერ, კარებწინ, იქერ და იქერ ვერცხლისფერ ქორქილებს, აბა, ერთი მეცა მკითხე, შემომხედე: მატყვია თუ არა ქუსლი უადგილოზე? ისიცა მკითხე, რატომ და რისთვის! მკითხე, თორემ შვილებსა ვფიცავ, წვერს მოვუშვებ და რეპორტიორი გავხდები.

— ჰარიქა, ჩამოდიო, დეპეშა მომივიდა სასამართლოდან. დაკლებული ჰონორარის თაობაზე ვეაჯებოდი გამომცემლობას. წავედი და მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე უკანვე ჩამოველ ყურებდაუთოვებული. ზღვასაც მოვაკელი ორი დღე და გადანაყარი ჭაჭის გუნებით ჩამოვბრძანდი. ბიჭებმა შემატყვეს უგუნებობა. საბაბი არ მითქვამს, გაღმა შევედავე, ეჭვსა და გულცივობაში დავდე ბრალი.

— რა ქენი, გოგოა თუ ბიჭი?, — მკითხა რეზომ.

— ნაბიჭვარია, — უგემურად, უჟმურად ამოვღეჭე.

— კურდღლების ამბავსაც დავაზუსტებო, რა გაიგე? — თემოც დაინტერესდა.

— არაფერი არ გამიგია, ისე ჩავედი და ჩამოვედი. წამო, სოჭში წავიდეთ, რესტორანში. მივიღოთ ცოცხალი კალმახი — „პასოლსკი", სოკო-შხამა, საფირმო რამეები, აღვნიშნოთ წყლის ნაყვა. ერთი-ორ ღამესაც იქ დავრჩეთ, გულები დავუხეთქოთ ჩვენს ჯავარხანებს, მშვიდობას რომ მიეჩვევნენ, ქოლგებივით რომ სულ თავზე ვაფარივართ. ცოტა მზემაც დაჭკრათ... წავიდეთ რა! — ავიტეხე.

— რა მოგივიდა, გვითხარი?

— იდეა მომივიდა, წავიდეთ, ეიგრიალოთ! — ჩემსას გავიძახი.

— კურდღლები?

— შევაწვევინოთ რაჭულად, ტაბუცუნით. მზარეული ნაღდად რაჭველი იქნება...

— დაპატიჟებულები ვართ გაგრაში, კოლეგებთან, შინაურულ თათბირზე. თუ აგრეა, იქ წავიდეთ. უცხოელი ლინგვისტისა და ჩვენს საპატივცემულოდ აწყობენ, ქართველი ბასკიბეროლოგი ენათმეცნიერიც იქნება.

— რას ვიბასკუნ-ვიიბერიალებთ! — თემოც მხარს უჭერს. ბე მისინჯავენ კბილს, ჩემი უჟმურის გაფრთხობა სურთ.

პლაჟზე მივბორალებთ...

წვეროსან მეთევზეს წვერის ხშირ ბადეში გახვლანჯოდა თევზი. მცირე ხნით ჩვენც გავერთეთ.

— ეშველა, როგორც იქნა, მიაგნო, — თქვა თემომ და სახეგაბრწყინებულ მოხუცს ჰკითხა, — ბევრი გყავთ?

დავინტერესდით მისი ნადავლით. ხელთ იმ თევზის მეტი არა ჰქონდა რა, ისიც მოისროლა. თვალი გავაყოლეთ. „ალეე!" — ტყორცნის წინ დაიძახა მოხუცმა. „ჰოპ!" — მოგვესმა შორიახლოს, დამსვენებელთა ტაბაკებიდან. პლაჟის ადგილობრივმა, ქართველმა ფოტოგრაფმა ოსტატურად დაიჭირა ნატყორცნი თევზი, წყალგაუმტარ გუდაში სტუცა და ძველი სამფეხა ფოტოაპარატის ღილაკსაც დააწვა დაყენებული კადრის გადასაღებად. ჩემი ოჯახი დავინახე კადრში, სამახსოვრო ფოტოსათვის გარინდებულიყვნენ. ღილაკმა დაიჩხაკუნა, კადრი ფირზე აღიბეჭდა, მე კადრგარეთ დავრჩი.

— თუ ასე ახლოს იყავი, გადაგეღო სურათი ჩვენთან ერთად, — მისაყვედურა მეუღლემ. ბოდიშის მეტი რა მეთქმოდა, ვყლურწე „სარაჯიშვილი", სახე დავიმშვიდე და მხურვალე ქვიშაში ჩავჯექ დამნაშავის ღიმილით...

ნასადილევს, „წყნარი საათის" ნაცვლად ბიჭვინთა-ლიძავას შარას გავუყევი ძუნძულით. ნაკრძალიდან მონამცვრევი ველური შინდის წუწნა-წუწნით მოვფლაყუნდი ორი საათის შემდეგ. მასპინძლის მსუბუქი ავტომანქანა კარებწინ გველოდა. ბიჭები ძელსკამზე დამხვდნენ, ჩრდილში, „სადა ხარო", შემომძახეს, ავირბინე „ლუქსში", შხაპი გადავივლე, რიგიანად ჩავიცვი და ჩამოვედი. ბიჭები უკვე მანქანაში ისხდნენ.

— მობრძანდით, პატივცემულო, რატომ დაიღალეთ ასე ძალიან? — მკითხა მძღოლმა გულთბილად და მანქანის კარი გამომიღო.

მივხვდი, ბიჭებს ცოტა რამ ეამბნათ ჩემი გაჭირვებული ძუნძულის თაობაზე. მანქანა უხმოდ დაიძრა. ნაკრძალის საუკუნოვანი ჩრდილი მთლიანად ვერ ფარავდა გზატკეცილს. მაინც შეგრილებულიყო. სარაჯიშვილის მიქსტურა გამოვიყოლე ყოველი შემთხვევისათვის. იმედიანად ხარ კაცი, სიდედრივით წამალია. ისეთ დროს დაგამშვიდებს, ჰონორარის გაყოფას რომ დააპირებ თორმეტ ტოლ ნაწილად.

— ილია ხომ მსახურობდა მოსამართლედ დუშეთში? — ვიკითხე ანაზდად, — მაგდანა რომ მისულიყო, თავისი გასაჭირი

აეხსნა და შეხვეწოდა, ჩემი ოჯახის მარჩენალი, ჩემი ლურჯა დამიბრუნეო, რას იზამდა დიდი მოსამართლე?

— უმალ დაუბრუნებდა. მენახშირეს ცხელ ნახშირზე დასვამდა, თავზე ცივ წყალს გადაავლებდა, მერე მკვდარი სახედრის კუდით აცემინებდა სასამართლოს რომელსამე ჯანმრთელ აღმასრულებელს, — სულითა და გულით წარმოთქვა თემომ განაჩენი.

— წიგნშიაც ეგრე აქვს ეკატერინე გაბაშვილს: მოსამართლემ დაუბრუნა სახედარი მაგდანას ობლებს, — ამბობს რეზო, — ერთი კარგი დედალი მიართვა მაგდანამ მოსამართლეს. საქმის კეთილად დაგვირგვინების აღსანიშნავად.

— ილია იმ დედალსაც უკან გაატანდა მადლიერ ქვრივს: ობლებს აჭამე, მეორედ აღარ გაბედო ეგრეთი რამო! — ვთქვი და მოვყლურწე სარაჯიშვილი...

თეთრად იელვა გაგრამ ლურჯი ზღვის ბურთობზე. ქალაქი მუსიკით შემოგვეგება. ბიზეს ოპერა „კარმენის“ მეორე მოქმედების შესავალი მარში აზანზარებს ნიჟარის უზანგებს, კასტანეტების ტკრციალი ძლიერდება. ფარშავანგის ზღაპრული ბოლო მარაოდ იშლება, საცაა იელვებს დონ ხოზეს მწველი ბოშა ქალის თვალების ცეცხლი მარაოს ფრთებიდან, მოგვედება ჩვენც, მოვიყუდებთ ღვინით სავსე ადლიან ჭიქებს, ან არხარის საკომისიო ყანწებს, ან კამეჩის რქას დავიცემთ გულში და დავიხოცებით კარმენისათვის ისე, რომ ფეხზე ერთხელაც არ წამოვხტებით გადასარევი აზიური ცეკვის პატრონები, არ შევდგებით ფეხის წვერებზე და არ ჩავეფარებით ხოზეს მოქნეულ ხანჯალს...

კარმენის ეშხმა დამაბერა, კარმენის ეშხმა ჩამჩარა სიყვარულის ბურთი ვნების პირველი, საჰაერო ცეცხლით პირდაღებულს, უხეირო დალაქის დუქარდით აკორტნილ ბიჭს და მატირა მიუღწეველის არსებობის პირველი თავზარდამცემი შეგრძნებით...

კრაზანა ბზუის და საქარე მინის ეკრანს მეშუშის ალმასივით ასდევს და ჩამოსდევს. რამდენჯერმე დავაპირე ცხვირსახოცით მისრესვა, ვერ მოვახერხე. მძღოლმაც ჩაატარა ვირტუოზული ცდა კრაზანის მოსასპობად, მაგრამ, კინალამ ბზიფში გადაგვიძახა. შეეშვა დევნას და ხმადაბლა დააყოლა: — „ძალიან საშიში მწერია, ხომაა ვითომ უბრალო, საძაგელია. დამიჯერებთ. ტყვიით გამეხარდება მისი მოკვლა“.

ოთხივე მინა ჩავწიე და კრაზანა სადღაც გაქრა.

ვეებერთელა ფინიკის პალმები თეთრი გაგრის გულში გადიან სპილოვან გოლიათებად. ინდურ-ფინიკიური სუნთქვა გაზავებულიაო თითქოს ევროპულ თანამედროვეობაში, ქართულ-აფხაზურს ვერ იგრძნობ, ვიდრე ეზოს გადაღმა არ დალანდავ ინდაურის პუტვაში გართულ, შუბლზე შავსაფარწაკრულ დედაკაცს. ყველას ჩამოსულ დამსვენებლად ჰგუობს თვალი, გარდა იმ თავსაფრიანი დედაკაცისა, ტკივილივით რომ დაბერვია მრავალსაუკუნოვანი ძარღვები ყელ-კისერზე. რამდენჯერ ჩაუსვამთ ეს თეთრი შავოსანი თურქულ გალერაში ტომარაჩამოცმული, როგორც უშობელი, ან როგორც ხასა სტამბულის ბაზრისათვის! მაინც აქა ზის ეს მაგარი დედა, და, წული, გამოუსყიდიათ შვილებს და მაგარია ისეთი, რომ ქვას კი არა, ხომალდს გააპობს მისი დედური დაკივლება, რომლის ძალსწორი ხმა არ გამოჩეკილა ქვეყნად: ხმა — დედური, ხმა — მაღალი, გამყივანი...

გედების ტბასთან ჩამოვხდით, ბამბუკების ტევრში შევედით მძღოლის წინამძღოლობით. „თეთრი გედი შავს გედს თუ შეიყვარებს?“ — ვფიქრობდი მოცლილი ფერადი ფიქრებით. ფიქრს ფიქრი მისდევდა, როგორც გედი გედს, გვერდი — გვერდს. რაც უნდა დახვეწილი და დათლილი ტანისა იყოს ორმოცდაათი წლის კაცი, ნუ დაიტრაბახებს, ვითომც ფიქრის კაცი არ დასდევდეს მას განუყოფელ ორეულად. თუნდ საყვარელთან წვებოდეს, თუნდ ხიდურიდან სახტომად ემზადებოდეს, თუნდ ისე, სულაც ნაყინს შეექცეოდეს საგრილობელ-საჩრდილობელში, ფიქრი მას გვერდით უდგას, გვერდით უზის, ან შორიდან გამოსცქერის, სადღაც მთებიდან, ან ხეობებიდან, ან ვარსკვლავებიდან. ეს არ არის შიში, ან ფიქრი შიშზე! ეს ფიქრია. ფიქრის ხარისხი განსაზღვრავს კაცის ხარისხს, მაგრამ ფიქრი არ ჩანს, ყველას თვალით და გუმანით არ წაიკითხება და არ ამოიცნობა. ამიტომაც ჭირს უბრალო გულისყურით და უბრალო თვალით ცნობა კაცისა, ცნობა მისი ნაფიქრალ-საფიქრალისა. შემოქმედი ადამიანი ნაწილობრივ ამქღავნებს თავის ფიქრებს, ბოლომდე ვერა, ან — არა.

ფიქრი საკარმიდამო ნაკვეთი არ არის, რომ ყველას ტოლი მიეზომოს და მოზომილის მიხედვით გაეზომოს. ისიც კია, რომ ზოგის ფიქრი იმ საკარმიდამო ნაკვეთის ტოლია, ხანდახან მცირეც. იქნებ ბედნიერია ასეთი კაცი? ხანდახან შენატრი, მაგრამ წუთიერად, ან წამიერად. როგორც შენატრი ჯიშიან ბუღას, ან ჯიშიან უშობელს, მწვანეში ჩაფლული ძოვა-ძოვით რომ უახლოვდებიან

ერთმანეთს, რაღაც წუთებში გაირინდებიან, ღეჭვას შეწყვეტენ, ბალახს გადმოყრიან, დრუნჩს მოიმშრალებენ ხაოიანი ენით, მიჯნურის ღელვით ეამბორებიან ურთიერთს, მიეფერდებიან, მიედუღებიან და ერთად იწყებენ ბალახის ძოვას... მერე განცალკევდებიან ბალახით გართულნი, განერიდებიან, ვითომც არაფერი, ხანდახან თავს წამოსწევენ და მწვანე სივრცეს გახედავენ, სადაც სხვა ფური ძოვს ისევე არხეინად და მოიწევს აქეთ, ან ეს მიიწევს იქით ძოვით. მერე კვლავ შედგებიან, დააკვირდებიან ურთიერთს, ბალახს გადმოყრიან, დრუნჩს მოიმშრალებენ ხაოიანი ენით, ეამბორებიან ერთმანეთს, მიეფერდებიან, გადალოკავენ, თვალებში ჩახედავენ და ნელ-ნელა, ძოვა-ძოვით განიყრებიან კვლავ.

უფიქრალი კაციც საჭიროა, ფიქრიანიც, სამყაროზე დიდია ფიქრი ფიქრიანი კაცისა, უსასრულოა და განუზომელი სამყაროსავით. ხანდახან იკარგება ფიქრიანი კაცი, თავის ფიქრთან ერთად უჩინარდება. ვეღარ პოულობს მას ვეღარც ქუჩაში, ვეღარც სამსახურში, ვეღარც მდინარის პირას. გადის დღე, ორი, სამი, სადღაც შეხვდები. გაგიღიმებს, გაჩერდება, ხელს ჩამოგართმევს, გადაგეხვევა და შენი ფიქრის ნაწილს შეისუტავს, შენ კიდევ მისი ფიქრის ნაწილს შეისუტავ და გამსუბუქდები, ზეცას აეკვრები, ან ქვესკნელს ჩაეწიდები, თუკი მძიმეა ფიქრი მისი. ბედნიერი ხარ ორიოდე წამს მისი სიახლოვით. ეს წამები საუკუნეთა ტოლა, ან იქნებ მეტიც.

ფიქრობ და ცხოვრობ ამ ფიქრებით, როგორც ის ჯანმრთელი უშობელი მწვანეზე, ან ის ხარლაღი...

ფური მწვანეს არ აშორებს თვალს, არც ხარი, რაგინდ ლაღიც უნდა იყოს იგი. ფიქრიანი კაცი ხედავს ცას, მის უსასრულო სილურჯეს, ეს მისი სულის საძოვარია...

დისკოს მუსიკის რიტმებსა და ოპერა „კარმენის“ მეორე აქტის შესავალს შორის რა მანძილიცა ძევს, იგივე მანძილი გვაშორებს ურთიერთს ჩვენ და ჩვენს შვილებს. კლასიკაზე დაგვამყნეს მამებმა, შუამდე მოვიყარეთ. ჯაზის ჰანგმა იფეთქა ველური საძირე ფესვიდან საქსის გრეხილი ვერცხლისებური სხეულით. ამოგვყვა ისიც, ჩვენც ავყევით ემპაიერზე არმსტრონგისა და ჩარლ პარკერის ფილტვებიდან ამოხეთქილ გრიგალს. კლასიკის დრო არ მოგლეჯილა, დარჩა...

მოვახერხებთ კი ორი ქალაქიდან ერთმანეთის მიმართულებით მანძილის გავლას, როგორც სკოლის მათემატიკის სახელმძღვანე-

ლოშია: გამოვიდეთ, შევხვდეთ ერთმანეთს განსაზღვრულ ბაქანზე, განსაზღვრულ დროში ჩამოვართვათ ხელი ერთმანეთს მამებმა და შვილებმა მიმოვიკითხოთ და გზა განვაგრძოთ, ჩვენ — „დისკოს“ ქალაქისაკენ, შვილებმა — „კარმენისაკენ“. დავყოთ რაღაც გარკვეული ხანი: ჩვენ დისკური ჰანგების სუპერებთან, შვილებმა — კარმენთან, შემდეგ კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენ-ჩვენს ადგილებს...

მუხლი მქონია გადაყვლეფილი სცენაზე დაკვრით, თავთან ერთად, კარმენის ბოშური, ფართო, მტვრიანი კაბის კალთის საამბოროდ...

დამღალა სანჩოს თვალნაღვლიანი სახედრის შორიდან ცქერამ... ცხოვრებამ ჩვენკენ იბრუნა სახე — კეთილი და გაება ქარავანი — ქარავანს ესპანეთის საპილიგრიმოდ. მათმა და ასმა მეგობარმა მოინახულა ესპანეთი სხვადასხვა საბაბით და ერთსაც არ წამოსცდენია: „შე კარმენიას საფერფლევ, წამოდი ჩვენთან ერთად. კარმენი თუ არ მიგიპატიჟებს ჭრელი მარაოს ჩრდილში, ეგებ სანჩომ დაგითმოს, გამოიმეტოს თავისი სახედარი, გასევილიოს მცირე ხანს ანდალუზიის ოღროჩოღროებში“. არავინ არაფერს არ მეუბნება, გაბასკდა და გაიბერდა გული მოლოდინში...

დაბებერებული მაქვს თითები პირინეელი ბერბერივით უნივერსიტეტის ვიოლინოზე კარმენის წვალებით: სრული სიჩუმეა. „ფაგოტი“ იწყებს კურკურს როგორც ბატონ-პატრონი მთელი სცენისა. სასულე საკრავები გასუსულები არიან ამ დროს და სატრფოს მოსახმობად მოკურკურე, თვალდახუჭული მამალი ყრუანჩელის მკაფიო „ტუკ-ტუკი“ მეფედ დადის ნებიერ სიმყუდროვეში. მამალი ყრუანჩალი-ფაგოტის კურკურა ხმებს, მგონი ვიოლონჩელოს პიციკატოც თან უნდა ახლდეს, მცოდნემ მაპატიოს, თუკი მეშლება, — ოცდაათი წლის წინანდელ ამბებში გადამაფრინა მამალმა როჟომ. ეს ფრინველიც ყრუანჩალის მოდგმისაა, ესეც თვალებსა ხუჭავს, როცა დედალს უხმობს დეკიანში მოქცეულ მცირე ველობზე აფხორილი, ვნებააშლილი, კარმენის მარაოსავით გადაშლილი ულამაზესი ბოლოს ტკრციალითა და ბზინვით...

— „ღმერთს თუ დაავიწყდი, კაცსაც დაავიწყდები“, — ნათქვამია და აგერ ჩემი ესპანეთიც; ცხინვალი-გორი-თბილისი, თბილისი-გორი-ცხინვალი! არავისზე ნაკლები ტორეადორები არ დაბადებულან ამ ნოყიერ ქართლის გზატკეცილზე მარგალიტებივით ჩასმულ ქალაქებში. მივდივარ და მოვდივარ სამკუთხედის ამ

ასოცკილომეტრიან გვერდებზე აქედან იქით და იქიდან აქეთ, ხან საკუთარი, ხანაც საერთო სახედრის ძალით...

ღმერთს დაავიწყდიო... მე თუ არ დამვიწყებია ერთი-ორჯერ მასთან ფაფუკ ღრუბელზე ყოფნა, მას რატომ უნდა დავიწყებოდა; აკი ულვაშის ღერიც დავტოვე პაწაწა ღრუბლის ფთილაზე! მახსენოს და უმალ იქ გავჩნდები, ანგელოზებს მივეფერები, ბრძოლის ხმა თუ იქნას, არც მაშინ გავერიდები, თუკი მიხმობს. ავიჭრები და ბურვაკის კუდივით გავუსლიპავ ბანჯგვლიან კუდს ეშმაკს, ქართული სიტყვის მდუღარეს გადავავლებ თავითბოლომდე, გავფუფქავ, გავატიტლიკანებ ტინტილასავით. რქებიც აღარ დაჭირდება გატიტლიკანებულსა და გამასხრებულს. თავისივე ხელით მოვახსნევინებ და საყანწედ ჩავაბარებინებ ცეკავშირის ხელოვნების სალონში. უბრალო ყანწი, კამეჩის ან არხარის ცეცხლის ფასი ღირს და ნამდვილი ეშმაკისეული რქა ხომ თავის წონა ოქროდ შეფასდება. მოიყუდებ ერთს და პირდაპირ ვერტერის ვნებებში ამოყოფ თავს...

* * *

ნაღმივით ამოვარდება, ფეხებქვეშიდან ამოიჭრება მამალი როჭო, შავწითელი ვერტიკალივით ახაზავს სივრცეს და აიყოლებს მონადირის გულსაც. მერე გასწორდება, მართ კუთხეს შექმნის ვერტიკალთან დ თოფის ლულების პარალელი ერთბაშად გადაკვეთს და დაუსვამს წერტილს როჭოს გაფრენას. „კურცხარის“ მოკლე კუდის ქანქარის სისწრაფით ფართხალებს მონადირის გულიც, მოკვეთილ შვეულს რომ ჩამოჰყვება წუთის წინ სასიყვარულოდ გამოწყობილი უცხო ფრინველი...

მანქანა მიქრის და თბილ ნიავს შემოსდევს ჩვენი კლინიკის ხმალხელაური დიეტ-მიხეილის მშობლიური. დამრიგებლური ხმა: „მტკიცედ იყავ, მაგრად დაუდექ ცდუნებას! ზურგი უჩვენე შენს მტერს — გემრიელ სუფრას, თუ გსურს იმ ლამაზ. მამალ როჭოსავით მაღლა ფრენდეს სული შენი და აზრი შენი!“ პასუხი მზადა მაქვს: „მახსოვს ჩემი ტანჯვა და თქვენი ბრძნული დარიგება, მამაზე არანაკლებ ტკბილო მოძღვარო, არ გადავუხვევ თქვენი ჭეშმარიტი გზიდან. არ ვუღალატებ მცნებას, ომის დამთავრების პირველივე დღიდან რომ ჩამძახოდა თქვენზე უხნესი ცხონებული პა-

პიდაჩემი: „გახსოვდეს, არა პურითა ერთითა!.. ჯერის მოკლებას ლუკმის მოკლება გერჩივნოს! მუცელს აღორებ — ღორია, აქორებ — ქორია!" და სხვა მსგავს გონივრული რჩევა-დარიგება დღევანდელი ნათქვამივით მესმის ნახევარი საუკუნის სიშორიდან...

ჩაქჩაქ-ჩაქჩაქ დაწერილი თავი

სპორტული სირბილის დროს არ შეიძლება ლაპარაკი ვინმესთან, თუნდაც შენს გვერდით მოძუნძულე ადამიანთან. ირღვევა სუნთქვა, გეწყება ქოშინი, ჟანგბადი არათანაბრად ჩადის ფილტვებში, ასევე არათანაბრად მარაგდება სისხლიც. ორი-სამი სიტყვის გაფრენა კიდევ შეიძლება, ან საეჭვო ძაღლს რომ დაჰკივლო, მაგრამ ზოგმა ჯანკირკიტამ რომ იცის იპოდრომზე, გაგიბამს და აღარ მოგეშვება, კატეგორიულად დაუშვებელი ამბავი გახლავთ! პასუხს არ გასცემ, ცუდი კაცი ხარ, გასცემ პასუხს და ახალ შეკითხვას მოგიმარჯვებს.

სხვა საქმეა საკუთარ თავთან ლაპარაკი, საუბარს ისე წარმართავ, როგორც გინდა, როგორც ხელს გაძლევს. ერთს დასჯი, მეორეს დააჯილდოებ, უხეიროზე ეტყვი მეგობარს, რამ დაგაწერინაო, უხეირო მოთხრობაზეც გაუბედავ სიტყვას. უხეირო ფილმზეც.

ბუნება, რომელშიც შენ დარბიხარ, ისეთ ნატიფ სურათებსა და ნაღდ პანორამას გიხატავს, ადამიანებიც, სოფელი, თოვლში გასუსული, აქა-იქ მამლის ყივილით, ძაღლის შეყეფვით, წყალზე გამოსული ოხშივარა ქალით, იმდენ ჭეშმარიტ კადრს გთავაზობს, რომ ძალაუნებურად უფერულდება და იცრიცება ის, რომელიღაც კინოფილმში, ძირითადად ტვინის შენობაში რომ იშვა, სტუდიის ეზო-კორპუსებში რომ ჩაისახა.

ტექსტს ხმამაღლა არ ამბობ მარტოკინა მორბენალი, გუნებაში ივლებ და მშვენიერი დიალოგი გამოგდის საკუთარ თავთან. ასეთი საუბარი ადამიანური აზროვნების ყველაზე დიდი მწვერვალია. მოხსნილი გაქვს ყველანაირი მობოდიშო მუხლები, ყოველგვარი „შენ გენაცვალე და შენი ჭირიმე", ბირდაბირით ხერხავ შენს ორეულთან ერთად პრობლემათა მორებს. თანაბრად იყრება ნახერხი უმანკო თოვლზე, იქით და აქეთ. არც ყურის აწევის და არც თითის, ან მუშტის დაბრაგუნების საშიშროება გელის საიდანმე. არც იმისი, რომ მოსაუბრე ვერ გაგიგებს და ერთიანად გაგიცამტვერებს ნათქვამს. მთქმელიც და გამგონიც შენა ხარ სირ-

ბილ-სირბილ, საკუთარ თავთან მოსაუბრე, შენ ხარ ბატონი, შენ ხარ ყმა, ქალიც შენა ხარ, ასე გასინჯეთ, და, კაციც შენვე ბრძანდები. ისეთ ალადასტურ მტევანს გაუშლი და შეაზილავ იმ ვიღაცა მესამე მეტიჩარას, სულში რომ შემოუყვია, ხელი დაუკითხავად, ისეთ მალაყს გადაატარებ, სულ ორტოტად ადენ ძმარწყალს ცხვირიდან, — განა მართლა ბეჟავ, ისე, ფერადი ფილმივით უთაქუნებ წარმოსახვაში. ცხრა რაუნდს ჩაატარებ კრივში ასეთს და იოტისოდენადაც არ დაიღლები.

ისეთი ადგილები და პასაჟებიც მაქვს სირბილის დროს, როცა ყველას და ყველაფერს პატიებისა და მიტევების აბრეშუმს ვაფენ, ვეფერები. ასეთი განწყობილება, მანძილის ან დროის შუაწელს რომ გადავლახავ, მაშინ მეუფლება. ყველა ჩემი მეგობარი და მოკეთეა რბოლის დასასრულს. ყველა ეს სიკეთე საკუთარ თავთან მორევის, საკუთარი ეშმაკის დამარცხების მომენტიდან იწყება და მიტევების აია-სოფიურ ტაძარში შესვლით გვირგვინდება. ბოლოს ჩამოჯდები გრილოში, საკუთარ წყაროსთან, გწყურია მაგრამ არ სვამ, მოყვასისათვის ინახავ, სხვა გინდა ასიამოვნო.

ის მინდორი, გვრიტები რომ წამოფრინდნენ საოლეო ხიდან, ისიც შენია, მაგრამ ხელს არ ახლებ, მშრომელი, გამრჯე გლეხკაცისათვის გემეტება და იმას ჩუქნი. ის გაეშმაკებული თებრონეგოგოც გაზის ბალონზე რომ ზის და ჭოკჭორაობს თანატოლთან, ცალი თვალის წყაროსკენ გამოძოვებით, შენია. ეავრაძ. ასაკისა და მდგომარეობის გათვალისწინებით, მხოლოდ შორიდან ეფერები, უსიტყვოდ არიგებ და ურჩევ, რომ ცდუნებას არ გადაეყაროს მტვრიან შარაზე ჯდომით გამვლელ-გამომვლელი მანქანების ურიდო ჭყვიტინ-ჭყვიტინში...

— არუთ, ჰაი, არუთ! — ვჩაქჩაქებ ერთ-ერთი სახლის ალაყაფის წინ. ესაა მგონი მეკურდღლე არუთას სახლი, აქ მომასწავლეს თანასოფლელებმა. შემკულ ეზოს ვათვალიერებ ადგილზე ჩაქჩაქით. თან კურდღლების გალიები და სოროები მელანდება.

მშვენიერზე უმშვენიერესი ორსართულიანი სახლია. წინ ხეივანი გამოდის მოპატიჟედ, ალაყაფის მოჩუქურთმებულ კარებამდე.

ალაყაფი ცალფრთად გაღებულია, ახალთახალი „გაზ-24“ დგას საჩრდილობელქვეშ. ცხოვრობს, ვიღაცა გრიალით. გაიგე, რას თესავს და რა მოჰყავს!

— უფრო ხმამაღლა დაუძახე, სული რად გეპარება! — მირჩევს დაკლებამდელი ჩემი მე, მეორე ნახევარი, ჩრდილად რომ დამყვება ერთთავად და დიალოგებს მიმართავს გზა-გზა.

— უხერხულია უფრო ხმამაღლა ძახილი, მეტისმეტად მენახირული გამომივა. აგერ, მოდის, მგონი, სახლის პატრონი...

ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა ჯინსებში, ფირმა-მირმებში.

— არუთ კელენჯიანი აქ ცხოვრობს, მეგობარო? — ვკითხე რუსულად.

— კი, ამჟამად შინ არ გახლავთ, სამსახურშია. კინოშემოქმედებით სახლში მსახურობს მორიგ მძღოლად. რა გადავცე? — მათვალიერებს ახალგზრდა.

— კურდღლები გვინდა სამკურნალოდ, სულ ცოტა ოთხი ბოცვრის შეძენა გვწადია...

— აღარა გვყავს, გავაწყეთ. ბროილერის ჯიშის თეთრი ინდაურები თუ გნებავთ...

— კურდღლის სიხლი გვჭირდება, განათუ შთელი კურდღელი. — ვემოწიწები არუთას ვაჟს, რა არის, უკურდღლობა არ გამაგონოს.

— დიდი ხანია აღარა გვყავს... ქუჩის იქითა ქუჩაზე იკითხეთ მეკურდღლე, ისიც კელენჯიანია გვარად. მამაჩემის სეხნიაა. სახლის ნომერი არ მახსოვს. ვისაც კი შეეკითხებით, ყველა მიგასწავლით. ნამდვილად ჰყავს.

— ნათესავია თქვენი? იქნებ ორი სიტყვა მიმიწეროთ, — ვეღიჭინები. ჩემი მოჩაქჩაქე-მოსაუბრე ორეული შენიშვნას მაძლევს: „რა ეშმაკად გინდა ბარათი. თუ მეკურდღლეა, კურდღლის გაყიდვაც ენდომება, ზრდის ბოცვრებს, ნაწილს ყიდის, ნაწილს თვითონ შეექცევა. წამო, წამო!“

— გმადლობთ, ახალგაზრდავ! — ვემშვიდობები და მივჩაქჩაქებ მისაკვლევი ქუჩისაკენ. ნარინჯის ბაღები მომწვანო-მოყვითალო თვალებით მაცილებენ. ჯერ სიმწიფე არ მოსძალებია ციტრუსოვან ხეებს, აქა-იქ შეთვალულია ნაყოფი. ყველა ეზოში ასფალტის ბილიკებია. ბილიკებს ორივე მხრივ ვარდნარი ჩაუდის.

— კურდღლებს როგორ მოგვცემთ, წამლად გვინდა? — ვეკითხები მასპინძელს.

— მაკეებია, ვერ გავყიდი. ორი მამალია და საშენად მინდა. ცოტა ადრე რომ მოგგონებოდათ, მოგართმევდით. გასაყიდი გავყიდე, საშენიღა დავიტოვე. ერთ ცალს დაგითმობთ, თუ იკმა-

რებთ, — გამომაცილა კარებამდე სახლის პატრონმა და შემდეგი მეკურდღლის მისამართი ამიხსნა. ჩკალოვის ქუჩაზე ცხოვრობსო...

საცაა სადილობის ჟამი მოაწევს და ჯერ მეკურდღლეს არ გავრიგებივარ. ოჯახი მელოდება, მე კი ზენიტზე შესვეტილი მზე ელენთას მიხმობს, თვალნიც რბიან ჭყეტვა-ჭყეტვით, ეზო-ეზო, შუკა-შუკა, ქუჩა-ქუჩა. რა სახლები, რა ეზო-ბაღები, რა ყველაფერი! რა კოინდარი, რა ერთი, რა მეორე! ჩვენში, ქართლში, გინდაც კახეთში, ბაღ-ვენახები სადღაც ცხრა მთას იქით აქვთ, სახლები კი შარაგზაზე უდგიათ. ერთმა მანქანამ მეორეს რომ გზა უყელოს, გაუჭირდება, ზოგან ისეთი სივიწროვეა. არქიტექტორი თუ ჰყავს რაიონს, მხოლოდ რაიცენტრის მოსაკოკრეჭინებლად ჰყავს. ვინ კითხულობს გლეხკაცის საკარმიდამოს გაწყობას თანამედროვე არქიტექტურის მოთხოვნათა გათვალისწინებით. მთავარია ოთხი, რაც შეიძლება დიდი კედელი ააგოს მეპატრონემ და კარგა-მაგრადაც გადახუროს თუთიით, საცხოვრისის ჰიგიენას ვინ ეშმაკი დაეძებს!.. ლამის შთანთქას ქუჩა სახლებმა, ისე ჯიუტად მოიწევენ წინ. ლამის არის შუბლებით მიებჯინონ ერთმანეთს. საკარმიდამო ნაკვეთს ისე მალავს სახლს უკან გლეხკაცი, თითქოს სხვისია და წაართმევენო. ნაწილი მიწისა წინ რომ მოიქციოს, ხეხილ-ნარგავებით გაუმშვენიეროს ინტერიერი სახლს, ლამაზიც იქნება და მტვერსაც დაუოკებს. ჩვენებური ეზოს სურათი ასეთია: იქ გატეხილი ქვევრი გდია, გაუმართავი მანქანის ჩარჩოა ღობეზე აყუდებული, საბურავები, ჩალაბულას კოკოლა ხრჩოლავს გაუთავებლად. ავდარში ხომ სულაც შუბლგაწუწული დგანან სახლები აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებსა და რაიონებში. ჩაიქროლებს მანქანა, ჩაკრავს ტბორში ფეხს და შუბლამდე შელაფავს სახლის ფასადს. გამონაბოლი და მტვერი ისე არხეინად შესდით ქუჩისპირა მცხოვრებლებს, დიდი ქალაქის პიკის საათებში გეგონება თავი!...

ნახევარ ჰექტარზე ნაკლები საკარმიდამო მამული იშვიათად თუღა აქვთ ჩვენში. ხეხილი და ხეხილიო, დაუჩემებიათ, ისე ინტენსიურად თქორავენ და წამლავენ ბაღებს შხამ-ქიმიკატებით, წიწმატი და ოხრახუში ცხრანაირად უნდა გაარეცხინო დიასახლისს, თუ გინდა გაბედო და მწვანილს დაეკარო. მოჰყავს ვაშლი და მსხალი ჩვენებურ გლეხკაცს და პირის გასასველებელი უტკბესი ხენდროსათვის პაწია კვალსაც არ ტოვებს შვილიშვილებისათ-

ვის. მრავალფეროვნება და გემოვნება აინუნშიც არ მოსდის...

ულამაზეს კოტეჯებს ტოლს არ დაუდებს ქობულეთელის სახლკარი!.. ცქერით ტკბები ტროტუარზე მიმავალი, თვალს ვერ აშორებ ქობულეთურ კოპწია, დეკორატიულ ეზოებს.

სისუფთავის პრობლემას, ცხადია, ხშირი წვიმებიც განაპიროობებს დასავლეთ საქართველოში, მაგრამ, იმერლებით დასხლებული ლაგოდეხის რაიონის მცხოვრებთა სახლ-კარი აღმოსავლეთ საქართველოსავე აბორიგენის ნებისმიერ ეზო-კარს რომ სჯობია!..

* * *

ზოგ მეკურდღლეს ლიმონარიუმი გაეშენებინა და მებოცვრეობისათვის გაენებებინა თავი, ზოგსაც ძვირფასბეწვიანი მელიების საშინაო რეწვა წამოეწყო...

— ერთს ვიცნობ, იმას ნამდვილად ჰყავს ბოცვრები. გვარად კელენჯიანია, სახელად ჰქვია გეღამ. კოლმეურნეობაში მუშაობს მელიორატორად. თქვენ გაგიჭირდებათ მისი მიკვლევა, გამოგყვებით, აგერ მანქანა, — მითხრა ბოლოს ერთ-ერთმა ყოფილმა მებოცვრემ და „ეიგული“ დაქოქა.

მეგზურმა მეტი ინტერესი გამოიჩინა, რაკი გაიგო, კურდღლის სისხლი სამკურნალოდ გვჭირდებოდა: „სისხლი რა ბედენაა, ხორცი და ბეწვიც თავს შემოგევლოთ“.

— კანის ავადმყოფობა შემეყარა, გამაწამა, ისე გამიხადა მკლავი, — მიყვება თავის გასაჭირს მეგზური, — თვეების განმავლობაში ვერა წამლით ვერ მოვირჩინე დაავადებული მკლავი. იღბლად, ერთი დამსვენებელი დაინტერესდა ჩემი გაჭირვებით. მოხუცი კაცი იყო. შინაური წამლის რეცეპტი მასწავლა: სუფთა ქაღალდის პარკი უნდა გააკეთო, პირით თეფშზე დაამხო და წოწოლა ბოლოზე ცეცხლი მოუკიდო. ნელი ხრჩოლვით ჩაიწვება ქაღალდი. მოყავისფრო ზეთოვან-წებოვანი ნაღვენთი დარჩება თეფშზე. ის ღვენთი უნდა მოიცხო ავადმყოფი ადგილის გარშემო, კიდეებზე. მესამე წასმა და ჩემი განკურნება ერთი იყო. მას აქეთ რამდენს ვუმკურნალე სოფელში დიდსა თუ პატარას, ვინ მოთვლის. ვკურნავ. ვასწავლი უფასოდ, ყველა მადლიერია. რაც მე იმ მოხუცს ვლოცავ!.. თუკი კურდღლის სისხლი ასეთ სასწაულს ჩაიდენს, როგორც თქვენ ბრძანეთ, ბევრ გაჭირვებულს ეშველება.

— მხოლოდ ზეპირი გარანტია მაქვს ამ საკითხზე ბიძაშვილისაგან ნაბოძები, ვიდრე საქმით არ დავრწმუნდები, ვერას გეტყვით სადიდებელს. ვნახოთ, ვცადოთ.

— გეღამ, ჰაი, გეღამ! — შეუძახა უბრალო ალაყაფის კართან შეჩერებულმა ჩემმა მეგზურმა მეკურდღლეს.

მკვრივი, ხუჭუჭთმიანი, ოცდახუთი-ოცდაექვსი წლის ბრინჯაოსფერი, წელზევით შიშველი, სახელამაზი ვაჟი გამოეშურა ბაღის სიღრმიდან ჩვენკენ. გულღია ღიმილით შემოგვეგება. შემდგომში ეს ღიმილი მისი სახიდან გამქრალი აღარ მინახავს. ავუხსენი, ვუამბე ჩემი მეგობრების გასაჭირი, ვუთხარი, ფულზე ლაპარაკი არ გვექნება, რამდენსაც მოგვთხოვ, იმდენს გავიღებთ-მეთქი. — ახლავე დავკლა? — ისე გულბადრად მკითხა, რომ ფასზე კრინტიც არ დაუძრავს. — ექვსი კურდღელი მყავს სრული ასაკის, მზად ვარ გემსახუროთ, ამ სიტყვებთან ერთად გალია დაგვათვალიერებინა და ორი ყურცქვიტაც გამოაკონწიალა თვალსაჩინოდ.

— გმადლობთ, ჩემო გეღამ, — უცბად შეეუშინაურდი მეკურდღლეს, — დაკვლით კი ახლა ნუ დავკლავთ. სისხლი თბილ-თბილი უნდა იყოს. მეგობრები თან არ მახლავს...

მეორე დილის ბოლოს შევთანხმდით.

შემაჩერა კეთილმა მასპინძელმა, ვაშლის მოსართმევად გაიქცა. ნაადრევი ხილი მშვენიერი იცის დასავლეთში. ჭასთან მდგარი ხე შეარხია და ბადიით მოგვირბენინა ლოყაწითელი ვაშლი. ჩემმა მეგზურმა, არუთამ, ისეთი ნდობით აირჩია ერთი ვაშლი და ისე მადიანად გაკბიჩა, მეც პირწყალი მომადინა.

— შენი ეზო-კარი არ არის და ასე რომ თავისობ, პატრონი არას გეტყვის? — ვეკითხები გეღამას.

— ფაქტიურად მე ვუვლი აქაურობას. პატრონს არცა სცალია, მილიციაში მუშაობს, თანაც სახლის გაყიდვა და ადლერს გადასვლა სწადია, ცოლოურში, მეუღლეც იქა ჰყავს. აქ არ დადგება, — გამარკვია გეღამამ საქმის ვითარებაში, — ამ დიდი საკარმიდამოს თხუთმეტ მეასედს, ანუ ერთ მესამედს მე ვპატრონობ: ვბარავ, ვთოხნი, ვთესავ. კოლმეურნეობამ ვაღარშაკს მხოლოდ თუთხმეტი მეასედი დაუტოვა, ორი წილი ჩამოაჭრა, ორიდან ერთი წილი ჩემზე უნდა განაპირობონ და ერთიც სხვა კოლწევრზე. კოლმეურნეობის საერთო კრებაზე დადგენილს აგერ უკვე მერამდენე წელია ველოდები, რაისაბჭოს აღმასკომი ყოყმანობს. მეუღლე პე-

დაგოგია, აქ გამოანაწილეს, მე კოლწევრი, ორი შვილი. მესამეც გაჩნდება, მეოთხეც, მაგრამ რომ არაა ჯერ გადაწყვეტილი?! ნაკვეთის პრობლემის გადაწყვეტის შემდეგ, ბინის მშენებლობის საკითხი დადგება. ახლა იმაზე უნდა ვირბინო აღმასკომში. თუ საჭირო არა ვარ, ავდგები და წავალ, ისედაც დედაჩემი მომძახის და არ მაყენებს: დაბრუნდი, ჩემი შვილი ჩემთან უნდა იყოსო! შვილები, ანუ, და-ძმანი ხუთნი არიან დედის სიახლოვეს, მაგრამ არა, — „შენც უნდა დამიბრუნდე, გინდა თუ არაო“, რაკი მატყობს საქმე ჭიანურდება, უფრო მეთათბირება; შვილიშვილიც იქა ჰყავს ამჟამად, ჩემი უფროსი ქალიშვილი; დღეს-ხვალ, ველი, უნდა ჩამოვიდეს დედაჩემი და ბავშვი ჩამომიყვანოს...

* * *

„რუისიდამ ვაზი ჩამოვატანინე ხუთი ათასი ძირი. გავგზავნე, ჩავაყრევინე. ერთი შვილი ვერ დაგიმორჩილეთ, ასულიყავით. გატყობთ, რომ თქვენ დაგლახაკდებით. ორი ათასი აქაური ვაზი გავგზავნე. ახლა მე მინდა ავიდე, მაშ რა ვქნა? იქ ყოფა მირჩევნია, მაგრამ თუ აქ არა ვიშოვე რა. მშივრები დარჩებით.

(იესე ოსეს ძე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“)

1785 წ.

აგვისტოს პირველი თუ ორი რიცხვის დღის ბოლოა. ნათელი არ აკლია დღეს, ექვსი საათი კი ხდება.

მე და ჩემი „მოჰაჯირები“ გეღამაანთ კარებწინ ჩამოვქვეითდით. მანქანიდან სამგზავრო, ნათალი ჭიქა გადმოვიყოლიე.

ალაყაფთან გეღამა გაჩნდა, ღიმილით შემოგვეგება. შინ შეგვიპატიჟა. მე, როგორც „უსტა“ და დიდი ხნის ნაცნობი, პირველი შეველ ეზოში. რეზო და თემო მოკლე სალმით შემომყვნენ. ბიჭები გავაცანი მეკურდღლეს, მოკლედ დავუხასიათე. იდუმალი სიჩუმეა.

როგორც მოკრძალებული მსჯავრდებულნი, ისე უხმოდ შემოილალნენ ბიჭები და ფრთხილად მოათვალიერეს სახლკარწინა მოასფალტებული, ჩრდილხეხილიანი მცირე მონაკვეთი.

ოთახიდან გამოსული მეუღლე გაგვაცნო გეღამამ. ხელბალღიანი, ცისფერთვალება ახალგაზრდა ქალი.

გამართული რუსულითა და გაბადრული სახით შემოგვეგება ახალგაზრდა დიასახლისი და სკამები შემოგვთავაზა.

— პირდაპირ საქმეს შევუდგეთ, — ვთხოვე გეღამას, ჩამოჯ-

დომა და დასვენება ვიუარე. ბაღის თვალიერებით კურდღლების გალიებს მივაშურე.

უსისტემო ბაღი ძირითადად მოუვლელია; ვაღარშაპეტ ყიდის, გეღამა ყიდულობს სახლსა და მიწის ნაწილს. გაფორმება უჭირთ გამყიდველსაც და მყიდველსაც. ერთი ხანობა ისე გაანიავეს ამ მარგალიტივით მიწის ნაკვეთები პატარ-პატარა ხელმძღვანელებმა, მათრახიც მოირტყეს თვითნებობისათვის და ახლა ფრთხილობენ.

გეღამას შეგუებული წილი კარგადაა მოვლილი; ყველანაირი ბოსტნეული რიგებად და კვლებად ხასხასებს სიმწიფის ფერებში. ხეხილი უმეტესად ძველი, მოუვლელი და შებერებული ჩანს. ორი-სამი მანდარინის ბუჩქი გეღამას ჩარგული უნდა იყოს; ახალგაზრდა ბუჩქებია, სხმაში არაა შესული. სუბტროპიკული იერი ჯერ მაინცა და მაინც არ ატყვია ნაკვეთს: მსხალი, ხურმა, კარალიოკი, ბოლოებზე დაფნის რიგები.

შინაურულად, მაისურითა და მილიციელის წითელკანტიანი შარვლით შემოგვეგება სახლის და ნაკვეთის დამგირავებელი ვაღარშაპეტი. შიშველ ფეხზე ფოსტლები აცვია. ისიც ახალგაზრდაა, ორი-სამი წლით უფროსი სჩანს გეღამაზე. გულითადობას იჩენს, თვალი ფხიზელი და მხიარული აქვს. რაც მთავარია, სამამულეს-სადაო კომისიის წევრებს არა ვგავართ, ატყობს, რაღაც გვექარაფშუტება და სასეირო ღიმილით უციმციმებს სახე.

გეღამა ჩვენი თხოვნის შესრულებას შეუდგა. სიტყვიერად კი იცის, მწერალი რომ ვარ, დაჯერებით კი ძნელად დაიჯერებს. მწერალი მისი გაგებით ოვანეს თუმანიანი და შოთა რუსთველია, ყველა დანარჩენი მკითხველია. გეღამა რაში გავამტყუნო, ლამის მეც მაგ აზრისა ვარ, ილიასა და პუშკინს ვუმატებ გეღამასეულ მწერალთა სათვალავს, ოღონდ მალე შეგვისრულოს თხოვნა, მალე მოვახდინო მეგობართა გაჯანმრთელების სასწაული და რა მენაღვლება, რას იფიქრებს გეღამა ჩემს შესახებ. ისიც თუ გამიგო, თორმეტდღიანი საგზურის ორი დღე როგორ შევამცვრიე, თბილისში, სასამართლოზე რომ ჩავჩაჩქანდი, ჩემი გაცრეცილი, უყდო წიგნის გამომცემელთან სადაოდ, დაკლებული ჰონორარის დასაბრუნებლად, თანაც ტყუილად რომ გავცდი, ყურებდაწურული რომ დავუბრუნდი შავ ზღვას, მაგდანას ლურჯასავით, მაშინ ალბათ მთლად აღარაფრად ჩამაგდებს. რომელი ავტოგრაფიანი წიგნები მე მივართვი, მწერლობა ერწმუნა; სადღაც ყასაბსა და ჰაქიმბაშს შუა უფრო ვეპიტნავები, — ვფიქრობ ფერნაჭამი, თან გარეცხილი,

ნათალი ჭიქითა და სუფთა მათლაფით, სრულ მზადყოფნაში ვარ სისხლის მისაღებად. ლამის არის გული გამისკდეს მოსახდენის მოლოდინში, ფათქი-ფუთქი გამიდის.

„მაინც რამოდენა პასუხისგებას ვიღებ თავზე: — ველაპარაკეჩემს ორეულს, — თუ ეს პრიმიტიული მეთოდი ამ უბედური ავადმყოფობის მკურნალობაში ისეთ დიდ შედეგს იძლევა, რომელშიაც სულ ადვილად და უმტკივნეულოდ დამარწმუნა ჩემმა გარებიძაშვილმა. მაშ, აქამდე რა გუდებს აფხაკუნებდა, რატომ ქვეყნიერებას არ მოსდო ამბავი ამ იშვიათი ხალხური მკურნალობის შესახებ. განათლებული და წესიერი ოჯახიშვილი კაცია, თუ ჰაიჰარად და ქარაფშუტულად იწამა, მაშ, შედეგი როგორღა გამოიღო მისმა რჩევამ თბილისში, მეგობარი რომ განკურნა სავსებით. განკურნა კი? ეგებ გაბერეს და მერე მეც გამბერა ნაქარით. არა, ორი დიდი, ადამიანური საკითხიდან ერთი ნაღდად გადაწყდება ამ ცდის დასასრულს: ან გარებიძაშვილს დავკარგავ და ნულამდე დავა მისი კაცობისადმი ჩემი რწმენა, ანდა, გამართლების შემთხვევაში, იმ ერთ ძეგლს, რომელსაც შეპირებია მორჩენილი თბილისელი პაციენტი, ჩვენგან კიდევ ორი ძეგლი მიემატება. სად უნდა წაიღოს ამდენი ძეგლი? სამოთახიან ბინაში, სამი შვილის პატრონს არა მგონია ცოლშვილმა ამხელა ფუფუნების უფლება მისცეს, სამი მუმია და ერთიც მოძრავი მამია რომ ჰყავდეთ ერთდროულად შინ. ასეა. თუ ისე, ორიდან ერთი დასკვნა მაინც უნდა მივიღო“, — ასეთ ფიქრს ვაჯირითებ გონებაში.

მოშორებით, ვაშლის ხის ძირას, თემო და რეზო რაღაცაზე საუბრობენ.

— მოდით, ძმებო, რა დროს ბჭობა და ამბებია?! წამში გაცივდება წამალი, შედეგიც ის აღარ იქნება, მოდით, დროზე! — ვუყიჟინებ, თან თვალს ვარიდებ თეფშზე მოწანწკარე ალისფერ ნაკადს...

საქმეს რომ მოვრჩით, რეზომ განზე გაიხმო გეღამა, ანგარიშის გასწორება დააპირა, ჯიბეზე იკრა ხელი.

— ხვალაც ხომ მობრძანდებით, მეორე ცდაზე, ხვალ იყოს, — უარობს მასპინძელი. გუნებაში ალბათ ფიქრობს, ასეთ სისულელეში ფულს როგორ გამოგართმევთო.

— ხვალ მოვალთ და ერთიანად გავუსწორდებით, — ვეთანხმები მასპინძელს, — კაცმა რომ თქვას, ხორცს ვუტოვებთ. ქურქს ვუტოვებთ, პატარა შეღავათი ხომ არ არის?! — ვარწმუნებ მეგობრებს და ეზოდან გამყავს.

— ვალიც არ დაადო, ბიჭო! — იცინის თემო.

სახლის პატრონიც გამოვიდა ჩვენს გასაცილებლად; წითელ კანტიანი შარვლითა და თეთრი მაისურით.

გელამა უფრო ჰგავს ადგილის პატრონს, ცოლ-შვილი უმშვენებს მხარს.

გამტკნარებულს და გაყუჩებულ ზღვას უკეთ მოეხსენება რომელი-რომელია. დროდადრო აიშვერს თავს, ტორის ცემითა და ღრიალით აყრუებს დედამიწას დღეების განმავლობაში. მერე, ნაწყენი და ძალაგამოლეული ძილად მიეგდება სინთეტიკური თუ სხვა ყოფითი ნაგვით გადაპირებულ ყურეებში.

გამოვწიეთ. ბრწყინვალე კიპარისებით დაბურული გზა მშვილდიდან გამოტყორცნილი ისარივით მოისწრაფის. მარადმწვანე ბზებით შემოსარტყლული, ნაკოლხეთარი ლურჯი მარგალიტი შორი ნათესავივით გვაყოლებს ფიქრიან თვალს...

გაგრაში, შარშან, შემთხვევით წავაწყდი მამაჩემთან ცხინვალის ხეხილ-სანერგე მეურნეობაში მებაღე-მუშად ნამსახურებ ქართლელ გლეხკაცს. გადმოვედი, აქეთ დავსახლდიო, — შინ წამიყვანა გახარებულმა, სახლკარი დამათვალიერებინა; მშვენიერი მანდარინის სხმაში შესული ბაღი ას ძირზე მეტს ითვლიდა. სახლიც კარგი ჩაედგა, მაგრამ უკეთესის აშენებას ეპირებოდა გამრავლებული მოდგმისათვის. მეჩოთირა ტეტია, ვაშლუა კაცის განარინჯება. ავისთვალით არ ინახებოდა მწვანე, ხასხასა ნაყოფით გადაჭედილი ძირები. ჯერ ნამდვილ სხმაში არ არის ბაღი, — მითხრა თენგიზმა, — დავაჟკაცდება და ორ-სამ წელიწადში ისეთს დაისხამს, მთელი მიწაღარიბი ჩვენებურები ჩამოვიყვანო დასათვალიერებლად, ექსკურსიაზე, თვალითაც გავაძღო და ძღომითაც.

— რეალიზაციას როგორ მოახდენ. არ გაგიჭირდება? სულ ხომ ჩვენებურებს არ უმასპინძლებ, რესპუბლიკის ფარგლებგარეთ გატანა აკრძალულია! — შეკვახსენებ. მილეთის დამსვენებელია ჩემი ხილის მუშტარი, არსად გატანა და თავის ხეთქვა არა მჭირდება, ზედ კარზე მოდიან. კრეფენ და მიაქვთ ორმანეთობაზეო. იქ, შენც ხომ კარგად იცი, მიჭირდა, მწირია ქართლის ჩვენეული ნაწილი, დიცი, ქორდი. ბავშვები მემატებოდა. გამოსავალი უნდა მენახა. წამოველ კითხვა-კითხვით და კარიდან კარზე კაკუნით. ჩვენი გლეხისოდენი შრომა ბევრს არ შეუძლია. ვის ბაღი გავუსხალი, ვის კიდევ დავუბარე, დავუჩერკნე. ზოგს ბეტონის ჩასხმაშიც მივეხმარე. შემიყვარეს. ხელისგულზე მატარებენ... აგერ, ამ ქედს ყვითელ

სარტყლად რომ გადასდევს თავზე მანდარინის დიდი პლანტაცია, ხედავო? — მითხრა, — ვოროშილოვგრადიდან მოწვეული ბრიგადები კრეფენ, რაკი ადგილობრივი ვერ აუდისო", — მელაპარაკა გზა-გზა. შინ რომ მივედით, ქვეყნის ეიუმატობა გარშემომეხვია: შვილები. შვილიშვილები — „ველარ ვითვლი, იმდენი მყავს მონაგარით," — მითხრა და ბალღები აითათა, ჰკოცნა, ეგურგურა. წმინდა რუსულით ეჟღურტულებოდნენ ციცქნა ბადიშები ჩემს ნაცნობს ქართლელ პაპა-პეპერას. მეც ავიყვანე ხელში პატარა, უფრო გაბედული რომელიც იყო. ხან აქედან შევუღიტინე ჩვენებური, ხან იქიდან. ნიკო ლომოურისეული ქაჯანას ამბავით მოვჩიჩქნე მათი სულის ნიადაგი, ფრონეველი „ყაყიტას ქურდები" შევაშრიალე სიმინდში, მორევშიც ვახტუნავე კაკლის ტოტიდან. ვერ გაჭრა ცდამ. გადავიწყებული ჰქონდათ მამულისეული ყოველი. სად იყო და სად არა, ჩემი ტეტია მასპინძლის მეუღლეც მოვიდა სამუშაოდან. პეპერას ტოტებიდან მყისვე ჩამოიშალნენ ჩვილები და დიდედას შეეხუნძლნენ: «Бабуся, бабулинька, расскажи-ка, пожалуйста, сказку про синее море!»

— შვილიშვილები ეხვეწებოდნენ და იყვნენ ერთ ამბავში...

დიდი მშრომელი და დიდად გამრავლებული კაცი გამოდგა ჩემი თენგიზა ლიხსიქითა მამულში მაგრამ, მანდარინისათვის დედაენის ძარგალიტებიც რომ შეუწირავს ამან დამწყვიტა გული, ჩირად გამიხადა ყოველი სიკეთე, რაც მე იქ ვიხილე. — ჯერ თავო და თავო, ჩემო თენგიზ, მერე ცოლო და შვილო, — ალბათ დავაშავე გუნებაში რომ ვთქვი და ხმამაღლა კი არა...

* * *

აბასობაში, დღითიდღე, პლაჟზეც და საერთოდ, ნაცნობ-მეგობრებში, დიდი ინტერესი და მითქმა-მოთქმა შეიქნა ჩვენი ენერგიული ნაბიჯების გამო. სადაც ჩამოვსხდებით, კითხვა-კითხვაზე მოდის: „რა ქენით! როგორ მიდის საქმე?" ოპერატორი შურა მოსვენებას აღარ მაძლევს: — რაც მე ვნახე და რასაც ვხედავ, ნამდვილად აღწერის ღირსია! შენ თვითონ არ იცი, რა სცენარი გამოვა სამნაწილიანი ფილმისათვის, თქვენვე ითამაშეთ. დაწერე, ნუ ცდები. უნდა წერო და წერო, უნდა დაყარო მოთხრობები, ნოველები. დაყრი ნოველებს, დაგეხვევა მუშტარი. გამიგონე! სახლში არავინ მოგაკი-

თხავს, გულში ჩასახედად, რა გაქვს გუნებაში, ამოალაგეო! — არავინ გეტყვის... ნაღდია საჭირო! დაწერე! — გამიწვრილა გული.

— დაწყებული მაქვს, ბლომადაც მოვყარე, წაგიკითხავთ ნასადილევს.

— კითხვა მერე, სულ რომ მორჩები, დაწერე! დაწერე!..

რეზო მოგვიახლოვდა, შორიდანვე შემომძახა:

— ძალა ვიგრძენი, შენს თავსა ვფიცავ, შვილსა ვფიცავ! რაღაც სულ სხვა ძალა ვიგრძენი! მძიმე რამეს მინდა შევეჭიდო, ავწიო, გადავაბრუნო... წლების მანძილზე არა მქონია ასე აშკარად გამოკვეთილი ძალის შეგრძნება! — გადამეხვია, ჩამბღუჯა. მაგრად შემაჯანჯღარა. აღტკინებული და სახეცვლილი ჩანდა, — მოვრჩი, ძმაო, ძგონი! მგონი კი არა, ნამდვილად მოვრჩი! შესაძლოა ფსიქოლოგიური ზემოქმედებაც მოახდინა შენმა დარწმუნებულმა, ბეჯითმა მოქმედებამ. ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტია, კაეიეითა ვარ!

ვიფიქრე, ვაითუ მეორე ჯერის მისაღებად აღარ სურს წამოსვლა და ალბათ ამის გამო კრიახობს, თავის დაძვრენა თუ სწადია-მეთქი.

— ასე ენერგიულად და გადაჭრით თუ მოიქცეოდით, ბატონო ძერაბ, არ მეგონა, — მიღიმის ექიმი ლალი, რეზოს მეუღლე, — თქვენ რომ ჩვენს დარგში გემოღვაწეთ, მაგ ენერგიით მედიცინას თავდაყირა დააყენებდით. დიდი შემტევი ყოფილხართ. კლინიკაც აკლებული გქონდათ მოძრაობით, ბრძოლის ჟინით.

— ჟინი მერე უნდა ნახოთ, ქალბატონო ლალი, არაკომპეტენტური თუ გამოდგა ჩემი გარეგიძაშვილის შთანაგონები, დავახრჩობ, დედა არ მომიკვდეს! ისე მჯერა, როგორც აი, ეს ზღვა რომ ზღვაა და ქვიშა რომ ქვიშაა, ისე მჯერა. სხვანაირად არ შემიძლია! მეგობრობისა და რწმენის ამბავია! ისეთი რწმენით დამჭირხნა ჩემმა გარეგიძაშვილმა ჩეჩნეთში გაგებული ჰაქიმბაშობით. თურმე თბილისშიაც მოურჩენია მეგობრის მეგობარი. ძეგლის დადგმას მეპირებიანო, მითხრა. რა რჯიდა?! სხვა გზა არა მქონდა, რომ არ მერწმუნა. ვირწმუნე და სხვასაც ვარწმუნებინე. რწმენა ჰკურნავს წამალზე არაბაკლებ, მოგეხსენებათ, მაგრამ, თუ წამალმაც გაგვიმართლა!.. განა ცოტა ბოცვერი იკვლის?! დონორის სისხლით სავსე ასიათასობით შპრიცი იცვლება და ივსება ყოველდღე და რა მოხდა ისეთი?!

— ინსულინი იქნება კურდღლის სისხლში ჭარბად, — თქვა რომელიღაცამ.

— ინსულინი ინსულინში რომაა, იმდენი სად ექნება კურდღელს! — თქვა სხვა დამსვენებელმა.

— ვნებით რას ავნებს, არაფერს, — ჩაილაპარაკა ლალიმ.

— კაცო, როგორც ვატყობ მართლა გაახურეთ ბიზნესი, — ჩაერთო ახლა სხვა ნაცნობი, — მართლა დალიეთ, კაცო?! მაინც რა გრძნობაა, ჰა, ურჯულოებო?!

— მოტკბო იქნებ, ან მომქავო. დათვის ხორცი მიჭამია, — თქვა ამირანმა მცოდნედ და ხანდაზმულობაში ნაჩუქარი ოთხი წლის ულამაზესი და უმკვირცხლესი ბიჭუნა მკლავზე შეისწორ-შეათამაშა.

— სტაფილოს წვენში ვერ გამოარჩევთ, — ომახიანად დაიძახა ჯავარზე მოსულმა თემომ და მე შემომხედა, ხუთი ხდება, არ წავიდეთ მეორე ჯერზე?!

— წავიდეთ, — თქვა რეზომაც, — ჩვენი სისხლის ხვრეპით ვერ გაძღა თემურ-ლენგი, თვალმარგალიტით მოოჭვილ ოქროს მავზოლეუმში კი განისვენებს არხეინად, მილეთის მოცლილი დამთვალიერებელი თავს ევლება, უცხო გნებავთ თუ ჩვენი; არის ერთი პილიგრიმობა.

— „იქმნა უკუქცევა სუე-სვიანისა ბედისა ქართველთა ნათესავისა, არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე ჟამთამდე ჩვენთა“. — შევამტკიცე საისტორიო ფრაზით რეზოს თქმული.

— დედის სულს გეფიცები, ლომს მოვერევი ისეთ ძალასა ვგრძნობ! — ფიცად შედგა რეზო.

თემო დინჯობს, ფორიაქს არ იმჩნევს. ნაბიჯიც მტკიცე აქვს, გამოხედვაც...

* * *

ეზო ხალხით იყო სავსე. როგორც ერთი გვარის ფრინველი გადაფრენისას, ისე ერთი ფერ-ხორცის ხალხი ყივყივებდა საკარმიდამოში. დედა ჩამოსვლოდა გეღამას სტუმრად და ქვეყნის ნათესაობა ჩამოეყვანა თან.

— გაიცანით, დედაჩემი გახლავთ, — გეღამა ჯერ დედას გვაცნობს, — ეს ჩემი უფროსი ქალიშვილია, ესეც ჩემი ძმაა, პოღოს, ეს ძიაჩემია, აბრამ, ოცი წლის წინ დაბრუნდა სამშობლოში სირიიდან. ესეც მისი მეუღლეა. დანარჩენიც იქაური ჩვენი კარის მეზობლები არიან, დასასვენებლად გვესტუმრნენ, — ჩამოგვატარა და სათითაოდ გაგვაცნო სტუმრები.

გეღამას ვთხოვე: „ჩვენ საქმეს ბევრი თვალი და ზედმეტი ყრია-

მული აწყენს, ჩვენ-ჩვენთვის განზე გავიდეთ, ბავშვებიც მოგვარიდე, ნუ ეტყვი რა, როგორ, ვინ ვართ და რა საქმეზე მოვსულვართ-მეთქი". „რას ამბობთ, — მითხრა, — ყველამ ყველაფერი იცის, აღტაცებულები არიან. ერთი სული აქვთ, თქვენი მორჩენის ამბავი გაიგონ!" — მომიგო მასპინძელმა.

გადავხედე და მართლაც ყველას რაღაც განსაკუთრებული საზეიმო ელფერი გადავლებოდა: დიდსაც, პატარასაც, სული შეჰკვროდათ მოლოდინში.

— ჩვენს საქმეს არ ავნოს, ბიძასაც თავი შეაკავებინე სეირისაგან. სხვაგან ნასუნთქი კაცია, რაც არ უნდა იყოს! ბავშვები მით უძეტეს, არ გაგვაკარო. მხოლოდ ზედაპირულს დაინახავენ. რწმენისა მათ არაფერი გაეგებათ ჯერ, აუკრძალე. თუ ხათრი გაქვს! — სერიოზული ულტიმატუმი წავუყენე მეკურდღლეს და მანაც თავის ენაზე იმისთანა კრაწა-კრუწი ააყენა, ისე დაუტატანა ბავშვებს, რომ ახლოს, მოსვლა ვეღარავინ გაბედა. ბიძაც შორს წავიდა, მაყალს დაუშეგობრდა, ფიჩხის მიმატება და ნათესავებთან ნახარში არჩია ჩვენს შარიან საქმეს. გეღამას ძმა, პოღოსა, მიჯრით ტენიდა შამფურებს დაბასტურმებული ხორცით. პამიდორი და ბულგარული წიწაკაც წამოაგეს სანუკვარი ნათესავების ჩამოსვლის საპატივსაცემო საზეიმო სუფრა იშლებოდა საგდე ეზოში, დახუნძლული მსხლის ქვეშ. სომხური თხელი ლავაში წყება-წყებად ელაგა მაგიდებზე. ქალები სალათას ჰკაზმავდნენ ხახვით.

გეღამამ ორი კურდღელი გამოსვა გალიიდან, ერთი იქვე მდგარ ძელსკამზე დაასკუპა, მეორე კი წაქცეულ რკინის კასრისაკენ წამოაკონწიალა.

სკამზე დასმული კურდღელი იჯდა თავისთვის, წინააღმდეგობის გაწევის ან, გაქცევის არავითარი სურვილი არ ეტყობოდა. იზოლირებული მავთულის დათართული ხვია ეგდო სკამზე, კურდღლის ცხვირწინ. ამ მავთულს დაუწყო კურდღელმა ცმუცვნა, ალბათ ნეკერი ეგონა, ხის ტოტი, ან რაღაც მსგავსი საცმაცუნებელი.

გეღამამ პირველი კურდღელი კასრზე წამოაქცია, ფლოსტიდან გამოტუცული შიშველი ფეხით უკანა თათები დაუკავა, კისერი გადაუჭიმა და უბრალო, ნაცნობი სუფრის დანა აიღო ხელში. არავითარი ხმა არ გაუღია ზვარაკს. არა ჰქონდა-რა სათქმელი გალიაში დაბადებულს და გალიაში გაზრდილ ჭრელ ბოცვერს. ცოტაოდენი სისხლი გააჩნდა და ძასაც ჩვენ გვითმობდა.

Სამსხვერპლოს მოვცილდით და ნელა დავიძარით სახლისაკენ.

— სად უფრო გერჩივნათ ცხოვრება, აბრამ-ძია, სირიაში თუ არმენიაში? — ვეკითხები გეღამას ბიძადწოდებულს, სამოცს გადაცილებულ, ტანხმელსა და რიგიანი შესახედაობის კაცს.

— რას ბრძანებ, მეგობარო, რა შედარებაა! ნათესაობისა და სამშობლოს ფასი ქვეყნად არაფერია! — ნარევი რუსულით მომიგო აბრამმა.

ბევრი „სამშობლო" აქვთ სომხებს, მაგრამ დედა-სამშობლო ერთი გააჩნიათ, სომხეთი და დედამიწის რომელ კუთხეშიაც არ უნდა იყვნენ, მაინც დედას მისტირიან. ენასაც თითქმის შეულახავად ინარჩუნებენ.

ისტორიის ბედუკუღმართობამ არც ჩვენ გვაყარა უკეთესი დღე. ირანსა და თურქეთში არსებული ქართველთა დიდი კოლონიები ნელ-ნელა განიცდიან გულსაკლავ ფერიცვალებას მაგრამ, დიდი საქართველო მათ მაინც არ დავიწყებიათ, ჯერ არ გადაწურვიათ იმედი დედის კალთისა. მათი ცრემლის ნაჟური მოაქვს მტკვარს არსიანიდან.

ჩვენი სომეხი ძმები დიდად გაბედულნი და საქმიანი არიან ამ შემთხვევაში, ცრემლის მიმოქცევის გარდა, ღონესაც არ იშურებენ საკითხის გამოსასწორებლად; თანამემამულეთა ათასები დაიბრუნეს უცხოეთიდან, გაიჯანსაღეს სისხლი, ააღორძინეს მეცნიერების და რაც არანაკლებ მთავარია — ხელოსნობის ათსგვარი დარგი.

ვერ იქნა და მასიურად ვერ ჩაიბუდა ქართველ კაცში, ქართველ ახალგაზრდა კაცში, ხელოსნობის, ხელობის ცოდნის იმ აუცილებელმა, ბუნებრივმა მოწოდებამ, დიდმა სიყვარულმა, რაც ყველა დროში და დღეს განსაკუთრებით აუცილებელი პირობაა ერის გამრავლებისა და წინსვლისათვის. ჩემი თობის ქართველებმაც საკმაოდ ხელბედოვლათად მოაღწია შუახნის ასაკს და ახალგაზრდობაც ჩვენი მსგავსი და ხატი გამოვზარდეთ.

ჩემი თაობის მწერლობაშიც კანტიკუნტად მოიძებნება მწერალი-კაცი, რომელსაც რაიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები შეექმნას ისეთ ქართველზე, გრდემლსა და უროს შუა რომ დატეტკვია თითები, ოფლით ნაშოვნ ლუკმას რომ ჭამს, ცხრა ხელმარჯვე შვილსაც რომ ზრდის, რომელთაგანაც თითოეულმა, დიპლომიან ფილოლოგსა და ისტორიკოსზე ბევრით ნაკლებად არ იცის მშობლიური ერის ისტორიაც და ლიტერატურაც!..

თუმც გაჭირვებული რუსულით, მაგრამ, გულისთქმის გამოხატვას მაინც ახერხებს გეღამას ბიძა, აბრამი. გეღამას დედა, არუსაკა საერთოდ, არა ენის ბაიბურში არ არის, გარდა სომხურისა. ამაყად ძიდი-მოდის ჯერ დაუკანონებელ ბაღ-ბოსტანში, თავისი შვილის ძოწეულსა და მოვლილს ათვალიერებინებს სომხეთიდან ჩამოყვანილ მეზობლებსა და მთელ თუხუმს: ჰამ ზღვაა, ჰამაც შვილის გარჯაც ვაჩვენოო, — წამოუსხამს ეს ამოდენა ხალხი არუსაკას და ჩამოუყვანია. განა დატევაზე უფიქრია, ათი-თხუთმეტი სული ჩამოუყვანია. ბიბინებს ბოსტნეული გეღამას დედის თვალებში, ბაღს ბოლოზე სარწყავი ჩაუდის, სარწყავსა და სამიჯნაო. ქარსაცავ-ვერანაში თევზის მცირე სატბორე-საგუბარის მშენებლობა აქვს განზრახული გეღამას. გადაწყვეტილებას ელოდებოდა.

თავის მართლების საბუთი ბევრი გვაქვს, ცოდვა უფრო მეტი! უფრო მკაფიოდ გავიმეორებ: ერის ისტორია ყურმოკრულივით იცის ჩვენმა ახალგაზრდობამ, ახალგაზრდობის უმეტესმა ნაწილმა, ასევე ნაკლებად — ლიტერატურა და ლიტერატურის ისტორია, საძშობლოს გეოგრაფია, ეკონომიკა, ბუნება...

ჩვენს ზოგადსაგანმანათლებლო, სავალდებულო სკოლებში მიღებულმა წყალწყალა ცოდნამ, ცოდვა მეტი ქმნა ცოდნაზე. მერე და ძერე, ვისაც გული ერჩოდა, ვისაც შერჩა ნიჭი დამოუკიდებელი აზროვნებისა და შესაბამისად დამოუკიდებელი მოქმედებისა, გაიღრმავა აზრი, შეეძლო მიუტევებელი ჩამორჩენის დაძლევა და ცოდვის ასე თუ ისე მონანიება.

რაც შეეხება შრომის გაკვეთილებს, შრომის სწავლებას სკოლაში. ეს კიდევ უფრო მეტ თვალისახვევამდე გახლდათ მისული, პირდაპირ თვალთმაქცობამდე: სადღაც სახელოსნოებში ვუმზადებდით მამები შვილებს ჩაქუჩებს, გაზებს, იარაღს, დეტალებს, რაც შრომის გაკვეთილზე უნდა შეექმნა მოსწავლეს. ვუმზადებდით და მიგვქონდა იმიტომ რომ გამყიდველური, მოღალატე ნიშანი გამოეტანებინა შრომის მასწავლებელს უშრომელი შეგირდისათვის.

ყველა პატარა ცოდვა ერთი დიდი ცოდვიდან მოგვდევს: სიმართლის, დამოუკიდებელი აზროვნების მალვის ცოდვიდან, სავალდებულო და საუბედურო — შიშის ცოდვიდან!

სამი წლის ვიყავი პირველად რომ ჩამესმა ცხინვალში, ცენტრალური ფოსტის წინ, გაზეთის ჯიხურთან დედაჩემის და მისი მეგობრის აფორიაქებული ჩურჩული: „... ნესტორ ლაკობაც დახვრიტეს, იცი?!“

ძაშინდელი შიშის ყინულოვანი ლოდი, თუ, ბოლო დღემდე ხერხემალში მაქვს გახიდული, დნება, დნება მაგრამ ჯერ ვერ გადნა. ძიხელ ჯავახიშვილი იყო დახვრეტილი, ტიციანი, სხვები...

ღვინის სმისა და სტუმარმასპინძლობის მამაპაპური თავისუფლება არავის შეუზღუდავს ჩვენში, პირიქით, გვაქეზებდნენ კიდევაც. ლამის ქვევრებად ვიქეცით, ვეკითხებოდით გამველელ-გამომველელს ჩვენს ხელგაშლილობაზე, ჩვენს გულკეთილობაზე, გემრიელობასა და ერთგულებაზე.

საჯაროობა, დღეს რომ სახელმწიფო საქმედ დაგვვალდა თითოეულ ჩვენგანს, დიდსაც და პატარასაც, უდიდესი მონაპოვარია, ყველაზე ძვირფასი საჩუქრია ჩვენი შეგრილებული აზროვნებისათვის! უცხო ხილივით გაუბედავად გვიპყრია ხელთ და ვერ გადაგვიწყვეტია, შევექცეთ და ხნულში ჩავთესოთ, ვამრავლოთ და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მკვიდრად ვაქციოთ.

ახალი აზროვნება და საჯაროობა გახლავთ ჩვენი გრძელვადიანი გაჭირვებიდან თავდახსნის ოქროს გასაღები და მაგრად უნდა ჩავებღაუჭოთ, გვერდით მოვისვათ, დად, ძმად და პირველ მრჩევლად გავიხადოთ. მასთან ხელჩაკიდებულები უნდა შევებათ გუთანს და გადავხნათ გაყინულ-გაყამირებული ჰექტრები ჩვენი არსებობისა, ჩვენი ურთიერთობისა!

* * *

იმ თაობას ვეკუთვნი, რომელსაც ომში სწორი და მეგობარი არ დაუკარგავს. მეგობრები ჩვენ ყოფით ორომტრიალში გვყავს დაკარგული: ჯანის გატეხვით, ცხოვრებაზე გულის გატეხვით, ზოგიც ხიფათით.

მეგობართა ცოცხალი ნაწილი თავისეულ ჭაპანს ეწევა. ვის ოჯახი აეწეწა, ალაგებს ნელა გაუთავებლობით. ის სიმხურვალე აღარა აქვს სამეგობრო ურთიერთობაში, რითაც თავი შეგვაყვარა. უღლის გატეხვა — გამართლება ადვილი საქმე არ არის. ძველის ახალზე გადაცვლას ოჯახის ძირფესვიანი ნგრევა-შენება მოსდევს. გამორჩება ასეთ დროს მეგობრისათვის საშენი აგურის მიწოდება, ხელის მომართვა და ძალაუნებურად, ამოიქარები ახალნაგები ოჯახის სამეგობრო სიიდან...

ზოგ მეგობარსაც სხვაფრივ წართმევია ცხოვრების ილაჯი, და სულის სინატიფე გამოღამებია ნებით თუ უნებლიედ.

ძეგობართა ის პირველი ნაწილი, უცაბედმა დელგმამ რომ გადაგვილეკა თვალსაწიერიდან, ახლა ფოტოებიდან ან საფლავის ქვებიდან გვიმზერენ: აღარც პურს ვუყოფთ მათ, აღარც წყალსა და აღარც ღვინოს.

რომ ეცოცხლათ და იმ გაქანებით წასულიყო მათი საქმე, რის იძედებსაც იძლეოდნენ, რა ღონეც შესწევდათ, ეგებ უკეთ გამართულიყო ჩვენი საქმეც. ან, შესაძლოა, ჩვენ გადავლეკილიყავით და ჩვენ გვეცქირა მათთვის ფოტოებიდან და საფლავის ქვებიდან.

დიდძეგობრობის მატარებელ ჩემს სულიერ მნათობთაგან სამის ძზე ჩემს თვალწინ ჩაესვენა: ორი ზღვაში ჩანელდა, ერთიც ხმელეთზე ჩაიფერფლა.

ძათ კვარცხლბეკზე უდროოდ დაქვრივებული უღლისცალების თალხი ირხევა, განა ფრიალებს...

ცოცხალმა მეგობარმა თუ ფეხი უკან გადგა შენი ტკივილიდან, რაგინდ სამართლიანი საბუთიც ეპყრას საამისოდ, იგი მხოლოდ სათადარიგო გამცილებლადღა ივარგებს შენი საბღლოო გაცილების ჟამს. იქ მას როგორმე ჩაეთვლება. ვეღარც ბერბიჭად დაბერებული ძეგობარი სწევს დიდი მეგობრობის ჭაპანს; თავისთვის ჰყივის და ძეზობელი ეზოს მამლის პასუხს აღარ ელოდება. ოჯახის გერივით ბერდება შორიახლოს; ვერც შვილად ვარგობს და ვეღარც ქედუხრელ მეგობრად. რჩება გადაუჭრელი პრობლემის უსიამო სიმბოლოდ...

* * *

ჩრდილოეთიდან სამხრეთ კავკასიაში გადმოყოლილი წამალი სულაც რომ ჰაქიმბაშური და უსაფუძვლოც გამოდგეს, ერთი რამ ძაინც ცხადი შეიქმნა: ცხოვრებისაგან დროებით გასხვისებული გზები ჩვენი მეგობრობისა კვლავ გადაჯვარედინდა ამ შემთხვევის გამო, ურთიერთრწმენის ახალ, მტკიცე ბურჯებად ჩადუღაბდა ჩვენს ‘შორის და ყოველდღიურ, მოიტა-მომეცის უთავბოლო მორევს მტკიცე ხიდად გადაევლო.

ეს შემთხვევა არ გახლდათ თავის ტკივილის აბის, თავატკივებულ დამსვენებლისათვის გაღებ-გაცემა: „ადელფინის“, არც „სუსტაკის“, არც „ნიტროგლიცერინის“ გადაწოლა. მეგობრობის ახალი ექსპერიძენტი იყო ეს! უფრო ზუსტად კი, ძველი, ნაცადი ექსპერიძენტის განახლება და განმეორება. ჩემთვის ეს იყო დიდი ნდობის

ახალი ეტაპი. დარწმუნებული ვარ, რომ მე მათთვის საკუთარი სისხლის წვეთ-წვეთად გაღებასაც შევძლებ! შემაძლებინოს ბუნების ძალამ ასეთი გაღება, მაგრამ, დაჭირებით კი არც ერთს არ დაგვაჭიროს!..

სწორედ რეზოს გაგრაში წასვლის წინა დღეს, კიკეთის საზაფხულო, მამისეული ბინის ხანძარი აცნობეს თემოს თბილისიდან. ვაქკაცურად შეხვდა გასაჭირს, წუწუნსა და ვაი-ვიშს არ მოჰყოლია. არა და შვილთა და შვილიშვილთა საზაფხულო საფარი ძირფესვიანად დაეწვა, ნაცარტუტად ექცა, ისე, რომ ფეხმძიმე ქალიშვილი შემთხვევით გადაურჩა ხიფათს.

ხანძრის მეორე დღეს შეემატა შვილიშვილი თემოს, მეოთხედ გახდა იგი პაპა! თითო-თითო აგურს ამოგიტანთ ბიჭები, შეგეშველებით, — ვაიმედებდი მეგობარს. უხმოდ გვისმენდა მანუგეშებლებს. იცის, რომ ძნელია აგურის ტარება კიკეთის აღმართში, როცა უიმისოდაც აღმართში ხარ, „გიბია წვრილი მოზვრები, იგრიხებიან წელშია“. ვეღარც ძველი ქედი მოგდევს!..

ყველა ავადმყოფობა ნერვული სისტემის მოშლიდან იწყება, აღმართის წვერიდან მოემართება სატკივარიც, ნატკივარიც, ტკივილიც. ო, როგორ გწყურია, როგორ გაკლია მოფერება ასეთ ჟამს, მაგრამ, აღარც ის დიდი მომფერებლები გყავს, დედას და მამას რომ ვეძახდით. ან, თუ გყავს აქა-იქა, თვითონ არიან მისაფერებელნი. ზიხარ ქედზე, თოკის ერთი ბოლოთი შვილები ამოგყავს მზიურ აღმართზე, თოკის მეორე ბოლოთი მშობლებს უშვებ დაბლა. ჩრდილოვან ქვეყანაში. გისისინებს და გიფითილებს ცივი ქარი. სწორედ ასეთ დროს არის მეგობრის ხელი უებარი!

ძალიან მინდა სიგარეტის მოწევა! შვიდი ტანჯვის თვე ჯერ წლად ვერ მიქცევია, ლამის წავწყმდე და ჩავიდო. რომ ჩავიდო, ვიღაცას უნდა დავეღრიჯო. ჩემი პაციენტებისა მერიდება, ღრეჯვას რომ თავი დავანებო. ღრეჯვა და განსაკუთრებით კი სიგარეტისათვის. ღრეჯვა ნორმალურ ამბად იქცა, სამარცხვინოდ ამას აღარავინ თვლის. ღრეჯვა — წევისათვის, წევა — ღრეჯისათვის, ხველა, ქუში, ღრჩობა და კიბო თავზარდამცემ აკიდოდ ჰკიდია კაცს კისერზე და აინუნშიაც არ აგდებს თავს, არც სხვას და რაც მთავარია, ამ ხელგაშვერილ მათხოვრობასაც ისე გულიანად შეეჩვია კაცი, რომ ესეც ცხოვრების ნორმად აქცია სავალალოდ!

— ლია, მაპატიე, რა, ერთი სიგარეტი თუ შეიძლება! — შევეხატაურე ჩვენი სახლის სტაჟიან დამსვენებელს. არხეინად გამომიწო-

და სიგარეტის კოლოფი, თან წვეროსან ფოტორეპორტიორს გახედა, ‘ბხუილ-‘ბხუილით რომ ფარცხავდა თავისი საოცარი სპინინგით ზღვის სანაპიროს.

მიჭირავს მოკიდებული სიგარეტი და ნელ-ნელა ვსუტავ...

ო, რა მაცდურია ეს ოხერი! სულის მოპატიჟესავით ესეც კარებწინა დგას ყოველ ცისმარე და თანხმობას ელოდება.

რეზო ჩუმად ზის, შიგადაშიგ გამომხედავს:

— არ გინდა, ბიჭო, მაცდურია! — მეუბნება უბრალოდ, — მეორე მოგინდება, მესამე, მეოთხე, სულ ჭინკებივით დაგეხვევა მაცდური სურვილები. თანაც კლინიკაში როგორი ნაბრძოლი გაქვს მაგასთანაც, ცოდო ხარ... ეს ამოდონა ზღვისპირეთი რომ ააქოთქოთე შენი ჩეჩენ-ინგუშური ექსპერიმენტით. კურდღლებში რომ გაგვრიე, ახლა მართლა უხერხულია შენი თავშეუკავებლობა, ძმობას გეფიცები.

— მართალი ბრძანდები. ჩემო რეზო, მართალი! — ვამბობ მძიმედ და მოკიდებულ სიგარეტს ურნაში ვაგდებ...

საგზურის ვადის გასვლის წინა ღამით შეუხსნა ბიჭვინთის ავტოინსპექციამ დამსვენებლებს ავტომანქანების ნომრები: ქუჩის გადაღმა, დასასვენებელი სახლის დიდ, საქმიან ეზოში რატომ გეყენათო მანქანები?!

საბაბი ძველია, ისევე როგორც ხერხი, ანუ მეთოდი დასჯისა. მაინცა და მაინც გამომგზავრების წინ უნდა ნახოს დამსვენებელმა ‘წარე სიხ‘ბარი, უეჭველად რომ აუცხადდება მეორე დილით.

შეურაცხყოფილი, ცნობილ-ცნობილ ბიჭები მწყობრ რაზმად შეკრული ჩააკითხავს ბიჭვინთის შინაგან საქმეთა რაზმეულს, საპრეტენზიო ტექსტის გზა-გზა ზუთხვით:

— ბატონო, ქვეყნის ადგილი აქვს დასასვენებელი სახლის ხელ‘ძღვანელობას, სამგზავრო აეროპორტის აშენებაც კი შეიძლება სულ თავისუფლად, რამე რომ იყოს და რაღა მაინცადამაინც ჩვენი ხერვების ახსნით უნდა გადაწყდეს დამსვენებლის სახლებში, საგზურის მიხედვით სრული უფლება გაქვს საკუთარი მანქანის გაჩერებისა. საგანგებო დარაჯიცაა გამოყოფილი ამ საქმისათვის, გარკვეულ ‘ანეთებსაც იხდი წინასწარ, სამაგიეროდ მშვიდად გიდევს ბალიშზე თავი და ისვენებ.

— ის ჩვენ გვეუბნება, შეუხსენითო, ბატონო... ის! — არის პასუხი პატიებასა და ნომრების დაბრუნებასთან ერთად.

— ვინ „ის", ბატონო, ვინ?! თორმეტი თვის განმავლობაში კინოკამერით დავეხეტებით ქვეყნიდან-ქვეყანაში, მინდორ-მინდორ, ტყე-ტყე. არც ცოლი, არც შვილი, არც ძილი, მხოლოდ ამ ორი კვირის განმავლობაში ვხვდებით წევრები აქ, ბიჭვინთის დასასვენებელი სახლის ტერიტორიაზე და მოგვეცით ერთხელ და სამუდამოდ ნება, ასე ვთქვათ, საკუთარ ოჯახთან მშვიდობიანი შეუღლებისა, ბოლოს და ბოლოს, თორემ გიჩივლებთ სადაც ჯერ არს და ნახეთ ბერე, რა დღეც დაგადგებათ, აი, ნახავთ! — თან იღიმება ტექსტის ავტორი, სერიოზული გადაკიდება არც ამათი სურს, არც იმათი და არც არავისი, საგზური კვლავ დაგჭირდება იქითმერმისს და ჯობია დამშვიდდე და ზედმეტად არავის აწყენინო...

* * *

„შვილნო, გაწყენ თავს და მოგახსენებ: ჩემის ცოდვით ისეთი ხომ არავინ გამოხვედით, რომ მეცნიერება მიგეღოთ, მაგრამ ეს ხომ ბუნების წესია: იცოდეთ: სიტყვიერნი დავიბადენით და სიტყვიერს გონებაც უნდა ჰქონდეს და გონებიანს ხომ ეს შვენის, თავის სარჩო და სასიცოცხლო მოიგონოს და ეცადოს, თორემ მერმე რომ გლახად შესთხოვდდეს და ვერც კი შოობდეს, — შიშველი შიშველას სახლეულს შეჰყურებდეს, მშიერი მშიერს შვილებს უყურებდეს, ამის უმწარესი რაღა იქნება?

წიგნი არ ისწავლეთ, წერა და გალობა. სოფელში დაგაყენეთ, არა ჰხანით, არ იმეშავეთ. ქალაქი გიყვარსთ, სმა და ჭამა. სანამ ცოცხალი ვარ, ღმერთმან ინებოს, არ მოგაკლოთ. არც შემდგომად, მაგრამ ბოლო არ აქვს ამ თქვენ ცხოვრებას დაგლახავების მეტი.

სმას ეწყობით და ვენახს არ მუშაობთ, ტანისამოსს ეწყობით და ბატონს არ მიეახლებით, ხარჯი გიყვარსთ, გუთანს არ ეწყობით, მუშაობას. ამის დასასრული სიგლახაკეა. ბრძენი სოლომონ ასე დასწერს:

ყოველმა მეძიალემან და მემთვრალემან შეიმოსოს' და შიშველ სწორედ თქვენ ხართ. თუ ღმერთი გამოგაბრუნებთ, სასწაული იქნება. ქრონიკონს 473, აგვისტოს 29 ვწერ. (1785 წ.) — იესე ბარათაშვილი, „ცხოვრება-ანდერძი"..

ისევ ისეთი ჟივჟივით და ნათესაური შრომა-დასვენების ხალისი სუფევდა ჩვენი ნაცნობის თუხუმში მესამე დღის ბოლოსაც.

ამჯერად მე და თემო ვესტუმრეთ. რეზოს საქმე გამოუჩნდა, ადგილობრივმა მეგობარმა ჟურნალისტმა' მოაკითხა, გაგრაში წაიყვანა.

განზრახული გვქონდა მესამე მოსვლაზე მადლობაც გვეთქვა გელამასათვის, ანგარიში გაგვესწორებინა და მასპინძლის ხილიც

გვეხილა, ნაწყენი რომ არ დაგვრჩენოდა ჩვენი გაუთავებელი უარით.

თამბაქოს ნედლი ფოთლის კარგა დიდი ზვინი დაეყარა გეღამას ეზოში, ხურმის ხის ძირას. კაპრონის გრძელ ძაფებზე აგებდნენ ქალები თამბაქოს ფოთოლს და ასხმულებს დროებით ჰკიდებდნენ ხეთა ტოტებზე, ვიდრე მათ გეღამა საკოლმეურნეო, საშრობ ფარდულში გადაიტანდა.

ჩვენმა მისვლამ სიმხიარულე შემატა იქაურობას. გეღამა მაშინვე გალიისაკენ გაგვიძღვა, მესამე ბოცვერი გამოასკუპა და აწყობილი საათის სიზუსტით გაიმეორა პროცედურა.

ქალები სუფრას ასამაგისებდნენ, როცა ჩვენ საქმეს მოვრჩით. სუფრამდე მაყალს გვასტუმრა მასპინძელმა, მწვადის შეწვის განსხვავებული მეთოდის საჩვენებლად. ძმა და ბიძაც ეხმარებოდნენ. უბრალო ფიჩხის ალი უკვე ჩანელებულიყო და ოცდაათამდე კბილებამდე ასხმულ შამფურებს აწყობდნენ თათარიახნ ზედადგარზე. არავითარი საგანგებო მაყალი არ იდგა. მხურვალე წერილი ნაკვერჩხლის სქელი ფენა თარაზოსავით იყო გადატკეცილებული. თითოეული შამფური თანაბარი, სამი თითის დადებით იყო ნაღვერდალს დაცილებული. კარგად დაბასტუმრებული, გაყინული ცხვრის. ღორისა და საქონლის ხორცი ისეთ საამო სურნელს გამოსცემდა, ახალ დაკლულზე უკეთესს. კურდღლის ხორციც აეგო მწვადად მასპინძელს.

— უი, ზღარბი! — შევიცხადე და შევდექ: ზღარბი შევნიშნე ორიოდე ნაბიჯის იქით, გარინდებული, ეკლოვან ბურთად შეგორებული საშენი აგურის მცირე წყობაზე. გატკრენილი იყო ხიფათის ძოლოდინში თითქოს. მალე გამარკვიეს საქმის ვითარებაში, ანუ იმაში, რომ ხიფათი მომხდარიყო და ზღარბი-ზღარბუნა, გარეგნულად ისევ იმ ზღარბად, მაგრამ, უსულოდ, ეკლის ბუძგად-ღა დაეტოვა შემთხვევას.

— განთიადისას გამოველ ეზოში, — გვიყვება სახლის პატრონი ვაღარშაკი, — გეღამას ქათმებს რაღაც ჩოჩქოლი შეუდგათ. ვიფიქრე, მელა იქნება-თქო და მივეტიე. ზღარბი გამოდგა, ერთმა გამასწრო, ეს დავიჭირე.

— იცით რა გემრიელია ზღარბის ხორცი? უკეთესის და უგემრიელესის წარმოდგენა შეუძლებელია! — ახლა გეღამამ განაგრძო ვაღარშაპეტის ცოდვის კარაბადინის ფურცვლა, მწვადად მოგართ-

ძევთ, წამში! — შევიდა ბინაში, მაცივრიდან ზღარბის მომცრო, სატაბაკე ვარიისხელა ლეში გამოიღო და აქნა უწყო.

არ შემომყრია, მაგრამ, რეჩხი მიყო გულმა: აქეთ, დაშლილი ორღანივით ლულა-ლულაზე აწყვია მწვადის ათეულები და ცვარად იღვენთება, რა დროს ზღარბის გასინჯვა და პირველყოფილი შიშველი სირბილია!

— ახლავე, ახლავე, თქვენ შემოუსხედით სუფრას! — დატრიალდა გელამა.

ოთხ შამფურზე მწვადად გაწყობილი იაკობ გოგებაშვილის ძოთხრობა „დევნილი მეგობარი" მაყალს მიუფიცხა ჩვენმა ტალკვესა მასპინძელმა .

ყველაზე მეტად გამაოცა ბავშვების საოცარმა გულგრილობამ, როგორც გამოირკვა, მათთვისაც უცხო და პირველი ხილი არ გახლდათ მწვადად მორთმეული ზღარბი.

გასაკვირი არც არის, ზღარბის ხორცი მართლაც რომ გემრიელი გამოდგეს. მშვენიერ, შემოსულ ხილს მიირთმევს ბაღ-ვენახებში, ბალახსა ძოვს, დაჩუჩუნებს თავისთვის ტკბილეულ-ხილიეულში და ეჭვი არ არის, გემრიელი იქნება მისი ხორცი. თითოეულ ნაჭერს ქარვისფერი ქონი ეკრა. ზღარბის მაწონი რომ მომიტანოს, ვატყობ, აღარც ის გამიკვირდება. ყველაფერი კარგი და პატიოსანი, ჩემო გელამ და ჩემო თემო. ჩემო ვაღარშაკ, მაგრამ, იმას რა ვუყო, რომ ბავშვობიდან, დედის იავნანასთან ერთად შესისხლ-ხორცებული ძაქვს იაკობ გოგებაშვილის „დევნილი მეგობარი", ბრწყინვალე ძოთხრობა ვენახის ერთგული ზღარბის და ბავშვების მეგობრობაზე?! როგორ წარმოვიდგინო ჩვენი ბაღ-ვენახების შეუცვლელი მოაძაგე, ჩვენი ზღაპრებისა და მოთხრობების მონაწილე, ზღარბი-ზღარბუნა ამ ყოფაში?! ყოფა რა სათქმელია, პირდაპირ ყოფანატირევი! — ვფიქრობ ჩემთვის.

ბალღობაში, ჩვენი ბუძგა, ჩვენი კარებწინა ვენახის დარაჯი და ერთგული სანიტარი, გაბუტული მეგონა, რაკიღა ახლოს არ მოდიოდა და ხელით მინართმევ ძღვენს არ კადრულობდა. „რომ დავუყვავო და ხელი გადავუსვა, ეგებ შემომირიგდეს", — ვფიქრობდი მიამიტად, და დავდევდი ხან მტევნით, ხანაც კალოს მსხალით. დარწმუნებული ვიყავ. რომ ადრე თუ გვიან, მაინც გამცემდა ხმას ჩვენი საპირიწამლე ვენახის მეგობარი. დავდიოდი და ყოველდღე ველოდი მის ფაჩუნს.

— დილიჟანში მიჭამია, სომეხ მეგობრებთან, უგემრიელესია

ზღარბის მწვადი; დელიკატესად ითვლება, — სერიოზულად განაცხადა თემომ.

— შეხეთ, რა ცოცხალივით დევს ქურქი აგურზე! — იძახის ჩემი ფრთხალი მემკვიდრე და ზღარბის ცრუ გორგალს მოლზე ჰფენს ჯოხის მეშვეობით.

— თავი გაუტყავებელი დაუტოვია სალახს, ცოცხალი იმიტომ? გეჩვენება, — აღელვებას არ ვიმჩნევ.

— წავალ და მალე მოგაკითხავთ, — წასვლის ნებართვა მთხოვა ვაჟმა...

— ლოგინის წინ, ფეხთით გასაფენად გამოიყენებთ ალბათ, ცოდვის მოსანანიებლად, — ვეხუმრები ზღარბზე მონადირეებს.

— ნუ შეაშფოთე ხალხი შენი ქოთქოთით. მოხვედი — დაიხურე ზღარბის ქუდი, — ნახევრად სერიოზულად, ნახევრად ხუმრობით მარიგებს თემო, — კურდღელიც ცოდვა იყო, გასუსული რომ იჯდა გალიის წინ, ბალახის მოლოდინში. შენ ატეხე, ძმავ, ყველაფერი!

— კურდღელმა გაქცევა მაინც იცის...

— გაქცევა არა!.. რომელი ერთმა მოიცვალა ფეხი?! — არ მეხსნება თემო, — რომ აიხირე წამალიაო, მეც დამიჯერე რომ მართლა გემრიელია ზღარბის მწვადი და მიირთვი.

სარაჯიშვილის მიქსტურა ამოვიღე შესაცოდებლად, გულის მოსამაგრებლად, დავისხი და გადავკარი.

— მე, ჩემო მერაბ, არც ჩეჩენს ვიცნობ, არც ინგუშსა და არც იმ შენს გარეგნიძაშვილს. გვითხარ — შევასრულეთ შენი სიტყვა. ახლა ჩემიც შეისმინე: მიიღე ზღარბის ხორცი, არ მაწყენინო. რა იცი, როგორ აგველესოს ფხა; ზღარბის ეკალი შუბებად და ისრებად აგვესხას ტანზე. შენი წიგნის საავტორო-სადაო სასამართლოზე ზღარბის დიდი ქურქით რომ ჩასულიყავი, შეშინდებოდნენ ან გაერთობოდნენ, გაიცინებდნენ, მოლბებოდნენ და ლურჯას შენ გარგუნებდნენ.

— ურიგო სტუმრის სავარძელზე უნდა გადავჭიმოთ ზღარბის ქურქი, დაჯდომა და წამოხტომა რომ ერთი იყოს, — მიღიმის გელამა და ზღარბის სურნელოვან მწვადს შამფურიდან თეფშზე მიცლის.

— ამისი მარიფათი მისცა ჩემს ვაჟს! — მოტეხილი ხმით ვაცხადებ და მაცდურ ლუკმას უხილავად ვთავაზობ მაგიდის ქვეშ მოკრუტუნე ციცაურს.

— ეს, ძმაო, მიწათმოქმედი ოჯახია. ნახე, რა დაბერილი ხელმკლავი აქვთ ქალებსაც, მამაკაცებსაც. შენი ბიჭი კი პაემანზე გაიქცა

ამასობაში, ზღარბის მიზეზ-მიზეზ. თანაც, რეჟისორია, ხელოვანი, რატომ ადარებ? — გულს მიკეთებს თემო და არ იმჩნევს, კატას რომ ვთავაზობ მწვადის ნაჭრებს.

„ზღარბ-ზღურბ, ზღარბ-ზღურბ", — მადის აღმძვრელ ხმებს გამოსცემს გეღამა.

— როგორ, კაცო, ერთად ერთი წლითაა ეს ჩემს ვაჟზე უფროსი, ზღარბსაც ატყავებს, ცოლშვილითაც დახუნძლულია, თამბაქო მოჰყავს და არ ეწევა. ჩემი ბედოვლათი კოლოფნახევარს ათავებს დღეში; შაური შემოაქვს, მანეთს ხარჯავს.

— შენსას მეტი აქვს თავსაცემი და თავსატეხი, მაგ შენს მიწიერ საწურავში ნულარ ატარებ წამდაუწუმ, კარგი! — თემო თავისას გაიძახის.

ამასობაში ჩვენმა მეგობარმა ოპერატორმა შურამ მოგვძებნა. ძასპინძლებს გავაცანი. მალე აითვისა გარემო მისმა გამოცდილმა თვალმა და კარგი თბილისური უბნური გაუბა სომხურ ენაზე მასპინძლებს. გაიხარეს, იცოცხლეთ, ცას დაეწივნენ!

— რა სცენარი გამოვა, მერაბ! — იცინის შურა, — თქვენვე ითაძაშებთ. მსახიობის ძებნა არაა საჭირო. ჯერ მოთხრობა, მერე სცენარი. უნდა დაიჯონჯლო, იმდენი უნდა წერო პიესები, სცენარები, ძოთხრობები მეგობრობაზე, სიყვარულზე, შრომაზე. წერე სირბილ-სირბილ, დგომა არ შეიძლება. მწერლის თვალი და ყური დღეს ისეა საჭირო, როგორც არასოდეს. წერე მიწაზე, ძალიან რომ გვიყვარს, წერე, თორემ გამოგეცლება ფეხქვეშ და ზღარბის ქურქს დაინახავ შენს ნადგომზე.

— ვწერ, ძმაო, ლუკმა შემარგე...

— არა, ლუკმა არ უნდა შეირგო, შენ თვითონ მაგას ქადაგებ. გაძწარებულმა უნდა წერო, სირბილ-სირბილ. მამულის კუთხე-კუნჭული არ უნდა დაგრჩეს ხმის გაუცემელი.

— პირველი მოღალატეები კინოს ხალხი ხართ. სანამ გიჭირდათ, ჰარიქა, მოდით, მხარში ამოგვიდექითო. ახლა ყველამ ჟრთა დაიჭირეთ ხელში. მწერალთან სანახევრო თანამშრომლობაც აღარა სურს დღეს ძალიან ბევრ რეჟისორს, პროფესიონალური გუმანი გაქვთ, ჩვენ ვეღარ მოგყვებით. მწერლის ბედაურს, საკუთარ თიხის კვიცს ამჯობინებს კინო-რეჟისორი. საათნახევრის განმავლობაში მოიყვანს ძოძრაობაში თიხის კვიცს, ჩაბერავს სულს, ვიდრე კინოაუქციონი არ დამთავრდება, აჩაქჩაქებს ეკრანზე, ბოლოს, დაიხურავს ბედუინის ქუდს და ჩაუვლის მწერალს არაბული ღიღინით...

* * *

დავრბივარ. გინდა თუ არ გინდა, უნდა ირბინო. ყოველთვის არ ეშთხვევა სურვილი მოვალეობას. საშინელებაა სირბილი, როცა არ გინდა. გირჩევნია აყეფდე, აძაღლდე, ოღონდ არ ირბინო. საკუთარი თავის მიზეზით რომ დარბიხარ, მწარეა და აუტანელი, თორემ, თუ ვინმე მოგდევს და ამის გამო მითოხარიკობ შენი შეძლების უმაღლესობით, კიდევ არა უშავს რა, აიტან...

აირტონი რომ ტყეში ღაშლიგინებდა, საკვებს დასდევდა, გარეული ირმის მწვადით სურდა ყელის ჩაკოკლოზინება, ან გარეული ტახის შეხრამუნება ეწადა და მისდევდა საკბილოს, ეწეოდა, კლავდა, ყვლეფდა, ხარშავდა, ატყავებდა, წვავდა და ჭამდა, ან მარილწყალში ალბობდა, ბეგვავდა, ახმობდა და კორად გამოყავდა, ტყავს ტყავად იცმევდა და იყო გემრიელად. ქალი და ცივილიზაციის მადლი თუ აკლდა, თავისი ბრალი გახლდათ, დამნაშავე-სამართლის მახვილს გაურბოდა.

შიმხდურს თუ ვეღარ უმკლავდებოდა ქართველი და მთაში გარბოდა, მიუვალ ციხე-კოშკებში მალავდა ჯალაბსა და სარჩოს, გამართლება ჰქონდა მის სირბილს. მაგრამ, როცა არც არავინ მოგდევს, არც არავის მისდევ და მაინც დარბიხარ, რითი გინდა გაიმართლო თავი? ნივთიერებათა ცვლის მოშლა, მისი გამომწვევი მიზეზი, ჯერ-ჯერობით ბოლომდე მეცნიერთათვისაც კი ამოუხსნელი თავსატეხია. აქედან გამომდინარე მათი რჩევა: „მოიკელ და ირბინეს“ ძირითადი ფორმულით განისაზღვრება. ჩემი მიკვლეული ფორმულა, „ძოიკელ და სდიე შენი ფანტაზიის ნაყოფს“, უფრო საიმედო და ენერგიის მომნიჭებელია. ამ ფორმულით რბენის დროს იმედის, სიამის ძალა იმდენად დიდია, რომ ნიავივით მიჰქრიხარ, არ ეპუები არავითარ გარემოებას, არავითარ დაბრკოლებას. ბრალი იმისი, ვისაც წარმოსახვის უნარი დაბადებიდან არ დაჰყვა!

არიან შეჩვენებულებიც, რომლებსაც ბეწვის ღერიც არა აქვთ სხეულზე ზედმეტი და მაინც საათობით დარბიან. ეს საკვირველი ხალხი მარათონელები ბრძანდებიან. მათ თავიანთი კლუბები, მცნებები და კლანურ-ერთობლივი აზროვნება აქვთ. ერთი ასეთი მარათონელი ყოველ შაბათ-კვირა ორ წრეს აკეთებს ალმა-ათის გარშემო, სამოც კილომეტრს დარბის. წიგნში, სადაც ეს ამბავი ამოვიკითხე, არავითარი ცნობა არ იყო ამ მორბენლის წარმოსახვითი

პერსონაჟის შესახებ. უფრო საკვირველი მორბენლებიც აღმოვაჩინე კითხვა-კითხვით: 24 საათში სამასამდე კილომეტრს გარბის.

რაკიღა ერთადერთი ხსნა სირბილი და შიმშილია, უნდა ირბინო და იშიმშილო!..

შინაც, ქუჩაშიც, კლინიკაშიაც ყველა სარტყელზე შემოგყურებს, ყველა გიმოწმებს ჯანმრთელობას. კაცი იფიქრებს, ქვეყანა-ხალხის ბედნიერება შენს ანაბარად, შენი ჯანმრთელობის ბეწვზეაო დაკიდებული. ოჯახი კიდევ მესმის, პირდაპირი არხითაა შენზე მოგდებული: მოიკლებ, ოჯახს მოემატება, წლის ბოლოს ერთი საუკეთესო საქურქე ქისა აივსება. დაკვირვებული ვარ, როცა სირბილზე და მრავალთვიან დიეტაზე გადავდივარ, ოჯახს აღარც პური ჭირდება, აღარც ყველი, აღარც ხორცი, აღარც თაფლი, აღარაფერი! ერთი და ერთი უნდა გაბედო. გადახვიდე ოცდაოთხსაათიან სირბილზე, აიყოლიო ოჯახიც და პირდაპირ შემსალაროს ანგარიშზე რიცხო და რიცხო დანაზოგი.

ზემოთ მოგახსენეთ არიან ბედნიერი ცვლამოშლილებიც, არაფერი რომ არ ეტყობათ ზედმეტისა. ცალმხრივია მათი ბედნიერებაც, მაგრამ მაინც... სუფრაზე კაცი მინახავს ძვალი, ტყავი, ცარიელი თვალები და პირია. იტყვი, სული რაში უდგიაო უბედურს. ამუშავდება და გადაპარსავს ხვავრიელ სუფრას, როგორც დუქარდი ცხვრის ტყავს, ერთ ღერ ოხრახუშსაც არ დაგიტოვს კვალზე. ერთს ვიცნობდი: შვიდი თონისპური, ერთი თოფრა პამიდორი, ჯამი ხახვი, სამი ბუჩქი მსხმოიარე წიწაკა, კიტრი — ორი ბუდნა, ოხშივარში გახვეული საქონლის ბეჭიდან ორთქლი-ღა დაუტოვებია. საკმარისი იყო ამ ნამუსრალისათვის ერთი დოქი, გნებავთ წყალი, გნებავთ წყალ-ღვინო და გნებავთ სუფთა ღვინო დაეყოლებინა, ისევ თავიდან იწყებდა იგივე რაოდენობის პროდუქციის განადგურებას. გავიდოდა ბოლოში, დააყოლებდა ლიტრა წყალს და კვლავ თავიდან ჩამოივლიდა. ქამარს ნაჩხვრეტით არ გადასწევდა: ამისთანებზე გახლავთ ნათქვამი, ამათი კაკალიც არა ჩხრიალებსო.

ასეა თუ ისე, როცა სხვა გზა არა გაქვს და სხვა გამოსავალი, უნდა მოიკლო და ირბინო. ტანჯვის მრავალი მწარე დღე-ღამე გამიტარებია სამკურნალო კლინიკის საკანივით ცივ ოთახში, დაუვიწყარი დღეები და ჯვარცმის ღამეები მითენ-მიღამებია: წევხარ კალორიებგამოცლილი, გეჩვენება, თითქოს აისბერგიაო საავადმყოფოს კედლად მოყუდებული და წუთი-წუთზე თეთრი დათვი შემოგიღებს პალატის კარს. თანაც გამხდარი და გაძვალტყავებული დათვი, კი

არა, ქონში გახვეული თეთრი დათვი შემოვა თამთამით, ქონის ქათქათა მორევში ცურვით. გეჩვენება, თითქოს საკუთარი ქონის მორევში მკლაურს უსვამდეს და შენსკენ მოიწევდეს. ამ დროს გცივა, ტყავგამძვრალი კურდღელივით ცაცხაცებ. ბოლოს მოჩვენება ქრება. საათი ღამის პირველს გადაცდა. ძილი არ გეკარება, კითხვაცა გღლის, აზრი ტვინში არ გიჩერდება, იპარება, როგორც მოჩვენება — ჭიატში. წონაში სენსაციურად ხარ დაკლებული. სიმსუბუქემ ისე შეგარყია, რომ შენი დაკარგული წონის ნაწილს, შენს ორეულს დაეძებ. სამკურნალო კვების განყოფილების კედლის გაზეთშიც გამოგაცხადეს, ორი ფოტოსურათი გამოაკრეს: დაკლებამდელი და დანაკლები. ერთი მერვანია, მეორე — მერვანზე გამარჯვებული. მერვან ძე მოჰამედისა, ქართულ საისტორიო ლიტერატურაში მურვან ყრუდ წოდებული თავისი უჩვეულო სისასტიკის გამო. ასეთი სასტიკი მტერი ჰყავს ყველა ცვლამოშლილს და მართლაც რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გმართებს კაცს მთელი შენი სიცოცხლის განმავლობაში.

მისხლის მოკლებაც აღარაა საჭირო, წინააღმდეგია ექიმ-ბატონი, „საფრთხეში იგდებ თავსო". წინააღმდეგი კია, მაგრამ, აღარ გასვენებს შენი ახალი მდგომარეობა, ეს ორეული იმ ორეულს აღარ ასვენებს, უმძიმესი გამოცდის ჟამს რომ გამოგეყო საკუთარი სხეულიდან და ამხანაგად, მოდავედ და მოკამათედ აგედევნა: ხან წყლის გუბიდან ამოგხედავს იგი, ხანაც ვიტრინის ფართე მინიდან გადმოძვრება და აგედევნება. სიმსუბუქემ და სილაღემ მიგატოვებინა საავადმყოფოს ეზო, რაკიღა გემცრო შეზღუდული წრე, მიატოვე და ხალხმრავალ ქუჩაში გამოიქეცი. გინდა შენი სიახლე და გამარჯვება აჩვენო და ახარო მათ, ვისაც დიდი ხნის განმავლობაში არ შეხვედრიხარ. დედაქალაქის ერთერთი ფართო ქუჩის ტროტუარი ბუზღუნით გითმობს ვიწრო სატერფულს. „რაღა დროს შენი სირბილიაო!" — გესმის ლანჩების ტაკა-ტუკს შორის გახურებული, ტვინგამდნარი ასფალტის უქმური ჟივჟივი: „ეი, ბრანძ-ბოი!" „აუ, ბიკილა-ადის ამება!" „ვერ დაეწევი საცოდავო, ვერ!" „ვერ გაექცევი, სიმონ, ტყუილია!"

ტროტუარი გადაჩვეულია შენს ტერფს. სხვას ჩაუდგამს ფეხი, დგას და წინსვლის საშუალებას გისპობს...

ცოტათი მოვლბი ამასობაში, დავმშვიდდი და სპორტული სარეკლამო აფიშის ტექსტი შევადგინე: „არ დაუჯეროთ უქმ ჩურჩულს, ტროტუარის უჭკუო ბუზღუნს, ძმებო, მერწმუნეთ, საერთო ცვლა-

მოშლილთა კლინიკებში ნატანჯს და გაიქეცით სპორტული მოდნებისაკენ, სარბენი ბილიკებისაკენ! მიაკითხეთ ცივ-ცივ მდინარეებს, ღელეებს, ნაკადულებს. მცირე საუზმე გაიყოლიეთ თან, თუ მაინცა და მაინც არ მოგიშლიათ. ზღვა პურ-მარილის გარეშე ჩაუყევით მწვანით შემოსილ ნაპირებს, ჰკითხეთ ნაკადულს მშობელი ბუნების გასაჭირი. ბუნებაც განიცდის კაცის სატკივარს, მისი უტყვი ბინადარნიც, ნაწილობრივ იქაც მოშლილია ნივთიერებათა ცვლის პროცესი მუავამომატებული წვიმებისა და სხვა უკეთურობისაგან. რაც მთავარია გახსოვდეთ: ნახევარს მიუახლოვდა წონადარღვეულთა რიცხვი! ბევრ ახალგაზრდა შეუღლებულს სამკითხაოდ აქვს საქმე. „შვილს რატომ არ გვაძლევსო ღმერთი?“ გაჭირებულთა ამ რიცხვს იმათ ნაწილსაც თუ მივუმატებთ, ნარკოტიკებით რომ ძღება, თრიაქის ბოლიდან რომ გასცქერის სამყაროს, უაზროდ გამოღამებული თვალებით, მთლად სავალალო სურათი შეგვექმნება!

ჩვენი გამრავლების შანსი უფრო შემცირდება, მუსიკალური სირენებით მოჭყვიტინე, შეზარხოშებულ ავტო-მოძალადეთა კისრისტეხვასაც თუ გავითვალისწინებთ და საერთო საკლებს მათ რიცხვსაც გამოვაკლებთ!..

ფეხბურთის წაგებული მატჩიც რამდენს ინაცვალებს; ზოგს სტადიონზე, ზოგსაც გზაში, ზოგს ტელეეკრანთან: რა გვეშველება, გუნდი როდის დადგება ფეხზე...

სახელმწიფო კანონის და ცხოვრების ნორმების სხვადასხვა სახის დამრღვევთა რიცხვმა ბოლოჟამს სავალდებულო სამსახურივით იმატა. ვეღარც ამ რკინეულის ნაკრძალსიქიდან გამოჭყეტილი თვალი გაუჩენს მამულს შვილს, ვერ მოგვცემს ნამატს...

ეს ფიქრები სირბილ-სირბილ, ლუკმისა და წონის კლებითაა დაბადებული. სასტიკმა რეჟიმმა, წონის სწრაფმა დაკლებამ და გაუთავებელმა სავალდებულო ძუნძულმა ტვინის ისეთი განათება-გაშუქება იცის, ნამდვილი კაცი ხდები, ადამიანი, სიწმინდის გზა-გზა მოღაღადე! შენი ჭკუაგანათებული აზრი ყველა გამვლელ-გამომვლელს როდი მოწონს; ფეხს დაგიდებს ზოგი, ცხვირით გაგახოხიალებს. წაბოდგები მაინც და გარბიხარ ჭეშმარიტების ახალი აღტკინებით.

მეორეა ჩასაფრებული, მესამე: ხერხიც ნაცადი და ძველი აქვთ. „შუა რიგში იჩაქჩაქე, ნაკლები იქოთქოთე, თორემ მოვიდაო ქოთი!“

ბოლოს და ბოლოს დაყაბულდები, დღეგამოშვებითლა დარბიხარ, შუა რიგში გადადიხარ. ერთი და ერთი თუ დაგათმობინეს, მერე თვითონ იციან, ქეიფსა და სმა-ჭამაზე გადაგიყვანენ, ყვინთავ დაბლა და დაბლა. ასში — ასისთანა ხდები, ათასში — ათასის მსგავსი. კვირაში ერთხელაც აღარ გამოდიხარ სარბენ ბილიკებზე, ბოლოს სულაც შეეშვები ზედმეტ ლაპარაკს და სირბილს...

ეგრეთწოდებული, იაპონური სიარული ჯობია სირბილს. არაუმცირეს ას ორმოც ნაბიჯს გადადგამ წუთში, ას ოთხმოცი ნაბიჯი ძთლად უკეთესია! ას ორმოცი ნაბიჯი გაგიჭირდება პირველ ხანებში. ოთხმოცდაათიდან დაიწყე; ასი, ას ათი, ას ოცი, ას ოცდაათი, ას ორმოცი, ას ორმოცდაათი, უმატებ თანდათან. ათ დღეში ერთხელ გადადიხარ ახალ მიჯნაზე. საათში სულ თავისუფლად გალევ რვა კილომეტრს. მითოხარიკობ, მიგოგმანებ მღვდლიანთ იორღასავით; მღვდელიც შენა ხარ, ცხენიც და მრეველიც. არც ტვინი გილაყდება გადასარევი ჭენებითა და სხვათა დარიგებით, მშვენივრად აღიქვამ გარემოს, არც მორბენალს ჰგავხარ, არც ცხენს, არც ქადაგს. გაცვია ჩვეულებრივი, საყოველდღიო სამოსი, ოდნავ რბილი ფეხსაცმელი და მიდიხარ ხალხის ზღვაში. იხედები მარცხნივ, მარჯვნივ, თვალს რომ არა გამოეპაროს საშოვნი. ისე გაივლი ნახევარქალაქს, მამიდასაც ნახავ, თუ გემამიდება და ცხენსაც გახედნი: კარგ საწერ-კალამს ძოჰკრავ თვალს, საბეჭდი მანქანის ლენტს წააწყდები, დეფიციტურია და ათ კოპს ყიდულობ ერთბაშად. ქვრივის ლეჩაქისფერ გადასაღებ შავ ქაღალდსაც დაიიღლიავებ, ფრანგულ — დედალს. ამოიდებ ელეგანტურად და კურკურ, მიდიხარ ჩქაროსნული ნაბიჯით. ზეითუნის ზეთი რიგდება! ერთ კოლოფ ზეთსაც ჩაიდებ ჩანთაში და ფიქრობ: შესანიშნავი შინაურული წამლის დამზადება შეიძლება ამ ზეთზე, ეს არის ძირითადი შემადგენელი იბნ-სინადან დღემდე. რეცეპტიანი ვინმე უნდა შეირთო ან შვილს გაურიგო, იშვიათი ხალხური მალამოს მცოდნე. დაგეხვევა ხალხი, აშენდები! მოთხრობასაც დაწერ ხილად, შიგადაშიგ. რიგი და ღიჭინი აღარ დაგჭირდება მორბენალ კოლეგებთან.

კაცს გაუკვირდება, ამდენ ნასყიდობას როგორღა ერევიო. ორეული ტყვილა კი არ დაგდევს! რომ მოიკელი, კი არ გადაიყარა ის წონა, ცალკე დამკვიდრდა, ნაწილობრივ დამოუკიდებელ ერთეულ პიროვნებად ჩამოყალიბდა. ორი კაცის, ზოგი ცვლამოშლილი კი სამი და ოთხი საშუალო წონის კაცის მატარებელია. მთელი პატარა რაზმი დაგდევს შენი წონის ნახევრებისა. ერთს ჰკიდებ ტვირთს, მეორეს — ჯავრს, მესამეს — ღიმილს, მეოთხეს — საგზაო ფათერაკს, ან სხვა რამეს, რაცა გნებავს. მთავარია, რომ მზიდავი გყავს და იმედიანად მიიჩქარი. მოგეშველება მაინც. რამე რომ იყოს, შენი სისხლი და ხორცია, ვინმე შარისთავს თუ მარტოხელი და ეული ეგონე, შეუტევს შენთან ერთად და გააფრთხობს...

ქუჩის მიეთ-მოეთსაც რომ თავი დავანებო, ოთხი და ხუთი შენი ნაწილი და თანამზრახველი ისე გჭირდება დღეს მწერალს სამწერლო თუ ყოფითი საკითხების მოსაგვარებლად, როგორც წყალი, ჰაერი და პური.

ყველა ეს საარსებო-შემოქმედებითი პრობლემა სიჩუმეში განისვენებს, არავის არ უნდა საკითხის სერიოზული დასმა და გადაჭრა. პროფესიონალ შემოქმედს არაპროფესიონალი თავისუფლად ერევა სიმრავლით და ამარცხებს. არაპროფესიონალი ისე მომრავლდა, რომ რაოდენობრიობა რაღაც საშუალო მოთმინებით ხარისხში ავიდა და ძალაუფლება მოიპოვა. დავიდარაბაში მოქცეული პროფესიონალი მწერალი კი თანდათან ჰკარგავს პროფესიონალიზმსაც, გავლენასაც, რაკი მას არ გააჩნია საკუთარი ადმინისტრაციის შენობა, საკუთარი საწარმო, დაწესებულება, სადაც იგი, გარდა იმისა რომ სხვებზე ზემოქმედებს, თავისი ნაფიქრალის, ნალვაწის რეალიზებასაც მოახდენს, ნებისმიერი ტირაჟით, უთვალავ ქვეყანაში, ყველა ენაზე.

„ირბინეთ, ირბინეთ და გაჯანმრთელდებით!“ — გაკრულია ცვლამოშლილთა სამკურნალო კლინიკებში.

ირბინე, ძმაო, ირბინე!..

ერთხელ, ბიჭვინთის ლიტერატორთა შემოქმედებით სახლში ეებრძოდი დასვენებას. ოცდაოთხი დღის განმავლობაში ფეხი არ შეშიდგამს სასადილოში, წყალზე და ბაზრის ხილ-ხაბახუბაზე გადავდიოდი სირბილ-სირბილ. დასასვენებელი სახლის გამგესთან შეხ-

ლის გამო გაჯიუტებული. ძეხორციელს არ უკითხავს ადმინისტრატორთაგან, თავს რითი ირჩენ, ხომ არაფერი გემართებაო საშიში. საქმეში ხართ?! ღამეს ვათევდი, ეგ იყო და ეგ. ასეთი ყოფით გავლიე წუღაც და საგზურიც.

წასვლის წინა დილას უნგრეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გამოგვეცნაურა თარჯიმანის საშუალებით. სამშობლოში ბრუნდებოდა. ალაყაფამდე მივაცილეთ. ექვს-შვიდ კაცამდე ვიყავით: ორი მწერალი-დრამატურგი, რამდენიმე პოეტი და ორიც თანამდებობის პირი, კრიტიკოსი-ლიტერატორი.

— კარგი პიესა გავცვალოთ დადგმის გარანტიით. თქვენ ქართული მოგვაწოდეთ, ჩვენ უნგრულს გაახლებთ, — შემოგვთავაზა რიგიან-პირიანად ჩვენმა უნგრელმა კოლეგამ დამშვიდობებისას.

— რას ბრძანებთ, სად გაგვაჩნია კარგი პიესა, წყალ-ღვინო დრამატურგია გვაქვს! — უმალ ორხმად მიუგო ჩვენმა ორმა კრიტიკოსმა. სიტყვის გაფიქრებაც არ დაგვაცადეს, თქმას ვიღა ჩივის. ისეთი ხმელი ჩალის კლერტი გამოგვავლეს მფარველებმა ამ უცხო ადამიანის თვალწინ, თითქოს დრამატურგები კი არა, ყვერულები ვყოფილიყავით, საჭურისების უყივარ ფორუმზე.

ამ ორთაგან არც ერთი არ გახლდათ თეატრმცოდნე. სამაგიეროდ, ბატონობითი სახელი და თანამდებობა არც ერთ მათგანს არ აკლდა...

„ირბინეთ, ირბინეთ და გაჯანმრთელდებით!“..

გონიერმა მალემსრბოლმა სპორტულ-საქმიანი სვლა პიკის საათს არ უნდა დაამთხვიოს: ქვეითით გადატვირთულ ტროტუარს შეაწუხებ შენი უადგილო სხარტული მოძრაობით, ავტომანქანათა გამონაბოლქვიც შეგაღონებს და თავბედს გაწყევლინებს. თუ უნებლიედ მოჰყევი პიკში, სუნთქვის განსაკუთრებული ტექნიკით უნდა ისარგებლო, ხამუშ-ხამუშ უნდა ისუნთქო, იოგურად. მანქანა რომ ჩაისუნთქავს — შენც მაშინ უნდა მოასწრო შესუნთქვა, შავი ფთილა რომ არ ჩაგეფინოს დიაფრაგმაში. თუ მანქანათა უწყვეტი ქარავანი მოგდევს ტროტუარის გასწვრივ, თანაც თუ არეულად სუნთქავენ, და ჩასუნთქვის მომენტს ვერ პოულობ, დილანდელი, იოგური ჩანასუნთქი უნდა იკმარო.

განსაკუთრებით აღმართში გმართებს ასეთ დროს დიდი გულისყურის გამოჩენა, ავტობუსის გაჩერებასთან „იკაროსი“ რომ ჩართავს შავ ყალიონს, თამბაქოს საფირმო მაღაზიასთან, შავ ჩოხას

ჩავაცმევს და „შავო მერცხალოს“ გამღერებს ფილარმონიის „მუ-ზაშდე“. მერე, რაკი გაივაკებს, წიგნის მაღაზია „ჩირაღდანთან“ შვებას იგრძნობთ შენცა და ისიც.

ზემოხსენებული სწრაფი ნაბიჯით სიარული, გაუთავებელი სადღეგრძელოებით თუ არ გადაღლი პატიოსან გვამს, წლის ბოლო-სათვის ოც კილოგრამამდე ჭარბ წონას მოგაკლებინებს. თუ მეორე წელსაც უმუდმებ, ხათხა-იოგა შეჩვენდება და შენ აღზევდები მის ნაცვლად.

გერმაზე უმჩატესი და უბრწყინვალესი ზრახვები აგიციმციმებს თვალს და ერთიანად დაგეუფლება სრული ჰარმონია.

უმოძრაობა და უეანგბადობა კლავს ზოოპარკის სპილოს და არა სამშობლოს ნაღველი...

— ნარკოტიკებს რომ ვუკრძალავთ ნარკომანს მეტი არგუმენ-ტია საჭირო, რას ვაძლევთ სამაგიეროს? — ყური მოვკარი ქუჩაში ნათქვამს.

— ჯანმრთელობას, პირველ რიგში, — მივუგე სირბილ-სირბილ, — დანარჩენზეც გაახილონ თვალი, საქართველო მარტო ქაღალ-დის რუკაზე არ გახლავთ აღნიშნული და მოხსენებული, ამ ნახაზის ქვეშ შესაბამისი ტერიტორიაცაა დატანებული მიწის, წყლის, ტყის, გზებისა და ათასი სხვა სახით. და ბოლოს, თვითონ ის რას ჰპირდება სამშობლოს, რითი უნდა რომ გააბედნიეროს?

დედაქალაქის უფიქრო, ხელცარიელ ტკეპნას ახალგაზრდა კაცმა პასუხი უნდა გასცეს მოძრაობით, გადაადგილებით. სასურველი საქ-ბის, სასურველი სოფლის პოვნას შეძლებს მოწყურებული კაცი, თავის თავს ხელმეორედ აღმოაჩენს, თუ გამრჯე და ნიჭიე-რია, გაფურჩქნის თავის შესაძლებლობებს: თუ ხელოვანია ასახავს, მიწას მონატრებული და მიწის მოყვარე კაცი თუა, ბიწას მიეფერება, ააყვავებს, ქალაქისაკენ მაცქერალ სოფლის ახალ-გაზრდობასაც დააფიქრებს, კიდევ ერთხელ გადაავლებინებს თვალს მისი ნაბიჯი, დანარჩენებს, უსაფუძვლოდ გამეტებულს და გულაყ-რილ სახლ-კარზე, ტყეზე, ველზე, მთასა, მდინარეზე, ნაცნობ-მეგო-ბრებზე, ინტენსიურ მეურნეობაზე, ახალ ძალებს მოაკრებინებს.

რამდენჯერ დამწურვია გული სოფლის ბირჟაზე, მაღაზიასთან დილიდან საღამომდე ფეხმოუცვლელად მიჯარული ახალგაზრდების ბნახველს: დგანან და ტკეპნიან მრავალგზის გადატკეპნილ „ვარიან-ტებს“. მათი რიგების ახალი აზროვნებით შესავსებად უნდა მიიწევ-

დეს ქალაქიდან სოფლად ახალგაზრდა ინტელიგენტი. არც დამხვედრი უნდა დაიტენოს წინასწარი ეჭვით ქალაქიდან ჩამოსულის დანახვისთანავე. „შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო“, — აკვიატებულად არ უნდა აწონ-დაწონოს მოსული კაცი გონიერმა სოფელმა. მაშინვე არ უნდა შეაღონოს: „გინდა თუ არა, ქალაქიდან ამოეწერე, ზონარ-გაყრილობის წიგნში რომ ჩაგწეროთო“.

სავალდებულო საპასპორტო ამოწერ-ჩაწერის გასაოცრად მოძველებულმა, უკვდავმა ფორმულამაც ზომაზე მეტად დააფრთხო სოფლისაკენ თვალდაჭერილი კაცი და მიწასთან მიახლოების ზრახვაზე ხელი ააღებინა:„დამაცა, მოვსინჯო, ფესვის მოკიდება ვცადო, ახალ ადგილზე დავფუძნდე, ჩემი სურვილი და შესაძლებლობა შევუსაბამო გარემოს და თუ სასიკეთო კვალზე შევდექი, მერე ამომწერე ქალაქიდან, თანახმა ვარ“.

საპასპორტო ჩაწერ-ამოწერის „უმკაცრესმა“პირობითობამ ლამის მილიონნახევრამდე გაზარდოს დედაქალაქის მოსახლეობა.

დღემდე მაშინებს საპასპორტო, შერკინული ოთახის შერკინულ სარკმელთან მიახლოება, დაკაკუნება და ჩემი სურვილის გაბედულად გამოთქმა...

ერთიც მეტყევის დანახვისას გამცრიდა ხოლმე, რაკი დამზადების სანებართვო ბილეთში აღნიშნულ-დაწესებული ორი კუბომეტრის ნაცვლად ხუთი ან ექვსი მეტრი შეშა გველაგა მანქანაზე თოვლჭყაპსა და ძანძახში ოფლითა და ვაივაგლახით დატვირთული, როცა არაყს მხოლოდ უფროსები სვამდნენ მორზე, სახელდახელოდ, ან უხიაგ ქოხში, ჯერ ადგილობრივ დამამზადებელ გლეხკაცთან, შემდეგ კი ხერგილის ბერკეტა მეტყევესთან.

ექვსი თვის განმავლობაში საჭიროებს გათბობას ქვითკირის სახლი აღმოსავლეთ საქართველოში და ორი კუბომეტრი შეშა მხოლოდ ორი თვის სამყოფი საწვავი გახლდათ. ვის უმართავდა ხელს ეს თვალისამხვევი კანონი მრავალი წლების განმავლობაში? შემომიხაზეთ მისი გადარჩენილი ტყე!..

რამდენი „ღვინია“ გადაჩეხილა უგზოუკვლობაში! შეშით დატვირთული რამდენი მანქანა გადაფრენილა უფსკრულში ღამურებისა და ფარული გზების ძებნის დროს! შებინდებამდე უნდა გეცადა კაცს, რაკი ხალხის თვალი მიიძინებდა. ხერგილის მეტყევეც ადვილად ბედავდა უხსენებლის „ცაღ“ში შეშვებას და დატვირთული მანქანის გამოტარებას. ამასობაში ნაჯაფრ, გადაძაბულ მძღოლსაც წათვლემდა, კლდიდან გადაეშვებოდა და ნაპირებმოყინულ მდინარეს

ძიეცემოდა თუნუქის ღუმელის საგუგუნოდ განზრახული შეშაცა და იმედებიც...

ძეტყეევესი და შეშისა არ იყოს, საპასპორტო საქმის გააზრებული მართვა დღეს პურივით სჭირდება იმათ — გამრავლების პრობლემა ცივი ხანჯალივით რომ დასდებია კისერზე...

საგზური გაილია. ვაჯამებდი თორმეტდღიან ფიქრებს და ვასკვნიდი, ჩემო საყვარელო მკითხველო, რომ მოთმინებისა და თავზე ხელის გადასმის მოლოდინი დამღუპველია! თითოეულმა ჩვენგანმა ხელახლა უნდა გადააბრუნოს მამულის სიყვარულის გატკეპნილი ბელტი და ხელახალი სული უნდა ჩაბეროს მრავალსაუკუნოვან სადგომს. გულის აყრა, საქმის გადადება დამღუპველი და მიუტევებელი ღალატია საკუთარი თავისაც, საერთო საქმისაც. ზღარბის ეკალა ქურქზე მხოლოდ ვაშლისა და მსხლის მწიფე ნაყოფის წამოგება კი არა, მუშტისხელა სეტყვისა და ქვა-ღორღის ასხმა-აგებაც უნდა შეიძლო.

ახალგაზრდა კაცმა სტუმარი პირველ რიგში ქართული აზრის უძველესობით და უახლესობით უნდა მოხიბლო და არა ღვინისა და პურ-მარილის უანგარიშობის საკვირველებით. მაძღარი აზრი საუკუნეს კვებავს, ლუკმა და სუფრა — ერთ დღეს...

* * *

მიმოსვლის ფანტასტიკური შესაძლებლობანი გაგვაჩნია დღეს, ურმით მოჭრიალე ჩვენს პაპებს რომ არც დაესიზმრებოდათ, ისეთი.

ფაეტონით, ურმითა და ქსიტინა ორთქმავლით მეგობართან თუ ნათესავთან მისული ადამიანი შესანიშნავად ახერხებდა გულწრფელ ფიქრის კეთილი ზრახვის, უბრალო მოკითხვის მიტან-მოტანას. ძველი ფოტო-ალბომებია ამ ურთიერთობათა მოწმე...

თვალის დახამხამების სისწრაფით მავალი კაცი ვეღარ ასწრებს ნაფიქრალის თბილ ძარღვებში გატარებას. მისატანი სიტყვის სითბო ზებგერითი თვითმფრინავის გამონაბოლქვს გამოსდევს და მავანი და მავანს ბანანივით გაფრცქვნილი საკუთარი აზრის კბეჩაკბეჩით წარუდგება, სარფის გამოსართმევად.

„მაიმუნის გული მირჩიეს ჰაქიმებმა ავადმყოფი მეუღლის განსაკურნავად“, — შეაპარებს სიტყვას კუ მაიმუნს, ზურგით რომ გადაჰყავს ზღვა-ზღვა, თავის სახლში, საპასუხო ვიზიტით, იმ პატივისათვის, მაიმუნმა რაც გასცა უანგაროდ, კუს სტუმრობისას.

შეატყობს მაიმუნი კუს, რომ ეს უკანასკნელი მეუღლის ეჭვის გამო უპირებს გულის ამორთმევას და მიუგებს: „ჩვენ, მაიმუნებს ერთი პირშეუქცევი ადათი გვაქვს: გარეთ გასვლისას გულებს შინ, მაღალი ხის კენწეროზე ვტოვებთ. ვწუხვარ წამლად რომ ვერ გამოგადგებით“.

ადამიანი, დღეს როგორც წესი, შინ ტოვებს გულს ყოველგვარი ფათერაკისაგან თავის დასაზღვევად: ემანდ გულიანად არა მთხოვოს სათხოვარ-სატკივარი და უგულოდ არ დავრჩეო.

კაცს კაცთან გულის ნაცვლად კომპიუტერი მიაქვს საკუთარი ნების უპირატესობით დატენილ-დაპროგრამირებული, კოლოფი მიაქვს „გზად და ხიდად“. კოლოფს კოლოფი ხვდება ადგილზე, ემატება და არის გადაუწყვეტელ-გაუთავებელი აზრების კოლოფ-კვიუმი. თავის მოქსოვილ, დაპროგრამირებულ პრობლემათა ბადეში იხლართება ადამიანი, გამოსავალს ვერ პოულობს.

გამოსავალი ერთადერთია: „გული მისცეს გულისათვის!“..

* * *

გასამრჯელოდ შესაძლოა დაღუპვა მიგვეღო მეც და გურამსაც, ჩეშს ნებას რომ დაჰყვა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ გარაჟის ძექანიკოსი და გვიანი შემოდგომის ერთ შაბათ-კვირას თბილ ბუხართან ჯდომისა და ტელევიზორით თავის შექცევის ნაცვლად სარკესავით გალიპულ გზაზე რომ გამოყვა თბილისიდან დაღესტანს, ავად შექმნილი ჩემი დარღოელი ძმადნაფიცისათვის წამლის გადასატანად.

მარტო ვერაფრით ვერ შევძლებდი ამ მარშრუტის ასეთ ამინდში დაძლევას, მიუხედავად ჩემი მარჯვე, ორხიდიანი „ვილისისა“. ნოემბრის შუა რიცხვებში ყოველი საათი სათუოა ჯვრის უღელტეხილის გადასასვლელად; შესაძლოა ჩაიკეტოს თოვლცვენის გამო, ან იქით მოჰყვე, ან აქეთ, ან შუაში გაიჩხირო. ჯვარს გადაივლი და გველეთია, ბევრი ვერაფერი გულის გასამაგრებელი სახელწოდებაა. ყაზბეგიდან ორჯონიკიძისაკენ დაძრული მგზავრებისათვის გზაც შესაბამისად დახლართულია, თავზე გადმოყუდებული კლდეებით. ორჯონიკიძემდეც ისეთი რძიანა ნისლი იცის, ჭირის ოფლში გაბანავებს, დაჟეჟილს გატეხილი ჯობია: მხოლოდ პირობითად უნდა ერქვას ამ გზას — გზა. მართალია, თხუთმეტი წლის წინანდელ ამბავს ვყვები. მას აქეთ ბევრი რამ წინ გაიჭრა და შეიცვალა ჩვენს

რესპუბლიკაში, მაგრამ, მაშინდელი სურათი ასეთი გახლდათ, როგორიც მოგეხსენებათ...

თბილისიდან ქალაქ ბუინაკსკამდე, რაიონის ცენტრამდე, სადაც ჩეჩი ძმადნაფიცი აბდულა ჰაჯის ძე ჰაჯამაევი ცხოვრობდა, ზუსტად ხუთასი კილომეტრი იყო, ორჯონიკიძიდან — სამასი. ზაფხულში, ორჯონიკიძიდან ბუინაკსკამდე თვალხუჭუნა ღიღინით ჩახვალ, გატკეცილი ავტოსტრადაა.

ნოემბრის დღესასწაულის პირველ კვირას გადავედით მე და გურამი პირველად, აქედან — იქით არა უშავდა-რა, იქიდან აქეთობას კი ციკლონმა მოჭიქა ჩვენს თვალწინ; მოვდიოდით და როგორც ზღაპარში, ჩვენს უკან სარკესავით იყინებოდა გზა, ბედი გვწყალობდა. ორჯონიკიძის ახლოს შევისვენეთ, გზას გავხედეთ; კანტიკუნტად ჩამოიარა დიდი ქარავანიდან მხოლოდ. რამდენიმე მანქანას ჩვენს შემდეგ. აღარ დავყოვნდით, უღელტეხილისა გვეშინოდა, გამოვწიეთ. დარიალის უღელტეხილზე ახალი მოფიფქული იყო და თბილისამდე არაფერი გაგვჭირვებია.

გზა ფიქრში გავლიეთ მე და გურამმა. ოსტატური ხალხური ოხუნჯობის ყულაბაა გურამი, აჩხრიალა და აჩხრიალა თბილისიდან დაღესტნამდე ვერცხლის უზალთუნები. ყვება სახუმარო ამბავს და სახესაც ისე მიიძერწ-მოიძერწავს, ჩაგაბჟირებს. იუმორისტული ზეპირი მოთხრობების მთელი სერიები აქვს ქართლის ცხოვრებიდან; დღევანდელი ქართლის, რა თქმა უნდა. სერიოზული საუბრისას ბრძენკაცის რკინის ლოგიკა აქვს, საქმეშიაც მარჯვე და გამჭრიახია, უყვართ სამსახურში, პოლკოვნიკს ეძახიან მხედრულა რიხის და სტალინის გადამეტებული სიყვარულისათვის. თვალში რომ ჩაუვარდეთ თანამშრომლებს, თვალის ჩინად დაიტოვებენ. არასოდეს უსინდისოდ არ წაწყმედილა ზედმეტ მანეთზე. ავტომანქანის ისეთი სპეცია, — ბევრს ვერ უპოვი ტოლს. ქართულს კარგად ჭიდაობს, ღონეც ერჩის; ჩაფსკვნილი და მხარბეჭიანია.

ძოვდიოდით და მთელი გზა კრიჭა არ გაუხსია. მარტო რთული გზა არ გახლდათ ჩვენი დუმილის ერთადერთი მიზეზი: ძმადნაფიცის მოულოდნელმა ავადმყოფობამ შეგვბოჭა იქ ყოფნის ორ დღეს, წაგვიხდინა დაღესტნის პირველი ხილვის, ძმადნაფიცთან პირველი სტუმრობის ხალისი. განცდილის ურთიერთგაზიარების ბუნებრივი წყურვილი. რამდენჯერმე დავილაპარაკეთ მთელი გრძელი და რთული გზის განმავლობაში. ჩამოვედით თბილისს, სახლამდე მივიყვანე, ჩამოქვეითდა, დამემშვიდობ», მაინც არ აპირებდა შინ შესვლას.

— შინაური წამალი მაქვს, გურამ, ქობულეთიდან რომ ციხისძირია, იქაური ნათურქალი ჰაქიმბაშის ბალახეულია, რას ავნებს? კვალსაც აღარ ტოვებსო ავადმყოფობის, ეგრე ამბობენ. ჯერ არ ძიცდია, ისე, საპირწამლედ მაქვს შენახული. ექიმები ახლა, ყველა ხალხურ წამალზე „უჰ და აჰს“ იძახიან, რა ვიცი, როგორ მოვიქცეთ? გზაც ისეთი გახდა, ძალას ვერავინ დაგატანს კაცს. თანაც სამსახური. თავისუფალი ვარ, მაგრამ, მარტო, ძმაო, ფიქრშიაც ვერ გაივლებ იქით პირის მიბრუნებას, — ჩუმად ჩამოვმარცვლე სათქმელი და პასუხს დაველოდე...

თხუთმეტი წელი გავიდა მას აქეთ. ვფიქრობ, საიდან მქონდა საძმო-საძეგობრო ფათერაკიან გზებზე ცოდვის საკვირველი სწრაფვა, ან, ჩვენს კოსმიურ დროში, მოსკოვის კლინიკაში ყოფნისას, რა ისეთმა დაუოკებელმა წყურვილმა ამიტანა, უცხო, დარღოელ ვაჟკაცს, მეზობელ საწოლზე რომ დამხვდა, გინდათ თუ არა სისხლით ძმად შევფიცვოდი; სისხლის მორიგი ანალიზის დროს, ორი თითის სავალდებულო ჩხვლეტის ნაცვლად ხუთივე თითი გავაჩხვლეტინე ექთანს, აბდულამაც (ანატოლის ეძახდნენ რუსულად) იგივე გაიმეორა. დავიჩხვლიტეთ თითები, შევაზილეთ ერთმანეთს, გადავეხვიეთ, გადავკოცნეთ და ისეთი ძმობის ცეცხლი შეგვიდგა იმ დღიდან, რომ კლინიკაში ყოფნის ბოლომდე საკვირველს იყვნენ დანარჩენი მილეთელები. მოწიწებით გვეპყრობოდნენ, ჩვენი სიტყვა სარდლის ბრძანებასავით ჭრიდა, ისე მოგვენდნენ.

გურამის ალღოსა და გამჭრიახობის შესახებ ზემოთ თქმულს იმასაც დავუმატებ, რომ აბდულას ავადმყოფობის დიაგნოზი გურამმა დასვა: ამას თუ „ბოტკინი“ არა სჭირს, მერაბ-ჩემო, თავსაც შოვიჭრი; ფერი, ტკივილები! — მითხრა მან ქართულად, რუსულ ენაზე აზრის გამოთქმას მოერიდა, არ უნდოდა მასპინძელს გულზე შემოჰყროდა.

თავს გვევლებოდა ჩვენი მასპინძელი, რამდენადაც კი უქეიფობა ამის საშუალებას აძლევდა. სულ რამდენიმე საათის ჩამოსული იყო ესენტუკის მინერალური წყლებიდან: ჩვენ რომ მივედით, მეუღლე და ქალიშვილები დაგვხვდნენ, სამკურნალოდაო წყლებზე, დღესხვალ ველოდებითო, — მეუღლემ გვითხრა. ვიუხერხულეთ უიმისობა, ეზოში ვსეირნობდით, აზრს ვიკრებდით — რა გვექნა, როგორ შოქცეულიყავით უკაცო, უცხო ოჯახში. გვასაუზმა, გვთხოვა მოგვეცადა: — თქვენი ამბავი მონაყოლი აქვს ანატოლის, გული დაწყდება რომ არ დახვდეთ, დარჩით, ქვეყნის ადგილი გვაქვს, მოისვე-

ნეო, — გვთხოვა თამარამ, აბდულას ძეუღლემ. რუსი გახლდათ, იმავე ტექნიკუმის პედაგოგი, რომლის დირექტორიც ჩვენი მეგობარი იყო.

დაველოდეთ. დავდიოდით მისი უშუალო მონაწილეობით გაშენებულ ტექნიკუმის ედემის ბაღში. ვარდნარში კოკორი მეტი იყო ყვავილზე, ზამთრის პირი გახლდათ; ქრიზანთემები და გიორგინები ჯერ თამამობდნენ.

ის იყო და ანატოლიც მოგრიალდა. გადაირია რომ დამინახა. გურაძეც შევაგებე, გავაცანი, მისი ავან-ჩავანიც ვუთხარი. ხარობდა და წუხდა, ხარობდა და წუხდა, რაღაც ვერა ვარო, დროდადრო შემოგვბედავდა თავის გასაჭირს, მორიდებით, კრძალვით, რა იყო ზედმეტად არ შევწუხებულიყავით და წამოსვლაზე არ გვეფიქრა.

ახალი მეგობრის შეძენა, თანაც ჩვენი, კავკასიელი კაცის, თანაც ასეთი წარმოსადეგის, გულღია და ხელუხვი ადამიანის, როგორიც ჩვენი მასპინძელი აბდულა-ანატოლი გახლდათ, მაშინაც და მერეც, დიდხანს, ზეიმითა და სიხარულით მავსებდა. კავკასიონის ბებერ, გამტან-გაუტანელ ქედზე გადაკიდული ხურჯინის იქითა თვალში ჩემი ძმადნაფიცი მეგულებოდა, მას კიდევ მე ვეგულებოდი ხურჯინის აქეთა თვალში. და, მიდიოდა ჩვენი საოცარი რაში — კავკასიონი, ჩვენი სიყვარულისა და უსიტყვო გაგების სწორუპოვარ გზაზე წლების განმავლობაში. ჩამოდიოდა ოჯახით, ჩავდიოდი ოჯახით, ჩამოდიოდა მეგობრებით — ჩავდიოდი მეგობრებით.

ეჰ, ძმაო ანატოლი-აბდულა! ნუთუ არსებობს ქვეყნად, ჩვენშიც, სხვაგანაც, სადაც ჩვენზე უფრო მეტად მოაქვთ თავი მედიცინის უდახვეწილესი სასინჯ-სადიაგნოსტიკო დანადგარებით, არა მგონია არსებობდეს, მაგრამ მაინც თუ არსებობს ის ხელსაწყო-მაჩვენებელი, რომელსაც დაგვადებდნენ გულზე და დაადგენდნენ ჩვენი გულების მაშინდელ ჭიხვინს, თოვლიან კლდეებს ზევიდან რომ გადაჰქროდა და გადად-გადმოდიოდა!

რა არის კავკასიონის ეს აუღებელი და გამტან-გაუტანელი გოლიათი მთა, ჩემო ანატოლი-აბდულა იმ ძმური, მეგობრული, გულანთებული გადაჭიხვინების გარეშე, მე და შენ რომ ვიცოდით, შენ და მე რომ ვიცოდით, ძმაო, აბდულა-ანატოლი?! ამდენი ხალხი ერთად ცხოვრობდეს და ასეთი მეგობრობა და ურთიერთგატანის უნარი შესწევდეს, როგორიც ჩვენს ხალხებს შესწევთ, ჩემო კავკასიონო, ჩემო დიდო კავკასიონო, ჩვენო უძლეველო მხედარო!..

* * *

— ყველაზე ნამდვილი, მცოდნე ექიმები ჩვენში, სამხედრო ექიმები არიან, — მითხრა ანატოლიმ და ჰოსპიტალში დარეკა.

ათიოდე წუთის შემდეგ, სამხედრო ეპოლეტებიანი ორი ახალგაზრდა ექიმი შემოვიდა ოთახში, ცოტა წაიხემსეს ჩვენთან ერთად და მასპინძელი გასინჯეს. მოხდენილი ბიჭები იყვნენ, მახსოვს, ერთი მათგანი გვარად ტოლსტოი იყო. საუკუნის წინანდელი სასიამოვნო გრძნობა დამეუფლა: პუშკინი, ლერმონტოვი, ლევ ტოლსტოი! — ჩეხოვი ხომ არ ბრძანდებით-მეთქი, ხუმრობით ვკითხე მეორე ექიმს.

ექიმებმა გულდასმით გასინჯეს ანატოლი-აბდულა და გურამის დიაგნოზი ძალაში დატოვეს. — სასწრაფოდ უნდა მოგათავსოთ ჰოსპიტალში, იზოლიატორში, — განუცხადეს ექიმებმა, — ავადმყოფობა გადამდებია და შინ დატოვება დანაშაულიაო.

გაამზადა ანატოლი მეუღლემ. აღარ იცოდა, რა ექნა, ისე წუხდა ძმადნაფიცი ჩვენთან განშორებას. დავაბინავეთ ჰოსპიტალში, დავემშვიდობეთ, დარდიანი მეუღლე და ქალიშვილები მანქანით შინ მოვიყვანეთ, მათაც დავემშვიდობეთ და შინისაკენ ავიღეთ გეზი.

ოდნავ მოთოვლილსა და მომდნარ ტრასას გრიგალივით გადაუარა ქარ-ყინულოვანმა ციკლონმა და სარკედ აქცია. მინის გამთბობიც მწყობრიდან გამოვიდა; ან რა ღუმელი გაათბობდა და გაალღვობდა იმისისქე ყინულს, ჩვენი მანქანის პარპრიზმა რომ აიდო!

გზად მარილი გამოვიყოლეთ, ვჩერდებოდით, მარილით ვსრესდით მანქანის მინაზე ხილვაგაუმტარი შუშასავით მოდუღებულ ყინულს და ცოტათი რომ გავაფართოვებდით სათვალთვალოს, გზას განვაგრძობდით...

აი, ეს საჭირბოროტო გზა გვქონდა გამოვლილი მე და გურამს, მისი სახლის წინ რომ დავძარი სიტყვა დაღესტანზე ხელმეორედ გადასვლის თაობაზე.

ცოლ-შვილის, მოხუცი მშობლების პატრონია, სამსახურიც დაძაბული აქვს, არ გაემტყუნება უარით რომ გამომისტუმროს.

შევყურებ. კირკიტულ-გამჭრიახული ჩაფიქრება იცის, უცბად ვერ დაიყოლიებ. ისე, ჩვენში დარჩეს და თავის დაფასებაც გვარიანად ეხერხება. მე ასეთი რამ არ შემიძლია, მაგრამ, კონკრეტული დარგის მუშაკია, ყველა იმ ცოდნით და თვისებებით შემკული, ზეშთ რომ მოგახსენეთ; რა საძრახისია, ცოტა თავიც დაიჭიროს?!.

— რა გაეწყობა, საქმე ითხოვს და უნდა წავიდეთ. დილის ექვს

საათზე გელოდები! — მითხრა გურამმა, — ამაღამ გარაჟის გამგეს დავურეკავ, გადაუდებელი თუ არაფერი გამოხტა, გამომიშვებს. ხომ იცი, ძმაო, კინოსტუდია იგივე სახელმწიფო ქარხანაა, ნინიას ბალი კი არ არის. გამოვწიო, წამოვიდე ხალხის გაუფრთხილებლად, ქარაფშუტობა გამოძივა, მამულიშვილო, შენც დაეჭვდები, ჩემო ძერაბ, ჩემს სერიოზულობაში, ეჭვიანობა კი ორთაშუა არ ვარგა, თანაც ასეთ გზაზე.

— ხვალ ექვს საათზე კი მოვალ, მაგრამ წასვლა ზეგისთვის გადავდოთ, მანქანასაც ჩავხედოთ, რა უჭირს, რა ულხინს, ღუმელი ძოვუწესრიგოთ, ჩვენც დავისვენოთ, სამსახურის საქმესაც გადაავლე თვალი და ზეგ დილით ჰაიდა! — შევაწოდე გურამს ჩემი წინადადება. ჭკუაში დაუჯდა:

— ადამიანი, ჩემო მერაბ, თუ გონების ჭაში ჩაიხედავს, გამოსავალს უსათუოდ ჰპოვებს. დაუძლეველი და გაუკეთებელი საიმისო არაფერია, გზასაც მოევლება.

ძეორე გზობის ამბავს ვრცლად აღარ მოვყვები. ჯვრამდე არა უშავდა რა, ჯვარს იქითაც თოვლი იყო და მანქანას ბევრი არ გასჭირვებია. გველეთიდან ორჯონიკიძემდე თვალები დავითხარეთ, ისეთი ნისლი იყო ჩაწოლილი. ორჯონიკიძიდან ბუინაკსკამდე კი სუფთა ყინულით იყო გზა გადალესილი. ყინულზე უარესს ნისლი სჩადიოდა. რამდენიმე ადგილას, შეჩერების მერე, ვეღარც კი დავძარით ძანქანა; სალესი ჩარხივით ერთ ადგილზე ბზრიალებდა ბორბალი. ასეთ შემთხვევაში მარილს ვაყრიდით ყინულს, ვალღობდით და მოძრაობას კუს ნაბიჯებით განვაგრძობდით.

ხშირ-ხშირად გვხვდებოდა ნაავარიალი მანქანები. აჭარხლებული ავტოინსპექტორები გაფაციცებულები ურბენდნენ გაჭირვებულ ძანქანებს, დაზარალებული მგზავრები სასწრაფო დახმარების მანქანებში გადაჰყავდათ. სასწრაფო ჰქვია, მაგრამ სასწრაფოს ვერაფერს ახერხებს ასეთ ამინდში წითელჯვრიანი მანქანა, მასაც ისეთივე საბურავები აქვს, როგორც იმ „იკაროსებს“, დაჭრილი ვეფხვებივით რომ გადახოხებულიყვნენ გზიდან თხრილში და იარებს ილოკავდნენ...

ვაი ამ გადასვლას, მაგრამ, მაინც გადავედით, მაინც ჩავედით!..

პირდაპირ პოსპიტალს მივაშურეთ, ოჯახი არც მოგვინახულებია. ბალახეული წამლის გადაცემის, ძმადნაფიცის ნახვის უფლება ვთხოვეთ ჩვენს ნაცნობ ექიმებს. წამალი, თუ არას არგებს, არც არას აწყენსო — გვითხრეს, — მეგობრის ნახვის უფლებას კი ვერ მოგ-

ცემთ. ფანჯარასთან მოვუხმობთ, თუ მაინცა და მაინც არ მოგიშლიათო — გვითხრეს, წამალი ჩამოგვართვეს, ავადმყოფს შეუტანეს შარტივი რეცეპტიანად. წინასწარ მოფშვნიტეს, დაყნოსეს.

ძნელია და არცაა საჭირო იმ შემინული შეხვედრის აღწერა. ჩვენსა და აბდულა-ანატოლის შორის რომ მოხდა. ორმოცდაათს მიტანებული, ჭირნახადი და გამოცდილი კაცი იყო, გზაც დიდი ჰქონდა გავლილი და სიკეთეც ნათესი ჰქონდა ამ გზებზე. მკერდზე აისვა ორივე მტევანი, სახესთან წარბებშუა შეაყოვნა ერთად შეწებებული, თვალები დახუჭა და კარგა ხანს იყო ასე მუსლიმურად გაყუჩებული. მისი ეს მოძრაობა ცხადია არ გახლდათ რელიგიური ექსტაზის გამომხატველი, ჩვენნაირი კაცი იყო და გულიც ჩვენსავით უცემდა.

ჩვენი წინაპრები ორას რაღაცა წლის წინ სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ შეტაკებულნი. ლეკთა მცირე თარეშისაგან გატყდა წელში საქართველო, ზურგიდან თავდასხმებისაგან.

ვიდექით: იქით ის, აქეთ ჩვენ, ნაიარევის ორასი წლის თავზე და ღაპაღუპით მოგვდიოდა ცრემლი.

სადაო აღარაფერი გვქონდა, აღარც გასაყოფი. ახალმა დრომ ყველაფერი კალაპოტში ჩააყენა.

არც ის ფიქრობდა შამილზე, აღარც მე მეფე ერეკლეზე, ჩვენი ფიქრები ურთიერთძმობისა და მეგობრობის ხვალინდელ დღეს დასტრიალებდა...

დრო — ლმობიერი, დრო — ულმობელი!

ჩემო ახალგაზრდა მკითხველო, ახალბედა მწერალო!

ძალიან დიდხანს მეგონა, რომ დრო ერთ ადგილზე იდო ლოდივით: გავურბენდი ამ ლოდს, გამოვურბენდი, გავურბენდი და გამოვურბენდი. ეს ლოდი იდო და იდო გაუნძრევლად, იდო ერთსა და იმავე ადგილზე, იდო და თვალს ადევნებდა ჩემს მოძრაობას, მახელებდა თავისი უძრაობით. ხანდახან შევჩერდებოდი წამით მის სიახლოვეს, მინდოდა დავტაკებოდი, მივწოლოდი, ამეგორებინა და ჩემს გვერდით მეტარებინა, მენახა, როგორ ამყვებოდა, იმოძრავებდა, ჩამოჯდებოდა ჩემთან ერთად, გამოიქცეოდა, გაიქცეოდა, შეიყვარებდა, შეიძულებდა ჩემთან ერთად, შეანგრევდა სიმაგრეებს ჩემთან ერთად, მწვერვალზე ამოიჭრებოდა, დაბლაც ჩამომყვებოდა, ფილმშიაც შემომყვებოდა, სცენაზეც დევივით დამიდგებოდა, ტაშსაც დამიკრავდა, სილასაც შემომკრავდა.

იდო თავის ადგილზე, იდო ლოდივით, გაუნძრევლად, არც მიმდევდა და არც მომდევდა. თვალი შევაჩვიე და ვეღარ ვამჩნევდი მის არსებობას, გაქრა დრო ჩემი თვალსაწიერიდან, სადღაც გადაიკარგა, აღარ იდო იმ მწვანე, ხასხასა ველზე, სადაც ასიათასჯერ ჩამივლია.

გადავივლიდი კავკასის მთას, ჩავუჯდებოდი ჩემს აბდულა-ანატოლის უნაგირაზე გადაკიდულ ხურჯინის მისეულ თვალში, გადმოვიდოდა ჩემთან ჩემი ანატოლი-აბდულა, ჩავაბუდებდი ხურჯინის ჩემეულ თვალში და ვისხედით ასე ხან იქ, ხან ჩემთან, ლუკმას ვიყოფდით, ძმობას ვუნაცვლებდით ერთმანეთს, ფიქრებს ვუნაცვლებდით; ხან შორიდან ახლოს მოვდიოდით, ხანაც ახლოდან შორს მივგელაობდით.

ყუბაჩებში ამიყვანა ერთხელ, მამისეულ აულში, ნისლებს ზემოთ რომ იყო ასროლილი ასკომლიანი აული, ბანი-ბანს ებმოდა, როგორც ქარავანში წერო — წეროს. წეროს ნისკარტი ეკავა ყველა ყუბაჩელ ოქრომჭედელს საჭრეთლად, ვერცხლის ჩაქუჩები წკრიალებდა ვეებერთელა აულში, წკრიალებდა უწყვეტად, საუკუნეების გახმავლობაში; დიდიც, პატარაც ჩუქურთმას ჰკვეთავდა საუკუნეთა უწყვეტ ქარავანში: ჰკვეთავდა მასწავლებელიც, მეცნიერიც, ექიმიც, ბეითალიც. ამ აულიდან აფრენილი არ მინახავს დაღესტანში არავინ, რა საქმეზეც უნდა მდგარიყო, თავისუფალ დროს ხელთ საჭრეთელი რომ არ სჭეროდა, ვერცხლის ჩაქუჩი რომ არ ეწკრიალებინა, თავისი ხელით დამზადებული ნატიფი სამკაული გულზე რომ არ ჰკიდებოდა თავმომწონედ, ამაყად.

ერთი ბანიანი ბინიდან მეორეში გავდიოდით, მეორედან — მესამეში, მესამედან — მეოთხეში, მეხუთეში, მეექვსეში... მეასეში, მეორასეში. გაჰქონდა წკრიალი ყუბაჩ ოსტატთა ჩაქუჩებს, წრიპინებდა საჭრეთელი. წვეროსანი მოხუციდან მოკიდებული, ქორფა ყმაწვილამდე ამ მამაპაპურ საქმეს მისდევდა.

ზედა სართულის ოთახის ორი კედელი ძველი ფრანგული ჭურჭლით ჰქონდა დამშვენებული, დანარჩენ კედელზე თავიანთი ნახელავი უთვალავი დიდ-პატარა სპილენძის ქვაბი და სხვა, ნატიფი საოჯახო ჭურჭელი ჰქონდათ თარო-თარო გაწყობილი. გული მწყდებოდა, რომ ჩვენში, მამაპაპურს, ესოდენ მნიშვნელოვან ხელოვნებას, თანაც ასეთი მასშტაბით აღარავინ არ მისდევდა. ვეფხვის ტყაოსანი ძაინც გვეწერ-გვეთეთრებინა ყმაწვილობიდან — სიბერემდე, სავალ-

დებულოდ, განა კანტი-კუნტად, არც სიბრძნე გამოგვეცლებოდა და კალიგრაფიასაც გავაფაქიზებდით, — ბევრჯერ მიფიქრია იქ ყოფნისას.

— ფრანგები ჩამოდიოდნენ, ძვირფას ჭურჭელს ჩვენს ნახელავში გვიცვლიდნენ, — მითხრეს იქაურებმა. — ჩვენც მივდიოდით საფრანგეთში, გვქონდა სავაჭრო ურთიერთობა.

ბანი-ბან გადაბმული, ერთგვირაბიანი კაზმული სოფელი! ასეთი მრავალსარტყლიანი საოჯახო სახლ-გვირაბები უნდა გადასდევდეს კავკასის ბედაურს ვერცხლის მოსართავებად, ძმობის სამკაულებად და არა მიწისქვეშა ხვრეტელი, ბრმად რომ გაივლეს ძმათა გულებში!

ერთ-ერთი პირველი სტუმრობისას თავისი ნაჭედ-ნატვიფრი ხანჯალი მაჩუქა ჩემმა ანატოლი-აბდულამ, ჩამიხუტა და ისე მაჩუქა.

ჩემი ანატოლის ნაჩუქარმა ხანჯალმა იქვე, ჩვენს თვალწინ მოკლა დრო და მარადისობა მოიყვანა! მარადისობა — ტოლი ჩვენი კავკასიონისა!..

თვეები — ცხვრებივით მისდევდნენ ერთმანეთს, წლები — წყლებივით...

მარადისობა იდგა, მარადისობა დგას, ის არ არის დრო!..

საბეჭდი მანქანის სათითურებიც ც, რ, ე, მ, ლ, ი, შევნიშნე, ძერე, ც, რ, ე, მ, ლ, ე, ბ, ი! შევისვენე, გავედ-გამოვედი, კვლავ მივუჯექი სამუშაოს. ცრემლიანი ასოები წეროებად აფრენილიყვნენ და თოვლიან მთას გადადიოდნენ, ჩემს ანატოლი-აბდულასაკენ მიისწრაფოდნენ.

ავიწიე, გადავიხედე...

ჩემი ანატოლი-აბდულა მწვანე მოლზე იწვა, ზღვასა და მთას შუა, დროის ის მასხარა, ერთ ადგილას ნაგდები ლოდი ედო გულზე.

იწვა, როგორც ბუმბერაზი და ფართო მკერდზე ეს გაქვავებული არარაობა შეჰგორებოდა; დროის სისულელე ეწერა ზედ. რამდენიმე წლით იყო ჩემზე უფროსი. განა დრო იყო! არა, არ იყო! უტვინო ლოდს ჰგონებოდა, დროაო და გულზე შეჰგორებოდა, გულზე დასწოლოდა. არარაობას ჰგავდა ლოდი მის განიერ მკერდზე...

ლოდის გადაგორება დავაპირე, მაგრამ, სწორედ ამ დროს მთაზე შევნიშნე ჩემი აბდულა-ანატოლი, მარადიულ მხედარს შემოესვა უნაგირზე და ამაოებისაგან შორს სადღაც მიაქროლებდა...

დრო შეიცვალაო, ვიტყვით.

ჩვენ ვიცვლებით დროის მიმართ.

დრო — ლოდია, დევს მწვანე მოლზე, მთასა და ზღვას შორის, არაფერი იმას არ აწუხებს და ამიტომაც არ ილევა.

ვილევით ჩვენ, ადამიანები და ვიღწვით იმისათვის, ვადაზე ადრე რომ არ გავილიოთ, ჩვენი საბრძოლო მახვილის ტარი — „ვადა“, ჩვენთან ერთად რომ გაცვდეს, უწინ რომ არ შემოგვაგორდეს მკერდზე ის ლოდი, დროს რომ ეძახიან ლოდმტყორცნელები, ვადის გალევამდე რომ არ გაილიოს ცივილიზაცია დედამიწაზე!..



სინოს წითელი ხარები

— ჰო, ნანა, ჰოი, ნანა, ჰო, ნანავო! — ხმამაღლა ღიღინებდა სინო სადღაც ყურმოკრულ სიმღერას.

— ნუ მღერი, რა!

— რა ვქნა?.. ჰოი, ნანა, ჰო, ნანა, ჰოი, ნანავო!

— გაჩუმდი!

— რათა, ნანა?

— საბანი ამომიგე.

— ჰოო-ჰო! — ცოლსაც პასუხი გასცა სინომ და წითელმა ხარებმაც შეწყვიტეს თავის ქნევა.

— კიდე?

— ცოტა კიდე.

— ეხლა?

— საყოფია.

— ცოტათი მაინც არ დაგიამდა?

— არა, ისევ ისე მტკივა.

კვლავ დაარწიეს წითელმა ხარებმა საყანწე რქები და წამიერი შედგომისას თოვლს შეყინული მარხილი წრიპინით დაიძრა.

ჯერ სინოს ტატყა ფეხები მიანგრევდა უმკვლევ თოვლს და მერე უკვე წითელ ხარებს გაჰყავდათ ბილიკები. ტყიანი მთის ფერდზე

ბრსრიალებდა მარხილი. თხილის შხოპლებით მოწნულ მარხილში სინოს ცოლი ნანა იწვა ჭრელ საბნებში შეფუთული.

ხამ-ოთხ ბანიანი სამოსახლო, ნაწყვეტი ჭაჯვივით რომ ეკიდა ერთხანს, აღარ მოსჩანდა, ჩაჩუმქრულიყო და სინო თავისი მარხილიდან თოვლიდან გამოდიოდა თითქო...

მთვარე თამაშობდა სინოს წითელი ხარების რქებში...

— ჰო. ნანა, ჰოი, ნანა, ჰო, ნანავო!

მერე ერთბაშად გაჩუმდა სინო, გაიტვრინა. რამდენიმე ფრთხილი ნაბიჯი კიდევ წადგა წინ და გაჩერდა, ჯერ მარცხნივ ჩაიხედა ხევში. მერე მარჯვნივ ახედა ტყეწაწვენილ ფერდობს და ბევრი რამ ჩაითქვა: ჯიხვს აღარ ესროდა, გადასაყრელიც რომ ჰქონოდა წამალი. ერთ ჯაურას გათიბავდა ირმებისათვის, ერთ მსუქან თხას დაკლავდა ხატიჯვრობაში და უფროს შვილს დაელაპარაკებოდა. მესამე და მეოთხე აღთქმა შინიდან გამოსვლისთანავე ჩაიფიქრა, ზეკარა უბერავდა, და ორი ახალი აღთქმაც იმიტომ დაუმატა გზის დასაწყისში შეთქმულს სინომ.

ზეკარამ იცის, უცებ მოუსვამს სუსხიან ენას მთის წვერს, მუშტისოდენა უმანკო გუნდას გამოისვრის ვითომც აქ არაფერიაო და მერე... სინომ გუნებაში პირჯვარიც გამოისახა... და მერე ათასლულიანი ქვემეხივით დაიქუხებს ზვავი თოვლგასუდრულ უძირო ხეობაში...

— ჰო, ნანა, ჰოი, ნანა, ჰო, ნანავო! — ისევ აღიღინდა ჭირისოფლდასხმული სინო. ნანამ საბანი გადაიწია ტუჩებიდან.

— გავიარეთ? — მისუსტებული ხმით იკითხა ნანამ.

— ჰო, ნანა, ჰოი, ნანა, ჰო, ნანავო!..

დედას უტირებს სინო ჯიხვსა, თუკი სათოფეზე მოიგდო. ოხრად არ დაარჩენს სევადიანსა, მხარზე რომ ჰკიდია, მსუქან თხას ასამსევებს და ტყუპ ციკანსაც გააგდებინებს ადრე გაზაფხულზე, ხატს უსინოოდაც მიუვა შესაწევარი, თუ არ მიუვა და არც იმას იდარდებს.

— არა, ნანა? — ნახევრად მიაბრუნა სინომ ყბა ცოლისაკენ.

— რა იყო? — იკითხა ნანამ.

— წითელი ვაშლები ხო გიყვარს?

— ჰო.

— მამდარინი?

— ჰო.

— ამ ტყეში საიდან მოგიტანო მერე?...

— როდისა გთხოვე?

— ჯერ ჩაგიყვანო ქალაქში, შენი თხოვნა რად მინდა! ჯერ ჩაგიყვანო!

— ეეჰ.

— გტკივა?

— ჰო.

— დაგიკლო, თუ ისევ ისე?

— ისევ ისე.

— ნუ გეშინია! ჩაგასრიალო, სუ ტრედებივით დაგახვიო ექიმები.

— გზაში თუ არ გაგეპარე.

— სადა, ნანა?

— მიუსავალში.

— შენი მტერი, ნანა, ჩვენი მტერი, ნანა! — სინომ ისევ შეაბრუნა თავი და უღელს ჩავლებული ძარღვიანი ტორით ისე გაიწია მარხილი, რომ ყბებში მოებჯინათ აპეურები ხარებს.

* * *

მთვარე აღარსად იყო, ვარსკვლავებიღა ისხდნენ ცაზე.

ხანდახან გამოჰყოფდა ხოლმე სინო ხელს ჭრელი საბნიდან და ცეცხლს შეუკეთებდა.

წითელი ხარები აქეთ-იქიდან შემოსდგომოდნენ მარხილს, ლეიბქვეშ გაგებულ აბრეშუმივით თივას ითრევდნენ და მადიანად ახრამუნებდნენ. გატვრენილი იწვა ცოლის გვერდით სინო და თივის ხრამუნს უგდებდა ყურს.

მერე ნერწყვი გადაყლაპა სინომ და ნანას გადახედა.

ნანას თვალები ღია ჰქონდა.

— არა გძინავს?

— ისევ ისე მივლის.

— ისევ ისე?

— ჰო.

— რო დაიძინო?

— ვერა.

— ეგება გშია და ვერ იძინებ? — ერთმა ხარმა ზედ ყურისძირზე აუხრამუნა ბღუჯა თივა სინოს. სინომ ისევ გადაყლაპა ნერწყვი.

— ეგებ გშია და? — სინოს პასუხისათვის აღარ მოუცდია, ბა-

ლიშქვეშიდან ჩვარში გახვეული თხის წიბო ამოიძრო, რქისტარა დანით წაუწყვიტა სახრეს, წიბო ზედ წამოაგო და ცეცხლზე გადაიშვირა ხელი.

ყინვით შეკრული ჰაერი ნაღვერდალზე დაწვეთებულმა სისხლის სუნმა გასტეხა. სინო უკვე წამდაუწუმ ყლაპავდა ნერწყვს.

— თუ გშიოდა, რატომ არ მითხარი?

— ჯერ კიდევ შორია ქალაქამდე.

— მერე რა, ერთი წიბო კიდე გდია. ბარკლის ნაწილიც არი.

— ჰოო?

— მაშა, ხვალ არა და, ზეგ იქ უნდა ვიყოთ. — სინომ მარცხენა ხელი გადაყო ცოლისაკენ, ცოლზე ადრე ხარის დრუნჩს წამოედო ხელი, სინოს ღიმილი მოერია. ჯერ ხარს შეუღიტინა ღაბაბში, მერე ცოლს მოუფათურა სახეზე:

— წითელი ვაშლები ხო გიყვარს, ნანა?

— ეეჰ.

— მამდარინი?

ნიკაპი შეანძრია ცოლმა თანხმობის ნიშნად.

— იმდენი გაჭამო, რო! ამ მარხილს პირამდე გაგივსებ.

სინომ სუნზე შეატყო, რომ ხორცი მზად იყო, ერთხელ კიდევ შეატრიალა სახრე და მწვადი ცეცხლს მოაშორა.

— ჰო ჰოი, სინოო!

— ჰო ჰოი, ნანა, ჰო, ნანა. — სცადა წაღიღინება სინომ.

— გაჩუმდი!

— მერეც მეყოფა, ნანა! — სინომ გაიღიმა და ქონიანი ტუჩები მიადო ცოლის შეცივნებულ ლოყას. აკოცა.

— წითელი ვაშლები, ნანა!

— თავი დამანებე!

— მამდარინები, ნანა!

— არ მინდა, შე ფიციტეხია!

— რატომა, ნანა? — სინო ცოლს მიეკრო, იღლიაში შეუღიტინა.

— ოჰ, მეე!... — აწკმუტუნდა დედაკაცი ჭრელსაბანქვეშ.

სინომ ყური არ ათხოვა ცოლის უარობას, გამოხრული წიბო გასტყორცნა და მეორე ხელიც ჩაუყო საბანქვეშ.

— ოჰიმეე, მოვკვდები!...

სინოს გატყორცნილი ძვალიც მისრიალებდა თავქვე, ყინულგადაკრულ, ხელუხლებელ თოვლზე... და მერე აღარც სინო ფათურობდა, აღარც ნანა ოხრავდა, ორივეს ეძინათ ჭრელ საბნის ქვეშ,

ცეცხლი იღვლეფებოდა, წითელი ხარები ისევ გემრიელად ახრაჭუნებდნენ ლეიბქვეშიდან გამოძენძილ აბრეშუმივით ნაზ თივას.

ხანდახან გაიჭახუნებდა ტყეში ყინვისაგან გახეთქილი ხე. მერე ცალ იდაყვზე წამოიწია, ცვრიანი წიბო შუაზე გაგლიჯა, ნახევარი ნანას მიაწოდა და ნახევარსაც თითონ გაავლო მოცვეთილი კბილი.

ნანამ ხორცი მოგლიჯა და ღეჭვა იწყო. სინოს ცოტა მოეშვა გულზე. თვითონაც იწყო ჭამა. ცოლზე ფიქრს ორიოდე წუთით შეეშვა და უფროს ბიჭს დაელაპარაკა გუნებაში, მაგრამ ორი სიტყვაც არა ჰქონდა ნათქვამი, რომ საშინლად გაბრაზდა, ათასი ხე მოგლიჯა და ქვეშოთ გასტყორცნა, ათასი ლოდი აჰგლიჯა კლდესა და გატყორცნილ ხეებს მიაყოლა, თან თვალი გაადევნა ლოდებსა და ხეებს.

არც ერთი ხე და არც ერთი ლოდი არ მოხვედრია ქვემოთ, ბარში გზისპირას წამდგარ ინსპექციის შენობას, ჭრელი შლაგბაუმიც ხელუხლებელი დარჩა, ბიჭიც...

— ბიჭს მაინც არ დაველაპარაკები, რო!.. — თქვა სინომ და ძვალი ამოამტვრია ჭიამიუკარებელ ძირის კბილებში.

— რო ჩაუთქვი? — ნანამ ძვალის ძიძგნას თავი ანება.

— მერე რა, რო ჩავუთქვი, თავი რომ მომჭრა! მაშ ჯიხვზეც აიღოს ხელი სინომ? არ დაველაპარაკები და მორჩა!

— მოვკვდები, — ამოიკვნესა ნანამ და გამოხრული ძვალი თოვლზე გადააგდო.

ძვალი თავქვე დასრიალდა.

— რათა, ნანა?

— რო ჩაუთქვი და სიტყვა გასტეხე...

— შენ კარგა იყა და...

— როგორღა ვიყო? მოვკვდები!..

— არა, ნანა!

* * *

— დამიჭი, ნანა, ჰოი, ნანა ჰო, ნანავო! შვიდი, ცხრა, დამიჭი, აჰა, ჰოპ, თხუთმეტი, ოცი, ორი, სამი! — მუხლამდე წყალში იდგა სინო, ოჩხი ამოენგრია და ყინულივით ლიპ კალმახებს ისროდა თოვლზე. ვეება ხელებს ნიჩბებივით უსვამდა შემოჩალულ გუბეს, კალმახს ლაყუჩით ითრევდა და თოვლზე ანარცხებდა. ვარდისფრად წინწკლავდა კალმახის სისხლი თოვლს.

— მოკვდები, შე უბედურო! — უძახდა ნანა ქმარსა და თან თვალს არ აშორებდა თოვლზე მოხტუნავე კალმახებს.

— ამოდი, მოკვდები!

— ცოტა კიდე, ნანა, ცოტა კიდე, არც ექიმებს აწყენთ თითო ჭრელი კალმახი. ვაშლიც ხო გინდა, ნანა. დამიჭი, ჰოოპ, რამდენია, ოთხმოც აღარაფერი აკლდება, დამიჭი, ჰოოპ!... მანდარინიც ხომ გინდა.

— ამოდი-მეთქი!

— ჰო, ნანა, — სინომ უკანასკნელად კიდევ მოუსვა გუბეს ხელები, წყვილი კალმახიც დაახეთქა თოვლზე და ნაპირებშეყინული მთის მდინარიდან ამოტოპა.

სინოს გარშემო ხტოდა და ფართხალებდა ათობით კალმახი. ბოლომოღვარჭულ თხილის წკეპლაზე ასხამდა სინო თევზებს და ნანას გვერდითა ჰყრიდა.

მერე მარხილზე ჩამოჯდა და სველი ფეხები დაიწურა.

ხერხეშა წინდებმა გაუხურა ფეხები. ბალიშქვეშიდან გამოაძრო ქაღალდჩაცობილი ლურჯი ბოთლი და ბოლომდე გამოცალა პანტის არაყი...

მარხილი წრიპინით მიჰყვებოდა სოსანისფერი მდინარის ხეობას. მარცხნივ და მარჯვნივ ირწეოდა სინოს წითელი ხარების რქები. სინოს მხარბეჭიც გადად-გადმოდიოდა. ძარღვიანი ტორი ისევ იწევდა უღელს, სინოს „ჰო, ნანა, ჰოი, ნანა“... აყრუებდა ჭალას. მოწნულ მარხილში ჭრელ საბანქვეშ უძრავად იწვა სინოს დედაკაცი, მის გვერდით ჯერ ისევ ფართხალებდნენ სულთამბრძოლი კალმახები. მთის ერთი ქიმიდან მეორეზე ხტოდა მზე და ძუნწი სხივი ხან ჩაიპარებოდა ხეობაში, ხანაც ისევ აიკრიფებოდა. მერე სულაც გაქრა სხივი, თუმცა შუადღე ახალი გადასული იყო.

— სინო! — დაუძახა ნანამ.

— რა იყო, ხო არ მოგშივდა? — სინომ ნამწვადარ სახრეს დასუნა და ცოლისაკენ მობრუნდა.

— ვკვდები, — ნანამ თავი გააქნია.

— მოგიმატა?

— ლამის არის, გვერდი გამომჭამოს.

ხარებმა ანაზდად გაიწიეს, სინომ სახრე წაუქიქინა რქებში, მარხილი ისევ მიეყინა თოვლს.

— როგორა გტკივა?

— როგორა?

— ჰო.

— თითქო... თითქო მიწა ვიყო, და...

— არა, ნანა!

— თითქო მიწა ვიყო და...

— მიწა შენი მტერი იყოს, ნანა, წითელი ვაშლები, ნანა, მამდარინები, ნანა!

— თითქო მიწა ვიყო და ხის ფესვები ჩამზრდოდეს ფერდში, აგერა ისე, აგერ... სინომ იქით მიიხედა, საითაც ნანა ანიშნებდა, მიწა ჩამომზღვრეულიყო თოვლთან ერთად და ნახევრად გაეშიშვლებინა ფესვებჩახლართული გამხმარი ძირკვი.

— ეგრე? — იკითხა სინომ და კუნძს მიაჩერდა.

—ჰო, სინო... საჩინოს ცოლიც მაგან მოკლა, სინო...

— მაგანა? — სინო კუნძს თვალს არ აშორებდა.

— ჰო, სინო, მაგანა.

— საჩინო ხო ქალაქში ცხოვრობდა.

— მერე, რა?

— ჩვენში ეგ სატკივარი არავისა ჰქონია...

— ეგ არი, ეგა, სინო...

— ეგა? — კუნძს მიჩერებულმა სინომ უღელზე დახვეული ჯაჭვის გაშლა იწყო. მერე წელში გარჭობილი კრიალა ნაჯახი გააძრო, კუნძს მიუახლოვდა და ჭდეები გაუკეთა, რომ ჯაჭვი კარგად მოსდებოდა. ჯაჭვის ცალი ბოლო კუნძს შემოახვია და შეჰკრა.

— ეგ არი ჰო, ნანა?

— ჰო, სინო...

— კარგა უყურე! — სინომ დედაკაცს გაუღიმა და სახრე შეათამაშა.

— ხიო, ხი, წიფელა, ხიო, ხიი! — დასჭყივლა სინომ ხარებს და უღელს მიაწვა, — კარგა უყურე, ნანა, კარგა! ხიო, ხიო! ხი, წიფელაა!

ხარებმა უკან-უკან იწყეს დახევა. ჯაჭვი დაიჭიმა, ტკაცა-ტკუცით წყდებოდა ღრმად გამჯდარი ფესვები, ჯირკმა ამოიწია, ამოიწია და ბოლოს, დედაფესვმოგლეჯილი უსულოდ გაგორდა ქათქათა თოვლზე.

— ეხლა! ეხლა, ნანა? — სინომ ცოლს დახედა.

ნანამ ოდნავ გაიღიმა და თავი დააქნია.

— წითელი ვაშლები, ნანა!.. — კალმახები უსულოდ ეყარნენ მოწნულ მარხილზე. ნანა იღიმებოდა.

— ჰო, ნანა, ჰოი, ნანა, ჰოი, ნანავო!

* * *

ხეობა გაიშალა და ველი გამოჩნდა. ველი ჭრელი იყო. ალაგ თოვლი, ალაგ ხნულები.

— დაიძინე, ნანა!

— არა, სინო. მე მაინც დამალაპარაკე.

— დაიძინე-მეთქი. — სინომ მარხილი შეაყენა.

— მე მაინცა, სინო. ეგება მოვკვდე და მე მაინცა...

— სუ, ნანა.

— არა, არაა, — ცრემლები წასკდა ნანას.

— არა? — სინომ თოფი მოიხსნა, ლულა მუცელში მიიცა და თივით გატენილი ბანდულის წვერი გადაუყო ჩახმახს.

წამშივე შეაშრა ნანას ცრემლი, თვალები დახუჭა.

მარხილი დაიძრა. ერთხანს იხოხიალა და მერე შედგა. შლაგბაუმს ჩაეკეტა გზა, კარანტინი იყო და ჩაეკეტათ. მანქანებს აჩერებდნენ, ჩხრეკდნენ და ისევ უშვებდნენ. ურმებსა და მარხილებს ჩხრეკდნენ და მაინც უარს ეუბნებოდნენ.

წყალდიდობის დროს საგუბარზე მიყრილ ნარიყსა ჰგავდა: მანქანები, ურმები, მარხილები, საქონელი, მთვრალები, ფხიზლები... ერთგან დიდი შავი ქვაბი იდგა ცეცხლზე. გლეხებს ქათმებს აკვლევინებდნენ, აბტყვნევინებდნენ და ისე ატანდნენ. ღორებსაც აკვლევინებდნენ, თუკი პატრონის სურვილიც იყო. იდგა ჭყვიტინი, კაკანკრიახი, აურზაური.

— საავადმყოფო აქაცა გვაქ, ვერ გაგიშვებ, ბერიკაცო, — უთხრა ინსპექტორმა სინოს და წინ გაუდგა. სინომ ცალი თვალით შეათვალიერა ბიჭი და ცოლს გადახედა. ნანას ეძინა.

— გასაგებია, ბერიკაცო, რაც გითხარი? — ინსპექტორი ავადმყოფს მიაჩერდა. სინომ სულ ახლოს აუქნია სახრე ცხვირთან ინსპექტორსა და მარხილის შემობრუნება იწყო.

— წელს რამდენი ჯიხვი მოკალი?

სინომ ეს კითხვაც უპასუხოდ დატოვა.

ინსპექტორს სახე აუჭარხალდა. გარშემო ცნობისმოყვარეებმა მოიყარეს თავი.

— დაიშალეთ! — დაუყვირა ინსპექტორმა.

ხალხი მიმოიფანტა, შორიახლოდან უწყეს თვალთვალი, ბევრმა იცოდა, რაშიაც იყო საქმე და ყურს იგანიერებდა, არაფერი გამოძეპაროსო, ბევრიც პირველად ხედავდა და ისმენდა. სინომ ხარები მოაბრუნა და უკან გარეკა.

— ძოიცა, ბერიკაცო! — ინსპექტორი წინ გადაუდგა. ერთმანეთის პირისპირ აღიმართნენ. სინო ინსპექტორის სიმაღლე იქნებოდა. წლების სიმძიმეს ოდნავ რომ არ მოეხარა მხრებში.

— მე ვიცი, შენ შენის გაყვანა გინდა, არ გამოგივა, არა! ავადმყოფს ამ საავადმყოფოში დამიტოვ, — თითი გაიშვირა ორსართულიანი თეთრი შენობისაკენ.

სინომ თავი გააქნია და მარხილი დასძრა.

ინსპექტორს ცეცხლი წაეკიდა:

— მოიცადე, აქტი უნდა შეგიყენო!

სინო შედგა. ინსპექტორი ახლოს მივიდა მარხილთან. ნანას მაგრად ჰქონდა დახუჭული თვალები. ერთხანს უყურა ავადმყოფს ინსპექტორმა, მერე ფრთხილად შეაცურა თივის ქვეშ ორივე ხელი და ზედიზედ ამოყარა ცარიელი არყის ბოთლები.

— რათა ლოთობ, ბერიკაცო? ჯიხვებს რათა ხოცავ, ბერიკაცო?! — თითქოს თავისთვის ჩაიჩურჩულა ინსპექტორმა და ნანას მიაჩერდა.

ნანას ისევ მაგრად ჰქონდა დახუჭული თვალები. ეძინა... სინომ მარხილი დასძრა.

თივაში დამალული ჯიხვის ტყავები უმწეოდ ჩაფურცლა ინპექტორმა, აწითლებული სახე ღონიერი ხელით მოიწურა და მარხილს მოშორდა სწრაფი ნაბიჯებით.

შლაგბაუმთან დაგუბებული ხალხი სინოს მოქანავე ბეჭებს გასცქეროდა.

— ბიჭისთვის ხმა არ გაუცია, — აღნიშნა ერთმა გლეხმა.

— კლდეა, კაცი კი არა. — თქვა მეორემ.

— რამ გააბედინა წამოსვლა ამ თოვლობაში! — თქვა მესამემ.

— ირემო, მთასა მყვირალო, რამ ჩამოგაგდო ბარადა? — წარმოთქვა სათვალებიანმა სკოლის მასწავლებელმა, რომელიც ნაცნობ მთვრალ გლეხებს რაღაც განცხადებას უწერდა ღვინით სავსე კასრზე...

* * *

— ჰო, ნანა, ჰოი, ნანა, ჰო, ნანავო! — ღიღინებდა სინო.

ქალაქს მიახლოებულები იყვნენ, თოვლის ნასახიც კი არსად იყო, ასფალტს მტვერი ასდიოდა. წელამდე სველი იყო სინო, წითელ ხარებსაც სველი ჰქონდათ ფერდები. სამაგიეროდ მარხილი მშრალი იყო.

— მოვკვდები, მოვკვდები! — კვნესოდა ნანა და ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი, — სიცოცხლე არ მიწერია, არა, შე ფიციტეხია! — ღნაოდა ნანა.

ერთბაშად შეწყვიტა ღიღინი სინომ და დედაკაცს მოხედა. ერთი კი აიწურა სახრიანად ბრაზმორეული, და მერე ისევ დამშვიდდა...

— სუ, ნანა!

— წლები გავიდა, რაღას ერჩი? ვაიმე! — მოსთქვამდა ნანა.

— სუ, ნანა, სუ!

— არა, არა!..

— სუ, ნანა!..

* * *

გამარჯობათ! — უძახდა სინო ქალაქელებს...

მერე დაიღალა და გაჩუმდა...

ხანდახან ჩასთვლემდა ხოლმე სინო და კარგ სიზმრებსაცა ხედავდა. მერე, ასფალტზე ათრეული მარხილის ხრიალი ჩაესმოდა და ისევ ფხიზლდებოდა...

ქალაქს ეძინა გაჩირაღდნებულ ქუჩაზე, სისხლივით წითელ ორ ხარს შუა მიტორტმანებდა დაღლილი და ძილმოძალებული გოლიათი ბერიკაცი. სამივეს ერთად მიჰქონდა ჩიტისბუდესავით მარხილი. მარხილში ნანას ეძინა. კარგ სიზმარსა ხედავდა ნანაც.

დურდო გიორგოგბისთვისა

(მოთხრობა)

სოფელს რომ არ გასჭირვებოდა, ვინ გაუბედავდა ბარამაანთ ლადოს, საკარმიდამოდან ყურძენი ჩაგვაბარეო.

„რა ჩამაბარე, რომ ჩაგაბარო!“ — იმავ წუთს მიუგებდა კუწუმწრახი...

სეტყვა მოვიდა სოფელ ჩაჩხაანის სავენახე ფართობებზე. სეტყვა კი არა და, უფრო მეტიც; ბატკნის თავის სისხო ცვიოდა ბღავილ-ბღავილით ტყვიისფერიდან, თეთრად ჩამოკაფული. რისხვის ზოლად ჩაუქროლა სეტყვამ იქაურობას, ნახევარძმასავით გააპო ზვრები ჩაჩხაანისა. მიტკალივით ჩაახია ერთი ნახევარი და სიმწიფეში შესული რქაწითელის ჯილდოსფერი მტევანი საღორედ აზილა დედამიწაში; ბინდისას მოხდა ეს ყველაფერი, ქურდულად მოხდა...

ღამით ვარსკვლავი აკიაფდა დამსხვრეულ კრამიტებში. დილისათვის უმანკოსავით მოიკრიალა კაბადონმა, მზის ცხოველმა ჩამოსცინა დედამიწას, ლაშქარგადავლილივით აოხრებულ ზვრებსა და

გლეხის ცრემლმიმატებული მტევანი ყინულთან ერთად იწურებოდა დედაბიწაზე. ალაფებული მოტკბო ღვარები ფერმებისაკენ მიექანებოდა, წუნწუხში ერეოდა და ალაზანს ადიდებდა.

არა იყო რა სადიდებელი...

დაძმარდა ნახევარსოფელი...

თვალწინ განახევრდა და გაცუდდა პირობა.

ჩასაბარებლად შეთქმული ორი ათასი — ათასად იქცა, პირის გატეხა იქით იყოს და, ნახევარსოფელი პირამოხახული და უდღეგრძელებელი რჩებოდა.

შეყვითლებული ძველი არყით დაითვრნენ დაზარალებული გლეხები და სულ ხმამაღლა, უჩოთიროდ აგინეს ზეცას თავის მთვარევარსკვლავიანად.

ამ ღრიანცელში მოევლინა ბარამაანთ ლადო დაზარალებული მეზობლების სიმწრის სუფრას საკუთარი პურ-ღვინოთი. „მეც თქვენთან ვარ, ბიჭებო!“ — დაიძახა ლადომ და სათავისო ზედაშეთი გამეტებით შეუვსო დამშრალი ჭიქები. სასხვისოს მიტანა ვერ გაბედა ბაზრიკაცმა.

გრძელი სუფრის ერთ მხარეს დაზარალებულები ისხდნენ, მეორე მხარეს კი გადარჩენილი მამულის პატრონები. ლადოც გადარჩენილების სიაში იყო, ნასეტყვის მიჯნაზე მოჰყვა ბარამაანთ ლადოს ვენახი, დაუზარალებელ მეორე ნახევარში...

თავმჯდომარემ ცოტა ხნით შემოიარა, იჯდა კრიჭაშეკრული, არც დაულევია, არც გაუღეჭია.

„მეც თქვენთანა ვარ, ბიჭებო!“ — კვლავ დაიძახა ლადომ. ნეტა რა მოარბენინებდა და რა აყვირებდა, ამ კუჭბაწარასა, ამასა, კაცმა რომ თქვას სახელშელახულმა, გზასგაკრულმა გლეხმა, წახდენილი სახელის აღსადგენი ჟამი იყნოსა და ჩავაბარებ, უკლებლივ ჩავაბარებო! — დაიძახა და მერეც სულ იძახდა. კარგა კი ჰქონდა გამჯდარი სასმელი ძარღვებში. ერთი ხელადა სულმოუთქმელად გამოსცალა სახლში, მამულის გადარჩენის სიხარულით წამოგზნებულმა, მეორე ხელადაც დაზარალებულთა სუფრაზე შემოელია და როცა შეეჭვებულმა თავმჯდომარემ დანისლული მზერა მისკენ გამოაძოვა, ერთხელაც მაშინ დაიძახა, „ჩავაბარებ, უკლებლივ ჩავაბარებ, ბიჭებო!“..

სხვა ჭიაცა სჭამდა ბარამაანთ ლადოს, თორემ მარტო სოფლად სახელის მოხვეჭისათვის ამ ნაბიჯს არ გადადგამდა, არა. ეს მეორე და მთავარი ჭია ქალაქში მაცხოვრებელ, დაოჯახებულ ვაჟთან უბ-

რად ყოფნა იყო. თავისი კუჭბაწარაობითა და წყალ-წყალა წანწალით ისე გაეხადა საქმე, რომ ერთადერთი ვაჟიც გასხვისებულივით ცხოვრობდა დედაქალაქში და შინისაკენ ფეხდამძიმებული უმამაპაპოდ ზრდიდა შვილებს...

„მგელმა თქვა, ქორწილს ვაპირებ,

ღვინო ჩავასხი ნასეტყვის...“ — ცისარტყელასავით ააკრეს შვიდხმიანი გამწარებულმა გლეხებმა.

„ჩავაბარებ, უკლებლივ ჩავაბარებ!“... — შემოთავსებულ სიმღერას დააყოლა ლადომ და შინისაკენ გამოსწია.

„მგელმა თქვა... მგელმა, მგელმა თქვაა“, — გზა-გზა ღიღინებდა ძხარში გასწორებული ლადო. ცოლს არაფერი უთქვამს, ისე შეხედა ერთი შეხედვითა და მერე ლოგინი დაუგო. კიდევ შეხედა, როცა ლადო აღარავის უყურებდა.

მეორე თუ მესამე დღესაც, მანამდე უჩვეულო, მოკეთილო ზრახვებით შეზარხოშებულმა ლადომ საერთო კრებაზეც იძახა: „ჩავაბარებ, წმინდად ჩავაბარებ, ბიჭებო!“

„ღვინო ჩავასხი ნასეტყვი“, — ღიღინებდა კრებიდან წამოსული ლადო, ჯირკისჯანიანი ორმოცდაათი წლის თაღლითა გლეხკაცი, თან იღლიაში ამოდებული ადგილობრივი პაწია გაზეთის დიდ შეკვრას ძოატოკებდა. გაზეთებიდან პირობამიცემული ბარამაანთ ლადო იჭვრიტებოდა: „არც ეგრეა, ბიჭებო, ხალხნო და სოფელო, როგორც გგონიათ!“ — იძახდა ორი ლადო იღლიიდან და იღლიის ზემოდანაც, უპირო თავის სიმრგვალიდან...

დილით, ნაღვლიანი ქუთუთოები რომ განაწება, წინა დღის ადგილობრივი გაზეთიდან თავისმა ორეულმა გამომცდელად შემოსჭვრიტა, ორი ათას კილოგრამ საღვინე ყურძენს ჰპირდებოდა ბარამაანთ ლადო ქვეყნიერებასა.

იმ დღეებში ვენახიდან მოკლეზე როდი ბრუნდებოდა, სოფლის ყველა ორღობე, შუკა და შარა უნდა მოევლო გაზეთებდაიღლიავებულს, ტოლებს ეკაფიავებოდა ენამჭრელი, უფროსებს დარიგებასა სთხოვდა მორჩილად თავდახრილი, ყმაწვილებს კი დარიგებებს ურიგებდა გაზეთთან ერთად...

მეშვიდე თუ მერვე დილას რომ გაიღვიძა და გაზეთიდან მამზერალ თავის ორეულს თვალი ჩაუკრა, ერთბაშად ისეთი ცეცხლი შეუნთო და შეუკეთა მეუღლემ, რომ სულ ტკაცა-ტკუცით წამოაფრინა ლოგინიდან.

— პირობა ცხვირის დაცემინება როდია, შე ცხრაპირავ და ცხრა-

კუდავ. შენა, თანაც გაზეთშიც რომ გამომეჭიმე და ერთი ამბავი შეჭქონი... აბა, გახედე ერთი. რა ყოფა აქვთ შენს დაბევებულ მუშტრებსა. გასწი, გახედე და პასუხი გაეც მისამარასა, თორე!... არ გესმის, მაგათი მანქანების ჭყვიტინი?! — დასცაცხანებდა დედაკაცი და ცოცხით ფანჯრისაკენ მიუთითებდა.

ვიდრე ლადო ფანჯრიდან გასცქეროდა, იმის ზურგს უკან შოლტივით შხუოდა მრავალის თმენით მოღლილი მეუღლის სიტყვა და გასაქანს არ აძლევდა.

— გასწი, უთხარი, რომა წავიდნენ, — რაღაც უსაფუძვლოდ ძიაროშა ლადომ როგორღაც უჩვეულო შემართებით ალესილ მეუღლეს.

— გასწი და უთხარი, ჭირი მომჭამეთ იმათაც და შენცა, როგორც შეიპირე, ისე განიპირე! — მიაკაფა ცოლმა...

— მე ვიცოდი, რო სეტყვა მოვიდოდა, ვიცოდი, რო... — ბუზღუნებდა ლადო. — აჰა, ვისიც რა არი, ცალ-ცალკე გაგიხვევ გაზეთში და მომწყდნენ თავიდან!... — თქვა დაბნეულმა ლადომ და ფულის გახვევა იწყო. ყველა გაზეთში ლადო იგრაგნებოდა ფულთან ერთად... ცოლს ხმა აღარ გაუცია, ცოცხის ფხაკუნით გაერიდა მეორე ოთახში.

დაბევებული მუშტრის გარდა, ჭიშკარს იქით, მეზობლებიც დატორღიალებდნენ სასეიროდ...

— იცი, რას გიზამ, იცი?!... — ემუქრებოდა ერთი მუშტარი.

— წელიწადი ატრიალე ჩემი ფული და ახლა, შე!.. — გაცუდებულ ბეს ჯიბეში იჩრიდა მეორე მუშტარი, პირობიან გაზეთს ზედ ცხვირწინ უხევდა ლადოს და თან დახვეწილი ქალაქურით აგინებდა. მესამემ გაიწია კიდეც...

— ჯერ თავო და თავო, მერე კიდევ სხვაო... მე სოფელს ვერ ვუღალატებ, ვერა. ეხლავე რწმუნებულთან დავრეკავ და... ეხლავე! — უკან-უკან იხევდა ლადო...

— იქ არ ჩამოხვალ, ბაზარზე?! აი, მე თუ შენ დახლზე არ გაგრანდო, კაცი არ ვიყო! — მეოთხე მანქანაც გინებით მოშორდა ლადოს ალაყაფს...

სექტემბერი ნელ-ნელა გაშუალდა. სეტყვის მერე ბარე ათ დღემდე მზემ თვალი არ მოხუჭა და ისე დამკრახა გადარჩენილი ზვრები, რომ დღე-დღეზე რთველს უნდა დაეძახნა...

უკვე ვენახში აღამ-ათენებდა გლეხობა...

ერთ საღამოსაც ბარამაანთ ვენახის ბოლოზე, სახრავი ატმის

ქვეშ გამართულ ქოხში, კრაწაანთ კოტორამ მოაკითხა ჩალის კონაზე დაპირქვავებულ ლადოს, ხმაამოუღებლივ ჩამოუჯდა სახელდახელო ტახტზე და კარგა ხანს გინგლს აცლიდა ატამს მუხლისთავზე.

— მეტის გაჩერება აღარ შეიძლება, დაგვიჭამეს კრაზანებმა, — ამოსთქვა ბოლოს კოტორამ და ლადოს ფერხთით შეხორებულ ატამის კურკას კურკა მიამატა. ლადო ისევ ისე იწვა პირქვე და ჩალას ღეჭავდა წინა კბილებით.

— მუშტარი მოგიყვანე, მანეთნახევრიანია მგონი, — ამოთქვა ბოლოს კოტორამ, წამოდგა და ქოხის კარებში გაჩხირა.

— არა მეკითხება რა! — თქვა ლადომ და დამბალი ჩალა გამოაფურთხა.

— ეგება წაამატოს კიდეც, მონდომებულია, — თქვა კიდევ კრაწამ და იღლიიდან გამოხედა მეზობელს: ლადომ არა უპასუხა რა...

— მა, ლეღვის ფასად ჩავაბაროთ დუნიასა?

— შენი მიეცი, — თქვა ლადომ და წამოდგა.

— ჩემი არა ყოფნის, მეტი უნდა, მგონი აბაზსაც წაუმატებს, — აედევნა ლადოს კოტორა.

რიგთაშუა ვიღაც შავპოსლიკა, უცხო კაცი ისვლიპებოდა, კრაწა და ლადო შენიშნა თუ არა, მაშინვე მათკენ გამოეშურა.

— ერთ კვირაში ჩამოვალ, ბეს მთლიანად გაძლევთ, — შორიდანვე დაიწყო მუშტარმა, მტევანს უკანასკნელი კიმპალიც შეასვლიპა, მერე ნასვლეპი გადააგდო, წებოიანი ლადოს ხელის მტევანს შეაწება უბოდიშოდ და განაგრძო:

— ყირიმში, ჩორნი კამნის ბელმუსკატზე ეგრე იციან: მტევანს ყუნწში გადაგრეხავენ ორ-სამჯერ, მაგრამ ზედ ტოვებენ: ერთი კვირის შემდეგ კრეფავენ და მეც ეგრე მინდა, სწორედ, როგორც ყირიმშია, — დაამთავრა შავპოსლიკამ, ზედ ცხვირწინ გასვლიპა ახალი მტევანი და თავისუფალი ხელით ათმანეთიანების წითელი შეკვრა დაუძრო უბიდან ლადოს დასაბმელ-დასაბევებლად...

— შენ რა, კაკლის მურაბა გინდა? — ლადომ მუშტარი მიატოვა და ქვემოთ ჩაუყვა რიგსა.

— გაშრობისას დაგიმატებ, — აედევნა შავპოსლიკა...

— არ გამოვა, სიტყვა იღლიაში მიდევს, — თავი გაიქნია ლადომ.

— შენი სიტყვა ჩემს იღლიაში იყოს, — სხარტად აართვა გაზეთი მუშტარმა. ლადო შემობრუნდა.

— ჩემი სიტყვა კიდევ შენ იღლიაში იყოს, — იმავე წამს მუშტარმა ათმანეთიანების შეკვრა დაუიღლიავა ლადოს.

— არა, არა, — ლადომ ფული უკანვე გაუწოდა.

— სად ათი შაური, სად კიდევ მანეთ-ნახევარი, შე კაი კაცო! — ნაბიჯი წინ წადგა მუშტარმა.

— არა, — თავი გაიქნია ლადომ.

— აბაზიც შრობისა იყოს, რუბსემდისიტ, ჯანი გავარდეს.

— ვერა!

— რუბვოსემდისიტ, კაცო!

— არა... — ძნელად თქვა ლადომ.

— ვა, ძირიანად ხომ არ გართმევ, დევინოსტო?..

— არა... — უფრო ძნელად თქვა ლადომ.

— ნუ გადაგრეხავ, ეგრე იყოს, როგორც არი, — სულ ახლოს ᲫᲘᲘწია მუშტარმა ლადოსთან და კვლავ შეუტია შეკვრით.

— გესმის, ლადო! — ამოიხრიალა კრაწამაც.

— არა! — გაბმით თქვა ლადომ და სულიც შეუგუბდა...

— ხვალ მოისხამს, ჩააბარე, ზეგაც ჩააბარე, ვა! — არ ეშვებოდა შავპოსლიკა და თვალით დასდევდა ლადოს დაკარგულ თვალს.

— ჰა, ლადო! — კვლავ შეუძახა კრაწამ და მანაც ახლოს მიიწია ლადოსთან...

— კილოში ლიტრა-ნახევრის ფასს ვაძლევ და კიდევ უარზეა?! არა, არა, წავედით, ძალაა, აღარ მინდა ვა, წავედით! — ახლა მუშტარმა აქცია ზურგი, გასვლეპილი კლერტი ბრაზით დააგდო და გასწია. კრაწა მას აედევნა. ლადომ ღრმად ამოისუნთქა და უსწორმასწორო ტაატით ჩაუარა დამკრახულ ვაზებს, თითოს ოცი მტევანი ება, ზოგსაც მეტი დაუთვალა, ზოგი მტევანი ხელით გამოსწონა, გაიფიქრა, გამოიფიქრა. ერთბაშად მუშტრის დაგდებულ კლერტს დასწვდა და ახლომახლო ჩხები შეათვალიერა. სწადდა დაედგინა, თუ საიდან იყო მტევანი ართმეული, რომელი მუხლიდან. ბევრი აფათურა შემკრთალი ხელი რქებზე, თვალიც დაძაბა, მაგრამ მტევნის ნაადგილარს ვერაფრით ვეღარ მიაკვლია. მერე თანდათან უკლო ხელის ფათურს და ვაზის წინ მუხლიჩოქზე დაშვებული საკუთარ ფიქრებში ნელნელა გაიბლანდა...

ბინდდებოდა; უმთვარო ღამე დგებოდა, მაგრამ, ღამის ფრინველის წყალობით, ჯერ კიდევ განირჩეოდა ცა დედამიწისაგან.

ძლივს გამართა მუხლი ლადომ, მძიმედ წამოდგა და რიგთა შუა იწყო ბუტბუტი და ბორიალი:

— ჩემი არ არი, ეს ოხერი, ჩემი?! ჰოდა, თითო მტევანი რომ შევართვა, ვითომ ქვეყანა დაიქცევა!..

ამ ფიქრებით დაბორიალებდა ბარამაანთ ლადო დაღამებულ ვენახში და ერთი და იმავეს ბუტბუტით თავის აღმოჩენილ აზრს სარს უდგამდა, სხლავდა, ყელავდა, ამაგრებდა...

და იმ ღამეს თითო ძირს თითო მტევანი შეართვა ლადომ სულ ფეხაკრეფით, ერთი დიდი გოდორი გაავსო. გოდორი ფრთხილად დაუდო ურემს, მეტის სიფრთხილისათვის სახედარიც კი გამოხსნა და ასე, საკუთარი დაგუდული წევით თავის ვენახში ნაპარავი ყურძენი შინ აიტანა და საწნახელში ჩაცალა...

ყურძენი რომ საჭყლეტად გაამზადა, გარეთ გამოვიდა, თამბაქო გააბოლა და ფეხაკრეფით აიარა კიბე ოთახში დღენიადაგ შრომით მოღლილი მეუღლის ქსიტინს მიაყურა და კვლავ მარანში დაბრუნდა. თამბაქო გარეთ ჩააქრო, მარანში არ შეიყოლა ბოლი... მარანქვევრების მოვლა კარგი იცოდა და ყველა ჭურჭელი, — სასხვისოც და სათავისოც, გამართული და ყაიდაში მოყვანილი ჰქონდა. „ერთი ქვევრი, სამკვდრო-სასიცოცხლო, როგორ არ უნდა აივსოს კაცმა?“ — ჩაიჩურჩულა ლადომ და საჭყლეტი გადაატრიალა.

თაფლისფერმა ღვთიურმა სითხემ ქვევრი თანდათან მოპირა. ვენახიდან წამოღებული მანეულის წკეპლები გააწყო ქვევრზე, ზედ ვაზის ფართო ფოთლები დააფარა და სარქველი სანახევროდ მოახმო... ბადაგის სურნელმა გაავსო მარანი, ჭიქა ცალკე ქვევრში დააბინავა ლადომ, საქმემოთავებული ფრთხილად გამოვიდა გარეთ და მარანს კლიტე დაადო...

მესამე მაშლიყივილს ეპირებოდა ჟამი, როცა ლადომ ფეხაკრეფით მიაშურა საწოლს. „საკუთარ ვენახს რომ თითო მტევანი შეაშცვრიოს კაცმა და ერთი სამკვდრო-სასიცოცხლო ქვევრი შეივსოს, ვითომ ვის რა დააკლდება?!“ ძილისპირულივით ჩაიჩურჩულა ლადომ და ნაჯაფარი ცოლის სუნთქვას თავისი ხვრინვაც მიუმატა...

მეორე საღამოს, ჭარხლიდან დაბრუნებულ ცოლს მარნის გასაღები მოჰკითხა ლადომ, საგულდაგულოდ რომ ჰქონდა უბეში გადაძალული. ცოლის უარზე „მე არა ვიცი რაო“, ლადომ ცრუ ქექვა იწყო კუთხე-კუნჭულში, მერე ვითომ ხელი აიღო გასაღების ძებნაზე და ერთი პირობა კლიტის გატეხვაც დააპირა. მერე, გასაღები სადმე ეგდება, კლიტის გატეხვა აფსუსია, თქვა და მზის ჩასვლამდე კარგა ხნით ადრე ვენახს ჩააკითხა. ისევ ისეთი დახვდა ვენახი, გუშინ რომ იყო, არაფერი ეტყობოდა ნაკრეფი. გულშემაგრებულმა ღიღინით დაიარა ყველა ვაზი და, მერე, კარგა ხანს მიირთმევდა სახრავ ატამს ქოხში.

ატმის ჭამით რომ თავი შეიქცია, გულაღმა გაიშოტა ჩალის კონაზე და ფიქრი იწყო. ნელ-ნელა ვენახს გასცდა ლადოს ფიქრი და შარანი დაათვალიერა. ერთადერთი სავსე ქვევრი ობოლივით ჩამდგარიყო უამრავ ცარიელ ქვევრსა და კასრს შორის. გული გაეწურა და გარეთ გამოვიდა. კიდევ აიარა რიგთაშუა და ერთი, მეტისმეტად დაჯონჯლილი ვაზის წინ შედგა გაკვირვებით და დიდხანს უყურა. „კი არ მოჰკლებია, თითქოს მომატებია კიდეცა“, — გაუელვა ლადოს და დატენილ მტევანს ხელი შეახო. „იქნება გამორჩა წუხელ“, — გაიფიქრა და ახლა მეზობელ ვაზს მიაკითხა. ის კიდევ უფრო მეტად მსხმოიარე და დამკრახული შეეგება პატრონს, ხოლო, როცა მესამე და მეოთხე ვაზმაც ისევ სიხარულით აუვსო გული, „დაგელოცოთ ბარაქა, მარჩენალებო“, — რიხით წარმოთქვა ლადომ და ცარიელი გოდორი არხეინად გამოიტანა ქოხიდან.

* * *

დიდი ომის მომნელებელ სოფელს, დიდი სეტყვის მონელება რა გასჭირვებია. დიდმა მარანმა მძიმე ზამთრებით შეშინებული პირი გააღო და შარბათის მოლოდინში გაინაბა. კახელი გლეხიკაცის ბარაქამ ნელ-ნელა იწყო დენა. კრაზანამ, ფუტკარმა და ბუზმა საჰაერო გზა დაიგდო ვენახებიდან დიდი მარნისაკენ, აბზუებული მანქანა მანქანას მისდევდა...

გადარჩენილი საკარმიდამოებიდანაც თანდათან დაიძრა დამკრახული, ზოგთაგან გაუბედავად და ჭოჭმანით მიიზლაზნებოდა მტევანი, ზოგთაგანაც უფრო მეტის გაბედვითა და რიხით, აქა-იქაობა სათვალავში მოსათვლელი არც იყო. აქა-იქაობა იმ დიდ ომსაც არ გაჰკვირვებია, შინმოუსვლელთა ოთხასკაციანი დაფა რომ შემოაწია სოფელს საშვილიშვილოდ.

ღამეული თითო-თითოობით ისე გამომიკიკნა ბარამაანთ ლადომ საკუთარი ვენახი, რომ მოსამცვრევს დაამსგავსა. გაუთვალისწინებელი შედეგით დამფრთხალი ლადო საგულდაგულოდ ჩაკეტილ მარანში იმალებოდა უკვე მეორე დღე იყო და ვერც ცოლსა და ვეღარც რთველში დედის მიერ ჩამოტყუებულ ვაჟსა და რძალ-შვილიშვილს ვეღარ სჩვენებოდა...

— რატომ არ მოვკვდები და არ ჩავიმარხები, შვილო, ამისი

"შემყურე! — დაჰკივლებდა ხოლმე დროდადრო ლადოს ცოლი და დამაჭრებული ჰაერით გაჟღენთილ მარნის კარებს მიეჭრებოდა გამეტებული რახარუხითა და წყევლა-კრულვით. ლადო ამ დროს სუნთქვას შეიკრავდა და მხოლოდ მაშინ, როცა ცოლი კარებს მოშორდებოდა, საჩქაროდ გადაჰკრავდა ხოლმე არაყს და კვლავ გარინდებული მიაყურებდა გარე სამყაროს.

"შემწყარალ-შეუბრებულ მამა-შვილს, შორის ხიდის გადების უკანასკნელი შემთხვევაც დაკარგულიყო. ბურგაუტეხელი მიჰყუდებოდა აივნის სვეტს ლადოს ერთადერთი ვაჟკაცი შვილი და დიდი ხნის არგაგონილ დედის ჩივილს უგდებდა ყურს.

„ეგ ცხრაპირა, ეგა, ეგ ცხრაკუდა, ეგა!" — ქაქანებდა ცრემლმორეული დედაკაცი და თან მანქანაში ულაგებდა წასასვლელად აბარგებულ შვილსა და რძალ-შვილიშვილს. წლების განმავლობაში უარყოფილ ძღვენსა თუ მშობლიურ წილს...

„აპარატიც მე ვარ, შვილო, დედა შემოგევლოთ, გოგირდიცა და სასხლავიც, თქვენი კვნესაშე, მაგისი წყალ-წყალა გარე-გარე ბაზარწანწალით ჩამწყდა და ჩამედრიკა შინ და გარეთი, დედა შემოგევლოს!... ბრალი მაგისია, რომ ვერც და, ვეღარც ძმა შეგმატე შვილო. დედამც შემოევლება ჩემს შვილიშვილებსა, ამ ჩემს კოკრებს, მაგათ უხახავად რომ ჩამოვჭკნი და ამოვშრი, რო გამომიკლდეს ადრე და ძალე მამაშენის თავი! განა რამდენ ერთს უნდა გავწვდე, შვილო, საკოლმეურნეო ნორმაშიც ჩემი თოხი ტრიალებს, ისე კიდევ სხვაგანა. ეს ამოდონა საკარმიდამოცა და ვენახიც ხომ ჩემს კისერზეა და ჩემი საჭირბოროტოა, მაპატიე, შვილო, შევცდი, რომ გაზეთში ნათქვამი მაგ შავუკუღმართის სიტყვა მოგაწოდეთ და ტყუილად ჩამოგიყვანეთ, დედა შემოგევლოთ!"

მოსთქვამდა ლადოს ცოლი, თან კიბე ჩამავალ შვილიშვილებს კოცნით ჩასდევდა.

მარანში ჩაკეტილი ლადო, ჭუჭრუტანასთან მისვლასაც ვერა ბედავდა. გონებაწართმეული მიჰკერებოდა პაწია მაგიდას და არაყს უჭაჭუნებდა. დაცლილი არყის ბოთლი დაგორებულიყო გაზეთზე, რომლიდანაც ლადოს გაცრეცილი, დალაქავებული სახე იცქირებოდა.

დამაჭრებულ ქვევრებს მწყარალი ბუყბუყი გაჰქონდათ და გამეტებული ძალით ანთხევდნენ ერთის შეხედვით უმანკო ამონასუნთქს.

„ყირიმში რომ გადაგრეხავენ... დაშაქრებული, სუფთა წვენი...

სამკვდრო-სასიცოცხლო ერთი ქვევრი როგორ არ ჩაასხას... ჩავაბარებ ხვალ, ზეგაც მოისხამს და ჩავაბარებ, სულ, სულ!..“ — ლუღლუღებდა ლადო მაჭრის ნადუღი ჰაერით უზომოდ დაჭირხნილ მარანში და როგორღაც უჩვეულო, ზედმეტად გადამძიმებულ თავს უხახუნებდა შეჭუჭყული გაზეთიდან მაცქერალ დალაქავებულ თავის გამოსახულებას...

* * *

ძანქანა დაჰკოცნა თვალცრემლიანმა დედამ და მანამდე გასცქეროდა შარას, ვიდრე არ მიეფარა... მერე შინ შემობრუნდა, ერთი კიდევ მიაწყევლა მარნის დაგმანულ კარებს და ჩაწყვეტილი ნაბიჯით აიარა კიბე, შვილის ნაყუდარ სვეტს შემოეხვია და შეუკავებლად აქვითინდა...

ძეორე დღეს როგორღაც უჩვეულოდ დამძიმებულიყო ბარამაანთ აივანი მეზობლებითა. იდგა ჩოჩქოლი, მიმსვლელ-მომსვლელი ეძატებოდა, ეზოც ივსებოდა, ეზოს პირიც. მიდიოდა და მოდიოდა ხალხი. ერთმანეთში გადალაპარაკებით. ბინას მიტანებულები ხმას დაუწევდნენ და ჩურჩულით შედიოდნენ ეზოში. ისევ იმ სვეტს მიჰყუდებოდა ლადოს ცოლი, გუშინ რომ დაჰკოცნა შვილისა და რძალ-შვილიშვილის გასტუმრების შემდეგ... დიდ ოთახში გამართულ თალხსაფრიან ტახტზე ბარამაანთ ლადოს ასწორებდნენ მეზობლები. თავის ასამაღლებლად ლადოს ნაყიდი გაზეთების მთელი შეკვრა შეედოთ თალხი საფარის ქვეშ. შვილის წასვლის ღამეს დაძაჭრებულ ქვევრებიდან ჭარბად ამონასუნთქით მოგუდულიყო დახშულ მარანში უპირო, კუჭბაწარა ლადო...

მესამე დღეს ისევ მოადგა შვილიშვილებით შევსებული მსუბუქი ავტომანქანა მამისეულ ეზოს. გაუგებარი პაპის გაუგებარი წასვლით დაბნეული ბავშვები მორჩილად ადიოდნენ ხალხით დამძიმებული სახლის კიბეზე.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ძროხის ქურდი 3
გუდოკა და თითქმის დედოფალი-დედო 30
თაგვიონი და ვირთაგვიონი 43
მერცხლები 58
კურდღლის სიმღერა 98
სინოს წითელი ხარები 179
დურდო გიორგობისთვისა 189